ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№9 (39)
სექტემბერი, 2016 წელი

ნომრის ავტორები
ლუკა ბაქანიძე & პანს არნფრიდ ასტელი

პოეზია
ლელა ცუცქირიძე

პროზა
მანანა დუმბაძე

დრამატურგია
ზურაბ რთველიაშვილი

ახალი თარგმანები
ტონინო გუერა
ალექსეი ცვეტკოვი

წიგნის ხელოვნება
მამუკა ხანთაძე

პოლემიკა
თემო ჯავახიშვილი

Hans Arnfrid Astel

ფასი 1,5 ლარი

№9 (39) სექტემბერი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ლუკა ბაქანიძე, თამარ კოტრიკაძე, ლელა ცუცქირიძე, მანანა დუმბაძე, ზურაბ რთველიაშვილი, თამარ ჟღენტი, ნორიკ ბადოიანი, მამუკა ხანთაძე, თემო ჯავახიშვილი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

სადაც იწყება ბალახი და მთავრდება ბეტონი (ლუკა ბაქანიძე)

ლუკა ბაქანიძეს რომ ჰკითხო, პაპუა-ახალ გვინეაში *ცხოვრობს და მისი სამსახურის გრაფაშიც, სოციალურ ქსელ ფეისბუქში სასაცილო სამუშაო უწერია. არ ვიცი, შესაძლოა, ესეც, ცოტათი მისი ,, მესამე ნაპირია“. ამის და იმის სამინისტრო კი არა, ბლოგერი ან რამე ეგეთი, თბილისი, ჯორჯია კი არა, აეგ, რაც გითხარით. ზედმეტი კითხვები რომ არავის გაუჩნდეს, ან ცნობისმოყვარე ხალხი ადვილად მოიშოროს თავიდან. მისი რომანის კითხვა რომ ჩავამთავრე ამ ერთი წლის წინ, ვიფიქრე, რომ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ვიღაც საინტერესო და თავზეხელაღებული ტიპი გამოჩნდა. და დაველოდე, რას დაწერდა შემდეგს. კარგი შეგრძნებაა, როცა ისეთ ავტორს აღმოაჩენ, რომელსაც ელოდები. ელოდები, რას გამოისვრის თავისი მესამე ნაპირიდან.*

უბნები. და უბნების ცვლილება. ამას წინათ რომ წერდი, მართლა იცვლიდი ხოლმე საცხოვრებელს ხშირად? და როგორ სახლებს და უბნებს არჩევ ხოლმე, რა გიზიდავს სახლში და ქუჩაში და ადგილში? ან სახლი რა არის შენთვის და იქ თავშეფარებული შენ როგორი ხარ? იმ სახლმა რა დაგიტოვა, 13-ის რომ იყავი და ერთი უშველებელი და ცარიელი ეზო შემოგხვდა, მეზობლად ერთადერთი პოეტით – მაგ ეზოს დღეებზე მომიყევი. რაღაც, დანახვა მომინდა.

მანდ, ეკა, ადრე მწერალთა კავშირმა მისცა კორპუსი მწერლებს და ეგეთ ტიპებს. ინგოროყვას, მაშინდელი ძერჟინსკის ქუჩიდან გადავედით, ჯერ ბოლომდე არაშენებულ, დაუმთავრებელ სახლში. ერთი უშველებელი ეზო მახსოვს, მაზუთის სუნით და მშენებლობის ნაწილებით და რაღაც დანადგარებით სავსე. კიდევ – ჩემი უცნაური აივანი, სადაც მყავდა კაჭკაჭი, მაწანწალა ძაღლი, კატა და ციცარი. თან ყველას რაღაც სჭირდა, რომ მოვიყვანეთ: ზოგს ფრთა ჰქონდა მოტეხილი, ზოგს ფეხი. მამაჩემი იყო ეგეთი – დედა ტერეზა. ჩემ ქვევით ცხოვრობდა შესანიშნავი მთარგმნელი, გიგლა სარიშვილი და გვერდით – ბესიკ ხარანაული, პოეტი. და მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი და ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ბედნიერება გამოდგა თუთის ხეზე, ზედ ეზოს გალავანთან – შენს ტოლ თეთრკაბიან გოგოსთან ერთად ტოტზე ჯდომა და თუთის ჭამა, და დროდადრო თუთის ნაყოფის თავში გარტყმა ვინმე გამვლელისთვის... სწორედ ამ სახლმა განაპირობა ჩემი შემდგომი მომთაბარე ცხოვრება. მახსოვს, იმ სახლიდან რო გადავდიოდით, ძალით მტენიდნენ მანქანაში და ის გოგოც, ნათია ოშაყმაშვილი, თუ სწორად მახსოვს გვარი, მართლა უკან მოსდევდა მანქანას, როგორც დებილ კინოებშია ხოლმე. შედეგად, იმხელა ფსიქიკური ტრავმა ავიკიდე, რომ მას მერე, ნებისმიერ ადგილზე, სადაც გადავსულვარ, მაქსიმუმ, სამიოდე წელი გავჩერებულვარ, და მერეც, სულ რაღაცას ვიმიზეზებდი და სხვა სახლში გადავდიოდით, და სახლს, როგორც ასეთს, ან უბანს, არავითარი მნიშვნელობა და პრივილეგია არ გააჩნდა და არ გააჩნია. – ჭერი, კედლები და ეგაა. თუმცა, ჩემს ოთახს კი ვიწყობ ხოლმე ბუდესავით. ახლაც ასე ვარ და ახლაც გადავდივარ მალე.

არაკომუნიკაბელური კაცი ვარო, რომ წერ, რაღაც, არ გეტყობა ეგ საჯარო სივრცეში და რატომ უნდა დაგიჯერო, რაში ვლინდება, ან რამ გაგხადა ეგეთი?

მაგას ხუმრობით ვწერ. შემიძლია, ისეთი კომუნიკაბელური ვიყო, რომ ათას მკვლელს თუ ნაგიჟარს ბავშვობის მეგობრის ეფექტი შევუქმნა წამში. ძალიან იოლად იხსნებიან ჩემთან სულ უცხო და გადამთიელი ადამიანებიც, დამიტესტავს ბევრჯერ... თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შინაგანადაც კომუნიკაბელური ვარ. უბრალოდ, მაგის გარეშე არ გამოდის ცხოვრება.

კიდევ რას გაურბიხარ და რატომ, ხალხმრავლობის, დროშების, დისციპლინის და ეკლესიების გარდა?

გაქცევის დიდოსტატი უფრო ყმაწვილობაში ვიყავი, ახლა უკეთ ვეგუები რაღაც-რაღაცებს. მაგრამ ახლაც ხშირად ვიხურავ ქუდს და უცერემონიოდ ვტოვებ სხვადასხვა თავყრილობებს, სუფრებს, ლიტერატურულ საღამოებს. ანუ, სიყალბის ატანაც მხოლოდ დოზირებულად შემიძლია.

იმ დღეს შენი პოსტი ვნახე ფოტოთი – საბეჭდი მანქანა, ფურცლები... რომელი საუკუნე იყო, თუ მწერლის რაღაც იმიჯში შედიოდი და საბეჭდ მანქანას კი თავისი მუღამი ჰქონდა?

ჩემი მასალების მიტანა და ჰონორარების აღება, ალბათ, ყველაზე სასაცილო პროცესი იყო „კავკასიურ სახლში“, რადგან, დაახლოებით 2009 წლამდე და აქეთაც, არ დამიჯერებ და არათუ ინტერნეტი და კომპიუტერი არ მქონდა, მობილური ტელეფონის საიმშიც არ ვიყავი. საბეჭდ მანქანაზე აკრეფილ ტექსტებს მერე სხვას ვაღებინებდი ვორდზე და თან ჩემთან დაკავშირება იყო ხოლმე დიდი პრობლემა. არც ანგარიში მქონდა თავიდან

ბანკში, არც პირადობა და ეგრე ვწვალობდით მოკლედ მე და ბუღალტრები ყველგან, სადაც მიმუშავია. რაღაც სპეციფიკური მსოფლმხედველობა მქონდა ჩამოყალიბებული, დროის უმეტეს ნაწილს ტყე-მინდვრებში ვატარებდი და ასე მიმაჩნდა, რომ სადაც ბალახი მთავრდებოდა და ბეტონი იწყებოდა, იმის მიღმა ყველაფერს კაპიკის ფასი ჰქონდა, უმნიშვნელო იყო. რაღაც ფსევდო-თოროს ვაწვებოდი მოკლედ – იყო ეგ დროებაც, და საბეჭდ მანქანას მუღამი კი არ ჰქონდა, როგორც იტყვიან – ეგ მაჭმევდა პურს. სხვათაშორის, შოთაც (იათაშვილი) მაგ პერიოდში გავიცანი.

ათი ათას ლარად ისევ დათმობდი შენს ჯენტლმენობას (როგორც ერთხელ თქვი)?

დავთმობდი რომელია! ყოფით, მერკანტილურ სივრცეში, სიტყვა «ღირსებას» ხშირად საერთოდ სხვა, და ყველაზე ჭეშმარიტი საზომი და მნიშვნელობა ენიჭება. მე ასე ვთვლი. თან, ჯენტლმენობისთვის მეტისმეტად ეგოისტი ვარ და იყოს, სხვისთვის დამითმია. თუმცა, მაქვს, რა თქმა უნდა, ჩემი პრინციპები და კრედო, რომლისთვისაც თავის შეწირვაც შემიძლია, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო სხვა სიბრტყეში განიხილება. უფრო სწორად – არ განიხილება.

ფული რა, ყველაფერია?

ჭეშმარიტად ყველაფერია, რადგან დანარჩენი ყველაფერი მაქვს. საერთოდ, ზნეობის და მორალის მქადაგებელი ელემენტები არც მწერლები მიყვარს და არც, საერთოდ, ადამიანები. ვინც ფულზე ზიზღით ლაპარაკობს, ესე იგი, არ სცოდნია ის, რაც ყველა შემოქმედმა უნდა გამოიაროს რაღაც ეტაპზე მაინც – სიღატაკე. და რაც გჭირდება, ის ცოტ-ცოტა გიყვარდება კიდეც. სხვა ყველაფერი პოზაა. ან უცოდინრობა. მე რომ მატერიალური ინტერესი არ

გამაჩნდეს, და არ მწამდეს, რომ ჩემი შემოქმედებით ოდესმე მაინც დავფარავ ბოლომდე ყველა კომუნალურ გადასახადს და სიგარეტის და არყის ფულადაც მომრჩება, ასი წელი არაფერს გამოვაქვეყნებდი. რადგან, რასაც ვწერ, საკუთარი თავისთვის ვწერ ძირითადად. და, ასე თუ ისე ცნობადობა ყოველთვის მიშლის ხელს ადამიანებთან ბუნებრივ, ჩვეულებრივ და უბრალო ურთიერთობაში – ბევრი ცდილობს, გაუაზრებლად მაინც, ჩემი მომავალი ტექსტების პროტოტიპობას. ჭეშმარიტად – ჩემს ლიტერატურას, ბოლო წერტილის დასმის სიხარულის, რაღაცის შექმნის, ერთგვარი სულიერი მშობიარობის და ჰონორარის მეტი – არაფერი სიკეთე არ მოუტანია ჩემთვის. პირიქით.

და მხოლოდ მეგობრობისთვის, და ერთხელ-ორჯერ-სამჯერ რო ერთად დალიეთ და იდეაში, ცუდი ადამიანი არაა, მაგის გამო შეგიქია მწერლის ტექსტები?

ხშირად. ასეთ დროს ცუდის თქმას ისევ ქება მირჩევნია ხოლმე. მაგრამ თუ ადამიანი ძალიან ჩემია, მაშინ ხისტი და მკაცრი ვარ ტექსტების შეფასებისას და გულიც მიტკენია და წერაზეც ამიღებინებია ხელი ერთი-ორისთვის. შემდგომი იმედგაცრუებებისთვის არ მემეტებოდნენ. არადა, სულ რაღაც ერთი ფრაზაც კი საკმარისია, მცირე დეტალი, რომ პოტენციური მწერალი დავინახო და ასეთ დროს განსაკუთრებით ფრთხილი ვარ,

რომ არც გული დავწყვიტო და ჰემინგუეიდაც არ ვაგრძნობინო თავი. საერთოდ კი, ბევრი მაკითხებს თავის ნაწარმოებებს.

და შენთან როგორაა – კარგ და ცუდ ავტორებს, ტექსტებს რით არჩევ, რა სახაზავი გიჭირავს, რა თარაზო და რა სასწორი?

ყველაფრით. სტილი, დეტალი, კომპოზიცია. ლიტერატურული კეკლუცობა არ მიყვარს და კიდევ სიყალბე. მეტისმეტად რომ ეჩრება მწერალი საკუთარ ტექსტში, ყოველ ფრაზაში რომ ლამის ყვირის – ნახე, რა მაგარი მწერალი ვარო, – ეგ არ მიყვარს. და საერთოდაც, კარგად გამართულ ტექსტს ძალიან იშვიათად ვაწყდები. არის ნაწარმოებები, რომლებიც მკითხველს მოსწონს და აქ უკვე ძირითადად კარგ ტექნიკასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე სხეულთან, ცოცხალ ორგანიზმთან, რასაც დასრულებული ტექსტი უნდა წარმოადგენდეს. – სული და სისავსე აკლია თანამედროვე ლიტერატურას. უკმარისობის განცდას ტოვებს, ისევე, როგორც საერთოდ პოსტსაბჭოთა ხელოვნება, და ამ მოვლენიდან ჭკვიანი კაცი მნიშვნელოვან დასკვნებს გამოიტანდა.ეროვნული თუ რეგიონალური მნიშვნელობის ბევრ საკითხს გაეცემოდა პასუხი. მოკლედ, მეტისმეტად მძიმედ გადაგვაქვს პოსტსაბჭოთა ხანა. მენტალურადაც და ლიტერატურულადაც.

პოზების დაჭერა გიყვარს? ენაში, ქცევაში, სოციალურ ურთიერთობებში, ფეისბუქზე.

ვერ ვიტან პოზებს, ეკა. მაგრამ ყველაზე მტკივნეული კომპრომისი რახან უკვე დავუშვი საკუთარ თავთან, და ვირტუალურ სივრცეს გავუშინაურდი, – ისევ და ისევ წმინდა მერკანტილური მიზეზებისდა გამო – მომიწია მეც

რაღაც დოზით მანერულობამ და პოზიორობამ, რადგან ზოგადად, სოცქსელების მთავარი არსი და მიზეზი სწორედ ისაა, რომ ისეთი გამოჩნდე, როგორიც გინდა, რომ გამოჩნდე. ხოდა, გადავუხადე მეც ცუკერბერგს ხარკი და კი ვათამაშებ დროდადრო ტრაკს ფეისბუქზე. სხვა რა გზაა.

კარავი, ანკესი, ცეცხლი, მარტო ყოფნა, გადაკარგვა – რისთვის გჭირდება, რა ყრია მაგეებში?

სივრცე მოაქვს. სულ სხვა ფერი, ბგერა და სუნი მოაქვს. სულ სხვა წყურვილი და შიმშილი მოაქვს. სულ სხვა დაღლა და დასვენება მოაქვს. სულ სხვა სიხარული მოაქვს. სხვა სიმთვრალე და სხვა სიფხიზლე მოაქვს. სხვა სიზმარი მოაქვს. სხვა მზის ამოსვლა და ჩასვლა მოაქვს. ღამე – ციცინათელები და ტურის თვალები მოაქვს. დილით სველი ხის სუნი და წიწვებჩაყრილი ჩაი მოაქვს. კარგ ადამიანებზე, ჩემიანებზე ფიქრი მოაქვს, რომლებთანაც, დიდი ხნის წინათ, ასევე მოჰქონდა ამ ყველაფერს და რომლებიც აღარ მყავს... ამ ყოველს, მოკლედ, უზარმაზარი ძალა მოაქვს, რომელსაც მერე ძალიანაც კოხტად ვხარჯავ ჩემს ტექსტებში.

თევზაობაზე მინდოდა მეკითხა, ერთი ბაკურაძის (შალვა) თევზაობა ვიცი და მეორე შენი – თევზი კიდე უტყვია და ცივი. რამ შეგაყვარა?

წყლისპირას მეანკესე ადამიანის პოზა – ყველაზე საკრალური პოზაა ადამიანისა. ეკლესიაში მლოცველზე მილიონჯერ მეტად საკრალური. გულით მეცოდება ის ხალხი, ვისაც თევზაობა მოსაწყენი საქმიანობა ჰგონია. თევზს რაც შეეხება – როცა წყლიდან ამოვაყოფინებ თავს, მანდ მთავრდება ჩემი თევზაობა. ვერ ვიტან თევზს და ყოველთვის ვუშვებ, თუ ძალიან არ მშია. ცხოვრების წესია მოკლედ თევზაობა. ერთგვარი მსოფლმხედველობა.

ცივილიზაციას დროდადრო ზურგი უნდა აქციო და სამყაროს მიაყურადო, თუ გინდა რამეს მიხვდე კაცი, თუ გინდა, ისე დაინახო ყველაფერი, საგნები, ფორმები თუ მოვლენები, როგორიც სინამდვილეშია. სამყაროს ხმა კიდევ წყლის ხმაა. მდინარის ხმა. ტალღების ხმა, და ანკესის ძუით წყალთან კონტაქტიც, ვიზუალურ და ხმოვან კავშირს სულ სხვა სიცოცხლეს, სხვა ინტიმს მატებს. თევზაობის თემაზე შემიძლია ორსაათიანი ლექციები ვატარო და მოვკეტო ახლა, აჯობებს.

შენებზე მომიყევი მეტი, დედაშენზე, მამაშენზე, თქვენს სახლზე და იქაურ გარემოზე – რა ხდებოდა, როგორ იზრდებოდი, როგორი დღეები იყო, სუპის ჭამას გაძალებდნენ?

ფუჰ. ყველაზე ძალიან ღრმა ბავშვობის გახსენება არ მიყვარს. მამაჩემი ცალკე ცხოვრობდა და სამი ქალი მზრდიდა: დედა, ბებია და ჩემი ძმის ცოლი. სულ კაშნეებში შეფუთული, უზარმაზარსათვალიანი და მუწუკებიანი მახსოვს ჩემი თავი, ერთი დახველებისას თუ დაცემინებისას რომ საავადმყოფოში მიმათრევდნენ ეგრევე. რაის თანატოლებთან ერთად ეზოში თამაში, რაის ცხოვრება, მოკლედ, ეგრე ვიყავი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთან მოსულმა მამამ არ შეამჩნია, რომ, ფაქტიურად, მკლავდნენ, და ჩემს აღზრდას თვითონ არ მოკიდა ხელი. და აღზრდის რა სისტემა ქონდა, იკაიფე: მთაწმინდაზე, რაღაც კლდეზე გამოწეულ ნახევარმტკავლიან კბოდეზე მატარებდა, უფსკრულის პირას. და ცურვაც ეგრე „იდეინად“ მასწავლა: ნავით

შემიყვანა, მომისროლა წყალში და მითხრა: გაცურე! იმ მულტფილმში როა, ნეოში – ჯასთ ქიიფ სუიიმინგ, აი ზუსტად ეგრე. თითქმის სულ საველე პირობებში ვიყავით და ბევრი რომ არ გავახურო, ბუნება შემაყვარა ფანატიკურად, ისე ძალიან რომ, ტყეში ნაგვის დაყრის გამო, ხის მოჭრის გამო შემიძლია ვიჩხუბო სერიოზულად. თანაც, ამჟამად, ჩემზე ამტანი ადამიანი არ მეგულება მე. მაგარ ჯანზე ვარ, მიუხედავად ჩემი არაჯანსაღი ცხოვრების წესისა.

რა გასწავლეს ყველაზე მთავარი და რა ვერ გასწავლეს, როგორ გგონია?

ჩემივე პერსონაჟს დავესესხები და ვიტყვი რომ: „ხანდახან ისე არ ხდება, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს და ეგ თუ არ იცის კაცმა, უკან გაიკეთოს ჰარვარდი-ოქსფორდები და სერთიფიკატები – მაინც აკვარიუმში იცხოვრებს მთელი ცხოვრება, შუშიდან შუშამდე“. აი, ეგ ვისწავლე ყველაზე მთავარი და კიდევ მათემატიკა ვერ მასწავლა ვერავითარმა ძალამ.

საქართველოში უნდა იცხოვრო სულ?

ცხოვრებით სხვაგან ალბათ ვეღარ დავფუძნდები, მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობ: ერთი-ორი სხვა ქვეყანა უფროა ჩემი ქვეყანა, ვიდრე საქართველო. რაღაც ეგეთი იდიოტური ჩამომიყალიბდა, მოცემულობა თუ ფორმულა, მოუშორებელი პასუხისმგებლობა: რახან აქ ვარ, ესე იგი უნდა ვიყო, აქ მაქვს სათქმელი, და ეს შინაგან კაპიტულაციაზე მეტად, ძალა უფრო მგონია მე, – როდესაც

იცი, რომ ცხოვრობ ქვეყანაში, რომელსაც ალბათ პლანეტაზე ყველაზე ნაკლები შანსი აქვს განვითარებისა, რადგან ყველა და ყველაფერი უშლის ხელს: საზოგადოება, დამყაყებული რელიგიური წყობილება, პოლიტიკოსები, ზოგადი მენტალური განვითარების ფონი და ასე შემდეგ. შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, გავიქცევი ხოლმე სადმე სულის მოსათქმელად. ჯერჯერობით მარტო აქვე ტყე-ღრეში ვახერხებ და გავაფართოვებ რადიუსსაც, როგორც მომიხერხდება, რა პრობლემაა.

და სიყვარული, მაისურზე გადატანილი საყვარელი ადამიანის ფოტოცაა?

უბრალოდ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, ეკა, რომ საკმაო ხანია ერთად ვართ და ჯერ მაინცდამაინც არაფერი გამიკეთებია ისეთი, მისთვის თავისი გამორჩეულობა და მნიშვნელობა რომ მეგრძნობინებინა და რაცაა, ეგ მომაფიქრდა. თანაც ზოგადად უნიკუმია – ერთადერთი მდედრია, ვინც მოახერხა და პოლიგამიური რეჟიმიდან მონოგამიურში გადამიყვანა, და მონოგამი კაცი რომ კომფორტულად იგრძნობს თავს, სიყვარულია, აბა რა ჯანდაბაა.

„მესამე ნაპირი“ (ლუკას რომანი) შენც მოგწონს?

„მესამე ნაპირი“ კი არ მომწონს, მიყვარს, და არა როგორც წიგნი. ყველაფერი რომ დავკარგო მაგის გარდა, რაც მანდ ტექსტის სახით მაქვს გადმოცემული, ვიტყვი, ყველაფერი თან მაქვს-მეთქი. და სხვათაშორის, ახლა რომ გადავხედავ, სხვა, მკითხველის თვალით, ვგრძნობ, რომ შესანიშნავ კომპოზიციასთან მაქვს საქმე და მეამაყება, რომ დავწერე.

ფემინისტი ხარ? ოპტიმისტი? რეალისტი?

მე კი ვარ გაქანებული ფემინისტი, მაგრამ რომ არ მოვიტყუო, საპირისპირო სქესისგან ფემინისტური ლოზუნგობა და მუშტების ქნევა ტრიბუნებიდან არ მევასება. ყვერებიან ქალებს ვერ ვუმუღამებ მაინცდამაინც. ნაღდმა ქალმა ისედაც ყოველთვის იცის, რომ ასი წელი კაცზე მეტის გამკეთებელია და რასაც ვერ გააკეთებს, იმას ბოლოს მაინც კაცს გააკეთებინებს. „ქალი კუხნაში“, ქალიშვილობის ინსტიტუტები და მსგავსი ოდიოზური, მარგინალური საკითხები კი მხოლოდ და მხოლოდ ქართველი კაცის ცვედანობას წარმოაჩენს – მის ქვეცნობიერში ჩაბეტონებულ უზარმაზარ სექსუალურ კომპლექსს და მეტს არაფერს. ოპტიმიზმს რაც შეეხება: ჩემდა ბედად, ჯერ კიდევ ყმაწვილობაში დამატყდა თავს ფსიქოლოგიური ტრავმების კასკადი, და სულიერი ტკივილის ატანის ზღვარსაც გადავცილებივარ რამდენჯერმე უკვე თინეიჯერობაშივე, ასე რომ, შედეგად კრეტინ ოპტიმისტად ჩამოვყალიბდი: რაც უფრო ცუდად ვარ და ცუდი ხდება ჩემკენ, მით უფრო მშვიდი და კონცენტრირებული ვხდები, და სხვათაშორის, უფრო ხარისხიანადაც მეწერინება, როგორც დავაკვირდი. ანუ, რაც არ მკლავს, ის მართლა მაძლიერებს, მე ვიყო ტრაკი. ვერ ვიტან არადა იმ დამპალ ნიცშეს. რეალისტიც სტაბილური ვარ: მიყვარს იალქნების აშვება, მაგრამ მიწას მაინც არ ვცდები. მიწა ცაზე მეტად მიყვარს.

შენი გმირები არ არიან გაპრიალებულები, მდიდრები, არ ვიცი, ლამაზები არიან თუ არა, მაგრამ სულ რაღაცას ამტკიცებენ, სულ უმცირესობაში არიან რაღაც აზრით – შენი აზრით, როგორები არიან, როგორ გმირებზე გიყვარს წერო?

მარტივია: გაპრიალებული ადამიანები, ვგულისხმობ ადამიანის შიდა შრეს – ვინ რას გამომაპარებს – მოსაწყენი

ხალხია ზოგადად, სათქმელიც ბევრი არაფერი აქვთ ისეთი, ყურადღებად რომ ღირდეს და მათზე წერაც მოსაწყენია შესაბამისად. უმცირესობებში უფრო ვაწყდები ხოლმე შინაგანი ტრაგიზმის თუ პირიქით – ხალასი სილაღის ფოიერვერკებს, ემოციონალურად მილიონჯერ უფრო საინტერესო ობიექტები მხვდება საზოგადოების აუტსაიდ სივრცეში – უფრო მკვეთრად გამოხატული, მონუმენტური ინდივიდები და ასე, მშრალად და პროფესიულად რომ მივუდგე, რა თქმა უნდა, ასე უფრო ხელსაყრელია: მზა მასალა მხვდება, და რახან ნაღდია და გამოგონება არ მიწევს, საწერადაც მოსახერხებელი. თორემ ისე, ადამიანურად, მეც ხომ კაცი-აბსაიდი ვარ მარადიული, ჩემი შინაგანი პოზა-მიმართებაც ხომ ასეთია და მიყვარს მოკლედ ისინი, ვიზეც ვწერ და არ მიყვარს ისინი, ვიზეც არ ვწერ.

რატო ხარ ხოლმე არაფხიზელი ასე ხშირად, არ მოგბეზრდა?

ჩემს კონდიციებს კარგად ვარეგულირებ, ანუ არაფხიზელი თუ ვარ, არც მთვრალი და მოწეული მეთქმის. რაიმე წამით მაინც რომ მაკარგვინებდეს სიფხიზლეს და სამყაროს აღქმის უნარს, დამიჯერე, გადავკარგავდი ყველაფერს სამუდამოდ. თინეიჯერობაში უფრო ხშირად ვიყავი გადამთვრალი ან გადაბოლილი. ახლა მხოლოდ იმას ვეტანები, რაც არ მაზიანებს, და ბევრი რამ არ აზიანებს, რაც ჩვენ გვგონია, რომ აზიანებს ან, მინიმუმ, ზიანად ღირს, და შესანიშნავად კომპენსირდება. ნუ ვიქნებით ზედმეტად სტერილურები, ხალხო.

პრეზიდენტი გახდებოდი რო რამე?

ნწ. არა. აი, პრეზიდენტის საყვარელი კი გავხდებოდი სიამოვნებით. თუ მთლად ანგელა მერკელს არ

ემგვანებოდა. პრეზიდენტის მჟიმავი ადამიანი, ასე მგონია, სულ სარდონიკულ განწყობაზე უნდა იყოს და ჩემი საყვარელი განწყობაა ეგა, სანთლით საძებარი.

ტრიბუნაზე რა შემთხვევაში ახვალ?

ტრიბუნაზე იმ შემთხვევაში ავალ, როდესაც ეს ტოტალური დედის ტრაკის გინების სურვილი – რეგვენი პოლიტიკოსების და რელიგიის წარმომადგენლების – სასულიერო პირების, დაუნახავი და უმაქნისი, დაავადებულ-დაშინებული საზოგადოების და მარგინალი, მეოცე საუკუნეს ვერგამოცდენილი „ხელოვანების“ გინების სურვილი ჩემს ნებისყოფას საბოლოოდ დაძლევს.

«ღმერთი ჩემი, მოხეტიალე...», შენი პოეტური კრებულის სათაურია. დღესაც მოხეტიალეა თუ დაჯდა სადმე ერთ ადგილას ეგ შენი ღმერთი?

დღეს ეგ ზის და მე ვხეტიალობ მის მაგივრად... ეუფ, რა პრეტენზიულად გამომივიდა. ჯანდაბას. პრინციპში, ხანდახან ღმერთის „ობრაზშიც“ უნდა შეხვიდე კაცი, თუ გაუძელი.

დამელაპარაკება რო რამე?

გარდამავალ სეზონებზე, როდესაც ზაფხული მთავრდება და შემოდგომა იწყება, ძირითადად სვამს და იგინება ხოლმე :) დალაპარაკებით რა ვიცი. მოსინჯვა უნდა მოკლედ. რამით მიტყუება :)

საიდან იცი, რომ კარგ პროზას წერ? სხვებს ენდობი თუ შენით?

სანამ წერტილის დასმიდან გარკვეული პერიოდი არ გაივლის, სულ ეჭვი მეპარება საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში. ერთი-ორი ადამიანი რომ არა ჩემ

გარშემო, წავშლიდი ალბათ ბევრ კარგ რამეს. მერე უკვე მკითხველის თვალით ვუყურებ და ძირითადად, მიხარია. ბევრ რამესაც ვცვლი, მაგრამ კომპოზიციის მამა რომ ვარ, მაგას კი ვგრძნობ. აი, დეტალებში მერხევა. ან დიალოგებში. და ამ ეტაპზე მონოლოგის რეჟიმიდან ვერ ვახერხებ გამოსვლას. მესამე პირში წერა სტრუქტურულად უფრო მიძნელდება და მეტ ძალისხმევას ვხარჯავ. ჯერჯერობით.

ქალებთან როგორი ხარ?

უყურადღებო, უფულო და შესაბამისად – მინდა-არ მინდა, ირონიული. მაგრამ, ალბათ, რაღაც ისეთი უნდა გამაჩნდეს, რაც ამ ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ვევასები, მოკლედ, ქალებს, ოღონდ იმ ეტაპამდე, როდესაც ურთიერთობა მეტ სიმყარეს და სტაბილურობას მოითხოვს. მაგ დროს ვხდები დემონი და წარმოვაჩენ ყველაზე მურტალ თვისებებს, რაც გამაჩნია – ნაღდს თუ მოგონილს, და ყველაფერი გვარდება – მარტოკინა ვრჩები. უფრო სწორად – გვარდებოდა. ანუკი ერთადერთია, ვინც ეს ეტაპი გადალახა და შესაბამისად, ჩემ გვერდითაა და ერთად ვართ ახლა. მომიშინაურა, ასე ვთქვათ, და ჩემს ინფანტილიზმსაც იტანს, ასე თუ ისე.

კაცებთან? და ადამიანებთან?

ადამიანებთან – თუ ჩემიანია სულიერად – არ ვხმაურობ და ჩუმად ვარ. და თუ რამეს ვამბობ, ძირითადი თემა თევზაობაა. თუ არაა ჩემიანი: ვარ ზეკონუნიკაბელური, მხიარული და ხმაურიანი, და ლიტერატურაზე ვბურღავ ტვინს.

რატო ფიქრობ, რო „უნიჭოა“ ქართული ლიტერატურა (თუ ლიტერატორები), თანამედროვე პროზაში უფრო, მგონი შემოქმედებითი ცვედანობაც ახსენე ერთგან.

იმიტომ ვფიქრობ, რომ პოეტი შეიძლება გაძვრეს მარტო ნიჭის ანაბარა, მაგრამ პროზაიკოსს ნიჭთან ერთად თუ ცხოვრება არ უბოძა იმან, ღმერთს რომ ეძახიან ჩვენკენ, კაპიკია მისი ფასი. ნამდვილ მკითხველად მიმაჩნია თავი და, რაც არ უნდა ძლიერი იყოს მწერალი ტექნიკურად, ყოველთვის შევატყობ გუმანით ფსევდოემოციებს, თითიდან გამოწოვილ ფსევდოგანცდებს. ნაღდი სისავსე და კომპოზიცია მოაქვს მხოლოდ ცხოვრებას. ამბავს. მწერალს ან უნდა ჰქონდეს ამბავი, ან უნდა ეძებდეს ამბავს. მეცხრამეტე საუკუნის კნეინების კრინოლინებში ქექვა ან სტილისტური ფარშევანგობა, მაშინ, როდესაც აქ, ჩვენ წინაა ზღვა მასალა საწერად, აქტუალურიც, სენსიტიურიც, ლიტერატურულად საინტერესოც, ჩემთვის იმის ნიშანია, რომ მწერალი ჩუკნის. უბრალოდ, ზოგს არ ეტყობა, რომ ჩუკნის და ეგაა ტრაგედია. კარგი კრიტიკოსებიც დუმან. დაბერდნენ და ეზარებათ ალბათ შარი.

რა გისწავლია და სად?

უფ... 47 სკოლიდან დავიწყე და რომელი დავამთავრე აღარც მახსოვს. ან მე-6 გიმნაზია ან რაღაც კიდევ. ვაკეში იყო. მგონი 55-ე. ექვსიოდე სკოლა მაქვს გამოცვლილი. და დამთავრებით ჟურნალისტიკა დავამთავრე. მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არც არაფერი მისწავლია, ახლა რომ ვუყურებ.

დოპინგები გიყვარს?

სიყვარულით არ მიყვარს, მაგრამ ხანდახან, ზამთარში კი მჭირდება ხოლმე ბლომად სტიმულატორები. იმიტომ, რომ ძირითადად გაკვამლულ სახლებში და ბარებში მიწევს ყოფნა. თოვლს და სიცივეს კი ვერ ვიტან, არადა მხოლოდ ღია ცის ქვეშ ვარ კარგად, და მოკლედ, ამ იძულებითი

ყოფით მეტისმეტად რომ არ დავითრგუნო, ანდაც არ გავაგრესიულდე, ვწრუპავ ხოლმე არაყს და მარიხუანას ვეტანები. ასე თუ ისე მშველის.

ყველაზე თავისუფალი როდის ხარ?

როდესაც შარაგზის პირას ვზივარ დაღლილი, გვერდით ზურგჩანთა მიდევს, სიგარეტს ვაბოლებ და საბარგო მანქანას ველოდები, რომ გამიყოლოს – მაშინ განსაკუთრებით მეკარგება ხოლმე საზღვარი საკუთარ თავსა და გარემოს შორის. ანუ, თუ ამ დროს ქარია – ვქრივარ. თუ წვიმს – ვწვიმ. დიახაც. ასე. პოეტურად. და თავისუფლება სხვა რაა, თუ არა სივრცე და უნარი – მიიღო სამყარო, – როგორც ჩვენმა ძმამ იმრე კერტესმა თქვა.

რაზე არ დაწერდი არასდროს?

არავის ბიოგრაფიას არ დავწერდი. არ დავწერდი ისტორიული ხასიათის ტექსტებს. აი, ვინმე მილიონერმა რომ სახოტბო ტექსტი დამიკვეთოს და ბევრი გადამიხადოს – ყველაზე მეტი სიამოვნებით დავწერდი.

რატო წერ, ეგ თუ იცი?

კი, ვიცი. კარგად რომ ვიყო, იმიტომ.

როდის ხვდები ხოლმე წერისას, რომ წერტილია დასასმელი? და ცხოვრებაში?

აი, მაგ მომენტს ტექსტებში თუ წინასწარვე ვგრძნობ ხოლმე, ცხოვრებაში, როგორც წესი, ყოველთვის ან ვტოვებ, ან ნაადრევად ვსვამ, და არასათანადო ადგილებში გამომდის მერე წერტილის დასმა. ცხოვრებაში ბევრი რამ მენანება დასამთავრებლად, მაგრამ, საკმაოდ ხშირად და მალე ვამთავრებ, სამწუხაროდ. სექსუალურ ასპექტს არ ვგულისხმობ.

ხშირად შორდები ადამიანებს?

კი, ეკა, ხშირად. სახლიდან სახლში რომ გადავდივარ, როგორც წესი, ძველი ქერქივით ვიშორებ იქაურ გარემოს და ადამიანებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ეს ალბათ საშინელ ადამიანად წარმომაჩენს, მაგრამ, რა ვუყო. სამაგიეროდ, თუ გახსენება მომინდა, შემიძლია, ცოცხლად და გაუცვეთავად – თითქმის პირველადი იერსახით, თავისი ფერებით და სურნელით, გარემოს, ადამიანების აღდგენა. ასე უფრო მიყვარან. და სიყვარულით ყველა და ყველაფერი მიყვარს, სიბნელეც და სინათლეც, რაც მიკრეფია. რაც გამაჩნია.

მოგწონს შენი თავი? გარეგნულადაც, ისეც?

ნწ. ერთ 20 კილოს მოვიმატებდი სიამოვნებით და მხრებშიც გავიმართებოდი, რამე რომ იყოს. ეს ვიზუალურად. ისე კი, რა თქმა უნდა, მომწონს კი არა, ჭკუა მეკეტება საკუთარ თავზე – ვიცი, რომ ვეღარ შევიცვლები და სხვა რა გზა მაქვს. მოკლედ, მომწონს, ეგეთი რომ ვარ. ზომიერად დაქნეული სუბიექტი არყის სურნელით.

რომელ მწერალს ამსგავსებ ხოლმე თავს?

სტილისტურად? ალბათ ამერიკულ პროზას გავს ჩემი ტექსტები სტილისტურად. მოსახერხებლად და იოლად ვაგებინებ სათქმელს, მგონი. ზედმეტი შიფროგრამების და ვარიაციების და ფილოსოფიური წიაღსვლების გარეშე. ისე კი, რა ვიცი. კერუაკივით თუ ვიღაცებივით წერო, კი მეუბნებიან, მაგრამ, მე თუ მკითხავ, სტილისტურად საკმაოდ ავტონომიური და თავისთავადი ვარ მაინც. არ აერევა კაცს ჩემი ნაწერი სხვაში.

და შენ რო გამსგავსებენ ვინმეს, ეგ უფრო ნერვებს გიშლის თუ უფრო გიხარია?

გააჩნია, ვის მამსგავსებენ. ძირითადად, მკიდია ხოლმე მსგავსი თემები, თუ ძალიან მურტალი პახმელია არ მაქვს.

და ისეთი თუა ვინმე, ვისაც გინდა ჰგავდე?

არა მგონია. ვიღაც-ვიღაცებს კი მოვპარავდი რაღაც თვისებებს, მაგრამ უფრო ალბათ ადამიანური კუთხით. მწერლურად კი ერთადერთი ის მშურს ხოლმე, ყველა სიტუაციაში და ხმაურში რო შეუძლიათ წერა. მე ამისთვის დილასისხამ ვდგები, აბსოლუტურ სიწყნარეში და ვწერ, სანამ პირველი მეეზოვე არ დაიწყებს ცოცხის ფხაჭუნს.

და სიკვდილი როგორი გინდა?

გაგიკვირდება და საერთოდ არ მინდა სიკვდილი. თუ მაინც მოვკვდი და ანდერძად გიტოვებ – არავითარი პანაშვიდები და ჭირისუფლები. სადმე წყალში გადამაგდე მზის ამოსვლის ჟამს, ან ტყეში კოცონზე დამწვი მზის ჩასვლისას, და მერე ხმა დაყარე: ლუკა არ მომკვდარა, სადღაც ვენესუელას სანაპიროზე ნავი უყიდია და თევზაობსო თავისთვის :)

პირველად რა დაწერე და რომ დაწერე, რა იგრძენი?

პირველად ლექსი დავწერე კატაზე და დიდი სიხარული ვიგრძენი, იმიტომ რომე მამამ ათი ათასი კუპონი მაჩუქა.

ყველაზე მეტად რა გიყვარს და რა არ გიყვარს?

ყველაზე მეტად მიყვარს ბავშვები და ხეები და არ მიყვარს ადამიანები, ვისაც ბავშვები და ხეები ფეხებზე კიდიათ. დანარჩენს, ყველაფერს, რაც არის, მინიმუმ, პატივს ვცემ იმისთვის, რომ არის.

დაიჩაგრა შენი „მესამე ნაპირი“, ფიქრობ?

„მესამე ნაპირი“ არა და მე დავიჩაგრე. რატომღაც ზუსტად ვიცოდი, რომ „საბას“ მე მოვიგებდი, თან ლისტში უკეთესი არაფერი მეგულებოდა, მეც „საბამდე“ ავიღე ოხრად ვალი და დღემდე მაგას ვისტუმრებ. ისე კი პირიქით, მატერიალურ მხარეს თუ არ ჩავთვლით, დღითიდღე სახელს იხვეჭს ეგ წიგნი. ახლა თარგმანიც გაშვებულია ორ ენაზე, ინგლისურად და გერმანულად და გული მიგრძნობს, კიდევ გაქაჩავს. არაა დასავიწყებელი წიგნი. იმიტომ არ ვამბობ, რომ მე დავწერე: საკუთარ ტექსტებთანაც შემიძლია მკაცრი და ფხიზელი ვიყო.

ბევრი პატარ-პატარა სიხარულები გაქვს? რომლები?

დოზირებულად პატარას გულისხმობ თუ ეგზისტენციალურად მეკითხები? პატარ-პატარა სიხარულები კი მომეპოვება და დროდადრო უზარმაზარ სიხარულსაც გადავაწყდები ხოლმე. რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა. აი, ბოლოს, მაგალითად, ახლახან, დიდ წვიმაში მომიწია მოხვედრამ და წვიმაში კიდე ხომ სულ იმას ვცდილობ, არაადეკვატურად არ გამომეხატოს ჩემი სიხარული თუ სიყვარული, ისე ძალიან მიყვარს, და მოკლედ, ეგრე მოვდიოდი ჩემს წყნარ უბანში, კაცის ჭაჭანება არ იყო გარეთ და უცებ ვხედავ, ანაფორიანი, ახალგაზრდა მასტი დგას შუა ქუჩაში, წვერიანი, სულ სველი, ხელში პატარა ბავშვი უჭირავს და რო ჩავუარე ეუბნებოდა: ნახე მამი, წვიმა! და მანდ რო მე გული გამითბა და გამიხარდა, გამყვება, ვიცი, მთელი ზამთარი.

და საერთოდ, შევამჩნიე, სხვას რო უხარია და ბედნიერია, ეგ უფრო სავსედ მიხარია ხოლმე რატომღაც, ვიდრე პერსონალურად ჩემკენ რომ ხდება რაღაც კარგი. ჩემს სიხარულებს ყოველთვის დაყვება რაცხა სევდისმაგვარი, რაც საშუალებას არ მაძლევს, რომ ბოლომდე მივიღო... აეგეთი კრეტინობა მჭირს მოკლედ. არადა, ჩემზე ეგოისტი კაცი არ მეგულება ამ დროს.

არ ნანობ, ეს ინტერვიუ პირისპირ რომ არ ჩავწერეთ?

კი, ეკა, ვნანობ. ახლა, როდესაც ამას ვწერ, ყავა და სიგარეტი არ მაწყენდა და შენ კიდევ პოტენციური ყავაზე და სიგარეტზე დამპატიჟებელი ადამიანი ხარ, ასე მგონია.

ლუკა ბაქანიძე

სად ხარ, ლაზარე...

გეგონება, მე მექნას. მე ვმჯდარიყავი იმ თვითმფრინავში და მეყაროს ბომბები. ისე, ამათ კი დავაყრიდი რომ რამე. ამ ახვრებს. არადა, ხო მეც ვჭამე. თან ახლა ტელეანძის ძირში ვცხოვრობ და სტრატეგიული ობიექტი ვიყავი, მოკლედ. მეც ვჭამე და რო ვჭამე, მაგიტომ ავითესე თბილისის ზღვაზე. წყნარად და კოხტად გავშალე ანკესი და რომ წამომადგა შავად... ადრე მენახა, აეროპორტში, ან სულ ზევით, ცაში. ან ისერა ზევით – ახალაფრენილი თუ დასაფრენი, მაგრამ ასე ახლოს, ზედ თავზე, თან ნელა, როგორც «ვარსკვლავთა ომებში,» თითქოს ჩამოვარდება საცააო, და მე დაბლა ხო ვჭამე და თან ზევიდან პილოტის თვალით რო ჩამოვყურებდი მიწას და წყალს და წყლისპირას – ერთ კინკილა მეთევზეს: ან იმას, ახლა რო დიდი ვეგონო და ეს ანკესი – რამე იარაღი და ხაკისფერებიც რო მაცვია, სამხედროსავით, და უცებ რომ რაღაც გაჰყარა ნაპერწკლებივით და თავზე ხელები დავიფარე, მაგრამ ხმა არაფერი და გამოვიხედე და ყრიდა ეგრე ხანდახან ნაპერწკლებს, – თურმე ბომბებს თუ რაკეტებს იქით ირიდებდა, მერე ნეტში ვნახე რაცაა ეგ ნაპერწკლები, – გადამიარა და მეთქი, მორჩა, გადავრჩი, წავიდა ქალაქისკენ და რომ ფეთქაა... აქაც ყოფილა, გორაკზე, რაღაცა სტრატეგიული, მე იმათი. და ამათი. ან სად რუსეთში წავეთრიო. საიმში არ ვარ რუსულის.

* * *

ესენი კიდე მიყურებენ ეგრე მგელივით. მასწავლებელიც, ზარიძეა თუ შმარიძე. ვინც წარმადგინა. თან სახელი რო არ თქვა, მარტო გვარი. არც – აი, ახალი მოსწავლე, სანდრო, და გაიცანით ბავშვებო ან რამე ეგეთი, – არა, – დამაყენა

ეგრე ნაძვის ხესავით და საზეიმოდ ამბობს: – პეტროვსკი! ამათ გაეცინათ და წინიდან ერთმა, – მეტსახელი გავიგეთო, მას, და ისე რა ქვიაო და ამან, ზარიძემ, – ხოდა, პეტროვსკიაო გვარად და გაისუსა ეგრეევე მთელი კლასი. ბოლოს ერთმა, ისევ იმან, – რუსი ხარო, ბიჭო, და რა უნდა ვთქვა, ვდგავარ და ვიღიმები. მინდა ვუთხრა, რომ სანდრო ვარ, სანდრიკა, რუსი არა, კვახი, აზრზე არ ვარ რუსულის, და აგერ, ზურგჩანთაში მიყრია ოხრად მზესუმზირა, და მოდი ვჭამოთ, და ქერქები ვისაც გინდა, იმას ვაფურთხოთ, მაგრამ ისე მიყურებენ, ხმას ვეღარ ვიღებ. მერე ზარიძემ ვიღაც წამოაგდო ბოლო მერხიდან და ამოვისუნთქე, მოვჯექი ჩემთვის. ამათ კიდევ კისრები ძვრებათ, ხან ერთი მოიხედავს, ხან მეორე. ზარიძე სიას ათვალიერებს და უცებ, – სადაარ ლაზარე, – ძაან შეშფოთებული სახით კითხულობს და მთელი კლასი აყვა ეგრეევე, – ვახ, სადაარ ნეტა ლაზარე, მე იქ ვნახე ბოლოსო, მე – იქო, და წუხს ყველა, არა მე გავალ მოვძებნი, არა მეო, ერთმანეთს ასწრებენ. ამ დროს შემოიღო კარი და – აგე, მოვიდაო ლაზარე, – მიესია ყველა, სად იყავი, რო არ ჩანდიო. მე ყურადღებას აღარ მაქცევენ და დავისვენე ცოტა, ისე დაძაბული აღარ ვარ. ახლა მარტო ის მაინტერესებს, ეგ ლაზარე ვინ ჩემისაა. ჯერ ბავშვები ეხვევიან გარშემო, ზარიძეც ტუქსავს, – აღარ დააგვიანოო, ოღონდ რაღაც ძალიან ფრთხილად, დათაფლული ხმით. ცოტა ხანში ზარიძის უკან ვარჩევ ვიღაც დიდთავა ბიჭს, რატომღაც მუხლებზე როა დაჩოქილი და ალბათ ეგაა ლაზარე.

ამასობაში კლასიც დალაგდა ნელ-ნელა, ზარიძეც მოჯდა დაფასთან და ლაზარეც წამოვიდა მერხებისკენ, მე კიდევ რაღაც ხუმრობა მგონია: ალბათ, ახალი რომ ვარ, გამიჩალიჩეს, – ვფიქრობ, იმიტომ რომ ეგ ლაზარე ისევ ეგრე, დაჩოქილი მოდის თითქოს და ამ დროს ვხედავ, ზედ მუხლებთან ბოტასები აცვია... ფილმებში მინახავს ადრე ასეთები, არც ვიცი, რა ქვიათ, – ლილიპუტი თუ ჯუჯა, ჩვეულებრივი ტანით, ცოტა დიდი თავით და ეგეთი ფეხებით, თითქოს ეგრევე წვივები მიადგეს ზედო, ბარძაყების გარეშეო. წინა მერხზე მიუჯდა ვიღაც გოგოს, და ასე ჩვეულებრივ ბიჭს გავდა, მეცხრეკლასელს, მაგრამ დაბლა, სადაც ფეხები უნდა ყოფილიყო, ცარიელი ადგილი რჩებოდა: სკამზე, ზედ ტრაკთან მოუჩანდა აქედან თეთრი ბოტასები. მოკლედ, საღოლ იმ გოგოს ნერვებს, ვის გვერდითაც იჯდა. და მჯდარა ლაილას გვერდით, პლანეტაზე ყველაზე მაგარი გოგოს გვერდით.

* * *

რეკავს ზარი, მაგრამ რატომღაც გარეთ არავინ გადის, თითქოს ელიანო რაღაცას. არც ზარიძე გადის, ფურცლავს თავისთვის ჟურნალს. ავდექი და ვხედავ, ის ტიპიც წამოდგა, რუსი ხარო, რო მკითხა, და მოდის ჩემკენ კევის ღლაჭუნით. გზადაგზა კიდევ ორნი შემოუერთდნენ და მომადგნენ სამივე. გამოდი აბა აქეთო, – იმან, ღლაჭუნამ და მივდექით კუთხეში, ფანჯარასთან. აქ უკვე შემეშინდა და მოვაღე პირი: – რუსი არ ვარ, ფოთიდან გადმოვედი-მეთქი ერთი თვეა, ფოთელი ვარ და სანდრიკა მქვია, პროსტა გვარი მაქვს ეგეთი, მამაჩემი იყო რუსი და შენ რა გგონია, მაგათმა მეც კი დამბომბეს თბილისის ზღვაზე, – თავი მოვიწონე, თან ცალი თვალით ზარიძეს ვუყურებ, გამოიხედოს ერთი და ალაგმოს შარი. ზარიძეც ეგრე, ცალი თვალით გვიყურებს ხანდახან და ისევ თავის ჟურნალებს

უკირკიტებს, ხმას არ იღებს. დანარჩენი კლასი ყაყანებს ლაითად, მაგრამ ვგრძნობ, ყველას ჩვენკენ აქვს ყური, არავინ გადის გარეთ. უცებ ღლაჭუნა ამბობს: – რუსების დედა მოვტყან მეო, და სამივე ცოტა უკან იხევს, ჩემს რეაქციას აკვირდებიან და მე რა, მე რომელი პუშკინი მნახეს, ახლა ამათ რომ გავუხურო. ასი წელი ეგრე იყოს მეთქი, – ვეუბნები, და მაშინ აკრიფა მთელმა კლასმა, რუსებს აგინებს ყველა ცოფიანივით, გოგოიან-ბიჭიანად. გავიხედე იმ თესლი ქალისკენ, ზარიძისკენ და სადღაა ზარიძე, გასულა კლასიდან. მეთქი დამერხა ახლა. ამასობაში მოვიდა ახლოს ღლაჭუნა, სახე ლამის სახეზე მომადო და: – რომ გაგინებენ, ხელს რატო არ წევ ბიჭო, სირი ხარო? და მაგრად არ მინდოდა და მეშინოდა, მაგრამ არის ამბავი, როცა, თუ თავიდანვე არ წყვიტე, მერე შეგადგებიან ზედ მთელი ცხოვრება, ჩემთანაც, ჩემკენაც მინახავს ასეთები, გაფუჭებულები და რა მექნა, დავხუჭე თვალები და ვწყვიტე ყბაში სამიდან ერთ-ერთს, ყველაზე ჩუმს და გაუბედავს, მეც მწყვიტეს და რომ წავიქეცი, მაგ დროს დაიკივლა ვიღაც გოგომ, რაღაცნაირად კაპრიზულად, ყველაფერი რომ ისე იქნება, როგორც უნდა, ეგეთი ხმით: – დაანებეთ ეხლავე თავი! და რომ შემომეცალნენ, მერე დავინახე: გოგო კი არა, ლაზარე იყო, ლილიპუტი თუ ჯუჯა, რავიცი. ამის კივილზე ზარიძეც შემოვარდა და გარეთ, კარებთან იდგა და ყურს გვიგდებდა, დავიფიცები რაზეც გინდა. ეგ ახვარი. ეს ახვრები.

* * *

– ჯუჯა რა პონტში ხარ? – ვეკითხები ხოლმე ლაზარეს. ლაზარე შემომხედავს დიდი კაცის თვალებით, ჭკვიანი თვალებით და აქეთ მეკითხება: – შენ რა პონტში ხარო პეტროვსკი? იმას არ სწყინს, მე კიდევ ვჭინჭყლობ და მეათასედ ვუსხნი, რომ არ ვარ რუსი, და საერთოდ,

თვითმფრინავებამდე და ამ დამპალ ქალაქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე სახიფათო იყო რუსობა, არც ჩემთან, ფოთში მერჩოდა ვინმე და ვიყავი ჩვეულებრივად. აქ კი ყოველ დილით სარკეში ვიხედებოდი, მეთქი რით ვგავარ აბა რუსს. მერე მაგათი ფილმებიც ვნახე და მართლა ვმგვანებივარ რაღაცით, და რატო არ დავემსგავსე დედას, ბლიად, – ხოჭოსავით შავია დედა. შე აფერისტო რუსაკო, – მეტყვის ხოლმე ხანდახან ლაზარე. პირველად ეგ რომ მითხრა, დავცხე, მაგრამ ეგრევე ფეხებში შემივარდა და წამაქცია, მე კიდევ, შეხება კი არა, ვერც ვუახლოვდებოდი თავიდან, ისე მეზიზღებოდა, ჯერ ეგეთი ფეხების და უსახსრო ხელის თითების გამო მეზიზღებოდა და მერე, სკოლაში რომ გამომესარჩლა პირველ დღეს, მაგის გამო ვერ ვიტანდი; რა მჭირდა გამოსასარჩლებელი და თან ვისი – ჯუჯის, თუ ლილიპუტის. მაგრად მიტყდებოდა მოკლედ. მაგრამ, თვალები აქვს ლაზარეს ისეთი, – რაც მე არ ვიცი, რაზეც წარმოდგენაც კი არ მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი იცისო ლაზარემ, და მოგიყვებაო ყველაფერს, ოღონდ, როცა შენ გინდა და დაინტერესდები, მარტო მაშინ მოგიყვება, თვითონ არასოდეს დაიწყებს ტვინის ბურღვას, – აი ეგეთი, კეთილი ბაბუას თვალები აქვს ლაზარეს, ბუხრისპირას თავს გადახდენილ ფათერაკებს რომ უყვება პირდაღებულ შვილიშვილებს. არადა, თავიდან მრცხვენოდა ამასთან ძმაკაცობა, სულ თვალებს ვაცეცებდი აქეთ-იქით, ვინმეს ერთად რომ არ დავენახეთ... სკოლა ორივეს გვძულდა: ლაზარეს იმიტომ, სუნთქვას რომ არ აცლიდნენ, – სადაც გამოჩნდებოდა: Lლაზარე მოვიდა ლაზარე რამე ხო არ გინდა ლაზარე რამე ხო არ გტკივა, – ავადმყოფი მგონია ხოლმე თავიო, მე ამათი. მე კიდევ, პირიქით: როცა უამისოდ ვარ, ან თავდაცვით პოზიციაში ვარ, ან – საერთოდ არ იმჩნევენ ჩემს იქ ყოფნას. კლასში ლაზარე წინა მერხზე

ზის და სიის გარეშეც, პირველად ამის ყოფნა-არყოფნას და გუნება-განწყობილებას ამოწმებენ მასწავლებლებიც და ბავშვებიც. მე ბოლო მერხზე ვზივარ და ჩემს გვარს ისე უცებ ჩაიბურტყუნებენ, ვერც ვამჩნევ. ის ნაბოზარი ზარიძე, დამრიგებელი კიდე საერთოდ გამომტოვებს ხოლმე სიის ჩამოკითხვისას, თითქოს კლასში არ ვიყო... და მთელ სკოლაში, სადაც გავივლი, სულ მესმის ზურგსუკან ლოზუნგები: – რუსებს რაა? დედის ტყვნა! ან – აგე, პუტინი მოდის! აღარც ვუხსნი არავის არაფერს. ვარ და ვიყო, თქვენი დედაც. დაგბომბეთ და კიდე დაგბომბავთ, ბოზებო.

* * *

– სულ ტყუილად გიყვარსო ლაილა, – ლაზარე მეუბნება, – ერთი კრეტინი გოგოაო. მეთქი – ნწ, ყველაზე მაგარი გოგოა ლაილა. – მე შენზე დიდხანს ვიცნობ და დამიჯერეო. ქალის თემაზე ლაზარესთან ვერიდები ლაპარაკს, ისედაც ყველა გოგოს ლანძღავს. ერთხელ სახლში დავპატიჟე, ნეტში მუსიკას ვეძებდით და უცებ ამოაგდო რაღაც პორნოსაიტი, ვიღაც ნაშის სველი ძუძუებით. მეთქი – იფ, რა ქალია, თან მოვიხედე და ვხედავ, ლაზარე კანკალებს მთლიანად, სკამს ჩაბღაუჭებული და შუბლზე ოფლი ჩამოსდის წვეთებად. ჰეი, გაგეთავა, ბიჭო? – გავეხუმრე და ჩაიკეცა კიდეც სკამიდან, ხალიჩაზე დავარდა. გული წაუვიდა ტიპს. არადა, თვითონაც ხომ აქვს ნეტი, და ნეტი თუ აქვს და პორნოს არ უყურებს, რად უნდა საერთოდ ნეტი, რავიცი. მეც ვადგები ხოლმე სახლში. სანამ გავიცნობდი, მართლა მაინტერესებდა, რა პონტში იყო ჯუჯა: რამე ჭირდა თუ უბრალოდ ისეთი იყო, როგორიც იყო. და-ძმა, დედ-მამაც ჯუჯები ყავს, ნეტავ? ჯუჯების ოჯახია თუ მარტო ეს გამოვიდა ჯუჯა. ერთხელ მოვიდა სკოლაში დედამისი. ჩვეულებრივი ქალი გამოდგა, დაჟე მაღალი, და რაც მოვიდა, სულ ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც ლაზარეს

უხდებოდა ხანდახან, – რემბო რომ პირველ სერიაში ჭრილობას იკერავს ნემსით, ლამის ეგეთი,Gგამწარებული თუ ნატანჯი. სახლში რომ დავადექი, მამამისიც ჩვეულებრივი ტიპი გამოდგა, რაღაცის პროფესორი, და ლაზარეს უცხოეთში წასული და რომ ვნახე ფოტოებზე, იმას კიდე ნებისმიერი ჩოხოსანი მოიყვანდა ცოლად, სულ რომ უკანასკნელი ბოზი ყოფილიყო: თითქმის ლაილასავით მაგარი გოგო მოკლედ. შენ რა პონტში გამოხვედი-მეთქი ჯუჯა? – ვეკითხები ხოლმე ლაზარეს. ლაზარე იცინის, – შე აფერისტო რუსაკოვო და მეცინება მეც.

* * *

რუსები კი ატრაკებენ. ძაან ატრაკებენ. ხან რა ინფო ვარდება ნეტში, ხან რა, და მე ვეხვეწები დედაჩემს: გადავიდეთ სადმე და შენ გვარზე გადმოვალ-მეთქი. ახლახან გადმოვედითო, აცადე და გაჩერდებიანო, – დედა ამბობს. არადა, სულ უფრო და უფრო მეტ შარს ვაწყდები სკოლაში. კიდევ ვიღაცა ყოფილა, გოგო, მეთერთმეტეკლასელი შელესტოვა, და – ხან ჩანთას უგდებდნენ ფანჯრიდან გოგოები, ხან მობილს უმალავდნენო, – ლაზარემ. წასულა რუსეთში, მე კი სად ჯანდაბაში უნდა წავიდე და ვაცდენ და ვაცდენ ოხრად გაკვეთილებს. ლაზარეც თან დამყვება. ერთხელ სამასწავლებლოსთან ჩავიარე და ზარიძე ამბობდა: – სუფთა გოგოლის მკვდარი სულები არიანო ეგ ორნი, და აღარ ვუთხარი მერე ლაზარეს. წავიკითხო ერთი გოგოლი, ეგ ჩემისა, და მერე ვეტყვი, თორემ ამას, ლაზარეს, წაკითხული ექნება უეჭველი. წიგნებით აქვთ გამოტენილი მთელი სახლი და კითხულობს ყველა დედაწულიანად.

* * *

– რა მაგარი სახელი გქვია, ლაილა! – ვუღიმი და უცებ კევი მივარდება პირიდან. არადა, ნათქვამი აქვს ლაზარეს, ლეილა რომ ქვია სინამდვილეში. თურმე, სახელი ეგოიმება და მაგიტომ დაირქვა ლაილა. ლაილა-ლაილა. ერთი მერე ჩუმად ფოტო უნდა გადავუღო და დავანძრიო. ვაიმე, მადლობაა! – მიწელავს ლაილა და კვდება სიცილით. არა უშავს, კიდე მაქ კევი, – ვბურტყუნებ დებილივით და ის საერთოდ ბჟირდება. კეთილ ადამიანებს, უყვართ, ზოგადად, სიცილი, – ვამართლებ მერე ლაზარესთან. გამომივიდნენ ტომი და ჯეკი! – ქირქილებს ლაზარე, – კეთილი კიდე მარტო მაშინ გახდება, თუ ბოლო მოდელის მობილურს აჩუქებ. ხოო? – დავფიქრდი. – ხო. გეზასავება მერე. ეგრე შვრება ხოლმე. მოკლედ, უეჭველი შურს ლაზარეს, მე რო ჯუჯა არ ვარ და ქალის დაკერვა ვიცი და მაგიტომ ენამწარობს, არაუშავს. ისე, მერე ამას ჯუჯების პორნო უნდა ვანახო, იქნებ ეგ მაინც გაუსწორდეს. იმ დღეს ნეტში მოვძებნე და ვარწყიე კინაღამ.

* * *

– ეი, პუტინ, წამოხვალ სტადიონზე? – ღლაჭუნა მეუბნება. ზედ სკოლასთან შემხვდნენ ეგ და მაგის ბრიგადა, ჩემი კლასელები. ეჰეი, სად ხარ ლაზარე. აღსდექი მკვდრეთით, თორემ დამერხა. მივიხედ-მოვიხედე. აღარ გყავს შენი ჯუჯა? – მიმიხვდა ღლაჭუნა. – იქნებ სხვა ფიფქია იშოვა და შენთვის აღარ ცალია, ჰა? ლაზარეს ზურგსუკან როგორ კაიფობენ ახვრები. არადა, ისე სულ ზედ ევლებიან. არ მიყვარს ფეხბურთი, – ვუთხარი და გზა გავაგრძელე. ხო ვამბობ, ეგენი გეები არიან-მეთქი, ეს მართლა მკვდარი სულები! – ზიზღით გააფურთხა ღლაჭუნამ და შეტრიალდა. ზარიძე მარტო სამასწავლებლოში არ ოხუნჯობს, მაშასადამე. ეგ თესლი. ეს თესლები. წავედით, მოვდივარ! – ვთქვი. დღეს ჟოპასტენკას ვთამაშობთ, – ხელებს

იფშვნეტს ღლაჭუნა. ჯერ ფეხბურთი რაა და მერე ეს დებილი თამაში; აეკარი კედელს და გირახუნებენ სიფათში ბურთებს. მაგრამ, არაუშავს, ამათგან რომელიმეს ხო მივასხმევინებ კედელზე თავს ბურთით. ერთს ხო მაინც გავარტყამ, შანსი არაა... მე რო აღმოვჩნდი მარტო კედელთან, მერეღა მივხვდი, რო მიჩალიჩებდნენ. ჰეი, ლაზარე, აღსდექი რა მკვდრეთით, შეჩემა. ის ტიპი, ჩუმი, მე რო ვწყვიტე პირველივე დღეს, თურმე სერიოზული ფეხბურთელია. ერთი ბურთი ამაცილა და მეორე ჯერზე ზურგში გამარტყა, გვერდით, ნეკნებში. სუნთქვა შემეკრა. თქვენი დედა მოვტყან! – მოვასწარი და წამცხო ეგრევე სამივემ. თუ ოთხივემ.

* * *

– ჯერ, რუსი რომ ხარ, მაგიტომ. მერე – სხვა ქალაქელი რომ ხარ. არც ამ უბნელი და არც სხვა უბნელი. მაშასადამე, არ ექვემდებარები ერთგვარ შიფრს თუ პაროლს, საკვანძო კითხვა-კოდს: «რა უბნელი ხარ?» არადა, ამ კითხვის ქვეშაა მთელი ქვეყანა, მთელი პოლიტიკა, მთელი მწერლობა, ხელოვნება, რელიგია და საერთოდ, ყველაფერი ამ კითხვაშია მოქცეული: ზოგად-ეროვნული, ტოტალური ლოკალის აღმნიშვნელი ფრაზა. მთელი ქართული ყოფის ფონი თუ რეფრენი. ქრონიკული წყევლა. საქართველოს უახლესი ისტორია, სამ სიტყვაში მოქცეული.… თან კიდევ, ეს რუსული გვარი. ასეთ დროს. ვინ გაპატიებს, ვინ შეგარჩენს... – ბურტყუნებს თავისთვის ლაზარეს მამა, თან ფინგალებზე ცივი წყლის საფენებს მიცვლის. ამანაც რომ გაახურა, ბლიად. არაა რუსი, გვარი აქვს მარტო ეგეთი, – უხსნის მეორე ოთახიდან ლაზარე. სიცხე აქვს და წევს, გარეთ ვერ გამოდის. მერე, გვარია ყველაფერი, – აგრძელებს ლაზარეს მამა. – ფუნდამენტი. ქვეცნობიერში დაგროვილი გენური ბალასტი. საკუთარი გვარის რატომ

უნდა გეშინოდეს, საკუთარი თავი რატომ უნდა უარყო და დამალო მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობენ ერთი მუჭა ნაძირალა ადამიანები, რომლებიც ანგრევენ და ანადგურებენ, აფეთქებენ და წვავენ, – როცა არაფერი გაქვს მათთან საერთო, როცა ჯერ მხოლოდ მოზარდი ხარ, და მხოლოდ სიცოცხლე გიყვარს და გინდა. ადამიანებთან, თანატოლებთან მეგობრობა გიყვარს და გინდა, რუსი იქნება, ზანგი თუ ებრაელი... და ამ დროს მთელი ქვეყანა, მთელი ერი, ბერი თუ საგანმანათლებლო სისტემა გაყალიბებს და გზრდის პოტენციურ ქსენოფობად, პოტენციურ ჰომოფობად... – ლაზარეს ოთახს გახედა და ჩუმად დაამატა: – ძალით თავსმოხვეული სათნოება და კეთილმოსურნეობა, უკიდურესად ხაზგასმული ყურადღება და ზრუნვა, თითქოს სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი იყო, – ეს სიკეთეც ხომ გულისამრევია, ხომ იმის მინიშნებაა, რომ გჭირს რაღაც, რომ სხვა ხარ, რომ მათ არ გავხარ, – ჰომოფობიის ყველაზე საშინელი, ფარული ფორმა... მომბეზრდა და გავაწყვეტინე: – ასე რომ გარეთ გავიდე, სახეზე ძაან მეტყობა რამე? არა უშავს, ვითომ რინგზე იყავი, – მიღიმის და თავზე ხელს მისვამს. ამ ბებრებმა რო იდიოტური ხუმრობა იციან, ნუ იტყვი.

* * *

– ლაილა, იცი, მე კლაუსტროფობია მჭირს, ოღონდ არავის უთხრა, – ვეუბნები. გოგო როცა გიყვარს, გულწრფელი უნდა იყო და იმაზე ელაპარაკო, რაც ყველაზე ძალიან გაწუხებსო, – ნეტში წავიკითხე ვიღაც ნიუ-იორკელი ჟიგოლოს დღიურები და ახლა ლაილაზე ვტესტავ. ეგ ისაა ხო, ჩაკეტილ ოთახში რო ვერ ძლებენ, – ჩაფიქრდა ლაილა. მე გამიხარდა: – კი, ლაილა, ეგაა! ვერც ლიფტში და ეგეთ ადგილებში; ბავშვობაში ლიფტში გავიჭედე ვიღაც ეპილეფტიკ ძიაკაცთან ერთად და მაგის მერე მჭირს, –

დავამატე რიხიანად. ლაილამ თანაგრძნობით შემომხედა:
– ვაიმეე, რა ცოდო ხარ, სანდრიიკ! ვახ, გვარით არ მომმართა სხვებივით. სახელი დამიძახა. აი, მესმის ინტიმი! ამიდგა. მგონი, შევუყვარდი ლაილას! – მივახარე ლაზარეს. – რა აჩუქე რო ამისთანა? – ჩაეცინა. არაფერიც არ ვაჩუქე, ისე შევუყვარდი, – მეწყინა. ეს შურიანი განდონი ჯუჯა. თესლი გოგოა ეგ შენი ლაილა, და კრეტინი! – რაღაც ძაან ბოროტად თქვა ლაზარემ. ეჰაა. ერთ მერხზე ხო ზიან. თან, კაი ხანია კლასელები არიან. ამასაც ხომ არ უყვარს, ნეტავ... უცებ წარმოვიდგინე, როგორ ანძრევს ლაილას ფოტოზე ეს მახინჯი, და ტანში გამაჟრიალა. შენი ჯუჯა დედა მოვტყან! – დავუღრიალე ბოლო ხმაზე, ყბაში ვწყვიტე და თავდასაცავად მოვემზადე, რო მაშინდელივით ფეხებში არ შემვარდნოდა და არ წავექციე, მაგრამ არც განძრეულა და არც ხმა გაუღია. შემომხედა, რემბო რო პირველ სერიაში ჭრილობას იკერავს, ეგეთი, საგვარეულო თვალებით, გატრიალდა და წავიდა.

* * *

იმიტომ ასწორებდა ფოთი. ზღვა. რამე გეწყინება, რაღაც ისე ვერაა და მოისროლე ანკესი და მორჩა, – ერთი ლიფსიტა ბარაბულის ჩარტყმაც აზრზე მოგიყვანს წამში, სტავრიდა-კეფალებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეგ ერთი კაი რამე კი მასწავლა მამაჩემმა, სანამ გაქრებოდა სადღაც. ვზივარ თბილისის ზღვაზე და ვთევზაობ. ოღონდ, რუსებმა რო დამბომბეს, მაგ მხარეს კი არა – აქეთ, პლაჟზე. შემოდგომაზე ჩემსკენ გახურებული სათევზაო სეზონია ახლა, აქ კიდე ჩემი ფეხები. თან კაციშვილი არაა. ქარია. ზურგსუკან, გორაკზე შეფენილ ფიჭვნარში უნთიათ მარტო ცეცხლი ვიღაცეებს. კვამლის სუნი და მძიმე როკის ხმა მოაქვს ჩემთან ქარს; მაგნიტოფონით ან ცენტრით არიან, ალბათ. ალბათ, ეგენიც ყვირიან: რუსებს რაა? დედის

ტყვნა! ხო მთელი სკოლა მაგას ყვირის, მთელი ქვეყანა. მთელი პლანეტა. მთელი გალაქტიკა. ყველა კედელზე ეგ წერია. ყველა პლაკატზე. მე კიდე რუსი გამოვდექი. ჩემიანებმა დაბომბეს აქაურობა და მე მაგინებს სუყველა, იმიტომ, რომ მტერი ვარ... მაგრამ, ხო მეც, მეც ვჭამე მაშინ თბილისის ზღვაზე, აქ – ხო მეც დამიშვეს იმ ნაბოზრებმა! ვერაფერი გავიგე, მოკლედ. კიდევ კარგი, ლაილას მოვწონვარ, ლაილა-ლაილას.

* * *

გაქვს სიგარეტი? – ვიღაც ტიპი მეკითხება, გრძელთმიანი. თავი გავიქნიე, – ნწ, არა, არ ვეწევი. სპორტსმენი ხარ, ბიჭო? – გაეცინა, მაგრამ ეს «ბიჭო» ისე არა, როგორც სკოლაში, ნემსივით. თან, ეს უფროსია. შარის სუნი არ მცემს, მაგრამ მაინც ვაჯახე ჩემი სტატუსი: – სპორტსმენი არ ვარ, რუსი ვარ, რუსაკი! ტიპმა ყურადღებით შემათვალიერა და მეუბნება: – ამოხვალ ცეცხლთან? ქარია. გაიყინები შორტებში. ცეცხლთან სხვა გრძელთმიანი და შავებში ჩაცმული მასტები ზიან, ჩემზე უფროსები, და ერთი გოგო, თითქმის ლაილა – ისეთი მაგარი გოგო, ოღონდ დიდი, – ქალი, პრინციპში, – მაწვდის ბოთლს და მეუბნება ხავერდოვანი, ჩამბალი ხმით: – მოსვი! და ვსვამ. ვსვამ. მერე ვარწყევ და მერე კიდე ვსვამ. ცეცხლის ტკაცუნში, კვამლში, მივჩერებივარ ლაილასავით მაგარი ქალის სახეს. მერე სახე ქრება და გარშემო იცინიან ნაგიჟრებივით. უცებ ცეცხლიდან გამოდის ხელი, სახეზე მეფერება და ვიღაცა ამბობს, როგორც ტელევიზორში, რეკლამებში ამბობენ ხოლმე, ეგეთი ხმით: – პრობლემები გაქვს, ბიჭუნი? პრობლემებს ღმერთი ქმნის, ღმერთი გაწვალებს, ჰოდა, შენც ადექი და შეიძულე! რამეთუ მხოლოდ სიძულვილშია ძალა, სხვა ყველაფერი მონობაა და სიბეჩავე! ალბათ, ცენტრიდან ისმის... და ისევ ვარწყევ.

ამ დროს წინ, შარაზე, აყენებს ჯიპი, იქიდან ღიპიანი მასტი გადმოდის, ხელში ყუთით, შიგ ცეცხლში შემოდის და ყვირის ბაზრის გამყიდველივით: – აბა დავაი, დავაი, დროზე, ნახეთ თუ ვარგა! თან აქეთ-იქით იყურება, ყუთს აჯანჯღარებს და ყუთი კნავის რატომღაც. ვიღაცამ ჩახედა და დანარჩენები ეკითხებიან: – შავია? შავია. – ეს პასუხობს. კნუტია? – არა, არაა კნუტი. სხვა არ ქონდათ, – პიჯაკიანი უხსნის და ისევ თვალებს აცეცებს. – ეგეც წავა, ფული მიეცით, – ლაილასავით მაგარი გოგოს ხმა ლივლივებს კვამლში და ჯიპი მიდის. მე ყუთში ვიხედები და იქიდან მიყურებს დიდი, ყვითელი, შეშინებული თვალები. ფიშო, ფიშო, კარგო ფიშო, ნუ გეშინია, – შიგნით თითს ვყოფ და ვცდილობ მოვეფერო. მიყვარს კატები. – ამოვიყვანო? ყუთში ცოდოა, – და გარშემო ისე ბჟირდებიან, სულს ძლივს იბრუნებენ. ჯერ მანდ იყოს, შეგვეჩვიოს, თორე გაგვექცევა, – ლაილასავით მაგარი გოგოც თითს ყოფს შიგნით, დანარჩენებიც ბაძავენ: – ფისო-ფისო! – ეფერებიან, თან იგუდებიან სიცილით. ყველაფერი ხუთიანზეა, კაი ხალხი ჩანს, მაგრამ ცოტა მეშინია რატომღაც და ისევ არყის ბოთლს ვეძებ. ვსვამ და აღარ ვარწყევ. ესენი ახლა წკნელებს უჩხიკინებენ ყუთს, კატა კნავის და ვბრაზდები: – ეეე, ეგრე არა, რა პონტია.. – ვბლუკუნებ და ვცდილობ, ყუთს თავსახური ავხადო. ცეცხლიდან ისევ გამოდის ხელი, ხელზე მიჭერს მაგრად, კვამლისკენ მექაჩება და თვალები მეწვის, ცრემლს მაყრევინებს კვამლი, ჩემი ხელი კიდევ რაღაც რბილს ეხება. მოგწონს? – მეკითხება ლაილასავით მაგარი გოგო და ვხვდები, რომ ჩემს ხელს შიშველ მკერდზე ისვამს. მიდგება. შეხედვა მინდა და ვერ ვხედავ, ცრემლით მაქვს თვალები სავსე. გინდა, სხვაგანაც? – ისევ მეკითხება შემპარავად. თავს ვუქნევ. უცებ ხელში მხვდება რაღაც ბალნიანი და ლაილასავით გოგო მბრძანებლურად ამბობს: – არ გაუშვა! ეგრე გეჭიროს! კვამლში თვალს ძლივს ვახელ

და ვხედავ, ყუთიდან გამოჩრილი კატის კუდი ჩამიბღუჯავს მაგრად ხელში, გარშემო კი იცინიან კრეტინებივით. თქვენ შიგ ხომ არა გაქვთ, ხალხო, – ნაძალადევად ვიღრიჭები, – რას მიჩალიჩებთ, ვითომ! ამ დროს მეორემ, ვინც თავიდან სიგარეტი მთხოვა, დანა მომაჩეჩა მეორე ხელში, ყველა გაისუსა, მუსიკაც მოტეხეს და გავიგე კატის დაგუდული, გაბრაზებული ბღუილი. და ლაილასავით მაგარმა ქალმა თქვა: – დამიჯერე!

* * *

კვამლის სუნით ვყარვარ და თავი მისკდება. ესე იგი, გუშინ რაც იყო, მთლა სიზმარიც არ ყოფილა. ძაან მურტალი სიზმარი. არადა, ხომ შანსი არაა, რომ სიზმარი არ ყოფილიყო. ცხოვრებაში პირველად დავთვერი. თან არაყი. ფუ, მაგის. სად ხარ ლაზარე, სად დაიკარგე... პირდაპირ, მტკიცე ნაბიჯით მივდივარ სკოლაში. უკანა შესასვლელს ვუახლოვდები, სტადიონის მხრიდან. აქაა იმ პროჭების ბირჟა. აქ ეწევიან სიგარეტს და კარტს თამაშობენ, მაგრამ მკიდია. შევალ ახლა, მივაჭრი ლაილასთან და ვეტყვი, რომ მიყვარს. ძაან მიყვარს. და მერე ლაზარეს მოვუხდი ბოდიშს, ჩემს ძმას და მეგობარს, და ჩავიხუტებ: ასე მგონია, ყველაფერი ის რომ გავაკეთო, რისი გაკეთებაც მაგრად მრცხვენია და მეშინია, რასაც სხვა დროს ასი წელი ვერ გავაკეთებდი, – ჩამოვირეცხავ, მოუსავლეთში გადავკარგავ გუშინდელ დღეს, გუშინდელ ახვრულ სიზმარს. კამეჩივით თავდაღერილი მივადექი ბირჟას სტადიონთან, უკანა შესასვლელთან და ეგრევე წამოხტნენ, წინ გადამიდგნენ. ჰეი, პუტინ, საით მიგეჩქარება? მოდი, ჯერ კარტი მოვცხოთ მე და შენ, – მთავაზობს ღლაჭუნა. არ მევასება კარტი! – ვეუბნები დერსკად და თვალებში ვუყურებ. ვახ, შენ რა არაფერი გევასება, ტო! – იცინის. – აბა, ლოტოს თამაშობდი შენთან, რუსეთში? თუ თქვენ მარტო

ბომბების სროლა გევასებათ, ჰა? კი, ბომბები გვევასება და კიდე დაგბომბავთ, სუყველას დედებს მოგიტყნავთ, თქვე ნაბიჭვარო გრუზინებო! – ვეუბნები და ვგრძნობ, როგორ მომეშვა გულზე, ძალა მომეცა. ისე საკაიფოდ ვარ, სულ აღარ მაინტერესებს, ახლა მაგრად რომ მომხვდება. ვიღიმები. მტერი ვარ და ვიყო მტერი, ამის დედაც. მშვენიერი ყოფილა, როცა მტერი ხარ. ესენი კი არ მირტყამენ რატომღაც, ერთმანეთს უყურებენ და ძაან ჩათლახურად იღიმებიან. კაი, პეტროვსკი, ეგრე იყოს, – ბედს დამორჩილებული კაცივით, წყნარად თქვა ღლაჭუნამ, სიგარეტი გადააგდო და წამში მეცა ყველა ერთად. ოღონდ, არ მირტყამენ. ხელები გამიკავეს და სადღაც მივყავართ. ერთი ხოშიანი წიხლი გავიქნიე, ვიღაცას ვწყვიტე და მაშინ წამაქციეს და ეგრე წამათრიეს, ტომარასავით. სტადიონზე გადამახოხიალეს და იქვე, დაკეტილ თუ მიტოვებულ მანქანების სახელოსნოსთან – ბოქსებთან გაჩერდნენ. მუხლები ამეწვა. გადამეყლიფა. გამიშვით, ბოზებო! – ვყიყინებ. ყელში ბურთი მაქვს გაჩხერილი და ძლივს ამომდის ხმა, თან, თვალებს სწრაფად ვახამხამებ, ცრემლები რო დავმალო. იმ პილოტად გადამაქცია ახლა, და ის თვითმფრინავი მომცა, მე ამათი. გაგიშვებთ, პუტინ, აბა რას ვიზამთ, – კეთილად ამბობს ღლაჭუნა, – მაგრამ, ჩიტმა ამბავი მოგვიტანა, კლაუსტროფობია ჭირსო, და ჯერ უნდა შეგამოწმოთ! და უცებ რაღაც ორმოში გადამიშვეს, ვიწროში და მართკუთხედში – მანქანებს რომ შემოაყენებენ ხოლმე და ქვეშიდან არემონტებენ, – იმ ორმოში. მერე იქვე მიგდებული, სტადიონის ძველი და ჟანგიანი, უზარმაზარი ჭიშკარი გადმოათრიეს შუსტრად და ორმოს დაამხეს. დაბნელდა.

* * *

სად ხარ, სად ხარ... აღსდექი რა მკვდრეთით, ლაზარე, ძმაო ჩემო, თორემ მოვკვდები, არ შეიძლება ჩემი აქ ყოფნა. შენ ხომ არ იცი, როგორია, როდესაც შვიდი წლის ხარ, და გაჭედილ ლიფტში, სიბნელეში, ნახევარი საათი კედლებს ეხლები, ხელიდან რომ დაუსხლტე შარდის და ოფლის სუნით აქოთებულ, დაპანიკებულ ბებერ ნაბიჭვარს, ჯერ ლიფტის კარებს რომ კაწრავს, ისე ხმამაღლა კაწრავს, თითქოს რკინის ფრჩხილები ქონდეს და მერე შენც რომ მოგიხელთებს, თან ღრიალებს და მერე ძირს, იატაკზე ვარდება, ისე, რომ ხელს არ გიშვებს და ძაგძაგებს, ძაგძაგებს, როგორც ტრაქტორის მოტორი, და ხავის და ბღავის ისეთ ხმაზე, მიმსგავსებულიც რომ არაფერი მოგისმენია ცხოვრებაში არასოდეს და არსად, და ლიფტის შახტაც რომ აორმაგებს და საზარელ ექოებად გაყრის და გამხობს თავზე უსაშველო შიშს, იმიტომ, რომ შვიდი წლის ბავშვი ხარ, იმიტომ, რომ ცხოვრებაში პირველად წააწყდი ეპილეფსიის შეტევას, თან სიბნელეში, გაჭედილ ლიფტში... და აქაც ხომ ბნელა. აქაც ხომ ლიფტია. და ზემოდან, თუჯის ჭიშკარზე, აქაც ხომ ბღავის და ბრაგუნობს მთელი ეს ახვარი სკოლა, თავისი წაკლა, ჩამშვები ლაილიანად. მთელი პლანეტა, მთელი ეს დედამოტყნული სამყარო ყმუის და ხარხარებს ჩემს თავზემოთ. მე კიდევ, ვუსმენ, ოფლში და ცრემლში აზელილი, და სადღაც შორს, უკან მიმათრევს შიში, ბავშვობაში, ლიფტის შახტებში. მორევს ჩაყოლილი მოცურავესავით ვიქნევ ხელებს სიბნელეში, რომ არ წამიყოლოს, რომ მოვეჭიდო რამეს... და უცებ საიდანღაც, კვამლიდან მესმის: – არ გაუშვა! ეგრე გეჭიროს! და მთელი სიცხადით შევიგრძნობ ხელში კატის კუდს, და მეორე ხელში დანას. ისევ გაუბედავად, ბურანში მყოფივით ვუსმევ დანას კუდზე, ყუთის კიდესთან. შიგნით კატა ჩხავის და ფართხალებს, მე კიდევ ნელ-ნელა ეშხში შევდივარ და ვუსმევ და ვუსმევ ბირდაბირივით, სანამ

ყუთი განავლის სუნს არ აუშვებს, და კატის გაშვლეპილი, სისხლიანი კუდი არ შემრჩება ხელში...

* * *

მშვიდად, თავისუფლად ვსუნთქავ. ვზივარ სიბნელეში და ველოდები. ველოდები იმათ – იქ, ზევით. ჭიშკარი ოდნავ გადახოხდა და დღის შუქი ჩამოიჭრა. თვალებს ვიჩრდილავ. აქ ხარ, პეტროვსკი? სად ხარ, პეტროვსკი... – ჩურჩულებს ლაზარე. ავყურებ ლაზარეს სილუეტს და ცოტა ხანში საკუთარი ხმა მესმის, უცხო და შემპარავი ხმა: – პრობლემები გაქვს, ბიჭუნი?

სექტემბერი. 2016 წელი.

ამონარიდები (თამარ ჟურული, ზურაბ ქარუმიძე, მარინა ტურავა, გიორგი ლობჟანიძე)

«ლუკა ბაქანიძის «მესამე ნაპირი» ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ბოლო დროს წამიკითხავს. იშვიათად, რომ ავტორმა პირველსავე დიდ რომანს ასე წარმატებით გაართვას თავი, ზუსტად გადმოსცეს სათქმელი, შესანიშნავად ააგოს, არაერთი აქტუალური თემა, პერსონაჟის ცხოვრება მოაქციოს ტექსტში და მთლიანობა ოდნავაც არ დაირღვეს, დაუვიწყარი სახეები შექმნას, ეგრეთ წოდებული არალიტერატურული ენა ისე გამოიყენოს, რომ ზედმეტობას, ვულგარულობასა თუ უგემოვნობას გადაურჩეს, ზოგადი სათქმელი კონკრეტულ ამბებში მოაქციოს, მთელი თხრობის მანძილზე შეინარჩუნოს რიტმი, დინამიზმი, ყოველ თავში კულმინაციამდე განავითაროს სიუჟეტი. აღარაფერს ვამბობ შინაარსზე – დიდი გაუცხოებისა და დიდი სიყვარულის, დიდი დაცემისა და უმანკოების საოცრად საინტერესო ამბავზე.»

თამარ ჟურული, «ლიტერატურული გაზეთი»

«ასე მართალი, ბუნებრივად მოთხრობილი წიგნი, კარგა ხანია არ დაწერილა საქართველოში.»

ზურაბ ქარუმიძე, «ცისკარი».

«რომანი დიდი ინტერესით და სიამოვნებითაც იკითხება, მიუხედავად ლუკა ბაქანიძის ლექსიკისა, რომელსაც ავტორი ხშირად ესთეტიკურ ჩარჩოებში ვერ აქცევს. სადაც ეს მეტ-ნაკლებად მიღწეულია, ნამდვილად უნაკლო მხატვრული სტილის მოწმენი ვხდებით, სიამოვნებასაც

არაჩვეულებრივს ვიღებთ. უნდა ითქვას, რომ ლუკა ბაქანიძე უბადლოდ თხზავს. ორიოდე ბუნდოვანი ადგილის გარდა, კომპოზიციურად ყველაფერი უზუსტესად არის შესრულებული. უნაკლოა მწერლური ალღო, ფერებისა და ხმების აღქმა.»

მარინა ტურავა, «ჩვენი მწერლობა»

«მესამე ნაპირი», თემის სიახლით, პრობლემატიკის აქტუალობით, ექსპრესიულობით, შემოქმედებითი გემოვნების მაღალი ხარისხით, უდავოდ არის ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, ერთგვარი კულტურული გარღვევაც. [...]

რომანს აქვს ყველა ნიშანი და ღირსება, თანამედროვე, «მრავლისმნახველი» მკითხველის გაოცება რომ შეძლოს; ესაა სიღრმე, დინამიკურობა, აქტუალურობა, ცოცხალი სიუჟეტი, თუმცა ზემოქმედების უპირველესი იარაღი, ამ შემთხვევაში, მთხრობელის ოსტატობა, გულწრფელობა და თემის სიახლეა. «მესამე ნაპირი» მოულოდნელობით გაგაოცებთ, ჩაგაფიქრებთ, გაცინებთ, დაგასევდიანებთ, სხვანაირად დაგანახებთ საზოგადოებას და საკუთარ თავსაც. [...]

იშვიათად შეგხვდებათ ახალგაზრდა პოეტთან ისეთი მყარი ფრაზა, როგორსაც ლუკა ბაქანიძის პოეზიაში ნახავთ. თვითონაც არ ვიცი, ზუსტად შევარჩიე თუ არა განსაზღვრება «მყარი», იმიტომ, რომ არსებითად, რასაც ვგულისხმობ, ის გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე უბრალოდ სალექსო სტრიქონების სტილისტური თავისებურება».

გიორგი ლობჟანიძე

თამარ კოტრიკაძე

ჰანს არნფრიდ ასტელი



გერმანელი პოეტი ჰანს არნფრიდ ასტელი 2000 წელს ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში გავიცანი მასმერე, რაც რობერტ მუზილის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში მასთან

შეხვედრას დავესწარი. შემდეგ, 2001 წელს გაზეთ «ჩვენ მწერლობაში» გამოვაქვეყნე მის შესახებ წერილი სათაურით «პეპლები ორფევსის კოლექციიდან ანუ შეხვედრა ჰანს არნფრიდ ასტელთან», რომელსაც მისი რამდენიმე ლექსის თარგმანიც დავურთე.

ასტელი ლიტერატურულ ასპარეზზე პოლიტიკური სატირის ჟანრში გამოვიდა. მას რკინის ფარდის ორივე მხარეს მოუწია ცხოვრება და, ჰაინრიჰ ბიოლის მსგავსად, ორივე პოლიტიკურ რეჟიმს აკრიტიკებს.

თუმცა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია მისი ნატურფილოსოფიური ლირიკა. ამ მინიატურული ლექსების ავტორი თითქოს ჯადოსნური დურბინდითაა შეიარაღებული და ბუნებაში ყოველ ნაბიჯზე მინიატურულ სასწაულებს პოულობს. მისი ერთ-ერთი წიგნის სათაური «თანავარსკვლავედები. დასავლურ-აღმოსავლური კონსტელაციები» უკვე თავისთავად ბადებს ასოციაციას გოეთეს «დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან». მას სამყაროსა და ბუნების გოეთესეულ აღქმასთან მართლაც ბევრი აქვს საერთო. თვითგამოხატვის საშუალებად ასტელმა სამყაროს პანთეისტურ-პოლითეისტური განდიდების ორფიკული როლი აირჩია. არა მგონია, რომ ასტელი იცნობდეს ოსიპ მანდელშტამის შემოქმედებას, მაგრამ ორივე პოეტს უდავოდ აერთიანებს გათანამედროვებული ანტიკური ესთეტიზმი, უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვათ, დღევანდელობის ანტიკური თვალით აღქმა.

მისი ლექსები გარკვეულწილად თამაშია, ლაღი და ხალისიანი, ავტორსაც აშკარა სიამოვნებას რომ ჰგვრის და მკითხველსაც. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ასტელის ბოლო წიგნი ასე დაახასიათა: «ეს ერთი გაბმული ფლირტია,

ცხადია, არა გოგონებთან, არამედ ბუნების ყოველ ქმნილებასთან».

ჰანს არნფრიდ ასტელი 1933 წელს მიუნხენში დაბადებული გერმანელი პოეტია. ის ზაარლანდის მიწაზე ცხოვრობს. თავიდან არნფრიდ ასტელი ერქვა, ხოლო სახელი «ჰანსი» 1985 წელს მას მერე აიღო, რაც მისმა ვაჟიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. წარსულში ასტელი ჰანს რამუსის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს.

მისი მამა კარლ ასტელი (1898-1945) ნაციონალ-სოციალისტი მეცნიერი, «რასების მკვლევარი» და წმინდა რასის თეორეტიკოსი, იენის უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ. ასტელმა ბავშვობა ვაიმარში გაატარა, სასკოლო განათლება ვინდბახის გიმნაზია-ინტერნატში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ბიოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტებზე ფრაიბურგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. დიპლომის აღების შემდეგ ინტერნატში მუშაობდა მასწავლებლად.

1959 წელს დააფუძნა ჟურნალი „Lyrische Hefte - Zeitschrift fьr Gedichte“ («ლირიკული რვეულები – ლექსების ჟურნალი»), რომელსაც 1971 წლამდე რედაქტორობდა. საკუთარ ლექსებს, მეტწილად, ბუნების სურათებს, ჟურნალის ფურცლებზე ფსევდონიმით აქვეყნებდა. 1967 წელს დაიწყო მუშაობა ზაარლნდის რადიოში ლიტერატურულ რედაქტორად.

1968 წლის სტუდენტური მოძრაობის გავლენით, ამავე წელს, გამოსცა პირველი წიგნი «სავალალო მდგომარეობა» (Notstand), რომელშიც პოლიტიკური ლექსები შევიდა. 1971 წელს რადიომაუწყებლის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ეპიგრამების გამოქვეყნების შემდეგ რადიოს

ინტენდანტმა ფრანც მაიმ ასტელი სამსახურიდან უვადოდ გაათავისუფლა, მაგრამ პოეტმა აღძრული სასამართლო პროცესი მესამე ინსტანციაში მოიგო და 1973 წელს კვლავ დაბრუნდა რადიოში ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე. ეს პოსტი ეკავა 1998 წლამდე, პენსიაში გასვლამდე. 1978 წლიდან მოყოლებული პარალელურად ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში გერმანისტიკასაც ასწავლიდა.

1988 წლის დეკემბრიდან 1989 წლის სექტემბრამდე გერმანელ მწერალთა გაერთიანების ფედერალურ კომისიაში ზაარლანდს წარმოადგენდა, 1989 წლის სექტემბერში კი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ეს პოსტი 1991 წლამდე ეკავა.

არნფრიდ ასტელის ლირიკული კრებულებია:

● 1968: Notstand (სავალალო მდგომარეობა)

● 1970: Klдranlage (გამწმენდი ნაგებობა)

● 1974: Zwischen den Stьhlen sitzt der Liberale auf seinem Sessel (ორ სკამს შუა ლიბერალი თავის სავარძელში დაბრძანებულა)

● 1978: Neues (& altes) vom Rechtsstaat & von mir (ახალი (& და ძველი) სამართლებრივი სახელმწიფოსა & ჩემ შესახებ)

● 1979: Die Faust meines GroЯvaters und andere Freiьbungen (ჩემი პაპის მუშტი და სხვა თავისუფალი ვარჯიშები)

● 1982: Die Amsel fliegt auf. Der Zweig winkt ihr nach (შაშვი - აფრინდა. ხემ ტოტი დაუქნია)

● 1988: Ohne Gitarre (გიტარის გარეშე)

● 1992: Wohin der Hase lдuft (საით მირბის კურდღელი)

● 1993: Jambe(n) und Schmetterling(e) oder: Amor und Psyche (იამბ(ებ)ი და პეპ(ე)ლ(ა)ები, ანუ ამური & ფსიქე)

● seit 1994: Sand am Meer (Gedichtveruffentlichungen im Internet) (1994 წლიდან დღემდე: ზღვისპირა ქვიშა. ლექსები ინტერნეტ--გვერდზე)

● 1999: Sternbilder (თანავარსკვლავედები)

● 2010: Das Spektrum gibt dem Augenblick die Sporen. Gedichte (სპექტრი დეზს აძლევს წამს. ლექსები)

თამარ კოტრიკაძე

ჰანს არნფრიდ ასტელი

ჰუბერტ ფიჰტე - მეორე მარციალუსი

(მოსაზრებები არნფრიდ ასტელის შემოქმედებაზე[1])

გერმანულიდან თაგმნა თამარ კოტრიკაძემ

მისგან მეორე მარციალუსი
არ გამოვაო, ჩემზე წერ შენს ფელეტონში,
იცნობ კი პირველს?

არნფრიდ ასტელი, მარციალუსის მსგავად, შარიანი კაცია. ჯერ კიდევ 1965 წელს ის ღრმა სინანულითა და ჭეშმარიტად ჰაინესეული სულისკვეთებით წერდა:

მუდამ წინაღმდეგი ვარ, არადა
რა სიამოვნებით ვიქნებოდი მუდამ თანახმა.

ამით ასტელმა მწერალთა მთელი კლასის განწყობა გამოხატა, მათი, ვინც არც ერთ პარტიას თუ ეკლესიას არ ეკუთვნიან და გარდუვალად იდევნებიან გამომცემლების, აკადემიების, ლიტერატურულ ჯილდოთა გამანაწილებელი კომისიების, პროფესიონალი კრიტიკოსების მიერ.

მის ბოლო ორ ლირიკულ კრებულს თან ახლავს ასტელის ბიოგრაფია, სავარაუდოდ მის მიერვე დაწერილი, სადაც ვკითხულობთ, რომ პოეტი 1933 წელს მიუნხენში დაიბადა, ბავშვობა ვაიმარში გაატარა, ფრაიბურგსა და ჰაიდელბერგში სწავლობდა ბიოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობას. ჰაიდელბერგში გატარებული ათი წელიწადი (1955-65) პოეტს თავისი პიროვნული განვითარებისათვის გადმწყვეტად მიაჩნია.

1959 წლიდან მოყოლებული, ასტელი ჰაიდელბერგში გამოსცემდა ჟურნალს «Lyrische Hefte» («ლირიკული რვეულები»), რომელშიც მხოლოდ ლექსები იბეჭდებოდა.

მასში საკუთარ ლექსებსაც აქვეყნებდა ჰანს რამუსის ფსევდონიმით.

თავის ჟურნალში ასტელმა ხელმეორედ აღმოაჩინა ქვირინუს კულმანის[2] «ზეციური სიყვარულის კოცნები («Himmlische Liebeskьsse»), მაშინ, როდესაც ბაროკოს ხანის ეს მეოცნებე პოეტი მთელ გერმანიაში მხოლოდ გიუნტერ ბრუნო ფუქსს[3] თუ ახსოვდა.

1959 წლიდან 1966 წლამდე ასტელმა დაბეჭდა ბობროვსკი, ბრინკმანი, ჰოპკინსი, ლავანტი, როსეტი, ვონდრაჩეკი და მრავალი სხვა.

1966 წელი უიღბლო გამოდგა – კიოლნში გამომცემლობა «Middelhauve»-ში შემფასებელ რედაქტორად ასტელს დიდხანს არ უმუშავია. 1967 წლიდან ის ზაარბრიუკენში ცხოვრობს და ზაარლანდის რადიოს ლიტერატურულ განყოფილებას ხელმძღვანელობს. მისი ეს საქმიანობა 1971 წელს ორი წლით შეწყვიტა სამუშაოდან დათხოვნამ და შრომით სასამართლოში გახმაურებულმა პროცესმა. ასტელმა ეს პროცესი სამივე ინსტანციაში მოიგო და რადიომაუწყებლის იმჟამინდელ ინტენდანტ ფრანც მაის არა მხოლოდ ზაარლანდის მთელ მიწაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გაუთქვა სახელი. 1971 წლიდან ასტელი ზაარლანდის რადიომაუწყებლის პერსონალური მრჩეველია; 1977 წლიდან კი – ზაარბრიუკენის შრომითი სასამართლოს საპატიო მოსამართლე.

მართლაც შარიანი კაცი.

ცხადია, რომ ასეთი მოსამართლე ლიტერატურულ განყოფილებას ახლადწამოჩიტული თავადივით მედიდურად არ გაუძღვება. ის ჰონორარების შემცირებას არ შეუდგება, მას კარგად გაეგება სამუშაო დროის ფასი,

საკუთარ მივლინებებზე მეტად თავისი კოლეგების ტექსტები ადარდებს, საკუთარ ხარჯებზე მეტად კი – თანამშრომლების შემოსავალი.

თავის ბიოგრაფიაში ასტელი არ მოიხსენიებს კონფლიქტს, რომელიც გამომცემლობა «2001»-თან მოუვიდა. 1978 წელს გამოდის მისი წიგნი «ახალი (& ძველი) სამართლებრივი სახელმწიფოსა & ჩემ შესახებ. ყველა ეპიგრამა». წიგნის 1000 გვერდზე 25 წლის მანძილზე, 1952-1978 წლებში შექმნილი ლექსები გამოქვეყნდა.

მეოთხე გვერდზე გამომცემლობა «2001»-მა მიაწერა: «ქვეყნდება შემდეგი ხელნაწერის საფუძველზე: «აბდაუბდა», ტომი 1». ამ მინაწერს მოჰყვება ვრცელი ახსნა-განმარტება, რომელშიც ვკითხულობთ:

«ამგვარ სათაურს თავისი გამართლება აქვს. ჩვენი გამომცემლობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა გახლავთ, როდესაც ისეთ რამეს ვყიდით, რაც არ მოგვწონს, რასაც არ ვეთანხმებით და რისთვისაც აღებული ფული სიხარულს არ გვანიჭებს. ლაპარაკია ანფრიდ ასტელის წინამდებარე წიგნზე... მისი სახელით მოხიბლულები, უყოყმანოდ და ხალისით დავთანხმდით ამ ექსკლუზიურ გამოცემაზე, მაგრამ, როდესაც ავტორმა მაგიდაზე ათასგვერდიანი ხელნაწერი დაგვიდო, სიხარული ერთობ გაგვიძნელდა. ასობით ეპიგრამას შორის ბევრი ძალიან კარგი შეგვხვდა, ბევრიც არ მოგვეწონა. თუმცა, რაკი უკვე შეთანხმებულნი ვიყავით, დავყაბულდით. მაგრამ ერთ-ერთმა თავმა, რომელშიც მანამდე გამოუქვეყნებელი ეპიგრამები იყო გაერთიანებული, მოსვენება სულმთლად დაგვაკარგვინა. ბრძნული გამონათქვამების გვერდით აქ ისეთი რამეებიც

ამოვიკითხეთ, რასაც ვერაფრით შევურიგდებოდით: ძალადობის საკითხთან შეთამაშება.

ავტორს თხოვნით მივმართეთ, ეს ეპიგრამები გადაესინჯა, შეეცვალა, ან მოცემული თავი წიგნიდან მთლიანად ამოეღო. საბოლოოდ წიგნი ამ თავის გარეშე დაკაბადონდა, რადგან ასტელს სურდა, მის წიგნს დღის სინათლე ეხილა. მოკლე ხნის შემდეგ საჯარო შეხვედრაზე, რომლის თემაც გახლდათ «ცენზურა მედიაში», ასტელი სიტყვით გამოვიდა და საკუთარი თავი ცენზურის მსხვერპლად გამოაცხადა, თანაც კონკრეტულად დაასახელა ეს წიგნი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. რადგან არ გვსურს, ცენზურაში დაგვდონ ბრალი, გადავწყვიტეთ, წიგნი იმ თავდაპირველი სახით გამოგვეცა, როგორც ის ასტელმა მოგვაწოდა, არც რაიმე შეგვეცვალა და არც შეგვემოკლებინა. როგორც მისი «აბდაუბდას» პირველი ტომი. ჩვენი გამომცემლობის შემოსავლის ნაწილი ხმარდება საქველმოქმედო ორგანიზაცია «ამნესყ ინტერნატიონალ»-სა და სამკურნალო ჯირითის კლუბს. დაე, თითოეულმა მკითხველმა თავად შეასრულოს ცენზორის როლი. გამომცემლობა «2001».

ასტელმა გამომცემლობას მორიგი ეპიგრამით უპასუხა:

თვითმხილება

გამომცემელ ლუც რაინეკეს არ სურს,
«ცენზურაში დასდონ ბრალი».
რადგან დროულად დავდე ბრალი ცენზურაში,
მან ჩემი წიგნი ცენზურის გარეშე გამოსცა.

(ცენზურა იმაში გამოიხატებოდა, რომ მას სურდა, მთლიანად ამოეღო წიგნის მესამე თავი «სამართლებრივი

სახელმწიფოს ყველა ხელკეტი», რომელშიც მკაფიოდ გამოვთქვამ ჩემს პოზიციას «გერმანულ შემოდგომასთან» დაკავშირებით[4]. არც მეტი და არც ნაკლები...)

ამ თავის 80 ლექსში ვერსად მივაკვლიე «ძალადობასთან შეთამაშებას». ზოგიერთი ლექსი აშკარად ხელმოცარული კი მეჩვენება, მაგრამ ისეთ ავტორებთანაც, როგორებიცაა ბრეხტი, ბენი, პერსი, თხზულებათა სრულ გამოცემებში გვხვდება სუსტი ლექსები, მაგრამ მათ მაინც გულისყურით ვკითხულობთ, რადგან ისინი ზოგჯერ «კარგ» ლექსებზე უფრო მეტს გვატყობინებენ ავტორის იმჟამინელი შინაგანი მდგომარეობისა და ისტორიული ვითარების შესახებ.

მოსახლეობის განადგურება

ქრისტიანულ-სოციალური კავშირი[5]
მიესალმება ნეიტრონის ბომბის გამოშვებას.
ამ იარაღს ძალუძს, ბავარიის მთელი მოსახლეობა
ისე გაანადგუროს, არქიტექტურის ერთი ნიმუშიც რომ
არ დაზიანდეს.
როგორც ჩანს, გამომცემელმა ამგვარი ლექსები მიიჩნია პრობლემურად.

უარს ვამბობ აღიარებაზე

(19.3.77. ჰერბერტ ვენერის[6] პასუხი შეკითხვაზე, ხომ არ სურს სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით ახალი აღიარების გაკეთება)

რაიმის აღიარებაზე უარს ვამბობ,
გარდა ამისა, უარს ვამბობ თვით ამ სიტყვაზე.
არ მსურს საიდუმლო სამსახურების
თანამედროვე ჟარგონით ვილაპარაკო,
რასაც ბოლო დროს ჟურნალისტებიც სჩადიან.

საკვირველია, რომ ინტელექტუალმა, რომელიც თანადროულ ლიტერატურულ და ენობრივ ვითარებაში ოდნავ მაინც ერკვევა, ვერ შენიშნოს ის იშვიათი მიღწევა, რასაც ეს ლექსი შეიცავს: ირონიის ირონიზირება. ცხადია, ჰერბერტ ვენერი იმ დონის პოლიტიკოსი იყო, მარციალსაც და ასტელსაც მათი პოეტური მექანიზმებიანად ჯიბეში რომ ჩაისვამდა. ასტელი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზოგიერთ გამონათქვამს ირონიზირებაც კი ვერ შველის: მათი ცინიზმი მაინც გვჭრის ყურს.

ძირს (პროფესიული აკრძალვები)

ჩეხეთ-სლოვაკეთზე თავდასხმაც ხომ გადავიტანეთ, –
მეუბნებიან მეგობრები გერმანიის კომუნისტური პარტიიდან
ბირმანის[7]. გაძევებასთან დაკავშირებით.
ყური დაუგდეთ. ასე მკვდრები ლაპარაკობენ.

ნუთუ ეს იყო «ძალადობასთან შეთამაშება», რომელმაც ლუც რაინეკე შეაძრწუნა? ან კიდევ ეს ცხარე შეძახილი:

«გადადექი!»

«ჩამოხტი!»
უყვირიან დემონსტრანტები
აივანზე გამოსულ
ჰალსტუხიან და
თეთრსაყელოიან კაცს.

ამის დაბეჭდვა იყო საშიში 1978 წელს? ეს უნდა აეგდოთ მასხრად, როგორც «აბდაუბდა»? რამდენადაც ჩემთვისაა

ცნობილი, ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როდესაც გავლენიანმა გამომცემელმა პოეტის ლექსების გამოქვეყნებით სცადა მისი განადგურება. «აბდაუბდა», ტომი პირველი – ეს, ჩემი აზრით, გამომცემელ ლუც რაინეკეს მხილებაა და არა პოეტ არნფრიდ ასტელისა.

გამომცემლის სლიკინა კილო კაზინოებში განებივრებულ მეწარმეს აშიშვლებს. თუმცა კიდევ საკითხავია, რა შედეგი გამოიღო მისმა «თვითმხილებამ». არცერთ ჟურნალ-გაზეთში არ შემხვედრია ასტელის წიგნზე მის მინაწერთან დაკავშირებით რაიმე კომენტარი.

«ჩვენი გამომცემლობის შემოსავლის ნაწილი ხმარდება საქველმოქმედო ორგანიზაცია «amnesy international»-სა და სამკურნალო ჯირითის კლუბს».

სამკურნალო ჯირითის კლუბი – ასეთი რამ არასოდეს მსმენია.

«amnesy international» კი გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც პოლიტიკური პატიმრების წამებისა და მკვლელობის წინააღმდეგ გამოდის.

თუმცა ასტელს არც სხვა გამომცემლებთან სწყალობს ბედი. ამას არაერთი ლექსიც მიუძღვნა. აი, ერთ-ერთი:

ლიტერატურა

გამომცემელი კლაუს ვაგენბახი
ჩემს ლექსებს იწუნებს.
«ასე წერა ხომ მეც შემიძლია», –
ამბობს და, ამის საფუძველზე,
ჩემს ლექსებს ლიტერატურად არ თვლის.

არნფრიდ ასტელი ძალიან ნაკითხია და ესეც დიდი შარი გახლავთ.

მას «Anthologia Graeca»-ს არა მხოლოდ პერიფრაზირება შეუძლია, – ეს მარციალუსსაც ეხერხებოდა, – არამედ მისი დანაწევრებაც, ეს კი ყველა იმ ყბადაღებულ ინტელექტუალს აღიზიანებს, პროლეტარების წინაშე კლასიკური განათლებით რომ მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი პრესოკრატიკოსებსაც კი არ იცნობენ.

ასტელის ყველა ეპიგრამა ფილოსოფიური ლირიკის ჟანრს განეკუთვნება.

ეს უფრო ლოგო-პოეზიაა, ვიდრე ფენო-პოეზია:

რაღაცნაირად კარგია,

რომ «რაღაცნაირად» ცოტათი
შტერული სიტყვაა.
დიახ, რაღაც გაგებით შტერულია,
მაგრამ მაინც რაღაცნაირად კარგიცაა.

როცა მის ლექსებში, ჰაიკუს ტრადიციის მსგავსად, მკვეთრი, შთამბეჭდავი სურათები ჩნდება, ესეც არგუმენტაციის გამო ხდება, და არა მეტაფორული მღელვარებისაგან:

ალუბლის ხიდან თეთრი პეპელა
გამოყვავილდა.

ასტელს აქვს ნეგატიური ეპიგრამები, აქვს პოზიტიურიც, რომლებიც კარგა ხანს მაღიზიანებდა.

აგიტაცია, ხოტბა, იდეოლოგიური კრიტიკა, ტკბილ-მწარე კიტჩი, ჭრელა-ჭრულა.

მათ შორისაა არხეინად მოხეტიალე მგზავრის ეპიგრამებიც და ერთ ადგილას მჯდომარე ლიტერატორის ეპიგრამებიც.

აქვს ალტერნატიული და ეროტიკული ეპიგრამები; სიმძაფრით არცერთი ჩამოუვარდება რომაელ პოეტს. მაგრამ გვხვდება ისეთებიც, მხოლოდ ასტელს რომ გამოუვიდოდა: თანამედროვეობის გეოლოგია.

მარციალუსი ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში ცხოვრობდა და მას მერე მისი ლექსები, ვოლტერის ჩათვლით, ბევრმა თარგმნა, ლიტერატურაში მისი ურიცხვი პერიფრაზიც გვხვდება.

მარციალუსის უკანასკნელი გერმანული გამოცემა 1925 წლით თარიღდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის ფაქტობრივად მიუღწეველი გახდა ისეთი პოეტი, სრულიად უნიკალური სახით რომ მოახდინა ადამიანური საქციელის რადიკალიზაცია და ლიტერატურულ ტრადიციებში ფორმათა ისეთი სიმდიდრე შემოიტანა, რომლის ნახევარსაც კი, ამჟამად, სამწუხაროდ, აღარ ვიყენებთ.

მარციალუსის მიერ რომაული ცხოვრების, კეისართა კარზე ლიტერატორთა ყოფის აღწერა, მისი ინტიმურობა, მისეული ცინიზმი ჭეშმარიტად უნიკალურია.

მარციალუსმა ისეთნაირად აღწერა თავისი ეპოქის სექსუალური ცხოვრება, თავისი საკუთარი სექსუალური ცხოვრების ისეთი ანალიზი ჩაატარა, ჩვენს ჟენეებს, პაზოლინებსა და ჯონ რეჩებს[8] რომ არ დასიზმრებიათ. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასტელი და მარციალუსი ერთურთს მარტოსულობასა და უწმაწურობაში ეჯიბრებიან.

მარტო

ვშლი სუფრას,
ძველებურად სამ თეფშს ვდგამ,
საღამოს კი ტელეფონზე

ჩუმად ვსაუბრობ, ჩემი ვაჟი
რომ არ გავაღვიძო.

კულტურა

რენატე რასპს

მას მერე, რაც მაგრად მოვჯვი
და კვლავ საუზმის მაგიდას ვუზივარ,
ტრაკში ისეთი გრძნობა მაქვს,
როგორც ახლადმოტყნულ ქალს.

კლასიკოსი ასტელს ამ მხრივ არ ჩამოუვარდება:

«სხვას როცა ტყნავ, პოლიქარმოს, ბოლოს ჯვამ ხოლმე.
რაღას აკეთებ, პოლიქარმოს, როცა შენ გტყნავენ?»

ზაარბრიუკენელ და რომაელ პოეტებთან ზოგჯერ სიტყვასიტყვით დამთხვევებს ვპოულობთ. არ ვიცი, ასტელი შეგნებულად თუ ახდენს მარციალუსის პერიფრაზს, ერთი კია: «Anthologia Graeca»-ს წყაროების გამოყენებისას ავტორს მუდამ მიუთითებს, მაშ, მარციალუსის შემთხვევაში რატომ უნდა აკეთებდეს გამონაკლისს?

მარციალუსი:

«ზოილუს, რად აბინძურებ აბაზანას შენი უკანალით?
მეტად თუ გსურს დააბინძურო, წყალში თავი ჩაყავი.»

ასტელმა გამომცემლობა «2001»-ის მიერ დაბეჭდილ კრებულს ფრენკ ზაპას სიმღერის ტექსტი წაუძღვარა:

«რომელია შენი სხეულის
უმახინჯესი ნაწილი?
ზოგი ამბობს – ცხვირიო,
ზოგიც ამბობს – ტერფები,

მაგრამ მე ვფიქრობ: გონება.
შენი გონებაა უმახინჯესი!»

გამომცემლებთანაც მარციალუსს ასტელის მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა. გამომცემელ კლაუს ვაგენბახისადმი მიძღვნილ ეპიგრამას რომაელის შემდეგი სიტყვები ეხმიანება:

«საკუთარ სიმღერებს არ გამოსცემ, ლელიუს,
ჩემებს კი აცამტვერებ.
ან ჩემს ქილიკს მოეშვი, ანდა შენი
სიმღერები გამოეცი».

მარციალუსი ცინიკოსი და თვალთმაქცია. საკუთარი სიხარბის, ხელისუფალთა წინაშე მლიქვნელობის, ქალთმოძულეობის, გარყვნილების აღწერისას ის ღირსეული ასტელის გვერდით გულუბრყვილოდაც კი გამოიყურება. ჩვენი თანამედროვე მაინც დიდად განსხვავდება იმ კარის პოეტის, მონათმფლობლის, პედოფილისა და სიბარიტისაგან, რომლის ლიტერატურულ ტრადიციასაც განაგრძობს.

ასტელი მართლაც მაღალზნეობრივი ადამიანია თუ ფარული სწრაფვების განდევნის ნატიფ ფსიქოლოგიურ ტექნიკასთან გვაქვს საქმე?

არსებობს მცირე ლიტერატურული ფორმის დიალექტიკა.

ეპიგრამის მოცულობა მის არსს ცვლის. მარციალუსმა ეს იცოდა:

«დიპტიქებს ვინც თხზავს, ალბათ
სიმოკლით თავს თუ გვაწონებს,
სიმოკლე რას არგებს, თუ ბოლოს
მთელი წიგნი გამოსდის?»

თანაც ერთი კი არა, თოთხმეტი წიგნი.

ასტელის თითოეული ეპიგრამა საკუთარ არსებობას თვითონვე ამართლებს. თუმცა, იქნებ ეს არც იყოს აუცილებელი. მარციალუსი წერდა:

«კარგის, საშუალოს, ბევრი ცუდის წაკითხვაც

მოგიწევს აქ:

სხვაგვარად, ავიტუს, წიგნი ვერ დაიწერება».

ასტელის გამონათქვამები ერთგვარი ცნობიერების ნაკადია, მისი მოკლე-მოკლე ეპიგრამები ვრცელ წიგნებად ერთიანდება, ისევე, როგორც მარციალუსის შემთხვევაში. ამ წიგნებში გასაოცრად ბასრი კრისტალების გვერდით ისეთ რამეებს ნახავთ, რასაც ლუც რაინეკემ «აბდაუბდა» უწოდა.

პირადად, მე ასტელის მოკლე ლექსებს ისე ვკითხულობ, როგორც განვითარების რომანს, რომლის სუბიექტსაც თვითკრიტიკის ჟესტით მიუნჰაუზენივით საკუთარი ნაწნავისათვის ჩაუვლია ხელი, რათა ჭაობიდან თვითონვე ამოათრიოს თავი.

იმისდა მიხედვით, თუ რა აქცენტით წავიკითხავთ მის ლექსებს, ისინი ახალ აზრს იძენენ:

მისგან მეორე მარციალუსი
არ გამოვაო, ჩემზე წერ შენს ფელეტონში,
იცნობ კი პირველს?

აქ კილო პოლიმიკურია: ისეთ რამეზე ლაპარაკობ, რისიც არაფერი გაგეგება!

მისგან მეორე მარციალუსი
არ გამოვაო, ჩემზე წერ შენს ფელეტონში,

იცნობ კი პირველს?

მართლაც კარგად იცნობ პირველ, ნამდვილ მარციალუსს? მისი თითოეული პწკარი გულდაგულ რომ გქონდეს შესწავლილი, ამგვარ შედარებას ჩემს შეურაცხსაყოფად არ მიმართავდი.

მე ვიცნობ მარციალუსს და შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ლექსში ნახსენები საყვედური უადგილოა.

ასტელი მეორე ასტელია.

თუ რაოდენ მრავალშრიანია ასტელის ნაწერები, ამას კიდევ ერთი, უკანასკნელი მაგალითით დაგისაბუთებთ:

ამფი*თეატრი.*

ტირანის სისხლმომდგარი

თვალი.

ბევრს ალბათ კალიგულას შესახებ მხატვრული ფილმის აფიშა მოაგონდება, რომელზედაც ქვაში ნაკვეთ თვალს გარშემო სისხლის მკვეთრი კვალი დაჰყვება.

ამ სურათიდან სულ ერთი ნაბიჯია კოლიზეუმის ქვებამდე, რომლებიც მარციალუსის ეპოქაში უხვად მოირწყა გლადიატორთა და მოწამეთა სისხლით. მწვალებლის ჩასისხლიანებული თვალი წამების ადგილად იქცა. თვალი იქცევა იმად, რასაც ხედავს.

მანიერიზმის ნაცადი ხერხი.

მარციალუსმა ეს უკვე დაწერა იმავე ადგილას, დიდი ხნის წინათ:

«ოპლომაქუსი, მებრძოლი გახდი ამჟამად, ოფტალმიკუსი, თვალის ექიმი იყავი წინათ.

როგორც მედიკოსი, იმასვე აკეთებდი, რასაც ახლა აკეთებ, როგორც ხარებთან მებრძოლი.»

ამფითეატრი.

ტირანის სისხლმომდგარი

თვალი.

ასტელის პოეტური ხერხის უკანასკნელ გამართლებად თვით სიტყვის ეტიმოლოგია გვევლინება: თვალი კოლიზეუმია. «ამფი» ნიშნავს «შემორაგვას». «თეატრი» კი სიტყვა «theorйin»-ისგან ნაწარმოები ფორმაა, რაც «ხედვას» ნიშნავს.

ლექსები

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

* * *

სამყარო – მარგალიტი,
ვის ნიჟარაში?

HELIX POMATIA

ვინ ვის შეისწავლის
აქ, ეკითხები თავს,
ლოკოკინა – შენ თუ
შენ – ლოკოკინას,
როცა შენს ხელზე
მოგზაურობს.

* * *

ინი & იანი –
ორი ლოკოკინა
წყვილობისას.

ჭაში

ყურძნის მტევანი
ჰაერის ბუშტებისაგან.

ლე ბო

შუაგულ მზეზე
კლდეზე
გაწოლილს
საცაა ძარღვები
ამიყვავდეს
იუდას ხესავით.

CHINA BONE

ძვლის მტვერი
იმპერატორის საძვალედან
ფაიფურში.

* * *

მინდა სანუკვარს თქვენი თავი ვუჩვენო,
ჯერ ნუ მოწყდებით
ნეკერჩხლის ფოთლებო.

* * *

შლამში ღრმად ჩაუშვია
ღუზა თეთრ ლოტოსს.

* * *

მარცვლებს ითვლის,
ითვლის მტვრიანებსაც,
ჰაიკუს მგოსანი.

* * *

კურკები
ჩემი ვაშლიდან
შაშვს უნდა ერგოს.

* * *

შავი შაშვი
ნეფრიტის კვერცხებზე ზის.

* * *

გაზაფხულს მივირთმევ ჩინური წესით
მაგნოლიის ორი ფურცლით.

* * *

ბაცი შირმა
მიმავალ შენს სხეულს,
შენს ჩრდილს აშიშვლებს.

* * *

ღამით ვიხილე
ჩემს საწოლთან დაფენილი
მთვარის თეთრი პერანგი.

* * *

უღონო, როგორც
ვარდის ფურცელი.

* * *

შენმა სათლელმა შემომინახა
შენი ფერადი ფანქრების
მაქმანიანი საყელოები.

* * *

მუშტებად შეკრულ
ნაყოფებს უშენს
ვაშლის ხე ზეცას.

* * *

საგნები მომმართავენ,
მდუმარედ, ღმერთებივით.

ძველი ქუდი

საშოს სურნელი
ასდიოდა
ყიფლიბანდის ყვავილს.
დასასრულს

ქუდი იდო
საფლავის ქვაზე.

* * *

მოჭრილი ტიტები
აწყვია საფლავზე,
თავებს მაღლა წევენ.

გიტარის გარეშე

თითებით ვცდილობ ავაწყო
სიმები შენი პულსის.
ხელზე მოცოცავს ლოქორა.
ეს უნაზესი ბლუზი.

* * *

ყავის ჭიქაში
ვხედავ სურათს
ჩემი ბავშვობიდან:
ჩემი დუნდულების
ანაბეჭდს
ღამის ქოთანში.

პეპლები

ფრანჩესკო ასიზელი ცხოველების წინაშე ქადაგებდა,
საჩვენებელი თითით ასწავლიდა
თავისი მოდგმის ადამიანთა ღვთისმოსაობას,
როგორც ოდესღაც ორფეოსმა იგალობა მხეცთა წინაშე.
უეცრად თითზე პეპელა ჩამოუჯდა.
ასე, ჩემო სულო, ვმღერი ყვავილებზე,
ასე ვუამბობ ადამიანებს ცხოველებზე.
დიდი ხნის დადუმებულს კი პირთან მომაფრინდება
შენი პეპელა და ენის წვერზე ჩამომიჯდება.

ჭუპრის კუბოში

ჭუპრის კუბოში
სძინავს მუხლუხოს და სიზმრად ხედავს,
ვითომ ფრთები გამოეზარდა
მატლის ფერდებზე.
სულელს სჯერა
პეპლების არსებობისა.

თარგი

მუხლუხოს ესიზმრება,
რომ პეპლის ფრთებს იჭრის
საკვები ფოთლებისაგან.

* * *

თვალების მხატვარს
პეპელა გაუფრინდა,
ჯერაც ბოლომდე გაუმშრალი.

* * *

სულ ცოტა ხნის წინ ფიქრს ეძლეოდი,
ახლა კი თვითონ გამხდარხარ ფიქრი.

* * *

აღარ ხარ, მაგრამ
ისე გესაუბრები,
როგორც ღმერთს.

ფანტომური ტკივილი

ჩემი შვილი მტკივა,
ჩემი მოკვეთილი კიდური.

რელიკვიები

თუკი – სამსჭვალი,
მაშინ რატომ არა –
შენი ქამარი?

აღარ მეშინია

მას მერე, რაც მკვდარი ხარ,
ღამით სახლის კარს
აღარ ვკეტავ,
ფრენისას იმედი მაქვს,
დავიმტვრევით.
ახლა შემიძლია, თვითმფრინავით მგზავრობით
დავტკბე.

* * *

სარკე სამარის ქვაში.
გვერდს ნუ ჩამივლი, მგზავრო.

ვკითხულობ ღია ცის ქვეშ

ერთმა გაველურებულმა მძიმემ
გაზეთს გადაურბინა.

ხელოვნება ყველაფერს ამართლებს

რაა ბანკის ძარცვა
ბანკის მართვასთან
შედარებით?
ამ წინადადების წარმოთქმას ვერ გავბედავდი
(იმიტომ არა, რომ მცდარია,
არამედ იმიტომ, რომ დასჯადია).
ვბედავ იმიტომ, რომ ბრეხტისაა.

* * *

ყოველი ქვა, წყალში ნასროლი,
ათიანში გარტყმაა.
სამიზნე მის გარშემო თავისით იხატება.

წირვა

ქადაგების სმენისას ჩამეძინა.
ქრისტე მესიზმრა. ის მივიდა
კათედრასთან და გამოიღო
სამოსის კალთიდან ხერხი,
პირის სიბასრე შეუმოწმა, მერე შეუდგა
ხერხვას ისე, დურგლები როგორც ხერხავენ,
და ხის სვეტი გადაჭრა, რომელზეც
მოქადაგე პასტორი იდგა.

გაკვეთილი

ცუდი მასწავლებლები მყავდა.
ეს ჩემთვის კარგი სკოლა გამოდგა.

* * *

უმანკოებას
ებრაელთა კბილების
ოქროს ბეჭედი შვენის.

გარემოს დაბინძურება

ფარმაცევტული ფირმა «ბაიერი» ლევერკუზენში
ჩვენს მოთხოვნილებებს ზედმიწევნით იცნობს.
მხოლოდ ასპირინს კი არ აწარმოებს,
არამედ თავის ტკივილსაც.

* * *

თვალს თვალში
ვუყრი საღამოს ტურფებს

ჩემი ბაღისას.

ნუთუ ყვავილობის ერთ ღამესაც
არ იფხიზლებ ჩვენთან ერთად?
მეკითხებიან ტურფები.

აღდგომის კვირაძალს

ლოკოკინას დაცარიელებული ნიჟარა
აყვავებული ნარ-ეკლის ქვეშ.

* * *

საფოს საგალობლებში
სათუთად გახვეული
მუმია განისვენებს.

* * *

ღმერთები დასეირნობენ მწვანე პარკში,
როდესაც კვარცხლბეკებზე მათ ნაცვლად ადამიანები
დგებიან.

ინტერვიუ ჰანს არნფრიდ ასტელთან - ვისაც სერფინგი არ შეუძლია, უნდა იცრუოს

(ესაუბრა კლაუს ბერინგერი)

[9]

როგორ გახდი პოეტი?

საბედისწერო ტყუილის შედეგად. ერთი ჰომოსექსუალი მეგობარი მყავდა – ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა აღმზრდელი იმ ინტერნატში, სადაც ბავშვობაში ვსწავლობდი. მას პოეზია ძალიან უყვარდა. მალევე შევნიშნე, რომ მოვეწონე და რომ პოეზიაც უყვარს. ერთხელ მკითხა: სკოლის შემდეგ თავისუფალ დროს რას აკეთებო, მეც ვიცრუე: ლექსებს ვწერ-მეთქი. ეს საბედისწერო ტყუილი ჩემი ჰომოსექსუალის ხათრით ვთქვი, რომელიც ნამდვილი ჰომოსექსუალი არც ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ტლანქი მეკურტუმე კი არ იყო, უბრალოდ, ჰომოეროტიკულად სოციალიზირებული...

პლატონური ჰომოსექსუალი?

ჰო, გარკვეულწილად, პლატონური, თუმცა ჩემთვის თმაზეც გადაუსვია ხელი და სხვა რამეზეც, მაგრამ...

მას მერე მართლა დაიწყე ლექსების წერა?

ჰო, იმიტომ, რომ ტყუილსაც პატიოსნება უხდება, რამდენადმე მაინც. მაშინ არც კი გამეგებოდა, თუ რა არის პოეზია, თანდათან გავერკვიე, მერე ეს ჩემთვის ბუნებრივიც გახდა და მას მერე ვწერ.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ჰომოსექსუალის კვალი დიდი ხანია, გაქრა.

ის მაინც მუდამ ჩემ გვერდითაა. ეს ერთგვარი ეროტიკული პრინციპია. ამაზე ხშირად მიხუმრია: თუ გსურს, ქალების გული მოიგო, პიანინოზე დაკვრა უნდა იცოდე. ვინც პიანინოზე უკრავს, იმას ქალები სწყალობენ. წერითაც, რა თქმა უნდა, იმიტომ ვწერთ, რომ სიყვარული გვწყურია, პირველ რიგში, საკუთარი თავის მხრიდან, ანუ თავმოყვარეობის გასამტკიცებლად, და ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩვენი თავმოყვარეობა, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ დონესაც მიაღწევს.

ჩვენს ლიტერატურულ სემინარზე ლაპარაკისას ხშირად აღნიშნავ, რომ ადამიანები იმისთვის წერენ, რომ სიყვარული მოიპოვონ, და რომ ამ სემინარის მონაწილეებს ერთმანეთის სიყვარული აერთიანებთ. მართლაც სწორედ ამ მომენტმა გადაგაწყვეტინა, წლების მანძილზე ამ სემინარს გასძღოლოდი?

რაღაც გაგებით, ჰო. თუმცა, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ამგვარი გამონათქვამები უხამსად ჟღერს. ასეთ რამეებზე, წესით, ხმამაღლა არ საუბრობენ. თორემ, ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ეს ჰომოსექსუალების სემინარია, ანდა ბორდელი, ან რაღაც მსგავსი. გარკვეულწილად, ამ ჩემი გამონათქვამისათვის კიდეც დავისაჯე, როდესაც სემინარზე იმ ქალებმა დაიწყეს მოსვლა, სატელეფონო სექსის სამსახურში რომ მუშაობენ. თანაც, ორი და სამი კი არ იყო...

მგონი, ხუთი...

...ხუთი იყოს. თანაც სემინარის მონაწილეთა შორის ახალი თანამშრომლების რეკრუტირებაც კი დაიწყეს! მაშინ ვიფიქრე, ნუთუ ასე დაბლა დავეცით-მეთქი? ეს ნამდვილად არ ყოფილა ჩემი მიზანი, ძლიერი ზნეობრივი უკურეაქციაც გამიჩნდა, რადგან, ჩემი აზრით, ლიტერატურა ეროტიკულ

და ნარცისულ პრინციპზე კია აგებული, მაგრამ ის არ არის პროსტიტუცია. მუდამ მეგონა, რომ ის კავშირის დამყარების პრინციპს შეიცავს, მაგრამ არა სიცრუის პრინციპს. თუმცა ეს ძველისძველი თეორიაა და არისტოტელეს ეკუთვნის, რომლის აზრითაც პოეტები ცრუობენ და თავიანთი სიცრუით ახალ, მოჩვენებით სამყაროს ქმნიან. სატელეფონო სექსიც, არსებითად ესაა: ფიქტიური გრძნობები მათთვის, ვინც სიყვარულის ნაკლებობას განიცდის და ამიტომაც რეკავს ფასიან ნომერზე. როგორც აღმოვაჩინე, ამას ლიტერატურასთან მართლაც მჭიდრო კავშირი ჰქონია, მაგრამ სინამდვილეში ეს კონტრაპუნქტია, სრულიად საპირისპირო რამაა. ამ ერთგვარი უცნაური კავშირის აღიარება მაინც მომიწია, თუმცა ეს ძალიან უხალისოდ გავაკეთე. ამის შემდეგ ამ ქალებს სერიოზული თვალითაც კი შევხედე და ისიც შევნიშნე, რომ ზოგიერთ მათგანს ლიტერატურისა მართლაც რაღაც გაეგება. ვუთხარი, იმის წინააღმდეგი ვარ, რასაც აკეთებთ-მეთქი. მიპასუხეს: აბა, დამლაგებლებად ვიმუშავოთო? ვუთხარი: თქვენი ხელობა უკიდურესად საშიში და უზნეოა, რადგან ორმაგ მკრეხელობას სჩადიხართ, ლიტერატურასაც ღალატობთ და სიყვარულსაც-მეთქი.

შეგიძლია, ჩამოაყალიბო, რა განხვავებაა ლიტერატურასა და ხელობას შორის? ერთურთთან რაიმე საერთო თუ აქვთ?

დიდი იმედი მაქვს, რომ საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ გარშემო რომ ვიყურები, ვრწმუნდები, რომ ასე არ არის. ჩემთვის ლიტერატურა სამყაროს წვდომის პრინციპია, აღქმულის დროში გახანგრძლივებისა და სხვისთვის გადაცემის მეთოდი. აღქმა თავისთავად სიყვარულს უკავშირდება – დარწმუნებული ვარ, რომ წვდომა და გრძნობებით აღქმა ეროტიკული პრინციპია! – ვერაფერი

ამაღელვებს, ვერც საგანი, ვერც ადამიანი თუ ბუნების მოვლენა, თუკი მან, სიყვარულის მსგავსად, არ ამიტაცა! ძველებს ამის აღსანიშნავად საკუთარი სურათ-ხატები ჰქონათ: ფრთოსანი ეროსი, ფრთოსანი გენია და სხვა.

ლიტერატურა სხვა სინამდვილეს ქმნის, რომელიც, ზოგჯერ, პირველად სინამდვილეზე უფრო ხელშესახებიც კია...

მსურს, იერარქია დავაზუსტო: სინამდვილე მუდამ ლიტერატურაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება. უკიდურესი, რაც ლიტერატურას ძალუძს, ესაა: სინამდვილის აღქმის მაქსიმალურად მაღალ დონეს მიაღწიოს.

ნატურალისტთა მსგავსად?

არა, იმიტომ, რომ მხოლოდ ბუნების დონე როდია მნიშვნელოვანი, არამედ ადამიანის მიერ მისი აღქმის დონეც. ლაპარაკია ადამიანის მიღმა არსებული ბიოლოგიური თუ მინერალური ბუნების მთლიანი სისტემის ფორმალური გამოვლინებების შეუღლებაზე ჩვენთან, როგორც ცოცხალ, ბუნებრივ არსებებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენეული აღქმის მწვერვალზე – მას შეიძლება წვდომის ორგაზმიც ვუწოდოთ! – ბუნებასთან, სინამდვილესთან კავშირს ვამყარებთ და ვქმნით მესამეს: ხელოვნების ნიმუშს, ლექსს თუ რა ჯანდაბაც არის.

რაც, თუ სწორად მიგიხვდი, ამ წვდომის მისტიკურ გამოცხადებას წარმოადგენს.

გამოცხადებას? არ ვიცი. შემოქმედება უფრო აღქმისა და წვდომის პრინციპის კვალია, რომელიც წვდომის მომენტს დროში აფიქსირებს და კომუნიკაციის უნარს ანიჭებს კითხვის პროცესით. ეს თავითავად ძალიან მარტივი და ძველი ამბავია.

იმის თქმა გინდა, რომ ლიტერატურა გარკვეული მოვლენების დაფიქსირებისა და სხვისთვის გადაცემის, ანუ კომუნიკაციის წყურვილმა წარმოშვა?

რას ვაკეთებთ ახლა მე და შენ? ვსაუბრობთ. ეს ლიტერატურაა თუ არა? არა, ეს წინარე-ლიტერატურული პროცესია. საუბარი მუდამ არსებობდა და საუბრის ფორმები ლიტერატურამაც გაითავისა. ის ამაზეა დამყარებული, აქედან გამომდინარეობს.

ჩემი შეკითხვა ზოგადად ლიტერატურის წარმოშობას ეხება.

მეუხერხულება კიდეც ისეთი მძლავრი ცნებების მოხსენიება, როგორიცაა სიყვარული, წვდომა, სექსი – თუმცა სექსი უკვე კარგა ხნის წინათ შერყვნილი ცნებაა – რა თქმა უნდა, სიკვდილი. ეს არ დაგვჭირდებოდა, სიკვდილი გაცნობიერებული რომ არ გვქონდეს. ცხოველების ბედი იმიტომაა ჩვენთვის შესაშური, რომ სიკვდილი არ აქვთ გაცნობიერებული და თავიანთ ცხოველურ სრულყოფილებას ამ დამატებითი პროდუქტის, შემოქმედების გარეშეც აღწევენ. ჩვენ – ვერა, რადგან საკმარისი ინტენსივობით არ ვცხოვრობთ და საკმარისი დამაჯერებლობით ვერ ვითავისებთ თითოეულ მომენტს. ჩვენს ადამიანურ არსთან თავისუფალ მიმართებას მოკლებულნი ვართ. ჩვენ ნაკლული არსებები ვართ, მეორე მხრივ კი – რჩეულნი, რომლებსაც საკუთარი რჩეულობის გამო, მუდმივი უბედობა აქვთ მისჯილი, ასე ვართ დაპროგრამებულნი, არ ძალგვიძს წვდომის ამ ორგაზმულ ტალღაზე სერფინგი, რაც სწორედ ის იქნებოდა, ჩვენს ადამიანურ არსს რომ შეესაბამება.

ეს გვაიძულებს, მსგავსი წამები ისევ და ისევ გავიმეოროთ.

ჰო. ხშირად გვიჩნდება იმის განცდა, რომ არ ვცხოვრობთ, რომ – მომწონს მემარცხენე დიალექტიკის ეს ცნება – სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის გარდა არსებობს სიკვდილისწინა სიცოცხლეც. არსებულით იმიტომაც ვერ ვკმაყოფილდებით, რომ ჩვენი მოკვდავობის გამო მუდმივ შიშში ვიმყოფებით. ჩვენ რომ სრულყოფილად ვცხოვრობდეთ, ჩვენი არსებობა აღქმით, ვნებითა და წვდომის ნეტარებით რომ იყოს სავსე, მაშინ სიკვდილს სულ არაფრად ჩავაგდებდით! როგორც ეპიკურემ თქვა: სიკვდილის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ვიდრე მე ვარ, სიკვდილი არ არის, ხოლო სიკვდილი როცა იქნება, მე აღარ ვიქნები. ანუ ერთმანეთთან საერთო არაფერი გვაქვსო. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ გამოგვდის, როდესაც მომენტის გაწონასწორება ძალგვიძს და ამ მომენტის ტალღაზე სერფერივით მივსრიალებთ. აქ შეგვიძლია სკეიტბორდიც წარმოვიდგინოთ, ანდა ველოსიპედიც.

წერა და თხრობა იმისთვის გვჭირდება, რომ არ მოვკვდეთ?

ჩემთვის, პირადად, ეს უდიდესი სტიმულია. ამასთან, სიკვდილის მინიმალურად მეშინია... როდესაც ვცოცხლობ, ჰმ.

რა აზრისა ხარ ზაარბრიუკენის ლიტერატურული სკოლის იმ ცნებაზე, რომელიც ჩვენ შევქმენით?

მიხარია, რომ ეს თქვენგან, ლიტერატურული სემინარის წევრებისაგან მოდიოდა... მე თვითონ ამას ვერ გავბედავდი... ეს, ჩემი მხრიდან ამპარტავნება იქნებოდა. რაკი ასეთი ცნება უკვე დამკვიდრდა, ეს კარგად და სახალისოდაც მეჩვენება. ეს ჩემს სიჯიუტესაც უკავშირდება, რომლითაც ვცდილობდი, მწერალთა გაერთიანება შეგვექმნა და შეგვენარჩუნებინა. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენს

რეგულარულ შეკრებებზე მუდამ მართლაც ლიტერატურაზე გვქონდეს საუბარი, რასაც მე, როგორც მონომანიით შეპყრობილი იდიოტი, გამუდმებით ვითხოვ. სხვა თემებზე გადახვევებისაგან თავს თუ შევიკავებთ, მაშინ ცოტათი მაინც დავემსგავსებით ლიტერატურულ კლუბს. ისე კი, ვშიშობ, «სკოლა» ცოტათი ხმამაღალი სახელწოდება ხომ არ არის, მოპარული სამოსივით მეტისმეტად ფართო და გრძელი რომ გვაქვს და ძირს დაგვთრევს...

(...) ჰო, მართლა? ჩაწერა კიდევ მიმდინარეობს? მაშინ, იქნებ ცოტათი უფრო დავსერიოზულდეთ? კიდევ რისი კითხვა გინდოდა?

რატომ მიმართავს ლიტერატურა მითებს? რა ამოცანა დგას მის წინაშე ამ დროს?

ლიტერატურა საკუთარ მითებსაც ქმნის.

ჰო, მაგრამ ზოგჯერ პირიქით, ამსხვრევს კიდეც. ვფიქრობ, ლიტერატურის მოვალეობაა, ყალბი მითები გაანადგუროს, ჭეშმარიტი კი შეგვახსენოს.

ჰო, ცხადია, არსებობს ეპოქები, როდესაც მითები მოყირჭებული აქვთ. იმპერატორ ვილჰელმის მმართველობის ხანა, მთელი ეს გაწელილი ბიურგერული კლასიციზმი, როდესაც ნებისმიერი კომერციული მრჩევლის მეუღლე სიკეთისა თუ გულუხვობის ფრიად ჩაფსკვნილ ალეგორიად წარმოჩინდებოდა, მთელი ის

ხანა, რომლის მანძილზეც მითოსს კიდევ ერთხელ გამოსწველეს სიცოცხლის უკანასკნელი წვეთები და დაასამარეს, – ხელოვნების ავანგარდმა ეს ყველაფერი მართლაც დაამსხვრია. ამგვარი რამეები ჩვენზე დღესაც რომ გამაღიზიანებლად მოქმედებს, ეს იმ ეპოქის ბრალია. ვფიქრობ, მითების ნგრევის გზაზე უკვე ისე შორს წავედით, რომ პრემიები უნდა გავცეთ იმ ადამიანებზე, ვისაც დღეს მითების შესახებ კიდევ რაიმე გაეგება. ეს პოსტმოდერნია. მთავარი მტერი ბიურგერთა კლასი აღარ არის – ის საერთოდ აღარ არსებობს. დღეს აღარავინაა, კულტურული ურთიერთგაგების ფუნქცია რომ იტვირთოს. ჩემთვის მითოსი სამყაროს აღქმის არქაული და, ამავდროულად, მარადიული კულტურაა. ის ცოცხალია და მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, გვახსოვს თუ არა ძველი მითები. ისინი ბევრ თანამედროვე სისტემაში წამოჰყოფს ხოლმე თავს. მაგალითად, კრუასანებს დღემდე მორკალული რქის ფორმით აცხობენ. თავდაპირველად ეს მართლაც რქები იყო – ძროხისა და მთვარის ქალღმერთ დიანასი. და შენ, ცივილიზებულ ადამიანს, რომელიც დროში განუზომლადაა დაშორებული ცხოველთა მსხვერპლშეწირვებს, ამ ყოველივესთან მაინც გაქვს კავშირი კრუასანების წყალობით. კრუასანის მირთმევა მსხვერპლშეწირვის მაგივრობას სწევს. მსხვერპლშეწირვის ნაცვლად შეიქმნა ტრადიცია იმ ცხოველის ფორმის პურის გამოცხობისა, რომელსაც წინათ ღვთაებას სწირავდნენ. ათენში ტრაგედიის დღესასწაულის დროს ქურუმი დიონისეს საკურთხეველზე თხას, «ტრაგოსს» კლავდა. ტრაგედია შეწირულ ცხოველებსა და განტევების ვაცს უკავშირდება. ეს, თავის მხრივ, კიდევ უფრო მძიმე მსხვერპლშეწირვის ნაცვლად ხდებოდა – უფრო ადრე საკურთხეველზე ადამიანების სისხლი იღვრებოდა. სისხლისღვრით ღმერთების წყალობის მოპოვებასა და

რელიგიური ექსტაზის მიღწევას ცდილობდნენ. ეს ჩვენი ინსტინქტებისა და წარმოდგენების სამყაროა. ჩანაცვლება ყვავილების შეწირვითაც ხდება. ეს დღემდე გრძელდება, როდესაც ყვავილებს ვჩუქნით, ან საფლავზე ვაწყობთ. რისი სიმბოლოა ყვავილი? გარდაცვლილი, სამუდამოდ წასული ადამიანის. სხვა შემთხვევაში, ყვავილის მეშვეობით სასიყვარულო კავშირს ვამყარებ. მაგალითად, ღვთისმშობლის თეთრი შროშანი, უმწიკვლოების სიმბოლო, რომელსაც, ამავდროულად, უმშვენიერესი სასქესო ორგანები გადაუშლია და სამყაროს უჩვენებს. კარლ ლინეს[10] წყალობით ვიცით, რომ ყვავილებსაც აქვთ სქესი. ქალწული მარიამი, ცხადია, არტემიდას, ანუ დიანას მემკვიდრეა და იმ უმანკო ქალწულებისა, ტყეში გაჭრილნი, მამაკაცებს რომ არ იკარებდნენ. და კიდევ: ცალრქიანი ცხენი, უმანკოების სიმბოლო. სად უდევს თავი? – ქალწულის კალთაში, და ის რქაზე ეფერება. მთელი ეს სიმბოლოები არჩვეულებრივად დროგამძლე და ძლიერია, ისინი გვატყობინებენ, თუ რატომ გვიყვარს ესა თუ ის საგანი ან მოვლენა ისე, რომ ამის მიზეზს თვითონაც ვერ ვხვდებით. ცალრქიანი ცხენი საერთოდ სულაც თხაა! ცხენი კი ჰქვია, მაგრამ შუა საუკუნეების გობელენებზე კარგად რომ დავუკვირდეთ, ვნახავთ, რომ მათზე თხებია გამოსახული, გაორკაპებული ჩლიქებითა და თხის წვერით. რა სუბლიმაციასთან გვაქვს საქმე, როცა ამ არსებებს შუბლის შუაგულიდან ერთადერთი რქა აქვთ ამოშვერილი? ეს რა ფალოსური იდეების კომბინაციაა? არ მჯერა იმ ადამიანებისა, ვინც ამბობს: ამ ყველაფერთან საერთო აღარაფერი გვაქვსო. ჯერ ერთი, ტრივიალურ, ყოფით დონეზე გვიწევს ამასთან შეჯახება, როდესაც რომელიმე მტვერსასრუტს, ანდა ელექტროჩაიდანს «პრომეთე» ჰქვია. ჩემი რწმენით, მითოსური სიმბოლოები იმ ადამიანებზეც მოქმედებს, ვინც მათ შესახებ არაფერი იცის.

აქ ჩანაცვლების, სუბლიმაციის ფსიქოლოგიურ ფენომენთან გვაქვს საქმე?

მითიზაცია ერთგვარი ჩანაცვლებაა. მაგალითად: აპოლონი დელფოს ქალურ სალოცავსა და ორაკულს დაეპატრონა. ამისთვის მან ამ ადგილის მფარველი გველი მოკლა. მატრიარქატი პატრიარქატმა შეცვალა. რაც იმას ნიშნავს, რომ მშვენიერი ქალები გველებად და გველეშაპებად წარმოგვიდგენია, რომლებიც ძალადობით, მკვლელობით, სისხლით უნდა დავიპყროთ. ძალადობის ადგილას კი ახალი სიწმინდე დავაფუძნოთ. რათა ეს ძალადობა მთლად თვალშისაცემი არ აღმოჩნდეს, სალოცავში ქალები დავუშვათ, ოღონდ – მხოლოდ ორაკულის ნისლში გაბრუებულ, თავდავიწყებით მქადაგებელ არსებათა, პითიათა სახით. ქალთა მსხვერპლშეწირვა დღესაცაა გავრცელებული, თუნდაც პოეტების გარშემო: რამდენი ქალია, მამაკაცს მდივნად ან უბრალო მხევლად ფეხქვეშ რომ ეგება.

როგორც ჩანს, ქალები პოეტობას უფრო ხშირად თანმხლების, მრჩევლის, თანაშემწის ფუნქციას ამჯობინებენ, სხვის შემოქმედებას უწყობენ ხელს.

ანდა თვითონ სულ სხვაგვარ შემოქმედებას, ბავშვების გაჩენა-გაზრდას ეწევიან. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ქალი სწორედ ის დასრულებული ადამიანია, რომელსაც სრულყოფილი არსებობისათვის შემოქმედება არ სჭირდება. ჩვენ კი, მამაკაცები, ამ სრულყოფილებისაგან ჯერაც შორს ვართ. ფირზე კიდევ დარჩა ადგილი?

ჰო. ამ ყველაფრის გაშიფრვას ბევრი დრო და შრომა დასჭირდება.

კაცმა რომ თქვას, ეს დეგრადაციაა. დამწერლობამდე დაცემა. რას წარმოადგენს შთაგონების წამი? ეს წმინდა წამია, საკულტო აქტი, როდესაც ჭეშმარიტებას მოიხელთებ, ეს სასიყვარულო აქტია! სოკრატე აზრთა ჩაწერის წინააღმდეგი იყო. იქნებ წერა-კითხვა არც კი იცოდა.

ჩვენ რომ არ ვწეროთ და არ ვიკითხოთ, ეს ყველაფერი დაიკარგება.

ეს უძველესი კამათის თემაა. სოკრატე ეგვიპტურ ღვთაება ტოტს ახსენებს, რომელმაც დამწერლობა გამოიგონა. მისი თანამოსაუბრე ამბობს, მეხსიერება მას შემდეგ გაჩნდაო. სოკრატე კი პასუხობს: ჰო, ეს კარგად ჟღერს, მაგრამ, შესაძლოა, მეხსიერება სწორედ მას შემდეგ დაიკარგა. დღეს ყველაფერს ვიწერთ და არქივებში ვინახავთ. სადღაა მეხსიერება? არქივში? მეხსიერება თავში უნდა გქონდეს. მითების გადმოცემა სწორედ ასეთი კოლექტიური მეხსიერება იყო, მითებს საგანგებო მთხრობელები ჰყავდა, ტრაგედიების ავტორები, ქურუმები, რომელთა სიტყვებსაც ხალხი იმეორებდა. ამ ყველაფერს ძალიან, ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, დამიჯერე.

მითოსი ისევე რომ გვქონდეს გათავისებული, როგორც ძველ ხალხებს, მაშინ ლიტერატურა მნიშვნელობას დაკარგავდა, აღარ იარსებებდა.

მითოსი დღეს ჩვენთვის მხოლოდ საუბრის თემად რჩება, ჩვენ მას თაყვანს არ ვცემთ, მის რიტუალებს არ ვასრულებთ, ამას მხოლოდ კათოლიკური ეკლესია სჩადის პურისა და ღვინის სიმბოლიკით, ისევ და ისევ მხვერპლშეწირვას რომ უკავშირდება.

ესეები

გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

იარა გადაეხსნა იას მცენარეები და მათი მითები

[11]

(1990 წლის 6 ივნისს ზაარბრიუკენში ფედერალური მიწების დელეგატთა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება)
Devolsit ilei acuto sibi pondera silice.
CATULL 63, 5[12]

ორიოდე კვირის წინ დამირეკეს და მთხოვეს, ფედერალური მიწების დელეგატთა კონფერენციაზე სიტყვით გამოვსულიყავი, თანაც ამგვარი სურვილიც გამომითქვეს: ჩემი კომენტარი გამეკეთებინა რობერტ გერნჰარდტის[13] გამონათქვამზე: «მარაბუს ყველა ბარტყი მახინჯი გამოდგა, გარდა მეოთხისა». მაგრამ მე არა მგონია, მაინცდამაინც მომგებიანი იყოს სხვის წარმატებულ პოლიტიკურ ხუმრობასთან დაკავშირებით კიდევ რაიმე ენამოწრებულის თქმა, თანაც, პირადად მე წინააღმდეგი ვარ დისნეის სტილში შესრულებული კარიკატურებისა, რომლებიც ბუნებას და, მაშასადამე, მარაბუსაც, გროტესკულად წარმოგვიჩენს, მე, ასე ვთქვათ, მარაბუს მხარეზე ვარ და არა იმ ადამიანების მხარეზე, ვინც მარაბუსთან დაკავშირებული ხუმრობებით იწონებს თავს. ცალკე საკითხია, თუ რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით გენშერი, კოლი და ის მესამე მახინჯი ბარტყი – დანამდვილებით არ ვიცი, რომელი იყო ნაგულისხმევი. მე ისევე ვარ წინააღმდეგი მარაბუს მასხრად აგდებისა, როგორც, თუნდაც, მაქცია ჩიტის მასხრად აგდებისა. კარგად მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ მაქცია ჩიტი წითელ წიგნში იყო შეტანილი, რადგან გადაშენების პირას მისულ ცხოველებს განეკუთვნებოდა.

და მას ნამდვილად არ დაუმსახურებია ეგონ კრენცთან ან რომელიმე სხვა პოლიტიკოსთან შედარება. მაქცია ჩიტს ანტიკურ ხანაში სასიყვარულო ბანგის დამზადებისას იყენებდნენ. რატომ? ეს რთული კითხვაა. ამ ფრინველს ძალზე მოძრავი კისერი აქვს, მას ბორბალზე აკრავდნენ, ხახუნის ძალით წვავდნენ, მის ფერფლს კი სასიყვარულო ბანგში ურევდნენ. სწამდათ, ვინც ამ ბანგს დალევდა, სასურველი პიროვნების მოზიდვას შეძლებდა. უცნაური, გაუგებარი წარმოდგენაა. როგორც ჩანს, «ჩიტი» (გერმ. «Vogel») რაღაც მეტაფიზიკური თვალსაზრისით უკავშირდება სიტყვას «vцgeln[14]«, ხოლო მოქნილობა და ხახუნის შედეგად გაჩენილი სიმხურვალე ამავე ასოციაციურ რიგს მიეკუთვნება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამაზეც შეიძლებოდა ხუმრობა, რაც კიდევაც გაუკეთებია ბევრ ჭკვიან და სიმპათიურ ადამიანს, მაგალითად, ლიჰტენბერგს[15], დიდ აფორისტიკოსს, რომელიც ჩემს მასწავლებლად მიმაჩნია. მას ერთი გამონათქვამი აქვს ღამურას შესახებ. რამდენადაც მახსოვს, ის ასე ჟღერს: «ღამურა შეიძლება ისეთ თაგვად მივიჩნიოთ, ოვიდიუსის გაგებით რომ გარდაისახა; რომელიმე ავხორცი თაგვის ძალადობისაგან თავის დასაღწევად ღმერთებს ფრთები შესთხოვა და ეს თხოვნა აუსრულდა კიდეც». აი, ასეთი ხუმრობები ბევრად უფრო მომწონს, მაგრამ მათ მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც მსმენელებისათვის ცნობილია, თუ რას ნიშნავს «ოვიდიუსის გაგებით». იგულისხმება ის გარდასახვები, რომლებიც ოვიდიუსს «მეტამორფოზებში» აქვს აღწერილი. მათი ყველაზე ცნობილი ნიმუში გახლავთ დაფნა, ხის ნიმფა ანუ დრიადა; მისივე სახელი დაერქვა დაფნის ხეს. ვნებით ატანილი აპოლონი დაფნას გამოეკიდა. თუკი ლიჰტენბერგის მეტაფორასთან დავრჩებით, აპოლონი

სწორედ ის ავხორცი თაგვი გახლდათ. დაფნამ ღმერთებს სთხოვა, ხედ გადაექციათ და ის დაფნის ხედ იქცა, რომელიც მას მერე აპოლონის წმინდა ხედ ითვლება, ხოლო პოეტები მისი ფოთლების გვირგვინებით შუბლებს იმკობენ. ეს ამბავი უკავშირდება აპოლონის მიერ დელფოში დიადი დედის სალოცავის დაპატრონებას. უხსოვარ დროში ამ სალოცავს ქურუმი ქალები იცავდნენ. იმ ადგილას გაპობილი კლდიდან წყარო გადმოდიოდა, რომელიც გამოცემაში კასტალიის წყაროს სახელითაა ცნობილი.

ოვიდიუსის გაგებით მეორე ცნობილი გარდასახვა ასევე ხის ნიმფას, სირინგას უკავშირდება. პანს მისი ქალწულებრივი უმანკოების ხელყოფა მონდომებია. სირინგა ღმერთებსა და სხვა ნიმფებს შევედრებია, მიწიერ სამყაროს განმაშორეთ და გასულიერებული ბუნების ნაწილად მაქციეთო, და ის ერთ-ერთი მცენარის, ლერწმის მუზად იქცა. პანი სასოწარკვეთილი დაეწაფა ლერწამს, სხვადასხვა ზომის სალამურებად დაამტვრია და მისგან პანის ფლეიტა დაამზადა, რომელსაც ყოველი ჩვენგანი იცნობს.

სინამდვილეში რა უდევს საფუძვლად ამ მითებს?

სავარაუდოდ, ძალადობა და დანაშაული, გაუპატიურება და მკვლელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში დაფნა ხედ არ ქცეულა. ეს ძნელი წარმოსადგენიცაა. ის გააუპატიურეს და იქვე, იმავე ადგილას მოკლეს. რა ადგილას? იქ, სადაც ის აღარ არის. ამ ადგილას დაფნის ხე ამოვიდა. ამ ხეს რომ ვუცქერთ, გვაგონდება ის გარდაცვლილი, რომელიც აქ აღარ არის. ამგვარად, მცენარეთა მეშვეობით, ვამყარებთ კავშირს გარდაცვლილებთან. ასევე, ფლეიტის ჰანგების სმენისას,

ვამყარებთ კავშირს სირინგასთან, გაუპატიურებულ და მოკლულ ნიმფასთან, რომელიც აღარ არის იქ, სადაც იყო. რა არის იქ მის ნაცვლად? ლერწამი. ცარიელი ადგილი. გაუკაცურებული, ღმერთებისაგან დაცლილი, შერყვნილი ადგილი. წასულებთან, გარდაცვლილებთან მცენარეთა შუამავლობით დამყარებული კავშირი – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, სასაფლაოებზე. საფრანგეთში და სხვაგანაც, საფლავებზე ხშირად რგავენ იას. ეს ყვავილი საფლავის მორთულობაშიც ხშირად გვხვდება ორნამენტის სახით, სადაც ის უჭკნობია. იას მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდები.

მანამდე კი ერთ სხვა ყვავილზე გესაუბრებით, რომელსაც წინათ, როგორც კი ის ყვავილობას იწყებდა, მაშინვე კაფავდნენ. ეს გახლავთ ჰერაკლეს ყვავილი, დიყი *(Heracléum mantegazziánum),* რომელსაც გერმანულად სიტყვასიტყვით «დათვის ტორს» (Вдrenklau), ზოგჯერ «დათვის დიდ ტორსაც» (der GroЯe Вдrenklau) უწოდებენ. მას მეორე სახელიც აქვს: ანგელოზა (Archangelika). როდესაც მეტლაჰიდან ზაარბრიუკენისაკენ მივემგზავრები, ვხედავ, რა უხვად იზრდება ის მდინარე ზაარის ნაპირებზე. ეს მთავარანგელოზის მცენარეა. მისი წვენი სუსხავს და კანზე დამწვრობას ტოვებს. თუ დასუსხულ ადგილს მზის სხივები მოხვდა, შეიძლება მეორე ხარისხის დამწვრობაც მივიღოთ. რამდენიმე წლის წინათ მიუნხენში ხელისუფლებამ კავკასიიდან შემოჭრილ ამ უცნაურ დამპყრობელზე გაამახვილა მოსახლეობის ყურადღება. გადაწყვიტეს, ცელებითა და ნამგლებით შებრძოლებოდნენ ამ მტერს, რომელმაც ჩვენთან თურქეთიდან თუ მისი ახლომახლო მიდამოებიდან შემოაღწია, რადგან ის გარეთ მოთამაშე ბავშვებს საფრთხეს უქმნიდა.

მაგრამ ხომ არსებობს სხვა უამრავი შხამი, რომელსაც ვიცნობთ და არ ვეკარებით. მცენარის გაკაფვის ნაცვლად მისი არსი გულდასმით უნდა შევისწავლოთ. რატომ ჰქვია ამ მცენარეს ჰერაკლეს ყვავილი? ამას ვერავინ გეტყვით. ვერავინ, ჩემ გარდა. ამგვარი ცოდნა მცენარეთა და სხვა საგანთა სახელწოდებებშია შემონახული, მაგრამ სხვა მხრივ თითქმის დაკარგულია. პირველი ასოციაცია მცენარის სქელ და მაღალ ღეროსთან იქმნება. ეს მცენარე ჰერაკლესავით მძლავრი და ახმახია. მისი ფოთლები ვეება, დაბერილი კვირტიდან იშლება. ეს კვირტი, ალბათ, ჰერაკლეს სახელგანთქმულ კომბალთან ასოცირდება. მაგრამ რაც ახლა გითხარით, ამას მცენარის ყურადღებით დათვალიერების შემდეგ ყველა მიხვდება და მე ძალიან გირჩევთ, ყველა მცენარეს ასევე გულდასმით დააკვირდეთ.

უფრო რთულია იმის დადგენა, რომ იმ მცენარის შხამთან ძველი დროის ადამიანებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. ჰერაკლეს თავის შეყვარებულ დეიანირასთან ერთად მდინარის გადალახვა სურდა. ქალი მდინარეზე კენტავრმა გადაიყვანა. ის ამ მდინარის ერთგვარი ღვთაება იყო. ჰერაკლემ თავისი სატრფო კენტავრ ნესოსს დაანება, მაგრამ შუა მდინარეში კენტავრმა დეიანირას უხამსად დაუწყო ხელის ფათური. ჰერაკლემ ეს შენიშნა და, გაღმა ნაპირზე გადასულმა, კენტავრი მშვილდ-ისრით მოკლა. მომაკვდავმა ნესუსმა

ქალს უთხრა: «ჰერაკლეს ისრისაგან ვკვდები, მაგრამ ჩემს სისხლს უძლიერესი სასიყვარულო ძალა აქვს. თუკი მასში ქსოვილს ჩააწობ, ამ ქსოვილისაგან შეკერილი სამოსით ნებისმიერ კაცს სამუდამო სიყვარულით მიიჯაჭვავ».

განვლო წლებმა და წყვილის სიყვარულს ბზარი გაუჩნდა. ქალს ჰერაკლეს თავისთან მოზიდვა დასჭირდა, რადგან მან სხვა გაიჩინა. კენტავრის სისხლით გაჟღენთილი ქსოვილი მოაგონდა, სიყვარულის ჯადოს ძალით დაიმედებულმა ჰერაკლეს მისგან სამოსი შეუკერა. როგორც კი ჰერაკლემ ის ჩაიცვა, იმწამსვე აუტანელი წვა იგრძნო. იმდენად ძლიერ იტანჯებოდა, რომ ითხოვა, კოცონზე დაეწვათ. ასე დაასრულა სიცოცხლე გმირმა ჰერაკლემ. აი, რა კავშირია მასა და ამ მცენარის მწველ შხამს შორის.

ჰერაკლეს ყვავილის ძირში

(სამღერი)

მსუსხავი პერანგი, მწველი სუდარა.
სისხლი კენტავრის.
ალში გახვეულ ჰერაკლეს მუდარა.
დეიანირამ თავი ყულფში გაუყარა.

თქვენ პატივი გერგოთ, ეს აღმოჩენა ყველაზე ადრე მოგესმინათ, რადგან ის პირადად მე მეკუთვნის. მართალია, ამგვარი მოსაზრებების შემთხვევაში მუდამ არსებობს იმის რისკი, რომ ვცდებით, მაგრამ ის მაინც ღირდა, რომ ამაზე ვიფიქრეთ. ხოლო მითები სხვა არაფერია, თუ არა ისეთი საიდუმლოებები, რასაც ადამიანი ფიქრით ჩასწვდა.

CONSOLIDA AJACIS L.

დეზურა, აი!
სისხლიდან ამოსული,
გმირის სიხლიდან,
აიაქსის სისხლიდან!
ჰიაცინტეს სისხლიდან,
დეზურა, AI!

მცენარეებთან დაკავშირებული მითებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია ჰიაცინტეს მითი. აქ კვლავაც აპოლონი ფიგურირებს, ის ჭაბუკ ჰიაცინტეს დისკოს სროლაში ეჯიბრება და თანაც მასზეა შეყვარებული. აპოლონმა თავის სატრფოს უჩვენა, როგორ უნდა დისკოს სროლა. მშვენიერ ჭაბუკს მხოლოდ აპოლონი კი არა, დასავლეთის ქარი, ზეფირიც ეტრფოდა. მან დისკო ისეთნაირად შეატრიალა, რომ მისი წაწვეტებული ნაპირი ჰიაცინტს საფეთქელში მოხვდა. ჭაბუკი დაიღუპა, ძირს დაღვრილი მისი სისხლიდან კი ყვავილი ჰიაცინტი, ანუ სუმბული აღმოცენდა. ამას ვკითხულობთ ოვიდიუსთან. ოვიდიუსი იმასაც დასძენს, რომ ყვავილმა, სისხლის გარდა, მომაკვდავი ჭაბუკის კვნესაც შეისრუტა და ეს ბგერები მის ფურცლებზე ასოებითაა გამოსახული. ბერძნულ ენაზე ტკივილით გამოწვეული შეძახილი ასე ჟღერს: «AI».

მსგავს მითს ჰყვებიან აიაქსის შესახებაც. აიაქსი ტროას ომის სახელოვანი გმირია. აქილევსის დაღუპვის შემდეგ მისი აბჯარი ყველაზე ღირსეულ მებრძოლს უნდა რგებოდა. ოდისევსმა აბჯარი მიისაკუთრა, თუმცა ის უფრო აიაქსს ეკუთვნოდა. აიაქსი იმის გამო გაწბილდა, რომ მისი ვაჟკაცობა აქილევსის დანატოვრით ჯეროვნად არ იქნა დაჯილდოებული, საკუთარი ხმლის პირს წამოეგო და ისევ ის სასიკვდილო გმინვა ამოუშვა: «AI, AI». ეს მისივე

სახელის შემოკლება გახლავთ, რადგან მას ბერძნულად აიასი ჰქვია, აიაქსი კი – რომაული ვარიანტია.

დღეს ამ გმირების სახელები ფირმების თუ სარეცხი საშუალებების სახელწოდებებად იქცა, რაც მართლაც გულისმომთუთქავია. ის, რომ სარეცხ საშუალებას «აიაქსი» ჰქვია, აქაოდა, ის გმირ აიაქსივით ძლიერია, ეს თითქმის ისევე გულისმომთუთქავია, როგორც მარაბუს ამბავი. მაგრამ საინტერესო ისაა, საიდან მოიტანა ოვიდიუსმა, რომ შეძახილი «AI» ყვავილის ფურცლებზეა დაწერილი? ცხადია, სუმბულის ფურცლებზე არაფერი წერია. თუმცა ერთმა გონიერმა ბოტანიკოსმა, ჰელმუტ ბაუმანმა, რომელიც ძველ დროში მცენარეებთან დაკავშირებულ წარმოდგენებს შეისწავლიდა, ეს ასოები მართლაც ამოიკითხა, ოღონდაც – სულ სხვა ყვავილის ფურცლებზე. უნდა ითქვას, რომ ძველბერძნული მცენარეების სახელწოდებები ჩვენამდე ხშირად არაზუსტად აღწევს; იმდროინდელ ტექსტებში ხშირია ორი სრულიად სხვადასხვა მცენარის ერთურთთან გაიგივება. ბაუმანმა დაადგინა, რომ ოვიდიუსი დეზურას გულისხმობს, (ლათინურად Consolida ajacis), რომლის შუა ფურცელზე გამოსახულია ასოები: IAI. შეგვიძლია, მარცხნიდან მარჯვნივ, ან – პირიქით წავიკითხოთ, მაგრამ უმჯობესია: შუაგულიდან ორივე მხარეს, და მაშინ ორმაგი შეძახილი გამოვა: «AI, AI».

ატისი

სხეულს მოსწყდა
ასო ატისის.
მენადები მოჰყვნენ წიოკს.
იარა გადაეხსნა იას.

ჩემი მოხსენების სახელწოდება რომ წაიკითხეთ, უთუოდ გაიფიქრებდით, ეს სულმთლად შეიშალაო. მაგრამ ასე არ არის. ია დღეს უკვე ვახსენე. იას ერთი ძველბერძენი ღვთაება უკავშირდება, ესაა ატისი, ფრიგიული წარმოშობის ღმერთი. ორი სიტყვით გიამბობთ ამ ღვთაებისა და ტრიერში, მოზელის ხიდის ქვეშ აღმოჩინილი მისი ქანდაკების შესახებ.

მას მერე, რაც კონსტანტინე დიდის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, წარმართული ღმერთების გამოსახულებებს ანადგურებდნენ, მდინარეებში აგდებდნენ ან ამსხვრევდნენ. დღევანდელ ფემინისტებს ალბათ დააინტერესებთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ტრიერში აფროდიტეს ერთი ძველბერძნული ქანდაკების თეთრი მარმარილოსაგან ნაკვეთი რომაული ასლი, ანუ ვენერა, წმინდა მათეს სალოცავისაკენ მიმავალმა მომლოცველებმა ქვებით ისე დალეწეს, რომ მისი ამოცნობა შეუძლებელი გახდა. თეთრი ქალღმერთი, როგორც თავისი არსით, ისე ქვის ფერითაც, ქვებით ჩაქოლეს და მისგან დღეს მხოლოდ გირჩის ფორმის კუნძიღა დარჩა, რომლის ნახვაც ტრიერის მუზეუმში შეგვიძლია. ეს საგანგებო მომენტია ქრისტიანულ ტრადიციაში. თუ სწორად მახსოვს, ოდესღაც ითქვა: ვინც უცოდველია, მან ესროლოს პირველი ქვა». როგორც ჩანს, ამ ადამიანებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მოუწიათ ქვების სროლა.

იმავე მუზეუმში ატისის ბრინჯაოს ქანდაკებაც დგას. ის ომის შემდგომ, თუ არ ვცდები, სამოციან წლებში მოზელში ჩატარებული მასშტაბური გათხრების დროს აღმოაჩინეს. ეს ატისი იმითაა თვალშისაცემი, რომ თავზე ფრიგიული ჩაჩი ახურავს და ერთგვარი ტრიკო აცვია: პერანგისა და ქვედა საცვლის ფრიად მოუხერხებელი სინთეზი. წინათ

ბავშვებს მსგავსი სამოსის ტარებს აიძულებდნენ, ახლა ის, მადლობა ღმერთს, მოდიდან გამოვიდა. მას მკერდიდან საზარდულამდე ღილებით იკვრება.

რას სჩადის ატისი? ის თავის ტრიკოს იხსნის და ყველას წინაშე სასქესო ასოს ამზეურებს. თავზე, როგორც გითხარით, ფრიგიული ჩაჩი ახურავს. ფრიგიული ჩაჩი კი საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელთა თავსაბურავი გახლდათ; გათავისუფლებულ მონათა ეს თავსაბურავი მითრას კულტიდან მოდის. მითრას თაყვანისმცემლებთან კი ეს ქუდი, როგორც ჩანს, ნაყოფიერების რიტუალის დროს დაკოდილი ხარის სათესლე პარკისაგან კეთდებოდა. პარკი თესლისაგან დაცლილი რომ იყო, ამიტომაცაა ქუდის წვერი წინ გადმოკეცილი. დიახ, ასეა.

რა საერთო აქვს ატისს იასთან? ატისი ფრიგიელთა დიადი დედა-ქალღმერთის, კიბელეს, ანუ დემეტრას ქურუმი იყო. უფრო სწორად, სურდა მისი ქურუმი გამხდარიყო, მაგრამ ამ ღვთაების ქურუმები მხოლოდ ქალები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. ამიტომაც, თავდავიწყების მდგომარეობაში ატისმა კაჟის დანით თავი დაისაჭურისა და ქალად იქცა. მისი მოკვეთილი ასოსაგან გადმოღვრილი სისხლიდან ია ამოიზარდა. იას, ვიოლას, თუ გახსოვთ, სწორედ ასეთი წაწვეტებული ჩაჩი ახურავს. ის უკან დეზისებრი წვეტით მთავრდება. ტრიერელი ატისის ქუდს თუ დავაკვირდებით,

შევნიშნავთ, რომ მას სამი ნაკეცი აქვს. ატისს, როგორც ინგლისური საყმაწვილო მითოლოგიის პერსონაჟებს, ყვავილის ქუდი აქვს ჩამოცმული. ამ არქაულ ამბავთან დაკავშირებით შეიძლება დასაჭურისების თანამედროვე ნიმუშებიც გავიხსენოთ. ყველამ ვიცით, რომ ჩვენმა ძველმა მეგობარმა ვალტერ შიფელსმა[16] სქესი შეიცვალა, ქალად გარდაიქმნა და ამჟამად ვალტრაუდი ჰქვია.

იას ვიოლა ეწოდება. Violare დაჭრას, დაკოდვას, შერყვნას ნიშნავს. უკვე მოგახსენეთ, რომ ია ხშირად იხმარება სამარის კულტში, უჭკნობი, სტილიზებური, ოდნავ კიტჩური ორნამენტის სახითაც, რასაც ხშირად ვხედავთ საფრანგეთის სასაფლაოებზე. სუვენირი, ანუ მოგონება. ფრანგულად კი ამგვარ სუვენირულ იას – თუკი მეშლება, გთხოვთ, შემისწოროთ, – pensйe ეწოდება. წარმოგიდგენიათ? ფიქრი, მოგონება. ვირისტერფა, იის ნაირსახეობა.

ვირისტერფა იის ახლო ნათესავია. სხვათა შორის, ვიოლინოც უკავშირდება იას, რადგანაც თეძოები იის ფორმის მსგავსად აქვს გამოყვანილი.

მსურს დავასრულო პოლ ვალერის ეპიტაფიით, რომელსაც სეტში, მარენის სასაფლაოზე ვკითხულობთ: ეს ორი პწკარია მისი ვრცელი ლექსიდან, რომლის წაკითხვასაც გირჩევთ და რომელსაც იგივე სათაური აქვს: «Cimetière Marin» – «ზღვის სასაფლაო». ეს ორი პწკარი მისი საფლავის ქვაზეა წაწერილი. სამწუხაროდ, ფრანგულად ცუდად ვკითხულობ, მაგრამ ამას მაინც შევეცდები, შემდგომ კი რილკეს თარგმანსაც წაგიკითხავთ:

“*Ô récompense après une pensée*
Qu’un long regard sur le calme des Dieux!”

“O, die Belohnung nach dem langen Denken,
ein langes Hinschaun auf der Götter Ruhn!“

«ო, დაჯილდოება ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ,
ხანგრძლივი ჭვრეტა ღმერთთა უდრტვინველობის!»

გმადლობთ.

„სარეცხის ბარათის“ მონახაზი გამომცემლობა „ვუნდერჰორნისათვის“

[17]

*(დაიბეჭდა ლირიკულ კრებულში: «იამბ(ებ)ი და პეპ(ე)ლ(ა)ები, ანუ ამური & ფსიქე. პეპელათმცოდნეობა». ჰაიდელბერგი, გამომც. «ვუნდერჰორნი», 1993)**[18]***

იცით, რა არის «სარეცხის ბარათი»? აი, ეს «სარეცხის ბარათია». ამ ბარათით შეგიძლიათ სათვალე გაიწმინდოთ ან უბრალოდ თვალებზე აიფაროთ...

გიყვართ რორშახის ტესტების ნაღვენთ ლაქებში პეპლების ამოცნობა? ეს ზოგჯერ მაინც თუ გამოგდით? თუ არასოდეს გამოგსვლიათ? თუ ასეა, მაშინ რას ხედავთ ხოლმე?

თუ შეგინიშნავთ, რომ ძეგლად გამოქანდაკებულ დიად ადამიანებს ძალიან ხშირად ხელში წიგნი უჭირავთ? ისინი მას არ კითხულობენ, არც რაიმე დაუწერიათ, მაგრამ დაბლა დაშვებული ხელის თითი წიგნის სტრიქონებს შორის უდევთ და შორს რაღაცას გაჰყურებენ. გეორგ გროდეკის[19] თქმით, წერა და კითხვა არაცნობიერ განზომილებაში ქალურ საწყისთან მიმართებას ნიშნავს.

ის თუ იცით, რომ ამურს ხშირად ბეღურის ფრთებით გამოსახავენ, ფსიქეს კი, მის სატრფოს, პეპლის ფრთებით? ბერძნულად «ფსიქე» სულსაც ნიშნავს და პეპელასაც. ფსიქიდები (ტომრიანები) მცირე ზომის პეპლების ერთ ოჯახს ეწოდება, ერთ-ერთ სახეობას კი ჰქვია Psyche unicolor, ის შავი და რუხი ფერისაა და მისი მუხლუხო კაპარჭისებრ პარკს იკეთებს. ეს სულის ფარვანაა. ანტიკურ ხანაში გარდაცვლილთა სულები ფარვანებად წარმოედგინათ,

ღამით გარეთ გადგმულ ნაღებმომდგარ რძიან ჯამს რომ ეხვევიან. აქედან მოდის სახელწოდებები: butterfly, Schmanterling, Schmetterling[20].

ოდესაც დემეტრა ჰადესის მიერ მოტაცებულ თავის ქალიშვილ პერსეფონეს გამო დარდობდა, ელევსინში მას მოახლე ქალის უხამსმა ჟესტმა გაახალისა. ამ მოახლეს იამბი ერქვა. მან ფეხები გაშალა (ფრანგულად ფეხები – ჯამბეს) და საშო გამოაჩინა.

დიდ იამბოგრაფოსთა – არქილოქეს, სიმონიდესა და ჰიპონაქსეს – იამბური პოეზია დემეტრასა და დიონისეს კულტიდან და ელევსინური მისტერიებისადმი მისადაგებული სახუმარო კუპლეტებიდან იღებს სათავეს. არქილოქემ ქალის საშოს «ბულბულის ბარტყი» უწოდა. Melos – სიმღერასაც ნიშნავს და სასქესო ასოსაც. ბოკაჩო ბულბულს ფრთაშესხმულ სასქესო ასოს უწოდებს.

აფროდიტეს სიცილი და სხეულის სასირცხვო ადგილები უყვარს, – წერს ჰესიოდე თეოგონიაში, – რადგან ის დასაჭურისებული ზეცის (ურანოსის) მოჭრილი და ზღვაში გადაგდებული ასოს ქაფისაგან იშვაო. ვენერას უცვლელი ატრიბუტი სარკეა. მეორე იმპერიის ხანის დიდ ფრანგულ ტუალეტის მაგიდას ახლაც «ფსიქეს» უწოდებენ. ეს სახელწოდება გერმანიის გავლით ავსტრიაშიც დამკვიდრდა და დუნაისპირა მონარქიის მთელი პერიოდის მანძილზე შენარჩუნდა. ქალბატონი თავის მოახლეს ეკითხებოდა: ფსიქე გააპრიალე?

პარიზში ოტელ-დე-კლუნის ერთ-ერთ სახელგანთქმულ გობელენზე ბანოვანი ცალრქა ცხენს თავის ვენერას სარკეს უჩვენებს. ცხოველი მასში მხოლოდ საკუთარ ცხვირ-პირს ხედავს, მისი რქა სადღაც სარკის სიღრმეში იკარგება.

ვარმბრონელმა პოეტმა და ფერმერმა ქრისტიან ვაგნერმა 1912 წელს ჰერმან ჰესეს გაუგზავნა თავისი ლექსი «ზემო პარკის ტბა შტუტგარტში», რომელიც შემდეგი პწკარებით იწყება: «Ein Trдumender komm ich des Wegs gegangen,/ Phalдne sich in meinem Haar verfangen» («ოცნებაში წასული, გზას მივუყვები,/ თმაში ფარვანები გამეხლართა»). ჰესემ ვაგნერის რჩეული ლექსების გამოცემის მომზადებისას ეს ლექსი სიტყვა «Phalдne»-ს გამო დაიწუნა. «Phalдne» ბერძნულად ღამის პეპელას, ფარვანას ნიშნავს. ამავე დროს, ის ფალოსურ მინიშნებასაც შეიცავს. ფრთაშესხმული ფალოსი ანტიკურ კულტებში გავრცელებული სახეა.

თვალის გუგა (გერმ. «Pupille») ბერძნულად არის «Kore» – «ქალწული». სატრფოს თვალში მისი მოწაფე (ინგლისურად pupil) საკუთარ თავს თოჯინის ან ჭუპრის (გერმ. ორივე »Puppe»-ა) სახით არეკლილს ხედავს. ხორციელი ვნების მიღმა სიტყვები, ფიქრები და სურათ-ხატებიც ერთურთს ეწყვილებიან.

ჩემი ვაჟის, იაკობის მეგობარმა კლემენსმა გამაოცა, როდესაც ჩემი საყვარელი ფოკუსი ვუჩვენე: ყავის ფინჯანში სინათლის ანარეკლებით გამოსახული «დუნდულები». მან მითხრა, ეს ორმაგი რკალი «ჭუჭუს» მაგონებსო. მას ამ კაუსტიკურ სურათში არც უკანალი დაუნახავს, არც ძუძუები, არც გული, ვაშლი, მერცხალი თუ სათესლე პარკი, არც დელფოში გაცხადებული აპოლონური «Y», არც სამიანი, არამედ მაინცდამაინც საკუთარი სასქესო ასოს თავი (გერმ. «Eichel», რას ასევე «რკოსაც» ნიშნავს). ...ჰოდა, ამ რკომ ერთბაშად მომაგონა ეზრა პაუნდის “Canto CXVI”: “Can you enter the great acorn of light?» – «ძალგიძს სინათლის დიდ რკოში შეაღწიო?»

ჰო, მაგრამ, ეს ყველაფერი ჩემს ლექსებთან რა კავშირშია? ამას საკუთარ თავს თვითონაც ვეკითხები ხოლმე.

P. S. ჰერმან ჰესე, რომელმაც ქრისტიან ვაგნერს სიტყვა «Phalдne» დაუწუნა, 1919 წელს გამოქვეყნებულ რომანში «დემიანი» გნოსტიკურ ღვთაება აბრაქსასის უცნაურ კულტს აღწერს. ჩვენამდე მოღწეულ ავგაროზებზე აბრაქსასი ფრინველის თავითა და ქალთევზასავით ორკაპა კუდითაა გამოსახული. ის ერთდროულად სიკეთის განსახიერებადაც ითვლებოდა და ბოროტებისაც.

გოეთეს თვალწინ ხურტკმელის მზომელა ჭუპრიდან გამოძვრა. ამ სანახაობით აღტაცებულმა დაუყოვნებლივ მისწერ შილერს 30.7.1796-ით დათარიღებული წერილი, სადაც ეს მოვლენა დაწვრილებით აღწერა. იმის მომსწრე გახდა, პეპლის ძარღვებში ჩაღვრილმა სისხლმა მისი ფრთების მოცულობა ერთბაშად როგორ გაზარდა. გოეთეს დროს ამ პეპელას ლათინური სახელწოდება გახლდათ Phalaena grossularia. ახლა მას Abraxas grossularia ეწოდება. ფალენებს კი საფრანგეთში ღამის უბრალო პეპლებს - უწოდებენ.

2. პოეზია

ლელა ცუცქირიძე

უმამო გოგოებისთვის

უნდა იცოდნენ გოგოებმა,
რა სიყვარული შეუძლიათ უჩინარ მამებს,
ვარსკვლავებზე სათევზაოდ ბადით გასულებს,
რა სიყვარული შეუძლიათ
ცაზე გასულებს ვერცხლისფერ ბადით,
სიპ ნისლებზე მოულოდნელად ფეხაცდენილებს,
ღამეზე ადრე შეღამებულებს.

უნდა იცოდნენ,
რომ არსებობს უხმო სიმღერა, რომელსაც მხოლოდ
ვარსკვლავებზე მოთევზავენი უმღერიან
მამის საწოლში, მამის უჯრულა პერანგებით ჩაძინებულ,
მონატრებისგან მოკუნტულ შვილებს,
უხმო სიმღერა.
უნდა იცოდნენ, რომ ამ კაცებს, როგორც თილისმა,
მხრებზე შესმული გოგოების
პატარა ტერფი ამოუტვიფრავთ გულზე სვირინგად,
უნდა იცოდნენ.

უნდა იცოდნენ,
სიყვარული არსად არ მიდის,
არ ბრუნდებიან მამები უკან,
არ მიდიან მამები რადგან.
წვანან მგლებივით
გოგოების გადარაზულ სიზმრების კართან,
წვანან მგლებივით
და უღრენენ შიშის ურჩხულებს.

და როცა ღამე, მდინარესავით ჩამოვლილი,
და როცა ღამე, მდინარესავით ჩამოვლილი,
ჩამოატარებს მათ ამოსუნთქვას –

გოგოების ფანჯრის მინებზე შეორთქლილ ღრუბლებს,
ჩამოატარებს მზის ამოსვლას –
ბადეში გაბმულ ოქროს თევზივით მოფართხალეს ხეთა
ჩრდილებში,
უნდა ჩაუთქვან გოგოებმა,
უნდა ჩაუთქვან,
გაიქცნენ მწვანე, ტრიალ მინდორზე,
ტრიალ მინდორზე,
მთვლემარე ბალახს თხელი ზურგები დააფარონ,
თხელი ზურგები დააფარონ,
ხელები თავქვეშ,
ხელები თავქვეშ,
თვალები ცისკენ,
თვალები ცისკენ
და მამების თბილ სიზმრებისკენ გადაფრენას უნდა
უყურონ,
რომ სამუდამოდ დაიმახსოვრონ
და მერამდენედ მოისმინონ,
როგორ მღერიან ამ დროს მამები – ვარსკვლავებზე
მონადირენი
უხმო სიმღერას,
მხრებზე თოვლივით ამოსული გოგოებისთვის.

თაობა

...მათ აქვთ გრძელი თმა
და აცვიათ მინდვრებივით დაძენძილი მაისურები,
აცვიათ ჯინსი – ვარსკვლავებით ამოხეული ინდიგო ღამე,
აცვიათ მძიმე „ბათინკები“ – ტალახისფერ ომებაკრული,
ღია ლანჩიდან შეპარული გაზაფხულის წვიმებით სავსე.
და უკეთიათ სისხლძარღვების ძაფივით წვრილი
სამაჯურები,
მზის და უდაბნოს სილით სავსე ამულეტები,
ბავშვობის ექოშენახული ნიჟარები და ზღვის შუშები –
უმარტივესი სამკაულები.
უმარტივესი, როგორც კოცნა და სიყვარული,
როგორც წითელი შტორებიდან გამოფენა ღიმილის
დროშის.
ისინი სხედან სახურავებზე,
ყურსაცვამებით ღია კოსმოსის როკს უსმენენ –
დავიწყებულ სამყაროს ხმაურს.
ხელები – ცისკენ აწეული საპროტესტო ტრანსპარანტები,
მოულოდნელად შერყეული წყნარი ზღვა შტორმით.
აპროტესტებენ გამებივით მოსაწყენ სიზმრებს,
ერთ ნოტს, ერთ აკორდს, ოქტავების დადგენილ
საზღვარს...
აფიშებივით ცაზე აკრულ თანავარსკვლავედს
ხევენ და წვავენ,
გასვლა უნდათ, სხვაგან, სულ სხვაგან.
...სადაც ნორმები არ არსებობს
და არის სივრცე –
დაუსაბამო, უსასრულო, თავის უფალი,
სადაც დგას ვიღაც, მათნაირი, ჩამქრალ პლანეტებს
ჯერმოუსვლელი ჩვილი თოვლის საკმეველს უკმევს.

20 აგვისტო

დღეს მამა მიდის.
ხელს ვუქნევთ, ცხვირსახოცებს, თავსაფრებს.
ნახვამდის მამა, ნახვამდის.
კარგად დაისვენე.
გაგვაგებინე, როგორ იმგზავრე, როგორ მოეწყვე.

რამდენი წელია, არც შვებულება აუღია, არც უჩვენოდ წასულა სადმე.
ნეტავ თავს თუ მოუფრთხილდება.
იქნებ უკეთესადაც იყოს.
დაისვენებს.
დილაობით ამოავლებს საპარს ფუნჯს ღრუბელივით ქაფმოდებულ
ოქროსფერ ჯამში, წვერს გაიპარსავს,
კამკამა წყალს შეისხამს სახეზე,
იპკურებს გრილ ოდეკოლონს.
გაუთოებულ კრემისფერ პერანგს ჩაიცვამს, ზედმიწევნით სწორნაკეციან შარვალს,
არც შავი აჭიმები დაავიწყდება,
მიესალმება ახალ მეზობლებს, ახლობლებს და
და მინდორში გავა.
მინდორი იქნება ლურჯი, ლამაზი, მოუთიბავი, თვალუწვდენელი.
ნიავდაკრული ზღვასავით ოდნავ მოლივლივე.
მამა ნელ-ნელა შევა, შეცურდება, მოუსვამს თავის ძლიერ მკლავებს.
მერე გაწვება, თავქვეშ ხელებს ამოიდებს. გაირინდება, თვალებს დახუჭავს და აუცილებლად იფიქრებს ჩვენზე.
იქნება სიჩუმე და მხოლოდ შორეული ნისლის ლოლუები

იწკარუნებენ
ნახევრად სავსე ბროლის ფუჟერებივით.
ხანდახან მამა ჩვენს ამანათებს მიიღებს.
გაეღიმება, როცა თეთრ ტილოში ფრთხილად გადახვეულ
თავის საყვარელ კვერებს დაინახავს
და მხოლოდ მისთვის გადანახულ ერთ ბოთლ მწიფე
შინდისფერ ღვინოს.
ნეტავ რად უნდოდათ, ჩაიბუზღუნებს.
მარტო სუფრას არ მიუჯდება,
არასდროს უყვარდა მარტო სუფრასთან ჯდომა.
სხვებსაც დაუძახებს.
გაიხსენებენ ძველ ამბებს, საერთო ნაცნობებს, ოჯახის
წევრებს.
ერთი იტყვის, წუხელ სიზმარში ვნახე ჩემები. კარგად
არიან.
მეორეც აჰყვება, მეც ვნახე, მეც.
მესამე ამოიოხრებს, ეჰ, მე არ მინახავს, ნეტავ როგორ
არიან.
ბავშვს უმაღლესში უნდა ჩაებარებინა, ამბავი მაინც
გამაგებინონ.
მამა ეტყვის, ნუ გეშინია, კარგად იქნებიან.
აი, ნახავ, მალე ბავშვის სტუდენტობასაც მოგახარებენ.
მერე გაეღიმება,
მე კი მომკლეს ჩემებმა, თავს გაუფრთხილდიო, სულ ამას
მეუბნებიან.
პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, კაცო, ამხელა კაცი.

რა ვქნათ, ცუდი სიზმარი ვნახეთ:
ვარსკვლავები თაგვებივით დარბოდნენ სხვენში.
მამა ავიდა. ჯერ გვესმოდა მისი ნაბიჯების ხმა.
მერე სახურავმა გაიტკაცუნა სათაგურივით და
მამას ფეხის ხმა მოიყოლა.

*

დღეს ისევ მიდის მამა.
ხელს ვუქნევთ, ცხვირსახოცებს, თავსაფრებს.
ნახვამდის მამა, ნახვამდის.
თავს გაუფრთხილდი.

ის არასდროს ბრუნდება უკან,
მაგრამ აი, უკვე მერამდენედ ვაცილებთ.

სამშობლო

ეს არის ახლა ჩემთვის სამშობლო –
უცხოეთში გასაგზავნი, საჩვენებელი ღია ბარათი
პრიალა, გლუვი ზედაპირით,
თვალწარმტაცი ხედებით და პეიზაჟებით.
და ან სულაც, მობეზრებული საკრედიტო ბარათი,
საიდანაც მხოლოდ და მხოლოდ მიწას მაჭრიან,
და რომელზეც აღარაფერი მერიცხება დიდი ხანია,
საფლავების და წაგებული ომების გარდა
(გულს მიწვრილებს ეს მესიჯები).

არადა, ესეც სამშობლოა –
კონფლიქტის ზონაში ომის მერე გახარებული ვაშლის ხეები.
დგანან სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ ომის სუნია,
ჩემ მაგივრად (უხმაუროდ) იდგამენ ფესვებს, იტოტავენ მდინარესავით,
ჩემ მაგივრად (უხმაუროდ) ჩრდილავენ მიწას, ეფარებიან,
ჩემ მაგივრად (უხმაუროდ) აიმედებენ.
ვაშლის ხეები – მწკრივში ჩამდგარი, ახალწვეული ჯარისკაცები
აქ, ამ მიწაზე, ნაომარზე,
სამაგიეროს არაფერს მთხოვენ,
დგანან უხმოდ
და...
მე მიცავენ.

ცხელი წერტილი

ეს წერტილი საბოლოოა და არ იშლება.
აქ უნდა დასრულდეს ყველაფერი:
პარალელური ქუჩების სტრიქონები
და სიტყვების სევდიანი არქიტექტურა,
დეკორატიული მცენარეების მძიმეები და ხეების ძახილის ნიშნები,
მობუზული მოხუცების კითხვის ნიშნები და
ბავშვების შეშინებული თვალების ორწერტილები...
მაგრამ ამაზე უარესსაც დაინახავ:
ხიდების ტირეებით როგორ გადარბიან სამწერტილები
მინდვრებისაკენ,
როგორც დედა, მამა და შვილი,
ბალახის გადატეხილი ღეროების ქვეშ დამალობანას
სათამაშოდ.

შიშის დამფრთხობი

ეს პროფესია არ არსებობდა
და ქალაქმა გამოიგონა.
მალე ერთ-ერთი მოქალაქის პირად საქმეში ჩაიწერა:
შიშის დამფრთხობი, ანუ კაცი, რომელიც ყოველდღე
კვდება.
მას არაფერი ევალებოდა, გარდა იმისა,
რომ ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს,
მისულიყო ლამპიონებით განათებულ ლიანდაგებთან,
დაედო თავი ვერცხლისფერ რელსზე და
ჩქარ მატარებელს დალოდებოდა.
ზუსტად 00 საათზე, 00 წუთსა და 00 წამზე
ჩქარი მატარებელი მოდიოდა და
კაცის ლიანდაგივით სწორ არტერიას შუაზე ჭრიდა.
შიშის დამფრთხობი დგებოდა და
იღლიაში ამოჩრილი თავით იღიმებოდა,
იმედმიცემულ და სანახაობით მოხიბლულ მგზავრებს
რომ მოესწროთ მისი გადაღება მობილურებით,

ამის შემდეგ კი უკან, ქალაქში ბრუნდებოდა.
ტანი სალუდეში შედიოდა
და ერთ კათხა ლუდს ისხამდა.
თავი სახლში ბრუნდებოდა,
(კანონის თანახმად,
ოჯახში მთლიან კაცს თუ არა, კაცის თავს მაინც უნდა
ეგორავა),
წვებოდა საწოლში და მძიმე სამუშაოს შემდეგ ღრმად
იძინებდა.
დილაადრიან შიშის დამფრთხობი ფანჯარასთან ჯდებოდა
და

ყვავებს ითვლიდა.
ქალაქში ბევრი ყვავი იყო,
და ქუჩები სკინტლს დაეფარა,
ხოლო სახლებს სახურავების ნაცვლად ყვავის ბუდეები ეხურათ.
ასე გრძელდებოდა ყოველდღე:
ზუსტად 00 საათზე, 00 წუთსა და 00 წამზე
ჩქარი მატარებელი მოდიოდა
და შიშის დამფრთხობის ლიანდაგივით სწორ არტერიას შუაზე ჭრიდა.
სანამ ერთ დღესაც,
შიშის დამფრთხობმა,
ანუ კაცმა, რომელიც ყოველდღე კვდებოდა და ამ სიკვდილით
მგზავრებს უკვდავების იმედს აძლევდა,
მოულოდნელად თვითმკვლელობა არ ჩაიფიქრა.
გამოვიდა სახლიდან გარეთ.
წავიდა ლიანდაგებისკენ,
თავი ვერცხლისფერ რელსზე დადო
და ზუსტად 00 საათზე, 00 წუთსა და 00 წამზე
მისი ლიანდაგივით სწორი არტერია გადაჭრა ჩქარმა მატარებელმა.

* * * (რა ცარიელი იქნებოდა ჩემი სახლის ყველა კარადა...)

რა ცარიელი იქნებოდა ჩემი სახლის ყველა კარადა,
ყველა უჯრა და ყველა თარო...
უამრავ რამეს დავატევდი,
ამდენ ძველისძველ, გახუნებულ და გაცვეთილ ნივთს რომ
არ ვინახავდე.

არ ვინახავ დედაჩემის შიფონის კაბას,
თეთრს, კალმახივით გადაწინწკლულს ლურჯად და
წითლად,
რომლითაც მამას პირველად შეხვდა.
არ ვინახავდე მამაჩემის გაჩერებულ ჯიბის საათს –
ოქროსფერს, უკან აფრებიანი ხომალდის ტვიფრით,
თითქოს დროებით წავიდა სხვაგან ჩვენი მამაცი კაპიტანი,
ოქროსფერ ძეწკვზე გამობმული ხომალდი კი
აქ, ოჯახში, ყველაზე მყუდრო ნავსაყუდელში დატოვა
მშვიდად.
არ ვინახავდე ბიძაჩემის ნაქონ პორტსიგარს,
საიდანაც ბოლო ღერი პაპიროსი ამოიღო და გააბოლა,
სანამ სიყვარულისთვის თავს მოიკლავდა.
არ ვინახავდე ბებიაჩემის გაბზარულ კეცს,
რომლითაც სამი პატარა ობლის შიმშილს აფრთხობდა.
ან ამ დღიურებს არ ვინახავდე!
„...უკვე დაპატიმრებები მიდიოდა,
თითქმის ყველა დააპატიმრეს ჩვენები...
ღამით მოვიდნენ, ოთხი კაცი,
სულ გადააბრუნეს ოთახი, ვერაფერი ნახეს.
ბოლოს ჩემს ქმარს მიუბრუნდნენ.

უნდა წამოხვიდეთ, ჩაიცვით...
ტობოლსკი. 1937 წელი“

და არ ვინახავდე კუბოკრულ პერანგს!
გაურეცხავად რომ მიკიდია კარადაში,
რადგან ჩემს შვილს დიდხანს, დიდხანს გამოვუზოგო მამის სუნი,
ტკბილეულივით.
არ ვინახავდე, არ ვინახავდე ამ ყველაფერს!

...რა ცარიელი იქნებოდა კარადები,
დავატევდი ახალ კაბებს, ახალ ჭურჭელს,
ახალ ფეხსაცმელს...
რა ცარიელი იქნებოდა თაროები.

რა ცარიელი იქნებოდა ჩემი გული.
რა ცარიელი ვიქნებოდი მე.

* * * (ნეტავ რა ფერი ექნება სიზმარს...)

ნეტავ რა ფერი ექნება სიზმარს,
როცა ძილის წინ გვერდიგვერდ გხვდება
ორი ფოტო ფეისბუქზე:
ტერორის მსხვერპლი –
ბავშვი თოჯინით
და შვილის ფოტო –
ბედნიერი ღიმილით.

მინდვრები

ისეთი ონავარი მინდვრებია,
ზაფხულში ბავშვებივით ირევიან.
ფანჯარას გააღებ და შემორბიან
და იქვე, რაფაზე ჩაძინებულ
ფაშფაშა ბებიას – ბეგონიას
უსტვენენ ჩიტებით – სასტვენებით.
მინდვრები ბავშვებივით ერთობიან.

მაგიდას სუფრა რომ აფარია
(ეს სუფრა ნისლის ძაფით ნაქარგია),
და ზედ რომ ფაიფურის ფინჯნებია,
მინდვრები ამ ფინჯნებში თავდაყირა
ხტებიან, პიტნის ჩაით გრილდებიან,
გვიკლებენ მინდვრები ჟრიამულით,
მინდვრები ბავშვებივით გიჟდებიან.

ჭიქური კერამიკის ლარნაკები
დათხუპნეს ყვავილების აკვარელით –
სოსანით, კალენდულით, ყაყაჩოთი,
და როგორც ნამდვილი ქარაშოტი,
ტუხტების გაშლილი პარაშუტით
მინდვრები ოთახებში ტრიალებენ,
მინდვრები ბავშვებივით თამაშობენ.

და უცებ... შორ ტყეებში გამალებით
რეკენ შემოდგომას საათები –
ციყვებისგონგიანი წიფელები.
უკვე ძილის დროა და მინდვრები
გარბიან კისრისტეხით, კისკისებენ
და მერე დაღლილები ონავრობით,
მინდვრები

ბავშვებივით
იძინებენ.

სიყვარული

ლიფტი გაფუჭდა.
მეცხრე ცაზე გაიჭედა.

ზაფხული

მინდორმა ტატუ გაიკეთა –
ყვავილი პეპლით.

ივნისი

დღეს თბილისურად ჩახუთულ,
უჰაერო „მარშრუტკაში“
ამოვიდა ქალი ფიკუსით
და უცებ აგრილდა.

* * * (დედაჩემი ოთხმოცი წლის გახდა...)

დედაჩემი ოთხმოცი წლის გახდა.
თქვა, არაფერი მინდა, მხოლოდ წერილი დამიწერეო.
ნეტავ, რად უნდა ჩემი წერილი,
ჩემი ბავშვობის კაბასავით კეცოს და შალოს,
თითები ფრთხილად გადაუსვას,
გადღაბნილი ლაქები ჩამოფერთხოს,
მორღვეული ასოები ამოკემსოს,
უსწორმასწორო სიტყვები გაასწოროს,
ხელმეორედ გადამიკითხოს,
სხვა ცხოვრებისთვის დამიმახსოვროს...
მე კი ახლა გამახსენდა, რომ მისთვის წერილი არასდროს
მიმიწერია.

3. პროზა

მანანა დუმბაძე

კაპროვანის ზონის ლედი მაკბეტი

იმთავითვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ მაკბეტს არაფერი აქვს საერთო არც უილიამ შექსპირის მაკბეტთან, მითუმეტეს, არც ნიკოლოზ ლესკოვის „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტთან“ – გაცილებით სწორხაზოვანი სუბიექტია. ფორმითაც და შინაარსითაც უფრო ციხის ზედამხედველს, ან სრულიად საპირისპიროს – იაფფასიანი ბორდელის „მამაშას“ უფრო ჰგავს. კლდესავით აზიდული და პირქუშია, მისი თვალების ბრიალსა და კბილების ღრჭიალზე კაპროვანში მდედრსაც და მამრსაც ერთნაირად უკანკალებთ მუხლები. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გაგიკვირდებათ და, სახელად, ლედი ჰქვია.

მას ერთი ტანმოკლე მამრი სულ თან დასდევს ნახევარი მეტრის დისტანციაზე. როცა ლედის რამე დააინტერესებს, წარბის ერთი აწევითა და თვალით ანიშნებს ხოლმე იმ ტანმოკლეს, აბა, წადი, გაიგე, რა ხდებაო და ისიც გარბის თავქუდმოგლეჯილი ახალი ამბების შესაგროვებლად. იქით მიაწყდება, აქეთ მოაწყდება და ვაი, მისი ბრალი, რამე მნიშვნელოვანი ამბავი თუ გამორჩა. ამასობაში ტანმოკლემ ინფორმაციის მოპოვების ისეთი ხერხები დაამხეცა, კაგებეს ყველაზე გაქნილ აგენტს მოწაფედ აიყვანს. ახლაც ამ საქმით იყო დაკავებული. თავისი მძლეთამძლე ქალბატონისთვის ერთ კარგა მსუყე სკანდალს დაეძებდა. არადა, როგორ გინდა ჩამკვდარ და ღმერთისგან დავიწყებულ კაპროვანში სკანდალური ამბის შოვნა? ილუზიონისტი უნდა იყო, რომ მოახერხო. ტრისტანი კი, ასე ერქვა ტანმოკლეს, თქვენ წარმოიდგინეთ, ახერხებდა: რაღაცას პოულობდა (გამოქექავდა, თხზავდა), რაღაცას თვითონ უმატებდა. ლედი ხვდებოდა ამას, მაგრამ

რას იზამდა, კაპროვანში უწევდა მოღვაწეობა და რაღაც-რაღაცებზე თვალი უნდა დაეხუჭა.

ტრისტანის გვერდით ლედი იმაზე უფრო ზორბა და ახოვანი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ზოგი ამბობდა (უფრო გულში ფიქრობდა), საკუთარ ქალობას ეს გოლიათი ისევ ძალისმიერი მეთოდებით თუ დაამტკიცებსო. ეს გამანადგურებელი შესახედაობა და შიში რომ არა, ახლოს აბა ვინ გაეკარებოდაო. თუმცა, სიმართლის მარცვალი მართლაც იდო ამ ნაფიქრალში. მთელ კაპროვანს ეშინოდა ლედის. თან ეს ჩვეულებრივი შიში როდი იყო, არამედ ის რაღაც, რის გამოც ხანდახან ურჩხულსაც შეეკედლები, რა თქმა უნდა, თუ იმ უკანასკნელმა მოწყალება გაიღო, შეგიკედლა და რაღაც ადგილი მიგიჩინა ცხოვრებაში. ჰოდა, ასეთი ადგილმიჩენილი ყურმოჭრილი მონა არაერთი ჰყავდა კაპროვანში ლედის. ზოგი თავად ეტმასნებოდა, ზოგსაც თვითონ მოინადირებდა ხოლმე. ადამიანებზე ნადირობა მისი მთავარი გატაცება იყო. ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა.

– დღეს რაღაც არ მომწონხარ ტრისტანჩიკ, ფორმაში ვერა ხარ, ბერდები და ყნოსვას კარგავ, მალე გამოსაცვლელი გახდები, – მწარედ მიახალა ტრისტანს ლედიმ.

– რატო, ლედი, ჯერ არ დაღამებულა, კაპროვანში აწი იწყება დაგნარი. ცოტაც მოითმინეთ და მალე მაგრა გავერთობით.

– არა, გენაცვა, შენ ვერ დაგელოდები, აქედან ვხედავ, რაღაც ხდება სანაპიროზე, კოკაიების ნაკვეთში და არავინ არაფერს მატყობინებს, აქ მიზიხარ და თვალებს მინაბავ...

– ზუსტად ახლა ვაპირებდი მაგის თქმას, კოკაიების ეზოში რაღაც ხდება და წავალ გავიგებ-მეთქი, – თავი იმართლა

ტრისტანმა.

– ჰოდა დავაი, წადი დროზე და ზუსტი ამბავი მომიტანე. ჭორები არ მჭირდება, გაიგე?

ტრისტანი აჩქარებული ნაბიჯით წავიდა კოკაიების ნაკვეთისაკენ. იქ მართლაც რაღაც მცირე მშენებლობა დაწყებულიყო. ეზოს შუაგულში ერთი ახალგაზრდა, შავკაბიანი, ოქროსფერკულულებიანი ქალი ტრიალებდა და ბრძანებებს იძლეოდა. მაღალ ყელზე ხელოვნური მარგალიტის წვრილი მძივი ეკეთა. შავი კაბა მკერდზე ზომაზე ღრმად ჰქონდა ამოჭრილი და ტრისტანის გულის გასახეთქად, იქიდან ძალიან ლამაზი, მკვრივი, ახალგაზრდა ძუძუები მოუჩანდა. ტრისტანმა მუშტისოდენა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და ხრინწიანი ხმით ამოღერღა:

– სალამი ახალ მეზობლებს.

– გამარჯობა. – უპასუხა ახალგაზრდა ქალმა ისე, რომ მისკენ არც მიუხედავს.

– ახალი მეპატრონე ხარ?

– არა, მეპატრონე არა ვარ, ამ ნაკვეთს ვქირაობთ.

– ამ ნანგრევებს? – დამცინავი ტონით თქვა ტრისტანმა და ღობესთან დაყრილ ხავსმოკიდებულ ბეტონის ფილებს გახედა.

– დიახ, აქ ბუნგალოს ჩავდგამთ, გარშემო კი ელდორადოს გავაშენებ.

– კი, ელდორადო კაი საქმეა, – სწრაფად გაიმეორა უცხო სიტყვა ტრისტანმა და ვინაიდან მისი მნიშვნელობა არ იცოდა, საუბრის თემა მაშინვე შეცვალა. – რობერტი კოკაია აქ ბრძანდება?

– არა, აქ ჩვენ ვართ, ჩვენ აქ ბუნგალოს აშენების უფლება მოვიპოვეთ. რობერტ კოკაიამ კი ნაკვეთი მოგვაქირავა. თქვენ ვინ ხართ? – დაინტერესდა შავკაბიანი.

– ჩვენ მესნი ნასელენია ვართ, ბუნგალო და რესტორანი ჩვენც კი გვინდოდა, მაგრამ კოკაია და მთავრობა ვერ დავითანხმეთ. თქვენ რა ხართ რობერტისი?

– არაფერი, აქირავებდა და ვიქირავე, რა უნდა ვიყო, უბრალო დამქირავებელი!

– პირველად გხედავთ აქ და იმიტომ გეკითხებით ასე დოსკანალნა. თქვენ სახელი გაგვიმხილეთ, თუ შეიძლება, – ენა მოიჩლიქა ტრისტანმა.

– ბუბა მქვია, ბუბუსია. ბუნგალოს მალე გავმართავ და გახსნაზე აუცილებლად დაგპატიჟებთ. ადგილობრივებისთვის თითო ჭიქა სასმელი უფასო იქნება. ადგილობრივები დამჭირდებიან, ზოგი დამლაგებლად, ზოგი სამზარეულოში, ზოგიც – დაცვაში.

– უყურე შენ, როგორ დაალაგა, ყოჩაღი ქალი ჩანხარ, ხომ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ტრისტანი თუ რამეში დაგჭირდა, ერთი დაიძახე და აქ გავჩნდები, ყველა პრობლემას მოგიგვარებ, – თავი დაიფასა ტრისტანმა.

– აუცილებლად დამჭირდებით, ადგილობრივების დაქირავება მირჩევნია ქალაქიდან ხალხის ჩამოყვანას, იმათ სულ მოპარვაზე და გაქცევაზე უჭირავთ თვალი, – წაელაქუცა ადგილობრივ ტრისტანს ბუბუსია.

– მართალი ხარ, აქაურები უფრო გამოგადგება, თან სეზონზე თითო კაპიკსაც აშოვნინებ, ისინიც დაგიფასებენ, ტრისტანი არ დაგავიწყდეს, რაც მთავარია.

– არ დამავიწყდება. მთავარია, ეს ბუნგალო დროზე ავაწყო და მერე საქმე ჩქარა წავა, ტრისტან. – ეს ბოლო ტრისტანი განსაკუთრებული სირბილით წარმოთქვა ბუბუსიამ. – ახლა ქობულეთელ მუშებს უნდა შევხვდე, ბამბუკი ჩამოვატანინე ღობისთვის.

– კარგი, წავედი მე და კიდევ დაგხედავთ, რა იცი, ეგებ რამეში მეც გამოგადგეთ, – მეგობრულად დაემშვიდობა ტრისტანი ბუბას და გეზი ლედის ციხესიმაგრისკენ აიღო.

კაპროვანელი ლედი თვალებმილულული თავისი კარმიდამოს ფიჭვნარში გაბმულ მექსიკურ ჰამაკში იწვა. ვერ მიხვდებოდი, ეძინა თუ თვლემდა, რადგან შიგადაშიგ ისე ბორგავდა, ერთი-ორჯერ კინაღამ ჰამაკიდან გადმოვარდა. კბილებს გულის გამაწვრილებლად აღრჭიალებდა, თვალები მთვარეულივით დაჭყეტილი ჰქონდა და შიგადაშიგ, უნებლიეთ წამოჯდომას ლამობდა. მოკლედ, დიდ ომსა და ვაი-უბედურებაში იყო, როცა ჰამაკთან ტრისტანი აიტუზა. ლედის დანახვაზე ერთი კი გააჟრიალა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა და კარგად დააკვირდა, ეძინა თუ ფხიზლობდა მისი მბრძანებელი. საშინელი შესახედი იყო მძინარე ლედი. არც ფხიზელი წყვეტდა ვარსკვლავებს, მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, ერთობ წარმოსადეგი ქალბატონი ეთქმოდა: მთასავით აზიდული, მაღალთეძოიანი, გრძელი კიდურებით, ვერცხლისფერი ხვეული თმები ფართო მხრებზე ტალღებად ეყარა, დიდი ლურჯი თვალები... ცხვირი, პირი, ყურები – ყველაფერი დიდი, მაგრამ პროპორციული ჰქონდა. მხოლოდ ხელები ჰქონდა მაიმუნივით გრძელი, იმსიგრძე, რომ ნახევარ მეტრში ატუზულ ტრისტანს ყურის ასაწევად ან თავში წამოსარტყმელად თავისუფლად აწვდენდა.

ტრისტანმა ქალბატონისგან ჩვეულ დისტანციაზე ჯორკო დაიდგა, ჩამოჯდა და გაისუსა, ლედი არ გავაღვიძოო. იჯდა ასე გაუნძრევლად, სანამ თვითონაც კისერი არ მოწყდა. ლედი მისმა ხვრინვამ გამოაღვიძა. ჰამაკიდან გრძელი ხელი მიწას გაკრა, გაქანდა და ჯორკოზე მჯდომი ტრისტანი ფეხის წვერით გადააგდო. ჯორკოდან მიწაზე გაგორებული ტრისტანი უცებ ვერ მიხვდა, რა მოხდა, ერთი გვერდიდან მეორეზე გადაგორდა, მეორედან მესამეზე, მერე მეოთხეზე... მერე ფეხზე წამოხტა და ლედი რომ დაინახა, მაშინღა გამოერკვა, სად იყო. მოეშვა, თავი ქუდში იგრძნო, კაპროვანში იყო, სამშობლოში, ახლობლებთან. თვალები ბედნიერებისგან აუციმციმდა.

– ეს რა კაი სტვენა და ხერხვა გცოდნია შე მართლა - გადამფრენო ჩიტო (საქმე ისაა, რომ ტრისტანი ძირძველი კაპროვანელი არ ყოფილა, ერთი უთვისტომო, უჯიშო და უჯილაგო „ადგილნაცვალი პირი“ გახლდათ აფხაზეთიდან. ცხრა წლის იყო, ლესელიძის ბავშვთა სახლიდან რომ გამოიქცა და ტყეში ჩარჩენილ ქართველ პარტიზნებს რომ აეკიდა. რამდენიმე ბიჭთან ერთად ძლივს გადარჩა, მაგრამ საზღვარი რომ გადმოლახეს, იმათ აღარ გაჰყოლია, ნაპირ-ნაპირ გამოუყვა ზღვას, სოფელ-სოფელ იარა, ხან რომელ პლაჟზე ეძინა, ხან რომელზე... გრიგოლეთში რომ დააღამდა, იქ „ყვავილნარის“ კემპინგის ერთ ცარიელ კარავში შეძვრა. დილას დამლაგებელმა „პოლისჯოხით“ და დედის გინებით გამოაბუნძულა. გეზი ბათუმისაკენ აიღო. შეკვეთილის ნაძვნარში გამაგრებული მხედრიონელებისგან საჭმელი იმათხოვრა. ცხრა წლის ბიჭს აბა, საჭმელს ვინ დაუკავებდა, საჭმელს კი აძლევდნენ, მაგრამ არავინ ეკითხებოდა, საიდან მოდიხარ, ვის დაკარგვიხარ, საით გაგიწევიაო. არ მითხრათ ახლა, ასეთები საქართველოში არ ხდებაო.

ვისაც ეჭვი გეპარებათ, ნუგზარ შატაიძე წაიკითხეთ, კითხვა თუ გეზარებათ, კინო ნახეთ – „გაღმა ნაპირი“. ნამდვილი ამბავია მოთხრობილი, მაგრამ „შატაიძის ბიჭისგან“ განსხვავებით ტრისტანი (არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ტრისტანი ამ ცხრა წლის ბიჭის ნამდვილი სახელია, მე მგონი დევნილობის დროს თვითონ დაირქვა) არც მამას ეძებდა და არც დედის ბედი აწუხებდა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მითუმეტეს. ბავშვთა სახლში და მერეც მისთვის სრულიად სულერთი იყო, რომელი ქვეყნის და რა ჯიშის ნაშიერი გახლდათ. მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, ნებისმიერი გზით თავის გადარჩენაზე. აი, ასეთი გაიზარდა. სწორედ ასეთებზე ნადირობდა კაპროვანელი ლედი და ტრისტანიც კაპროვანის წყლებში „მის ანკესზე წამოეგო“. ორივემ ის მიიღო, რაც უნდოდა: დედოფალმა გასაზრდელი „ყურმოჭრილი მონა“, ლტოლვილმა – თავშესაფარი, სახელი და სამუშაო, რომელსაც ის ცხოვრების სხვა ეტაპზე უნდა გაეყვანა. ლედი ტრისტანს მოხარშულს იცნობდა, ამიტომ ყოველთვის მოკლე ჯაჭვზე ჰყავდა მიბმული – მისგან ნახევარი მეტრის მანძილზე. მას მერე მთელი ეპოქა გავიდა, ტრისტანი უკვე 30-ს მიტანებული ზრდასრული კაცი იყო, ჩამოყალიბებული ხასიათითა და მიზნებით.

– ისე ხერხავდი, სახელმწიფო „სკრიპიჩნი კვარტეტი“ მიმიქარავს. მაგარი კინო მესიზმრებოდა, ყველაზე საინტერესო ადგილზე გამაღვიძე. – შეუღრინა ტრისტანს ლედიმ.

– აუფ, ეგ არ უნდა დამმართოდა, ვერც კი გავიგე, ისე ჩამძინებია შენს ყურებაში, მეც რაღაც უცნაური სიზმარი ვნახე – მოგზაურობა აფრიკაში – მაგარი კოშმარი იყო.

– სჯობია, კოკაიების ამბავი მომიყევი, რაო, რას ვაშენებთო?

– ბუნგალოს აშენებენ, როგორც გითხარი. მართალი ყოფილა, კოკაიამ თავისი ნაკვეთი გააქირავა და ის ლამაზი ქალი (აქ ტრისტანმა პირველი, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა) იქ ბუნგალოს აშენებს, ასე თქვა, ფეხს რომ მოვიკიდებ, „ილდირიმსაც“ ავაშენებო.

– რა ბუნგალო, რის ილდირიმი, ვინ ქალი, რისთვის გაგიშვი, ამ სისულელეების მოსაყოლად? აბა, დაალაგე ყველაფერი როგორც წესი და რიგია, თორემ ილდირიმი მერე ნახე შენ, – უშნოდ აყვირდა ლედი.

– ეგ არის რა, ლედი, მეტი არაფერი, ის ქალი ამბობს, ბუნგალოს ავამუშავებ და ადგილობრივებს დავაკავებო, ფულს ვაშოვნინებო.

– რა ჰქვია იმ ქალს?

– ბუბა, ბუბუსია, მოგეწონება, ლედი, კაი გაგების ქალი ჩანს, ჩამოსულები აგინა, მაგათ ვერ ვენდობიო, თქვენ სჯობიხართ და თქვენ დაგასაქმებთო.

– გიშოვია აბა სამსახური ბუბუსიას ბუნგალოში, – მოუჭუტა ტრისტანს თვალი ლედიმ.

– კაცებს დაცვაში, ქალებს – დამლაგებლადო (ესეც ტრისტანის მეორე გამოუსწორებელი შეცდომა).

– დამლაგებლად ალბათ მე ამიყვანს, შენ – მცველად. აგვიწყვია აბა, ცხოვრება საათივით, – დასძინა ლედიმ და სიცილი წასკდა. ისეთი ხარხარი ამოუშვა, ტრისტანს ძარღვებში სისხლი გაეყინა, შორიახლოს მობოდიალე ბომჟებმა სანაგვეებში ქექვა შეწყვიტეს, მაწანწალა ძაღლებმა კი საგანგაშო ყეფა ატეხეს.

– შენ ვინ რას გაგიბედავს ლედი, ეს იმათზე თქვა, ჯიბეგახვრეტილები, მშივრები და კარბიტის არყით ტვინგალაყებულები რომ დადიან.

– ეგეთები ვის სჭირდება შე დეგენერატო დაცვაში, ან რისი დამლაგებლები ეგენი არიან, ყოველდღე საკუთარ ფსელში და ნარწყევში წვანან. ჩემზე და შენზე აქვს ეჭვი, ძვირფასო, ჩემზე და შენზე, შეუშვი მაგ უტვინო თავში. თუმცა, შენ რა, გაგიკეთებს ერთ ბაბოჩკას და მშვენიერი ბოდიგარდი იქნები. მაგას იქ ბაბოჩკიანი და პეროიანი პერსონალი ჭირდება! ჰოდა, აგერ არ ვართ? გაიგე, რასაც გეუბნები? – დაამთავრა სიტყვა მაკბეტმა.

– მასეთებს აქ სად იშოვის? – ჩაეკითხა ტრისტანი

– ჰოდა, მაგი ამბავი უნდა გავაიასნოთ იმ შენ ბუბა-ბუბუსიასთან, სანამ პეროები დავარცხნილი აქვს და თვალებს აჟუჟუნებს, – თავის თავს უთხრა ხმამაღლა ლედიმ.

– კარგი ქალი ჩანს ლედი, ნახავ, მოგეწონება, ჩვენი გაგებისაა, – გაუბედავად წაიკნავლა ტორნადოს მოლოდინში ტრისტანმა. ეტყობა, მოეწონა ბუბა და ლედის კბილის გასაკრავად ვერ გაიმეტა, – კარგი ქალი უნდა იყოს, – კიდევ ერთხელ სცადა ბუბას დაცვა, მაგრამ ლედის თვალებში სისხლისფერი რომ შენიშნა, „ასე მგონიაო“, – ისე ჩუმად დააყოლა, მგონი თავადაც ვერ გაიგო, რა თქვა.

წელში გამართული, საგანგებოდ დავარცხნილი, ტუჩზე პომადაწასმული და მხარზე წითელშარფმოსხმული კაპროვანელი ლედი კოკაიების „უპატრონო“ ნაკვეთისაკენ დინჯად დაიძრა. თითებში მოუკიდებელ „მალბოროს“ ათამაშებდა. მისგან ნახევარი მეტრის მანძილზე ტრისტანი მიცუნცულებდა. ნაკვეთს რომ მიუახლოვდნენ,

ტრისტანი წინ გაიჭრა და ლედის ჭიშკარი გაუღო. ეზოში რამდენიმე მუშა ტრიალებდა – „ადგილობრივი კადრები“ (ტრისტანის დასკვნით). ძველი, შელახული „მინივენიდან“ დაპრესილ თივას ეზიდებოდნენ და ეზოს კუთხეში აწყობდნენ. ლამაზი ქალი არ ჩანდა, მარტო ეს შარვალჩაჩაჩული, ჭუჭყიანი ბომჟები (ისევ ტრისტანის წარმოდგენით). ეზოს კუთხეში, ზღვის მხარეს, ხის დროებითი კონსტრუქცია უკვე აეწყოთ.

– სალამი ბიჭებს, – ძალიან ფამილარული მისალმებით შეაბიჯა კოკაიების ნაკვეთზე ლედიმ. თვალებით ბუსუსიას ეძებდა. – რასაა, რო ცოდვილობთ?

ლედის დანახვაზე კაცები მხრებში გასწორდნენ, შარვლები აიწიეს და „ბიჩოკები“ მოისროლეს.

– ლედის ვახლავართ! – ჯარისკაცებივით ერთხმად დასცხეს.

– ჰა, ჰა, ვისთვის ლედი და ვისთვის ქალბატონი ლედი!

– ქალბატონ ლედის ვახლავართ, – თავიდან დასცხო ერთმა, უფრო გაბედულმა.

– დიახაც, ასე!

– სადაა ხაზეინი?

– ხაზეიკა, – ხაზი გაუსვა მეპატრონის სქესს გაბედულმა.

– რობერტა კოკაია უკვე ხაზეიკაც გახდა? – გაეცინა ლედის.

– რობერტი არაა ჩვენი ხაზეიკა, ქალბატონო ლედი, ბუბაა, აგერაა, კარავში და დავუძახებ, თუ გინდა. – გაიტლიკა გაბედული. დანარჩენები დუმდნენ და ელოდნენ. ლედი კარვისკენ დაიძრა, მაგრამ უცებ შედგა და ტრისტანს საჩვენებელი თითით ანიშნა, შენ დაუძახეო.

– დავუძახო, გამოვიყვანო? – თავისთვის (ხმადაბლა) გაიმეორა ტრისტანმა და კარავთან მივიდა.

– დაუძახე, – თითქმის ჩურჩულით უთხრა ლედიმ.

ტრისტანმა კარვის ფარდა ოდნავ გასწია და შიგ თავისი გარიხვინებული თავი შეჰყო. ლედიმ ეზოს შეაგულში წითელ „მალბოროს“ მოუკიდა. მიიხედ-მოიხედა, ჯორკოებისგან შეკრული მაგიდა და ხუთი სკამი დაინახა. ერთ-ერთზე ჩამოჯდა, სახით მზისკენ. ტრისტანს დაძახებაზე არავინ უპასუხა ერთი სასაცილო ჯუჯა პუდელის გარდა. ლედიმ ტრისტანს ანიშნა, შიგ შედიო და ტრისტანიც მთელი ტანით კარავში შეძვრა. ძაღლმა ყეფას მოუმატა და მალე კარვიდან სამივე ერთად – ტრისტანი, ბუბუსია და მისი თეთრი პუდელი გამოვიდნენ. ბუბუსიას „პრარეზიანი“ სარაფნიდან მაღალი, გარუჯული ფეხი უჩანდა, დეკოლტედან კი – ორი მაღალი, მკვრივი ძუძუ. ტრისტანი და ბუბა ლედისკენ მხიარული ჟღურტულით მოდიოდნენ.

– გამარჯობა, დიდი პატივია ჩემთვის თქვენი სტუმრობა, ლედი... ქალბატონო ლედი (ეტყობა ტრისტანმა ურჩია, ქალბატონი დაუძახეო), გმადლობთ, სტუმრობისთვის, – მიესალმა ბუბუსია ლედის.

„ტრისტანის ნამეცადინევია“ – მიუხვდა ქალბატონი.

– გამარჯობა, გამარჯობა! თქვენი სახელი დამავიწყდა, ტრისტანმა კი მითხა, მაგრამ ძალიან უცნაური სახელი გქვიათ და ვერ დავიმახსოვრე...

– ბუბუსია, ბუბა, თუ ასე უფრო გაგიადვილდებათ.

– იყოს ბუბუსია, არც ეგაა ძნელი, უბრალოდ, ასეთი სახელი არ გამიგია, საიდან ხართ?

– თბილისელი ვარ, სანზონაში ვცხოვრობ, თბილისის ზღვის დასახლებაში.

– თბილისელი ხარ? თბილისის ზღვა რაღა უბედურებაა? – ჩაეღიმა ლედის.

– ზღვას ეძახიან, თორემ ისე წყალსაცავია, მაგის წყალს ვსვამთ თბილისელები, – მხიარულად აუხსნა ბუბუსიამ ვითომ უმეცარ ლედის.

– იქ უკვე ყველა ბუნგალო ააშენეთ? – ფოლადის პირველი წვეთი ჩაუვარდა ხმაში სტუმარს.

– უჰ, იქ იმდენი ბუნგალო და იახტკლუბია, მე ვინ რას ამაშენებინებს. ბუნგალოს ჩასადგმელად აქ ჩამოვედი, მაგრამ ბუნგალოს კი არა, ამ ნაკვეთიდან ნამდვილ „ელდორადოს“ გავაკეთებ. პირველი საპატიო სტუმარი თქვენ იქნებით, ლედი... ქალბატონო ლედი. – უნიჭოდ წაეკეკლუცა ბუბა ქალბატონს.

– იახტკლუბიც ჰქონიათ თბილისის ზღვაზე ტრისტან, გაიგე? აბა მარტო ლუიზას ბიძაშვილს კი არა აქვს აქ. რა ჰქვია იმას?

– „შაურმა“ – მიახალა ტრისტანმა

– ჰო, კლუბი „შაურმა“, ყოფილხარ? – კითხა ლედიმ ბუბას.

– არა, არ მინახავს, აუცილებლად წავალ ამ დღეებში, – დაპირდა ბუბა.

ლედის ბუბუსიას პასუხი არ გაუგია, არც აინტერესებდა, რადგან დაძაბული ახლა სხვა ჩამჭრელ კითხვებს დაეძებდა თავისი ამოტრიალებული ტვინის უკუღმართ ხნულებში.

– აბა, რობერტი კოკაია რესტორანს აშენებს თბილისის ზღვაზეო?

– რობერტ კოკაიას საერთოდ არ ვიცნობ. მაგისი ნაკვეთი მაკლერმა მაქირავებინა, თვითონ არც კი მინახავს, თბილისის ზღვაზე იმდენი რესტორანია, რა ვიცი, კოკაიასი რომელია, – ისე მოუკიდა ენას ბუბამ, აშკარად ცრუობდა (ასე მოეჩვენა ლედის).

– მაინც, რამხელაა თბილისის ზღვის დასახლება – სანზონა? – შეცვალა კითხვა ლედიმ.

– რამხელა და თქვენი კაპროვანა სამჯერ მაინც ჩაეტევა, – ჩაიცინა ბუბამ.

ზუსტად ამას ელოდა ლედი. გამოწვევა მიიღო და ახლა, რასაც უნდოდა, იმას ჰკითხავდა სანზონელ პრინცესას.

– აბა, შენ იქ არავინ მიგიშვა ბუნგალოს ასაშენებლად? იქ შენი პატრონი არ გამოჩნდა? რობერტიას იმედზე ჩამოხვედი კაპროვანში?

ბუბა კი მიხვდა, საით მიჰყავდა ლედის საუბარი, იმასაც მიხვდა, რომ სულ ორიოდე წუთის წინ დიდი სისულელე წამოაყრანტალა, მაგრამ არ შეიმჩნია და საქმის გამოსწორებას შეეცადა, ანუ ეს კითხვა უპასუხოდ გაატარა, ვითომ არც გაუგია.

– რამდენს ვლაქლაქებ, სჯობია, ჩემებურ ყავას გაგასინჯებთ, აუცილებლად მოგეწონებათ – „კოფე პა ვარშავსკი“. – თქვა ბუბამ და კარავში შეძვრა. იფიქრა, სანამ ყავას მოვხარშავ, ლედის წყენა და ქილიკის ხასიათი გადაუვლისო. მაინც სხვის მოედანზე ითვლებოდა და ფრთხილობდა სანზონელი მატა ჰარი, მაგრამ ხომ გაგიგიათ: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...

– „პა ვარშავსკი“ ჩვენებური „ადმირალსკია“? – საერთო კითხვა დასვა ლედიმ, მერე ტრისტანს გახედა – შენთვის ჯერ არ შემოუთავაზებიათ?

– არა, ლედი, ეგ სულ სხვა რაღაცაა, ადრე მაქვს გასინჯული, ლესელიძეში, „ადმირალსკი“ უფრო პარტოვი პონტია. ისე, ბუბუსიას მოდუღებული ყავა ბუბუსიასავით ტკბილი უნდა იყოს, რას იტყვი, ჰა? სანზონის პრინცესა თავისი ხელით უხარშავს ყავას კაპროვანის დედოფალს, როგორია?! – უკბილო ხუმრობების კასკადი გაუშვა ტრისტანმა.

ბუბუსია კარვიდან გამოსვლას არ ჩქარობდა. ტრისტანი ცქმუტავდა, ქოშინიც კი აუტყდა. ლედი ჩუმად იჯდა და ჰორიზონტს გაჰყურებდა. მზე ჯერ კიდევ მაღლა იყო და ლედის თვალს სჭრიდა, ის კი თვალდაუხამხამებლად მიშტერებოდა მზეს, სანამ გუგები სისხლით არ აევსო.

– ესეც ჩემი ფირმენი „პა ვარშავსკი“, მიირთვით, გენაცვალე, – ლამაზი ფინჯნით მიართვა ლედის ყავა ბუბუსიამ და ჯორკოზე წითელი “მალბოროს” და მზის სათვალის გვერდით დაუდგა.

– ხომ ვამბობდი „ადმირალსკია“ – მეთქი, მეც არ ვიფიქრე, ამ თბილისის ზღვაზე რა ყავას სვამენ ასეთს, შავ ზღვაზე

რომ არ გაგვიგია. ტრისტანჩიკ, შენ დალიე, ხომ იცი, მე ამას არა ვსვამ. – შემორიგების კოვზი ნაცარში ჩაუგდო ლედიმ მასპინძელს. მერე წამოდგა, მხრებში გაიშალა, გასწორდა, ვერცხლისფერი, უკან შეკრული თმა გაიშალა, ისევ შეიკრა, „მალბოროს“ მოუკიდა, ბუბასთან გახახუნების დისტანციაზე მივიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და თითქმის ტანზე აწეპებულ ბუბუსიას პატარ-პატარა იისფერი რგოლები ნაზად, შიგ ლამაზ სახეში მიაბოლა. ბუბამ ლედის „შემოტევას“ ვერ გაუძლო, ოდნავ წაბარბაცდა და უკან დაიხია. ლედიმ არ შეიმჩნია, იმავე სიდინჯით მოტრიალდა და ნელა ჭიშკრისკენ წავიდა.

ტრისტანს „პა ვარშავსკის“ ფინჯანი ხელში შეაცივდა. ორი ყლუპის მოსმაც ვერ მოასწრო. სიჩქარეში ცხელი ყავა პირიდან მწვანე მაისურზე გადმოეღვარა, ფინჯანი ჯორკოზე დადგა და ლედის გაეკიდა. ლედი კოკაიას ნაკვეთიდან უკვე გასულიყო და ახლა წინ ისე მიიჩქაროდა, რომ ტრისტანი ლუიზას ბიძაშვილის საშაურმესთან ძლივს წამოეწია.

– არა, ლედი, ის “პა ვარშავსკი“ „ადმირალსკი“ ნამდვილად არ იყო, ტყუილად არ დალიე, მოგეჩვენა...

– კრეტინო შენ, თავზე რომ არ გადაგასხი ეგ „პა ვარშავსკი“, მადლობა მითხარი. ამაზე ცალკე დაგელაპარაკები. ახლა მისმინე, ამაღამ რობერტა კოკაიას ნაკვეთზე ჭიაკოკონობა უნდა მოვაწყოთ, – ლედიმ ჩასისიხლიანებული თვალებიდან მზერა ტრისტანს პირდაპირ შუბლში სტყორცნა. ტრისტანს ჯერ შუბლი აეწვა, მერე ტვინი და მერე ტვინიდან ფეხებამდე მდუღარემ დაუარა, ენა გადაყლაპა.

– პატარა ჭიჭყინა მოიყვანე, უთხარი, კოკაიებთან ჭიაკოკონას ვაწყობთ და პიროტექნიკოსიც გვჭირდება-

თქო. ვასკას უთხარი, გაღმელი ბომჟები მიყაროს, დასალევის ფულს ლედი იხდის-თქო, უთხრას და მოცვივდებიან. ამაღამ ყველა ფეხზე უნდა დადგეს, ამაღამ ვიღაცებს ანგელოზები უნდა დავუფრთხოთ! – განკარგულება გასცა ლედიმ.

ტრისტანმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ჭიაკოკონობა მაშინ, როცა ნამდვილ „ჭიაკოკონამდე“ თითქმის თვენახევარი იყო დარჩენილი. კაპროვანში ასეთი ჭიაკოკონა იმ ავბედითი ოთხმოცდაათიანების შემდეგ აღარავის მოუწყვია. ადგილობრივებს იმ ამბების გახსენება არ უყვარდათ, ამბობდნენ, მთელ სანაპიროზე თავი მეგვეჭრაო, მაგრამ, დასჭირდებოდათ თუ არა ვინმე „გადამთიელის“ შეშინება, მაინც სულ ჭიაკოკონათი იმუქრებოდნენ.

აჰა, მუქარის შესრულების დღეც მოვიდა. ლედი რასაც ამბობდა, ასრულებდა, ჰოდა, თქვა კიდეც:

– რომ არ დაგსიზმრებია, ისეთი ჭიაკოკონა უნდა განახო, შე სანზონელო კახპა. ბუნგალო და „ევდორია“ (ეტყობა ელდორადოს გულისხმობდა) მომინდომე არა კაპროვანში, შენი ბოზი დედაც... კოკაიას ჩათლახო, რობერტა კაცი გგონია, არა? ამაღამ ნახავ შენი ნანატრი ევდორიის ხაზეინი ვინაა, – იგინებოდა ლედი. – ეს ჩმორებიც თუ არ შევაჯანჯღარე, ავიწყდებათ უკვე, ვინ ვინაა ამ ზონაში, ვის პურს ჭამენ... ჰოდა, ბუბუსია ხარ თუ მუმუსია, მიდი, გაერთე უკანასკნელად ჩემს მოედანზე, მერე, აიდა აქედან, ეგ შენი „პა ვარშავსკი“ რობერტა კოკაიას შეასხი ტრაკში იმ თქვენს თბილისის ზღვაზე.

ლედის ჩასისიხლიანებული თვალები აეწვა, ფიქრისგან ტვინი უდუღდა, ყელში რისხვის ბურთი გაეჩხირა და

წამოაზიდა. წითელ „მალბოროს“ მოუკიდა. ამასობაში ტრისტანიც მოცუხცუხდა.

– ლედი, ყველას ვუთხარი, ყველა გავაფრთხილე, მოვალეობები გავანაწილე. შუაღამისას კოკაიების უჩასტოკზე ვიქნებით დარჭობილები. ჭიჭყინას ხელები ეფხანება. – ისეთი ბათქი უნდა ვუყო, დედამიწა შეზანზარდესო.

– მაგას შუაღამისას ვნახავთ – უმისამართოდ თქვა ლედიმ – ჰო, მაგას შუაღამეს ნახავ სანზონის დედოფალა, რა გქვია? ბუბუსია, არა? შენი და შენი ნათლიის დედაც... რა უნდა ბუბუსიას კაპროვანში, ბუბუსიას ადგილი სანზონაშია, აქ სახელებს ლედი არქმევს. კარგად უნდა დაიმახსოვროს ეს დღეს ყველამ, შენ კი განსაკუთრებით, – ტრისტანის გასაგონად ხმას აუწია ლედიმ – მოგეწონა ხომ ბუბა, შე „პა ვარშავსკის“ პასაჟირო, ჰოდა ჭკუით თუ არ იქნები, მიგაყოლებ მაგას და ერთად ხუხეთ მერე ეგ „პა ვარშავსკსკი“ სანზონაში კოკაიასთან. დავაი-მეთქი აქედან.... გაიგე? – თითქოს მთვარეს შეყმუვლა ლედიმ ჩასისხლიანებული თვალებით, ყელში გაჩხერილი ბოღმის ბურთით და პირზე მომდგარი დუჟით.

მთვარე კი იყო ისეთი მრგვალი და ისეთი თეთრი, რომ უტვინო ტრისტანიც კი მის ფაფუკ, რძისებრ ზედაპირზე ყველა ბორცვს, ტბას და ჩანჩქერს თავისუფლად დათვლიდა, ლედის ყმუილს რომ არ დაეზაფრა.

– მეშინია, არ გამოგვივა კარგი ჭიაკოკონა ამ მთვარიან ღამეს, ძალიან განათებულია ცა და დედამიწა, – დასძინა ტრისტანმა და ისე მოეწონა თავისი მიგნება, ლედის რამდენიმე სანტიმეტრზე კიდეც მიუახლოვდა.

– არ გამოვა და შენი აჯობებს. არ გამოვა კი არა, ისეთი უნდა გამოვიდეს, კაპროვანს ყველა წინა ჭიაკოკონა დაავიწყოს, – თქვა ლედიმ, „მალბოროს“ ნამწვი ფეხით ქვიშაში ჩასრისა და ფეხსაცმლის წვერით ქვიშა ტრისტანს სიფათში შეაყარა. ტრისტანმა თვალები დახუჭა და თავი გააქნია, სახიდან ქვიშა ჩამოიბერტყა, იქვე ატუზულმა ბომჟებმა გაუბედავად წაიწკმუტუნეს, მაგრამ ეგ იყო და ეგ. ლედი სახლისკენ წავიდა, ტრისტანი საშაურმისკენ, ბომჟები კი ტრისტანს გაყვნენ დიდი სტრატეგიული გეგმის დასამუშავებლად.

ყველაფერი ყველასათვის მოულოდნელად უნდა მომხდარიყო, სწრაფად და ბუნდოვნად, ისე, რომ ბუბას აზრზე მოსვლაც ვერ მოესწრო. აზრზე მოსულს ლედიზე ეჭვიც ვერ უნდა აეღო, სამაგიეროდ, დანარჩენი კაპროვანა, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობა, კარგად მიმხვდარიყო, საიდან მოასკდა ცუნამი. ამას ლედისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა – ყველა ყველაფერს უნდა მიმხვდარიყო, მაგრამ გულში, კრინტის დაუძვრელად. უდავოდ ძნელი იქნებოდა ტრისტანისთვის ამხელა მისიის შესრულება და მით უმეტეს, ბრწყინვალე შედეგით დაგვირგვინება, მაგრამ ახლა ეს იყო მისი შანსი, ურყევი პოზიცია შეენარჩუნებინა კაპროვანის დედოფლის გვერდით და ერთადერთი შანსი, ყველასათვის სამუდამოდ დაევიწყებინა, რომ ის ამ ზონაში ერთი უთვისტომო, გაღმა ნაპირიდან „ჩამოთესლებული“ ტრისტანი იყო – ლედის „იუბკას“ ამოფარებული. მოკლედ, ამ ისტორიული ჭიაკოკონიდან ბევრ „ადამიანს“ უნდა ეხეირა. ვნახოთ, ბოლოს ვინ რას მიიღებს.

ტრისტანი ძალიან ფრთხილობდა, ყველა ნაბიჯი წინასწარ ჰქონდა გათვლილი და ამიტომ ყველა მოულოდნელობას

განსაკუთრებით უფრთხოდა. ოპერაციის წინ, თავის დასაზღვევად, კიდევ ერთხელ მიადგა ლედის.

– ლედი, რობერტამ რომ გააპროტესტოს? რომ არ გაპატიოს? ომი იქნება ლედი, ცუდი ომი, ქვა ქვაზე რომ არ დარჩება ისეთი. ომი არ უნდა რობერტას და იმიტომ არ ბრუნდება კაპროვანში... ომი გინდა ლედი?

– ვის არ უნდა ომი, რობერტას? შე უტვინო, აბა ეს ბუბუსია ვინაა, რისთვის გამოგვიგზავნა შე ტუგადუმო, ყველაფერი როგორ უნდა დაგიღეჭოთ! უნდა და მერე როგორ უნდა – თეთრი ხელთათმანებით და სიამტკბილობით. ჯერ ეს ბუბა შემოგვიგდო პაკეტივით, მოსასინჯად, თუ ავიღეთ, მასეთს კიდევ ათს შემოგვიგდებს და მერე თვითონაც უკან გამოყვება. თქვენ კი აპარტყუნეთ ყურები და სვით ამ ბუბუსიების „პა ვარშავსკი“ ევდორიაში.

– არა, მტერს მაგის მობრუნება, ეგ არ მოხდება, ღმერთმა დაგვიფაროს, ამდენი კი აღარ მიფიქრია, დავიღუპებით, ეს ქალი უნდა მოვიშოროთ თავიდან, მართალი ხარ ლედი, ამას ამაღამვე მოვაყომარებ, ნახე რა ჭიაკოკონა გავაჩაღოთ ბიჭებმა, პირისაგან მიწისა... მაგათი დედა ვატირე მე!

ლედის ტრისტანისთვის პასუხი აღარ გაუცია, ის ისედაც უკვე გამომცხვარი იყო, დახვეწას და ხელის შევლებას აღარ საჭიროებდა, ზუსტად ისე მოქოქავდა თავის ბრიგადას, როგორც საქმე მოითხოვდა. არც ისეთი ძნელი ასაღები ციხე-სიმაგრე გახლდათ ის უბედური ბუბუსია, როგორც ტრისტანს წარმოედგინა, იცოდა ეს ლედიმ და აღარ ღელავდა, პირიქით კაიფობდა კიდეც თავისი მომავალი ტრიუმფით.

ძალიან, ძალიან სავსე და რძისფერი მანათობელი მთვარე დაეკიდა იმ ღამეს კაპროვანის თავზე, უფრო ზუსტად, კოკაიების ნაკვეთის თავზე. ყველა ეზოში ძაღლი აყმუვლდა. კოკაიას ნაკვეთთან, სანაპიროს მხარეს, მაწანწალა ძაღლები ჯგროდ მოგროვდნენ და ერთხმად შეყმუოდნენ მთვარეს. მთვარემ ყოველი მათგანი სათითაოდ აირეკლა თავის რძისფერ ზეწარზე და ისე აშკარად გამოსახა, რომ გეგონებოდა, იქიდან იქაური ძაღლები აქაურ თვისტომებს ყმუილის ექოთი რაღაც უსაშველოდ გრძელ და გაბმულ შეტყობინებას უგზავნიანო. კოკაიას ნაკვეთის წინ ჩამწკრივებული ძაღლები ჰაერში იჭერდნენ თავიანთი ორეულების გზავნილს და საპასუხო ყმუილით კისრებს იგრძელებდნენ. წამში რაღაც საოცარი ჯადოსნური წრე შეიკრა, გზავნილები ერთმანეთს დაეჯახა, ერთ კოსმიურ სიმფონიად იქცა და ორბიტაზე დატრიალდა. ლედის „ლოცვაც“ ამ წრეს შეასკდა, ისიც წრეზე დატრიალდა, სიჩქარე აკრიფა და კოსმოსს შეუერთდა. იდუმალი სიჩუმე ჩამოვარდა. ქოფაკები კოკაიას ღობესთან გაწვნენ. გარინდულები იწვნენ და ელოდნენ. რძისფერ მთვარეს რუხი ფერი დაედო, მიქრა, თითქოს წამით იმანაც მიიძინაო.

– დროა, წავედით, – ჩაილაპარაკა ტრისტანმა – დავიწყოთ!

საშაურმეში მთვლემარე ბომჟები წამოლასლასდნენ. ჭიჭყინა თითქმის ფხიზელი იყო და დაპირებული ბათქისთვის გამზადებულ მოწყობილობას მოათრევდა. კოკაიების ნაკვეთთან დაყრილი თივის შრიალზე ბუბუსიას პუდელი ფარდიდან გამოძვრა და გაუბედავად, მაგრამ გამაფრთხილებლად დაიყეფა. მერე ორ ჩრდილს მოჰკრა თვალი, ჩრდილებს შეუღრინა და უფრო ომახიანად აყეფდა. იმ ჩრდილებიდან ერთმა პუდელს წინასწარ მომზადებული ქვა ესროლა. ძაღლი საცოდავად

აწკმუტუნდა, წკმუტუნზე ბუბას გაეღვიძა და იმანაც ფარდიდან გამოჰყო თავი.

– ტანგო, სახლში, ტანგო, რა ხდება, ახლავე აქ მოდი! – პუდელი მიწაზე ეგდო და საპასუხო წკმუტუნის თავიც აღარ ჰქონდა, თეთრ ფაფუკ შუბლზე სისხლი ღვარად სდიოდა. – ტანგული, ეს რა მოგივიდა, ეს ვინ ქნა ტანგული, – იქით-აქეთ იყურებოდა ბუბა, მაგრამ ვერაფერს და ვერავის ხედავდა, თუმცა ეზო საკმაოდ განათებული იყო. წყლის და ბამბის მოსატანად კარავში შებრუნდა.

ამ დროს, ნაძვნარში დამალულმა ტრისტანმა პირში ორი თითი ჩაიდო და ჩუმად დაუსტვინა. სტვენაზე კოკაიების ნაკვეთთან მიწოლილი ქოფაკები ფეხზე წამოხტნენ და ღობეს ეკვეთნენ. ზოგმა უფრო მოზრდილმა ღობე შეანგრია, ზოგი ღობის ქვეშ ღრიჭოში გაძვრა, უფრო მოხერხებულები – ღობეს გადაევლნენ. წამში ექვსმა ქოფაკმა ბუბას პუდელს ალყა შემოარტყა. უყეფდნენ, უღრენდნენ, მისკენ მიიწევდნენ, მაგრამ ტანგოც ვაჟკაცურად ირჯებოდა, უკან არ დაუხევია. მიუხედავად იმისა, რომ სისხლი შუბლიდან პირდაპირ ხახაში თქრიალით ეღვრებოდა, თავგანწირვით ყეფდა, იღრინებოდა და უაზროდ მიიწევდა გავეშეული „მგლების ხროვისკენ“. მერე ყველაზე დიდი ქოფაკი – ჭაღარა, კავკასიური ნაგაზის ნაჯვარი ძუკნა წრეს გამოეყო და ტანგოს, როგორც წიწილას, შიგ კისერში სწვდა. ტანგოს სასოწარკვეთილ ყმუილზე და ძაღლების გამაყრუებელ ყეფაზე კარვიდან ბუბა გამოვარდა. იქვე აყუდებულ სარს ხელი დაავლო და კივილი მორთო.

– მიშველეთ ხალხო, ტანგო, ტანგო, ფუ, ფუ, გაეთრიეთ აქედან, ხალხო, ხალხო, მიშველეთ, გაეთრიეთ აქედან, თქვენი დედა ვატირე! – ხაოდა ბუბა და ძაღლებს სარს

უქნევდა. იმ ნაგაზის ნაჯვარს ტანგო მიწაზე ჰყავდა დაგდებული კისერში ჩარჭობილი ეშვებით და ბუბას ხავილსა და სარის ქნევაზე საერთოდ არ რეაგირებდა. დანარჩენი ძაღლები ბუბასკენ იწევდნენ, მაგრამ თავს არ ესხმოდნენ, ეტყობა ნაგაზისგან ელოდნენ ნიშანს. ტანგო ვეღარც წკმუტუნებდა, უკვე კისრიდანაც სდიოდა სისხლი. ნაგაზი პირს არ უშვებდა, დაკლული ქათამივით ჰყავდა გართხმული მიწაზე და ელოდა, სისხლისგან როდის დაიცლებოდა.

– აქედან გაეთრიეთ თქვე ნაძირლებო, ხალხოოოოოოოოო, სად ხართ, ვინმემ გვიშველეთ, მოკლავენ, დაგლეჯენ, გაეთრიეთ აქედან, გაეთრიეთ... – კიოდა ბუბა და სარს აქეთ-იქით იქნევდა.

ტანგო სისხლისგან იცლებოდა, ძაღლები წრეზე იდგნენ და ბუბას უღრენდნენ, ბუბამ რომელიღაცა მომცროს ისე თხლიშა სარი თავში, ის უკანასკნელი ადგილზე გაითიშა. სანამ დანარჩენები აზრზე მოეგნენ, ბუბა წრეში შევარდა და იქიდან დაიწყო სარის ქნევა. ნაგაზი ტანგოს პირს არ უშვებდა. ტანგომ ბუბა რომ დაინახა, გული მიეცა, ერთი გაფართხალდა ნაგაზის კბილებში და უკანასკნელად ბოლო ხმაზე დაიყმუვლა. ყმუილმა ბუბას ყურის ბარაბნები დაუხეთქა, ტვინი დაუხშო, თვალებზე ლიბრი გადააკრა და დაუფიქრებლად და თავდაუზოგავად შეაგდო თავისი პატარა მეგობრისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ვერაფერს ხედავდა, მაჯით იგრძნო, რომ სარი რაღაც ძალიან მაგარს მოარტყა, მეორეჯერაც მოასწრო მოქნევა და სარი ისევ რაღაც ძალიან მაგარს მოხვდა. ერთი წუთი არ უფიქრია იმაზე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის მაგარი საგანი, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ სარის ქნევას. სულ ფეხებზე ეკიდა, ყვიროდა, ხაოდა, კიოდა, სარს იქნევდა, მაგრამ საცოდავი ტანგოს წკმუტუნის მეტი

არაფერი ესმოდა. თვალში რომ გამოიხედა, დაინახა, რომ ის ძროხასავით ვეებერთელა ნაგაზი კუდამოძუებული მიძუნძულებდა ეზოდან, დანარჩენი ძაღლებიც უკან მიყვებოდნენ.

– ტანგო, ტანგო, ცოცხალი ხარ ჩემო ტანგო? მოდი ჩამეხუტე – ტიროდა ბუბა და ტანგოს იხუტებდა. საცოდავი პუდელი ეცადა, მაგრამ ფეხზე ვერ წამოდგა, მერე ბუბამ სისხლიანი ტანგო გულზე მიიხუტა და კარავში შეიყვანა. კარავში ძვლები გაუსინჯა, თათი ჰქონდა მოტეხილი, კისერი ძვლამდე გამოღადრული, ყური ნახევრად მოჭმული, მაგრამ ცოცხალი იყო, გადარჩა, ორივე გადარჩა, სასწაულებრივად, მაგრამ მაინც გადარჩა. – რა გიყო ტანგო, რა გიყო, ახლა გაუძელი და დილას ექიმთან წაგიყვან, გენაცვალე, ისე მოგარჩენ, ქორწილამდე არაფერი შეგეტყობა – საკუთარი თავის გამხიარულებას ცდილობდა ბუბა. ტანგო სისხლიან თითებს ულოკავდა. – გაუძელი ტანგული, შენი ჭირიმე. მაინც რა იყო ეს? სავსე მთვარემ თუ გააგიჟა ეს გაქუცული ქოფაკები, თორემ როდის ესხმოდნენ ვინმეს თავს. ამათ რომ ჰკითხო, უწყინრები არიანო. ხვალვე მოვახსენებ ტრისტანს, რა უწყინრებიც არიან და მიხედავს. შენ ხვალამდე გაუძელი ჩემო პატარავ! – მოთქვამდა ბუბუსია და ტანგოს ჭრილობებს სველი ხელსახოცებით უსუფთავებდა. სადღაც „პერეკისიც“ იპოვნა. ჭრილობებში ჩაასხა. ტანგოს მართალია აეწვა ნაიარევი, მაგრამ მიხვდა, რომ ასე იყო საჭირო და დაჭრილი თავი ბუბას მორჩილად შეუშვირა.

– ეს რა ბართლობეს ღამე მომიწყვეს ამ უჯიშო ქოფაკებმა, რას ერჩოდნენ ნეტა ჩემ ტანგოს, ვის რას უშავებდა, მაგათსას ჭამდა თუ ტერიტორიას ეცილებოდა, მაგათ თუ ამოიჩემეს, სანამ არ მოკლავენ, თავს არ დაანებებენ – ასეთი ფიქრები ტვინს უღრღნიდა ბუბას. ტანგო ზეწარში

გაახვია და გვერდით მიუჯდა. თეთრი ზეწარი მალე სისხლისგან გაწითლდა, თუმცა „პერეკისის“ შემდეგ სისხლდენამ აშკარად იკლო.

შავბნელი ფიქრები არ ასვენებდა ბუბას. შიშს ჰყავდა ატანილი და თურმე არც ტყუილად. რა იცოდა, ან რას წარმოიდგენდა, რომ პრელუდია დამთავრდა და მთავარი ახლა იწყებოდა.

გარეთ საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, ბუბა კარვის კუთხეში შეიყუჟა, ტანგოს ხელში ატაცება და ჩახუტება მოასწრო, აფეთქება რამდენჯერმე გამეორდა, ბუბას კარავი გვერდზე გადაწვა, ორივე ფარდაში გაეხვა, ბუბა თავს ვერ ითავისუფლებდა, მუხლებზე ფორთხვით როგორც იქნა გამოძვრა ჩამოშლილი კარვიდან და წელში გასწორებული ადგილზე გაშეშდა. მის წინ მთელი სამყარო იწვოდა. ერთხანს გაშეშებული იდგა, ძალიან, ძალიან სწრაფად ფიქრობდა. უცბად ფარდა გამოქაჩა, ტანგოიანად შიგ გაეხვა, კარვის შესასვლელში რომ ბიდონით წყალი იდგა, იმას თავი მოხადა და წყალი მთლიანად თავზე გადაისხა. ეს გააკეთა თუ არა, კივილ-წივილით ზღვისკენ გავარდა. მირბოდა და კიოდა მიშველეთო, მაგრამ არავინ ეხმიანებოდა. უკანმოუხედავად გარბოდა. პატარა ტანგო ისე იყო მოწყვეტილი და დამძიმებული, ბუბა ქვიშაში ძლივს მიათრევდა. როგორც იქნა ზღვამდე მიაღწია (ალბათ, საუკუნის შემდეგ) და სველ ქვიშაში ზღართანი მოადინა.

კიდევ ერთხელ გადარჩა ორივე: ტანგო – დაჭრილი და ღონემიხდილი, ბუბა – ქვიშაში ამოგანგლული და შეუპოვარი. არც კი ახსოვდა საიდან, მაგრამ რატომღაც, ქოფაკს რომ თავში ურტყა, ის სარი იქვე, მათ გვერდით ეგდო. ნეტავ აქ საიდან გაჩნდაო – გაიფიქრა ბუბამ, ნელ-

ნელა იმაზეც დაიწყო ფიქრი, რა მოხდა, რა მეხი გავარდა, რა უბედურება დატრიალდა მის ეგრეთ წოდებულ ეზოში, რომლისგანაც სულ რამდენიმე საათის წინ ელდორადოს გაშენებას აპირებდა? ფეხზე წამოდგა და ეზოსკენ გაიხედა.

სავსე მთვარეზე განსაკუთრებით ლამაზად გიზგიზებდა მისი ეზოს ნაძვნარი, ბამბუკის ღობის მასალა, დაპრესილი თივა შავად ბოლავდა. ცეცხლი უთუოდ პირველად იმას მოეკიდა. რა აფეთქდა ნეტავ? ასაფეთქებელი რომ არაფერი ჰქონდა? ბენზინის ორი კანისტრა? მაგრამ თავდახურული რო იყო? ბუბა ფიქრობდა, კოკაიას კარ-მიდამო კი უმოწყალოდ იწვოდა. ნაპირიდან ხედავდა, როგორ მირბოდა ხალხი ხანძრისკენ ყიჟინით, ზოგი ხელცარიელი, ზოგი წყლით სავსე ვედროებით. ბუბას კივილი არავის გაუგია, ცეცხლის გრიალმა კი ყველა ფეხზე წამოაგდო. ბუბა და ტანგო ნაპირიდან არ განძრეულან. ხალხს ორივე კარავში გამომწვარი ეგონა. ცეცხლთან ახლოს ვერავინ მიდიოდა, ისე გარედან ასხამდნენ წყალს ყოველი შემთხვევისათვის, სინდისის დასამშვიდებლად. აბა თუნდაც ათასი ვედრო წყალი რას უშველიდა ასეთ გრანდიოზულ ჭიაკოკონას?!

– მართლა რომ ღმერთისგან მივიწყებული ადგილია, თორემ ნახევარი ტყე ჩვენ თვალწინ გადაიწვა და კაცი პატრონი არა ჩანს, სახანძროც კი არაა ამ ქვეყანაში – აღშფოთებას ვერ მალავდა კაპროვანის ახალი დამსვენებელი.

– რა იცით, რო ეს ხანძარი სპეციალურად არ გააჩაღეს? ამ ხეების ადგილას ახლა სასტუმროს წამოჭიმავენ, გამოცდილი მეთოდია, მთელი წყნეთი და ბაგები ასე არ გადაწვეს? – ტოლი არ დაუდო პირველს მეორე დამსვენებელმა.

– გამოვიძახეთ ბატონებო სახანძრო, მაგრამ ურეკიდან მოდიან და დილამდე ალბათ ვერ ჩამოასწრებენ – თავი იმართლა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა.

– აგაშენათ ღმერთმა, აბა რას ვამბობდი, ესენი სახანძროსთანაც მოლაპარაკებულები არიან, დილამდე ერთი ნაკვეთი კი არა, მთელი კაპროვანიც თავისუფლად გადაიწვება, – გადაუჩურჩულა პირველმა დამსვენებელმა მეორეს. ამ დროს ჭორიკნებს ვიღაცები სავსე ვედროებით უკნიდან მოადგნენ, გვერდზე გასწიეს და ცეცხლის ენებს წყალი შეასხეს.

– კარგი ერთი თუ კაცი ხარ! – ჩაიქნია ხელი მესამე დამსვენებელმა და იქაურობას გაეცალა. მას სხვა დამსვენებლებიც მიჰყვნენ.

ხანძარმა რაც დასაწვავი იყო, უკვე ყველაფერი გადაყლაპა, ახლა ნელ-ნელა ქვემოთ იწევდა, ცოტაც და მალე ბავშვების სახტუნაო ჭიაკოკონად გადაიქცეოდა. ბუბა ზღვის მხრიდან ღობესთან იდგა და ტიროდა. გაღმიდან ვიღაცამ დაინახა და სიხარულისგან ყვირილი მორთო, ნახეთ, ბუბუსია ცოცხალია, ხალხო, გადარჩენილაო.

– ჯობდა მომკვდარიყო, რობერტა მთელ ზარალს ახლა მაგას მოკითხავს, წესით მაგისი ბრალია და უნდა აუნაზღაუროს, – უადგილოდ და უკბილოდ იხუმრა რობერტას კარის მეზობელმა.

ათიოდე კაცი მთელი ღამე ცეცხლმოკიდებული ეზოს გარშემო საქმიანობდა, სეირის მაყურებელი „მასა“ დაიშალა და დასაძინებლად სახლში დაბრუნდა.

* * *

– სოფლელები ვერაფერს გახდნენ, ვერაფერი გადაარჩინეს... აღარაფერი დარჩა კოკაიას ნაკვეთისგან, კაპიკია აწი მაგისი ფასი – ჩაურაკრაკა ანგარიში სავარძელში ჩამჯდარ ლედის ტრისტანმა.

– ის ბუბუსია გადარჩა? – იკითხა ლედიმ.

– სასტიკად ტიროდა საცოდავი, მეზობლები ამშვიდებდნენ, მაგრამ ისიც დაუნამიოკეს, კოკაია ზარალს შენ გადაგახდევინებსო. მაგისი ბრალია და წესით უნდა აუნაზღაუროს – იმ ვიღაცის უკბილო ხუმრობა გაიმეორა ტრისტანმა.

– ვისა, რობერტას? ამ უბედურმა რამე უნდა აუნაზღაუროს იმ ჩათლახ რობერტას? სამართალი სადაა, ეგ ხანძარი რა, რობერტას მოწყობილი არ იქნება? გინდა დაგენიძლავო? ასიანი მაგისი ჩაწყობილია. ძაღლებმა იჩხუბეს და ბენზინის ბიდონი წააქციესო, ასე არ თქვი? ის ძროხასავით ნაგაზი, ბუბას ძაღლი რომ დაგლიჯა, რა, რობერტას ძაღლი არ იყო? ჰოდა, იმის ხალხმა მიუქსია ის ძაღლები, თუ გინდა დაგენიძლავები, მერე ბიჩოკიც მიუგდეს ბენზინმოსხმულ თივაზე და მთელი ალია-ბალიაც ეგაა, – ასე წვრილად ჩამოუყალიბა ლედიმ ხანძრის სცენარი ტრისტანს, რომელსაც ახლა ისღა დარჩენოდა, ეს სცენარი ლამაზად შეეფუთა და მთელი კაპროვანისთვის სიმართლედ მიესაღებინა. – იმ ჩათლახს ახლა ბუბუსიასგან უნდა ფულის ამოღება, არა? ეგრე სადაა ძმაო, აბა აქ რისთვის ვართ მაგარი ქალები, მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის რას და რამდენს აახევს, – ამბობდა ლედი და სიამოვნებისგან ჟრუანტელი უვლიდა.

ტრისტანი ისე უქნევდა ლედის თავს ყოველ სიტყვაზე, შუბლის ძარღვიც არ ატოკებია, კაცი იფიქრებდა, ამ ორს კაპროვანის ამღამინდელ „ჭიაკოკონასთან“ შეხება

საერთოდ არ ჰქონიაო. ბომჟები ხომ სახსენებლადაც არ ღირდნენ, იმათ იმდენი არაყი ხუხეს, ჭიაკოკონა კი არა, საკუთარი სახელი აღარ ახსოვდათ.

– ბუბასთან უნდა წავიდეთ, ვნახოთ ერთი რაში შეიძლება დავეხმარო, – უცებ გამოაცხადა ლედიმ. ტრისტანს ჯერ თვალები გაუფართოვდა (ეგეც კი არ ელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას), მერე ოდნავ თავი შეაქნია, თითქოს ტვინს ინჯღრევსო და ლექსივით ჩააბულბულა:

– არა, ძალიან მაგარი ხარ ლედი, რა, უმაგრესი, ვინ შეგედრება დედამიწის ზურგზე, შენზე კეთილი და გამგებიანი ვინ არის ამ ქვეყანაზე, შენ ხარ კაპროვანის სამართალი, შენ ხარ...

– წამო-მეთქი, რას გაილექსე, პირველად ხომ არ ვეხმარები გაჭირვებულს. იმ დედაკაცს ახლა თუ არ მივხედე, ვეშაპები თავ-ფეხიანად გადაყლაპავენ (ნეტავ ვინ ყავდა მხედველობაში – ტრისტანიც კი ვერ ხვდებოდა ამას). მალე კოკაიების ნახანძრალსაც მიადგნენ. იქ ხალხი უკვე დაშლილიყო, ერთი-ორი ადგილობრივი კანტიკუნტად დაბორიალობდა, ეგებ რამე მაინც გადავარჩინოთო. ბუბა არ ჩანდა. ტრისტანმა იმათ ჰკითხა, ბუნგალოს პატრონი ხომ არ დაგინახავთო. იმათ უპასუხეს, როშჩაში ვიღაც წყვილმა თავისი პალატკა დაუთმო და თვითონ მანქანაში სძინავთო. ლედი იმ კარვისკენ წავიდა. ბუბა თავის ტანგოსთან ერთად კარვის კართან იჯდა და მანქანის ფარების სინათლეზე ძაღლს მალამოს უსვამდა. ისევ ის შავი კაბა ეცვა, ისევ კეფაზე აწეული ქერა კულულები, ისევ ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი ძუძუები, მაგრამ ეს ყველაფერი საერთოდ აღარ აღიზიანებდა ლედის, არც მისი ახალგაზრდობა ახსოვდა, აღარც ვნებიანობა, არც ის იმედით სავსე თვალები, რამდენიმე საათის წინ ჭკუაზე

რომ კინაღამ გადაიყვანა. ახლა ბუბას თვალებში ჩამდგარი სევდა, სასოწარკვეთა და უიმედობა უკლავდა გულს, ისე უკლავდა, რომ მის შემხედვარეს მუხლი კინაღამ მოეკვეთა, კიდევ უფრო ლამაზი მოეჩვენა ბუბუსია, ღვთისმშობელივით სათნო და მისი თაყვანისცემა მოუნდა.

– ეს რა უბედურება დაგმართია ბუბა, რა გიშველო, მითხარი, რით დაგეხმარო, – მისკენ მაიმუნივით ორი გრძელი ხელი გაიშვირა და გულში ჩაიხუტა. – ნუ გეშინია, აქ არა ვარ, შენ თავს არავის დავაჩაგვრინებ!

– რას ამბობ, ლედი, ამ ამბავს რაღა ეშველება, ამხელა ზარალში ჩავაგდე კაცი, რობერტს რა თვალით შევხედო, ამხელა ზარალი რით ავუნაზღაურო. – ატირდა ბუბუსია.

– შენ რობერტაზე რას ფიქრობ, შენი რა ბრალია, მაგის ძაღლმა თუ ბენზინის ბალონი წააქცია და ვიღაცამ კიდევ ზედ ბიჩოკი დაუმატა. ბოლოს და ბოლოს შენი ძაღლი არ დაგლიჯეს? შენ რა შუაში ხარ, რობერტა თუ ბიჭია, მოვიდეს და მე დამელაპარაკოს! მაგას ეგ ნაკვეთი ასჯერ ექნება დაზღვეული, შეიძლება ამ ხანძრისგან კარგად იხეიროს კიდეც. რობერტას ნუ მასწავლი, მოხარშულს ვიცნობ.

– რა ვიცი, ძალიან კი მეშინია, არადა ამ ნაკვეთზე ისეთ იმედებს ვამყარებდი. ისეთი კარგი გეგმები მქონდა, ჩემი პატარა ბიზნესიც ამ ნაკვეთის იმედად გავყიდე. ახლა ცარიელ-ტარიელი დავრჩი. რობერტამაც რომ არაფერი წამართვას, აქ ფეხმოსაკიდი აღარაფერი დამრჩა. ტანგოც კი დამიგლიჯეს, ჩემი ლამაზი ტანგულიკო, – ისევ წაუტირა ბუბუსიამ.

– დაიცა, ძაღლი კოჭლობით როდის მომკვდარა. შენს თავზე იფიქრე, თუ ფიქრი არ შეგიძლია, მე მომისმინე, ცუდს არაფერს გირჩევ. ასე უპატრონოდ, კარავში ხომ ვერ

მიგაგდებ, ქალი არა ვარ? წამოდი, დროებით ჩემთან მოითქვი სული. არც ქირა მინდა შენი და არც ამ ძაღლის ადგილს დაგამადლი. წამო და თუ გუნება-განწყობა დაგიბრუნდა, საქმის გამართვაში მეც დაგეხმარები. დავანახოთ ამ პირუტყვებს, რა შეუძლია ქალურ სოლიდარობას (ეს „სოლიდარობა“ საიდანღა გააძროო, გაოცებული ფიქრობდა ტრისტანი). რობერტაზე უკეთესი ადგილი მაქვს ზღვის ნაპირზე, პირველ ზონაში, მიდი და იქ ააშენე შენი „ერდოღანი“, – შესთავაზა ლედიმ ბუბას.

– ელდორადო, – შეუსწორა ბუბამ – ელდორადო.

– ჰო, მართლა, ეს ელდორადო რომ არ ვიცი რა არის?

ბუბამ ვერ მოიფიქრა, როგორ აეხსნა ლედისთვის სიტყვა „ელდორადო“, რადგან ბოლომდე თავადაც არ იცოდა მისი მნიშვნელობა, ყური ჰქონდა მოკრული და ჟღერადობა მოსწონდა, ამიტომ, მოკლედ მოუჭრა, ელდორადო არის ოცნების ბაღი, სამოთხე დედამიწაზეო.

– მართლა? მერე მაგას მიმალავდი? მე ავაშენებ მაგ სამოთხეს და შენ შიგ გინდა ბუნგალო ჩადგი, გინდა ქაჯეთის ციხე. ლედის ელდორადოში ბუბას ბუნგალო! „ლედი – ბუბა ლენდი“ – როგორი კომბინაციაა, ჰა! რობერტას ჭაობი აღარ მიხსენო იცოდე! – ლედი მხრებში გაიშალა და ისედაც გრანდიოზული სრულიად კაპროვანის იმპერატრიცას დაემსგავსა.

– რას ამბობ ლედი, ქალბატონო ლედი, მართლა? არ მჯერა, მართლა დამეხმარები?

– დახმარება რა მოსატანია, შენი პარტნიორი გავხდები, ოფიციალური პარტნიორი, რობერტასავით ბუჩქებიდან კი არ გავატრაკებ, ფუი მაგისი...

– არც კი ვიცი რა ვთქვა, ღმერთივით გამომეცხადე ამ შუაგულ ტყეში, წარღვნის შემდეგ, – ბუბამ მადლიერი თვალები ლედის მიაპყრო და პირჯვარი გადაიწერა, მერე მისი ხელი გულზე მიიხუტა და ზედ ეამბორა.

– კარგი, კარგი, არც ისეთი წმინდანი ვარ, ხელებს რომ მიკოცნი, მაგრამ სამოთხე მაინც უნდა ავაშენო, აბა შენ და ტანგო რისი ამშენებლები ხართ... ლედის ხმამაღლა გაეცინა, მერე ხარხარი აუტყდა, ისე ახარხარდა, კოკაიას ეზოში დარჩენილი მინავლული ნაკვერჩხლები თავიდან აალდნენ.

ამ ამბის შემდეგ, ზუსტად ერთი კვირის თავზე, ტრისტანის ბრიგადამ ლედის სანაპირო ზონაზე ბუბას ბუნგალოს გადასახურად საუკეთესო ხარისხის დაპრესილი ისლი მოიტანა. ტანგო კოჭლობით იქვე ეზოში დაცუნცულებდა, ძირითადად კი იწვა და ჭრილობებს ლოკვით იშუშებდა (სადაც მიწვდებოდა). ქოფაკები აღარ ერჩოდნენ, პირიქით, შიშით შორიდან უვლიდნენ ლედის ზონას, ორი თავი ვის ჰქონდა! ლედი დღეში რამდენჯერმე აკითხავდა მშენებლობას, შეზლონზე წვებოდა, წითელ „მალბოროს“ აბოლებდა და ჰორიზონტს გაჰყურებდა, ვიდრე ბუბუსია თავის მესიას „პა ვარშავსკის“ მოუდუღებდა. სამოთხე შენდებოდა, ბუნგალო ისლით იხურებოდა, ლედი ჩამავალ მზეს გასცქეროდა...

– ესეც ჩემი ბოლო ნადირობა კაპროვანში – კმაყოფილმა წაიჩურჩულა და სიტყვებს ტალღებად „მალბოროს“ მოიისფრო კვამლის პატარ-პატარა რგოლები ამოაყოლა.

4. დრამატურგია

ზურაბ რთველიაშვილი

ქვემოდან ზემოთ (პოეტური კინოსცენარი)

მოქმედი პირები:

1. რეჟისორი
2. რეჟისორის ასისტენტი ანგელოზი
3. ხმის ანგელოზი
4. გამნათებელი ანგელზი
5. ოპერატორი ანგელოზი
6. პოეტი
7. მსახიობი გოგონა
8. საკულტო მუშაკი
9. სწრაფი კვების კონფესიის ადეპტები
10. მშვიდობის აქტივისტები
11. პირველი საქმიანი კაცი
12. მეორე საქმიანი კაცი
13. მესამე საქმიანი კაცი
14. სცენარისტი
15. ქერუბიმები
16. ამბოხებული სტუდენტები
17. უჩაფხუტო პოლიციელი
18. სანტა კლაუსი
19. სტამბის დარაჯები
20. უსაფრთხოების ღვედებით სავარძლებზე მიბმული მგზავრები
21. იდეის დიზაინერი

მინდა სპეციალური მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, არაჩვეულებრივ გერმანელ კინორეჟისორს, ჯულიან რადლმაიერს, რომელმაც 2015 წლის შემოდგომაზე მიმიწვია ბერლინში თავის ფილმში სათამაშოდ და

იმავდროულად გახდა მთავარი ინსპირატორი ამ პოეტური ტექსტის შექმნის პროცესში...

სცენა #... (ძველი უნივერსიტეტის წინ სტუდენტებმა ააგეს ბარიკადები – მეორე მხარეს დგანან ოფიციალური პირები: განათლების სამინისტროს მუშაკები და სრულ მზადყოფნაში მოყვანილი პოლიციელები სპეციალურ ჩაფხუტებში)

პირველი სტუდენტი: ჩვენ ავაგეთ საკუთარი ხმებისგან შეუვალი ბარიკადები და ავტოკალმები გადავტენეთ ამბოხებით, ჩვენი სამიზნეა უვარსკვლავებო ღამე, მზის სხივებზე ალესილ ჩვენი ხმების მახვილებს გაუსწორეთ მზერა!

მეორე სტუდენტი: ახლა ის დროა, ცეცხლმოკიდებულ სიტყვებს ვისროდეთ ჩვენი ხმებისგან აღმართული ხმამაღალი ბარიკადებიდან!

(ხმა კადრის მიღმა: ვიდრე რეაქციონერები გაარღვევენ ბარიკადებს, ვიდრე პოლიციელები აღმართავენ ხელკეტებს ცისკენ, შეხსენით მგზავრებს მკერდზე გადაჭერილი უსაფრთხოების ღვედები!)

ოპერატორი ანგელოზი: გადაღებულია! შესანიშნავი კადრები გამოვიდა, დარწმუნებული ვარ, რომ მეორე დუბლი აღარ არის საჭირო.

რეჟისორი: სიტყვაზე გენდობი, დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კადრებს აღარ დავუბრუნდებით...

ახლა კი ყურადღება გაამახვილე იმ ახალბედა უჩაფხუტო პოლიციელზე, განცალკევებით რომ დგას კიბის მოაჯირთან, მსხვილი ხედით აიღე მისი გაორებული მზერა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მიმართული ქვემოდან ზემოთ...

ოპერატორი ანგელოზი: გასაგებია, მაესტრო...

სცენა #...

გამნათებელი ანგელოზი – რეჟისორს: სწორად შერჩეული განათება ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენს საქმეში, თუმცა, ცალკე, კონტექსტიდან ამოგლეჯილი სინათლე სამყაროსთვის არაფერს ნიშნავს, ეს, უბრალოდ, პროჟექტორის მკვეთრი შუქია და ცალკეული მეტ--ნაკლებად გამოკვეთილი შუქ-ჩრდილები...

ისინი ვერასოდეს მოგიყვებიან კონკრეტულ ამბავს, თუნდაც მარტივ ნახევარგვერდიან ზღაპრებს ან მოკლე იგავს, აქ მთავარია, საითკენ მიმართავ სინათლის ნაკადს პროჟექტორიდან... რას გაანათებ, შიშველ სხეულებს, თუ უცაბედად ჩაფიქრებულ ტირანის ღიმილს.

სცენა იგივე, დუბლი #7

ხმის ანგელოზი: ჰო, მართალია, ასე თუ ვიტყვით, თავისთავად ხმა რაღას ნიშნავს?..

რეჟისორი: არაფერს ისეთს, უბრალოდ, ხმაურს, ყრუს ან მკაფიოს, მსგავს შემთხვევაში ხმაც ხმაურია, კადრის მიღმაა, თუ შეჭრილია პირდაპირ კადრში...

გამნათებელი ანგელოზი – რეჟისორს: რას იტყვით მზეზე, რომელიც ფანტავს თავის სხივებს უანგარიშოდ? მას არც განრიგი არ ანაღვლებს, არც ანგარება, მისთვის არა აქვს

მნიშვნელობა თვით განლაგებას, ვის გამოათბობს ან აჩვენებს გზას ქალაქისკენ...

რეჟისორი: ეს იმას ნიშნავს, მზე უფალსაც არ ეკითხება, ისე ანათებს თავის სხივებს უმისამართოდ, თავაგდებულად, დაუდევრად, დაუფიქრებლად, დილა-საღამოს ფანტავს სხივებს დაუსაბამო მზე...

სცენა #... (გადასაღები მოედანი, ქალაქის შუაგულში სასახლის ფართო აივანზე გამოდის სამხედრო მუნდირში გამოწყობილი გაბრიელე დ'ანუნციო და სიტყვით მიმართავს ამბოხებული ფიუმეს მოქალაქეებს)

ასისტენტი ანგელოზი: მაესტრო, ეს ხომ ფაქტობრივად ფინალური სცენაა?!..

რეჟისორი: ამას ახლა არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, საბოლოო ჯამში ყველაფერი გადაწყდება სამონტაჟო მაგიდაზე, აქედან გამომდინარე, ბოლოდან დავიწყებთ ამ ფილმის გადაღებას თუ თავიდან, ეს საქმის ვითარებას არ შეცვლის, მითუმეტეს, რომ დღეს შესაბამისი ამინდია ამ სცენისთვის, ხვალ კი – პირიქით, შეიძლება, გაიავდროს, ან მსახიობი არ იყოს ასეთ კარგ ფორმაში, როგორც ახლაა...

ასისტენტი ანგელოზი: დ'ანუნციო თქვენი ფავორიტი პერსონაჟია?

რეჟისორი: კი, მე მიყვარს ცნობილი და მკვდარი პერსონაჟები (ეღიმება ულვაშებში).

ასისტენტი ანგელოზი: შეგიძლიათ, გამანდოთ ამის მიზეზი?

რეჟისორი: მკვდრებთან იოლია მუშაობა, ისინი არასდროს გეკამათებიან, მათთან ადვილია მოლაპარაკება, როცა გინდა და რასაც გინდა, იმას ათქმევინებ მკვდარს...

სცენა #... (რეჟისორი და სცენარისტი დგანან ქუჩაში «მაკდონალდსის» სასახლესთან და რაღაცაზე გამალებით საუბრობენ, სცენარისტი აკვირდება იქვე განთავსებულ სარეკლამო აბრას, საიდანაც გამვლელებს არაბუნებრივი გამომეტყველებით უღიმის «კოკა-კოლას» ფერებში გადაცმული სანტა კლაუსი)

სცენარისტი: ვინ იფიქრებდა, რომ წმინდა ნიკოლოზი ამ კორპორაციასთან თანამშრომლობას დათანხმდებოდა.

(რეჟისორი გახედავს სცენარისტს ორაზროვანი ღიმილით)

რეჟისორი: ერთი ჩემი ძველი ლექსი გამახსენდა ამ თემაზე...

სცენარისტი: არ ვიცოდი, თუ ლექსებსაც წერდით, მაესტრო!

რეჟისორი: ლექსებს პიერ-პაოლო პაზოლინი წერდა, მე კი...

აი, მისმინე: როცა ღიღინით ჩაუყვება სიზმრის მაღაროს
გონება ფრთხილი
ის უსათუოდ იპოვის სამ ხილს
ვაშლს
მსხალს
ფორთოხალს
ყველა ხილულ ხილს
და
არახილს
და
«კოკა-კოლით» გალეშილი სანტა კლაუსი
შეკაზმავს მარხილს საშობაო მეტაფორებით...

სცენარისტი: და მაინც, როგორ ფიქრობთ, სანტა კლაუსი წმინდა ნიკოლოზის ალტერ ეგოა ამ შემთხვევაში?

რეჟისორი: ეგ უკვე შენი გადასაწყვეტია, სცენარისტი ხომ შენ ხარ, მე ტექსტის საბოლოო ვერსიას როცა გავეცნობი, მერე გეტყვი ჩემს აზრს, კოლეგა...

სცენა #... (კასტინგზე მისული სექსუალური გარეგნობის ახალგაზრდა მსახიობი გოგონა მოშიშვლებულ უკანალს გამომწვევად ათამაშებს რეჟისორის წინ)

რეჟისორი: ძვირფასო კოლეგა, უმორჩილესად გთხოვთ, შეწყვიტოთ ეს უაზრო მსხვერპლშეწირვის რიტუალი, მერწმუნეთ, რომ ეს აქ არავის სჭირდება. უფრო მეტს გეტყვით: მე დასანახად ვერ ვიტან რეჟისორისთვის თავდადებულ ადამიანებს, ისინი დაახლოებით ისეთსავე ანტიპატიას იწვევენ ჩემში, როგორც ღვთის სახელისთვის თვითამფეთქებელი ტერორისტები.

დამიჯერეთ, კინემატოგრაფიის სამოთხეში მოსახვედრად არ არის საჭირო ამხელა მსხვერპლის გაღება...

მსახიობი გოგონა: მაპატიეთ, მაგრამ თქვენზე მითხრეს, რომ სექსისტი ხართ, ამბობენ, რომ ზევიდან ქვევით უყურებთ ყველას, განსაკუთრებით კი დამწყებ მსახიობ გოგონებს...

(რეჟისორი გაჭირვებით ცდილობს შეიკავოს სიცილი, იგი ქვევიდან ზევით აათვალიერებს მსახიობს)

რეჟისორი: არა, მე სექსისტი არა ვარ, არა, მე ფუტურისტი ვარ, უფრო ზუსტად კი ანარქო-ფუტურისტი და ჩემი მზერა მუდამ მიმართულია ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით, ამიტომ ჩემგან დამცირებას სულ ტყუილად ელით...

(ასისტენტი ანგელოზი მიირბენს ოპერატორ ანგელოზთან)

ასისტენტი ანგელოზი: საკმარისია, მეორე დუბლი სრულებით გვაკმაყოფილებს, ვფიქრობ, მესამე აღარ დაგვჭირდება!

(რეჟისორი მსახიობებთან და გადამღებ ჯგუფთან ერთად გადის გადასაღები მოედნიდან მოსასვენებელი კარავის მიმართულებით)

სცენა #... (მოულოდნელად ჰორიზონტზე გამოჩნდება ტრაფარეტებით შეიარაღებული უცნაური ხალხი, ისინი სწრაფი ნაბიჯით მოემართებიან გადასაღები მოედნისკენ. მიწა-თხრილების წინ უსწორმასწოროდაა განლაგებული სამხედრო ტექნიკა: ორიოდე ტანკი და მძიმე ქვემეხი, ერთ-ერთი ტანკის გუმბათს უკიდია ცეცხლი და ხრჩოლავს შავი კვამლით, აღშფოთებული ოპერატორი ანგელოზი წყვეტს გადაღებას, გამნათებელი ანგელოზი განცვიფრებისგან ფრთებს იჩეჩავს და მზერას არიდებს გაავებულ ოპერატორს, იქვე დგას დოინჯშემოყრილი, სხვებზე არანაკლებ გაოგნებული რეჟისორი)

დემონსტრანტები: ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისთვის! ჩვენ ვგმობთ ომს და ძალადობის ნებისმიერი სახით პროპაგანდას!

(დემონსტრანტებს უერთდებიან სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ლიდერები)

რეჟისორი: (მიმართავს დემონსტრანტებს) მეგობრებო, თქვენ უბრალოდ დამანახეთ ის ადამიანი, ვისაც ომი და ძალადობა ახარებს, თუ მას არ გააჩნია ამისათვის სერიოზული მიზეზი...

აგრესორები ომებით მოიპოვებენ საკუთარ მატერიალურ მშვიდობას და სიმშვიდეს, ისინი ომებით იმტკიცებენ უსაფრთხოების და მატერიალური კეთილდღეობის

განცდას... თქვენ კი მშვიდობის სახელით დაგეგმილი დემონსტრაციებით ამარცხებთ საკუთარ ჯიბეში მოსალოდნელ უფულობას, მაგრამ თუნდაც ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ ამ უთავბოლო თამაშით გაბეზრებულმა ღმერთმა შეიცვალა მზერის ტრაექტორია, ქვემოდან ზემოთ ამოგხედათ და მშვიდად გითხრათ, რომ ომიც და მშვიდობაც ცარიელი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ცნებებია, რომლებსაც თქვენ როგორც წყალწაღებულები ებღაუჭებით ამ დაუსრულებელი სიტყვიერი ნიშნების ქაოსში...

სცენა #... (იდეალურად მოწმენდილ ცას ქვევიდან ზევით კინოოპერატორი ანგელოზის ფართო ობიექტივიდან გაჰყურებს თითქმის უჩინარი ღმერთი;

სხვადასხვა ფორმის და ფერის ფეხსაცმელში სხვადასხვა სიმკვრივით ჩალაგებული მილიარდობით ფეხი უსწორმასწოროდ მოძრაობს რუხი გრანიტის გაპრიალებულ ფილებზე სწრაფი კვების ფეშენებელური ტაძრის წინ, სამრეკლოს თავზე რიტუალისთვის ემზადებიან საკულტო კვების მუშაკები:

«იცეკვეთ ჩვენი ცეკვა ყოველდღიური მოხმარების გმირებო!» გაჰკივიან მაღალი სამრეკლოდან «მაკდონალდსის» და «ბურგერკინგის» ფერხორციანი მოძღვრები და სწრაფი კვების კონფესიის ადეპტები.

(ოპერატორი რაღაცას უხსნის გამალებით გამნათებელ ანგელოზს)

«გადაიღე! სასწრაფოდ გადაიღე სწრაფი კვებისთვის თავდადებული სახეები!

(გაჰყვირის აღელვებული რეჟისორი ოპერატორს)

ერთ ამოსუნთქვაში, ერთ დუბლში გადაიღე!

გულით გადაიღე, თვალით გადაიღე, ერთი ჩასუნთქვიდან მეორე ამოსუნთქვამდე გადაიღე!

ვიდრე არ გაცივებულა კადრი, ვიდრე არ გაცვეთილა ბროლი თვალის გუგებში, ვიდრე გასტრონომიულ ღრეობაში არ გადაზრდილა ეს იდუმალი სერობა, გადაიღე!

შენი სურვილების ფართო საინზე გადაიღე!

ვიდრე მორიგმა გეგმიურმა აფეთქებამ არ ჩალეწა მკვდარი თეატრების და ბიბლიოთეკების შემინული ფასადები, გადაიღე!

ვიდრე მაცხოვარმა კინწისკვრით არ გამოყარა მსოფლიო სავაჭრო ცენტრში ჩასახლებული საქმიანი პროსტიტუტები, გადაიღე!

ვიდრე უოლსტრიტის 60 ნომერში მძაღე ტროტილით გამომძღარი ტერორისტი არ შევარდნილა, გადაიღე!..

სცენა #... (ტაძრის საკურთხევლიდან ხვნეშით - მოლასლასებს ლოყებღაჟღაჟა, ახმახი საკულტო მუშაკი, შემდეგ იგი შენელებული მოძრაობით კისერზე იკიდებს მძიმე ოქროს ჯვარს და აზრისგან დაცლილ მრისხანე მზერას ესვრის ტაძარში ახალშემოსულ, უთავსაფრო მოკლეკაბიან, სიმპატიურ გოგონას)

მსახიობი გოგონა: ნეტავი როგორი მზერით გამომხედავდა უფალი, მის ადგილზე რომ ყოფილიყო?

რეჟისორი: სტოპ! სტოპ! სტოპ!

მოემზადეთ შემდეგი დუბლისთვის!

მსახიობი გოგონა: რა მოხდა?

რეჟისორი: შეცდომა დაუშვით ტექსტში...

მსახიობი გოგონა: (გაკვირვებით) რა შეცდომა?

რეჟისორი: (ოდნავ გაღიზიანებული ინტონაციით) თქვენ უნდა გეთქვათ: «ნეტავი როგორი მზერით ამომხედავდა უფალი, მის ადგილზე რომ ყოფილიყო?»

თქვენ კი როგორ თქვით? რა თქვით?!..

ამ ნიუანსს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სცენარში...

სცენა #... (კადრის მიღმა ისმის ძლიერი წვიმის ხმა, გადასაღებ მოედანს სასწრაფოდ ტოვებენ მსახიობები და ტექნიკური პერსონალი, ისინი თავს აფარებენ მინდვრის შუაგულში გამართულ კარავს, სადაც დანარჩენი გადამღები ჯგუფის წევრები უსხედან გრძელ ფიცრულ მაგიდას და ცხელ ყავას შეექცევიან)

რეჟისორი: ბასტა! ჩაგვეშალა დღევანდელი გადაღება...

როგორც ჩანს, ეს ღვართქაფი დღის ბოლომდე არ შეწყდება...

ოპერატორი ანგელოზი: ნეტავი ამით რისი თქმა უნდა ღმერთს, მაესტრო?

რეჟისორი: ის, რაც უნდა ღმერთს, ყველაფერი სწორია, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ კი არ არის სწორი, რადგან ღმერთს უნდა ასე...

ოპერატორი ანგელოზი: საოცარი, შეიძლება ითქვას ცოტა უცნაური სიტყვებია მათეს სახარებიდან...

რეჟისორი: შენ არ იფიქრო, ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მწამს ღმერთის, უბრალოდ არ ვიცი, თავად ღმერთს თუ აქვს რწმენა. დანამდვილებით მინდა ვიცოდე, სად გადის ზღვარი ღმერთის რწმენას და ურწმუნობას შორის, მინდა

ვიცოდე, ვისი სწამს, რისი სწამს თავად ჩვენი გალაქტიკის მთავარ არქიტექტორს...

ოპერატორი ანგელოზი: ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ, ყველა, მისი სტატისტები ვართ...

რეჟისორი: პირველ რიგში მისი აბეზარი აბონენტები...

ოპერატორი ანგელოზი: საინტერესოა, რომელ ოპერატორს ენდობა იგი?

რეჟისორი: ის ალბათ ყველაზე მარტოსული არსებაა ამ ჩაბნელებულ კოსმოსში, სადაც მხოლოდ შორეული ვარსკვლავები ბჟუტავენ, როგორც დაბალვატიანი ელნათურები...

(ოპერატორი ანგელოზი არ ჰკარგავს იმედს და ქვევიდან ზევით აკვირდება გაავდრებულ ცას საკუთარი კამერის ფართო ობიექტივიდან)

სცენა #...

ასისტენტი ანგელოზი – რეჟისორს: უჩვეულოდ ლამაზი დილა გაგვითენდა გადაღებისთვის...

რეჟისორი: გეთანხმები, თუმცა, ძენის რომელიმე ოსტატი იგივე ფრაზას შემდეგნაირად იტყოდა:

ყოველი დილა ლამაზია და აღდგომაც ყოველდღიური ჭეშმარიტებაა და არა ერათჯერადი დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავენ აფორიაქებული ადამიანები...

ამგვარად იღვიძებს ჩვენი სული და მასთან ერთად აღსდგება ყოველ დილას ხორცი ჩვენი...

ამ ტაძრის გუმბათის ქვეშ ყველაზე მკაფიოდ ისმის ხმები ჩვენი...

აქ არ კითხულობენ მოჩვენებით ლოცვებს, აქ ყველა ფრესკა ჩვენთვის საყვარელი ადამიანების სახეს გვაგონებს, სადაც ყველა ნაცნობი და უცხო არსება საკუთარი ლოცვებით შემოდის აღდგომის დილას...

სცენა #... (ქალაქის ცენტრალური ნაწილი, შუადღე, არტ-ნუვოს სტილში აშენებული ძველი სახლის სადარბაზოდან გამოდის ჩაფიქრებული პოეტი)

პოეტი: ესეც ვიცოდი, რომ ზუსტად ეხლა, ამ ტექსტის ფინალში დამაკლდებოდა რამოდენიმე საკვანძო სიტყვა.

სულ ტყუილად ვათენე გუგლის ვიწრო სარკმელში ეს გრძელი ღამე, ხუთი წუთითაც ვერ ჩავიძინე ამ მოუხერხებელ საიტზე, ერთი შესაფერისი ლინკიც კი ვერ მოვიძიე, რომ შვებით ჩამომედო თავი...

პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი პირველი მოიპარა პირველმა პოეტმა...

ვის ახსოვს დღეს სახელი მისი?

ვინ იცის, როგორ გამოიყურებოდა პირველი მესიტყვე?..

როდესაც პირველად აგებულ ტაძარში გაისმა პირველი ლოცვა, როცა პირველად აგებულ სასახლეში შევიდა პირველი მეფე, როდესაც პირველ საპყრობილეში გამოკეტეს პირველი პოეტი, როდესაც პირველად მოჭრილი თავი გამოისყიდეს პირველი მოჭრილი მონეტით, გაუფასურდა სიტყვა იგი პირველი და გახდა სიტყვა იგი უკანასკნელი...

(მოპირდაპირე სახლის აივნიდან რეჟისორი ფრთხილად აკვირდება პოეტის მოქმედებას, მის გვერდზე მდგომი ოპერატორი ანგელოზი ცდილობს ზუსტად გადაიღოს მიმდინარე სცენა)

რეჟისორი: ვფიქრობ, ეს პოეტი საკმაოდ გასცდა ჩვენი კინოსცენარის ჩარჩოებს, მართალია მე მას მივეცი მცირედი იმპროვიზაციის საშუალება, მაგრამ...

ოპერატორი ანგელოზი: ნუ გავიწყდებათ მაესტრო, რომ ის პირველ რიგში პოეტია და შემდეგ უკვე კინოარტისტი. როგორც იტყვიან, შეუცნობელია გზანი პოეტისა, ვითარცა მუზა მისი დაფარულ არს უცხო მზერისთვის...

(პოეტი ნელი ნაბიჯით ჩაივლის მოპირდაპირე სახლთან, რომლის აივანზეც განლაგდა გადამღები ჯგუფი)

ოპერატორი ანგელოზი: მე ვიცი ზუსტად სადაც მიდის პოეტი ეხლა...

რეჟისორი: სად?..

ოპერატორი ანგელოზი: ის ახლა წავა მეორადი სიტყვების საბითუმო ბაზრობაზე, იქ სადაც სტამბის დარაჯები წონით აბარებენ გადამყიდველს მოპარულ სიტყვებს, მერე გაივლის გამოივლის გრძელ დახლებს შორის და გადაარჩევს ათიოდე ცხვირპირწამტვრეულ მტვრიან ფრაზას თქვენი კინოსცენარისთვის...

სცენა #... (საციგურაო მოედანს გულმოდგინედ ალაგებენ თეთრ კომბინიზონებში ჩაცმული ქერუბიმები, რეჟისორი მიმართავს ოპერატორ ანგელოზს)

რეჟისორი: კარგად დააკვირდი შენი ფართო ობიექტივიდან გამნათებელ ანგელოზს, ხედააავ?

ოპერატორი ანგელოზი: ცოტა მუქილურჯი ღრუბელი ეფარება მარცხნიდან...

რეჟისორი: შეხედე, შეხედე! როგორ უსწორმასწოროდ მოძრაობს მოყინულ მოედანზე, თითქოს ლექსის ამოკაწვრას ლამობს თავისი ბასრი ციგურებით მის

მოპრიალებულ გულმკერდზე, ცოტაც და ფეხი დაუსხლტება, ერთი არაზუსტი სალტო და მოცელილივით დაეცემა მოედნის შუაგულში.

ოპერატორი ანგელოზი: (ვერ მალავს აღელვებას) კი, დაეცემა, ნამდვილად დაეცემა!..

რეჟისორი: დასანანია თუ დაეცემა, სადღა ვიპოვნით ასეთი მაღალი დონის გამნათებელ რეჟისორს...

ოპერატორი ანგელოზი: კი მაგრამ, ხომ შეიძლება რომ დაცემულს ხელი გავუწოდოთ და წამოვაყენოთ?..

რეჟისორი: კი, შესაძლებელია, ადამიანი რომ ყოფილიყო, წამში მოვაგვარებდი ამ პრობლემას, მაგრამ, ის ხომ ანგელოზია.

როგორ წარმოგიდგენია დაცემულ ანგელოზთან მუშაობის გაგრძელება?!..

ოპერატორი ანგელოზი: თუ დაეცემა, ის მხოლოდ პოეზიისთვის, პოეზიის სახელით დაეცემა, ეხლა მთავარია ეჭვი არ შეეპაროს საკუთარ ცეკვაში, ჩვენს გარდა მის მოძრაობას ათასობით სტატისტი ადევნებს თვალყურს...

რეჟისორი: ისე მართალი ხარ, თუ დაცემის შემდეგ ადამიანური თვისებები შეინარჩუნა, შეიძლება უფრო საინტერესოც იყოს მასთან მუშაობა, მის მიერ განათებული სახეები და ნივთები უფრო მართალ, ბუნებრივ ელფერს მიიღებენ.

ოპერატორი ანგელოზი: გააჩნია მაესტრო, ბუნებრივ ფერებში რას ვიგულისხმებთ, თავისთავად ფორმაც და ფერიც ხომ ოპტიკური ილუზიის ნაყოფია...

რეჟისორი: მართალი ხართ კოლეგა, სამწუხაროდ ფერიც სიტყვაა და გაყალბებული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი

ნიშან-თვისება, სინამდვილეში ხომ მას ცალკეული პიროვნება განსხვავებულად აღიქვამს...

ცეკვაში, ხმაში, კინოკადრში გამოთავისუფლებული სიტყვაა ის პოეზია, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით...

სცენა #... (თვითმფრინავის სალონში გვერდიგვერდ სავარძლებში სხედან რეჟისორი და მისი ასისტენტი ანგელოზი, ისინი მიფრინავენ ბერლინში, სადაც უნდა გადაიღონ რამოდენიმე მნიშვნელოვანი სცენა თავისი ფილმისთვის)

რეჟისორი: ჩვენ გადავიღებთ სცენას, რომელიც რამდენიმე წამში შეცვლის ამ ცნობისმოყვარე ადამიანების გაფანტულ მზერას, უფრო სწორად კი სხვა რაკუსით მიმართავს მილიარდობით ქვემოდან ზევით მომზირალ თვალს.

მე ახლა ვზივარ ვერცხლისფერ «ბოინგში», რომელიც ტროპოსფეროს ნისლში მიცურავს ზანტად...

მე ახლა ვზივარ თვითმფრინავის რბილ სავარძელში უწონადი სხეულის ამარა და ზემოდან ქვევით, პატარა სარკმელიდან ვაკვირდები აღმოსავლური ხალიჩასავით მოქსოვილ და უკიდეგანოდ გადაშლილ პეიზაჟებს, საიდანაც ჩემგან 3 ათასი მეტრის დაშორებით ქვევიდან ზევით სწრაფად იზრდებიან პატარა და დიდი ქალაქები, რომლებიც უყურებენ თვითმფრინავის სავარძელში მოკალათებულ ჩემს უწონად სხეულს...

უყურებენ მუშტრის, არქირევიზორის შემფასებელი ეჭვიანი თვალებით...

მზის სხივებისგან თვალების დასაცავად მათ მოირგეს კათედრალური ტაძრები, პაგოდები, მეჩეთები, აშრამები...

ისინი ფრთხილად და უნდობლად მზვერავენ ქვემოდან ზემოთ, შემინულ ცათამბჯენებში განთავსებული სავაჭრო ცენტრებიდან, კორპორაციული ოფისებიდან...

მონოკლებით, ბინოკლებით, ტელესკოპებით შეიარაღებული ადამიანები საქმიანად მსჯელობენ ჩემი პრაქტიკული დასაქმების შესაძლებლობებზე და შეუძლებლობაზე...

(კამერის ობიექტივიდან მოჩანს ერთ-ერთ შემინულ ცათამბჯენში განლაგებული ოფისი: სამი საქმიანი მამაკაცი ზის მრგვალი მაგიდის გარშემო და გამალებით მსჯელობს რაღაც საკითხზე, ერთ-ერთი მათგანი ტელესკოპიდან ყურადღებით აკვირდება «ბოინგს», რომელიც მიფრინავს ცათამბჯენის თავზე. რეჟისორი თვითმფრინავის სარკმელიდან ცდილობს თვალყური ადევნოს საქმიან შეხვედრას ოფისში, მას გარკვევით ესმის, თუ რაზე საუბრობენ უცნობი მამაკაცები)

– ცაში ამაღლებულ ღმერთებს კი არა, ნებისმიერ, ღირსების მქონე პოეტსაც კი ვერ დაასაქმებ მისი ნების საწინააღმდეგოდ (ამბობს პირველი)

– ალბათ ჰონორარს გააჩნია (დაასკვნა მეორემ)

– მინდა გაგაფრთხილოთ (გააქტიურდა მესამე)

თუ ჰონორარში მხოლოდ ფულად ნიშნებს გულისხმობთ, ეს საკმარისი არ იქნება მისი გულის მოსაგებად...

– არა მხოლოდ პურით ცოცხლობს პოეტი, არამედ ღმერთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით! (შესძახა პირველმა)

მთავარია კარგად შევფუთოთ ვადაგასული სიტყვები და ქუდივით შევუგდოთ ხალხით გადავსებულ მღელვარე

დარბაზში, სადაც მას მყისიერად დააყრუებენ ტაშის განუწყვეტელი ქვემეხებით და ხმამაღალი შეძახილებით...

მასე მხოლოდ დაყრუებულ პოეტებს კი არა, იმ ღმერთებსაც მივუჩენთ შესაბამის ადგილს, რომლებიც ამჟამად არ არიან ჩვენი წვდომის არეში (ჩაერთო ისევ საუბარში მეორე). ჩვენ მათთვის ცათამბჯენებზე ბევრად მაღალ ტაძრებს ავაგებთ, შევმოსავთ ბგერის გაუმტარი ცეცხლგამძლე მინით, დავიქირავებთ შესაფერის მათთვის დარაჯებს, მილიონობით გულანთებულ საკულტო მუშაკს...

(უცაბედად «ბოინგი» ჩავარდება საჰაერო ორმოში, შეშინებული მგზავრები გადახედავენ ერთმანეთს, ასისტენტი ანგელოზი მშვიდი ღიმილით უყურებს რეჟისორს, რომელიც აგრძელებს თვითმფრინავის - მრგვალი სარკმელიდან თავის დაკვირვებებს ზემოდან ქვემოთ)

ასისტენტი ანგელოზი: რა უნდა მოიმოქმედოს ჩემნაირმა ანგელოზმა, რომ თვითმფრინავის მგზავრები იქცნენ ნამდვილ ავანტურისტებად?

რეჟისორი: პირველ რიგში, მათ უსაფრთხოების ღვედები უნდა შეხსნა...

ასისტენტი ანგელოზი: ღვედები?..

რეჟისორი: კი, ღვედები, თუ გნებავს, ქამრები...

ასისტენტი ანგელოზი: პირადად თქვენ ბევრი გინახავთ მგზავრი, ბოლომდე რომ ჰქონდეს შეხსნილი ქამარი?

რეჟისორი: არც ისე ხშირად, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში...

ასისტენტი ანგელოზი: განა რევოლუციების დროს ეს მასიურად არ ხდება?

რეჟისორი: რევოლუცია მხოლოდ ამის ილუზიას ქმნის, სინამდვილეში კი ის დროებით ასუსტებს ქამრებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი გადააკეთოს ყელსაბამებად...

ასისტენტი ანგელოზი: მაშინ სისტემას ვინ დაანგრევს, თუ არ შევხსენით უსაფრთხოების ღვედები მგზავრებს?

რეჟისორი: ძალადობრივ სისტემას ვერ შეცვლი, თუ შეხსნი ღვედებს სავარძელში ჩაძინებულ მგზავრებს...

ასისტენტი ანგელოზი: მაშასადამე გამოდის, რომ ღვედების შეხსნის აუცილებლობა ძალაში რჩება?

რეჟისორი: რა თქმა უნდა ძალაში რჩება, თუმცა ჩვენი ჩარევა შეიძლება აღარც კი გახდეს აუცილებელი...

ასისტენტი ანგელოზი: განა შესაძლებელია მსგავსი სცენარი?

რეჟისორი: სრულებით შესაძლებელია, თუკი მგზავრები უცაბედად გაიღვიძებენ, მაშინ ისინი ჩვენი დახმარების გარეშე, საკუთარი ხელით შეიხსნიან მკერდზე გადაჭერილ უსაფრთხოების ღვედებს...

(ვერცხლისფერი «ბოინგი» ნელა ეშვება ბერლინში, შონფილდის აეროპორტში, თვითმფრინავზე მიდგმული ტრაპიდან ტაატით ჩამოდიან ნახევრად გამოღვიძებული მგზავრები, მათ უკან მოჰყვება რეჟისორი და ასისტენტი ანგელოზი, ქვემოდან ხალისიანად უქნევს ხელს თავის კოლეგებს ოპერატორი ანგელოზი)

ოპერატორი ანგელოზი: მაესტრო! ეს სცენა თავიდან ბოლომდე გადაღებულია, არა მგონია რომ კიდევ ერთი დუბლი დაგვჭირდეს...

რეჟისორი: ეჰ, ერთობ დასანანია, მე უკვე თითქმის მზად ვიყავი გადამეხვია ძირითადი სცენარიდან, თუმცა, მეორე მხრივ დარწმუნებით ვერ ვიტყვი, იყვნენ თუ არა მზად მოულოდნელი ცვლილებებისთვის ჩვენი მგზავრები...

რამოდენიმე სცენა, რომელიც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოხვდა «პოეტურ კინოსცენარში»

სცენა #... (გამნათებელი ანგელოზი მოუსვენრად სცემს ბოლთას გადასაღებ მოედანზე, ის დროგამოშვებით დაჰყურებს მაჯის საათს და მოწნულ სავარძელში ნებივრად ჩასვენებულ რეჟისორს)

რეჟისორი: რა მოხდა კოლეგა? რატომ ვერ ისვენებ ერთ ადგილზე? მითხარი, რით შემიძლია დაგეხმარო?

გამნათებელი ანგელოზი: გული მიგრძნობს, რომ დღეს ისევ ვახშმის გარეშე დავრჩებით, ზუსტად ისე, როგორც წინა კვირას მოხდა, ამის მთავარი მიზეზი კი თქვენი ასისტენტია, რომელსაც უწინდელივით დაავიწყდა ვიეტნამური რესტორანისთვის შეკვეთის მიცემა...

რეჟისორი: რომელ ვახშამზე მელაპარაკები ჩემო კარგო, დღეს ჩვენ ისეთი წარმატებული სცენა გადავიღეთ, რომ მზად ვარ საჭმელს ერთი კვირა არ გავეკარო (იცინის) იცი თუ არა შენ, რომ წმინდა ფრანცისკ ასიზიელი დიდი მარხვის დროს დღეში ერთ მცირედ ნაჭერ პურს და ჭიქა წყალს სჯერდებოდა მხოლოდ.

გამნათებელი ანგელოზი: კი, ვიცი და ისიც ვიცი, რომ მილოშ ფორმანი პრინციპული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თითქმის 4 წლის განმავლობაში უარს ამბობდა ჰოლივუდის მიერ მისთვის შეთავაზებული სცენარების მიხედვით გადაეღო ფილმები, აქედან

გამომდინარე, დღეში ერთი «კოკა-კოლის» და ჰამბურგერის მეტს ვერაფერს ჰყიდულობდა...

რეჟისორი: მე ნაკლებად მაღელვებს ადამიანური ახირებები და გაურკვეველი პრინციპები, ასე რომ მოგიწევს დღეს ვახშმის გარეშე დარჩენა...

მილოშ ფორმანმა კი იცოდა, რომ მისი მძიმე მარხვა ღირდა თუნდაც ერთ «ამადეუსად»...

ის ჰოლივუდის პროდიუსერებს კი არა, სინამდვილეში მე მევაჭრებოდა და საკუთარი შიმშილობით იხდიდა იმ უმწიკვლო მუზების საზღაურს, რომლებმაც ჩემთან გაატარეს ქორწინების პირველი ღამე...

სცენა #... (გამნათებელი ანგელოზი და ხმის ანგელოზი სიგარეტს ეწევიან საგრიმიორო ოთახში)

გამნათებელი ანგელოზი: როგორ ფიქრობ, ვინ შეიძლება იყოს რეჟისორი: ღმერთი თუ სარდალი? რომელი როლი უფრო მეტად მიესადაგება მის ბუნებას?

ხმის ანგელოზი: ალბათ ორივე, გადასაღებ მოედანზე რეჟისორი ღმერთია, ნებისმიერ შემთხვევაში მეორე კაცია ღმერთის შემდეგ...

(იღება კარი და საგრიმიოროში შემოდის რეჟისორი, იგი ცდილობს სიგარეტის სქელ კვამლში გაარჩიოს - ანგელოზების სახეები)

გამნათებელი ანგელოზი: მაესტრო, შეგიძლიათ - აგვიხსნათ, რა განსხვავებაა რეჟისორსა და სარდალს შორის?

რეჟისორი: ჩემი ბრძანებით ასი სტატისტი ასჯერ გაიქცევა და ასჯერ შეჩერდება ზუსტად ჩემს მიერ მითითებულ მონაკვეთში.

ჩემი ბრძანებით ათასიდან ასი სტატისტი ასჯერ დაეცემა და ასჯერ აღსდგება ერთსა და იმავე ბატალურ სცენაში...

ჩემი ბრძანებით ერთი და იგივე შეყვარებული აკოცებს მეორეს ერთსა და იმავე ტუჩებში ასჯერ ერთი და იგივე მატარებლის ბაქანზე, ერთადერთი განშორების განმავლობაში, რომ ასი კოცნიდან მხოლოდ ერთი კოცნა დავტოვო ფირზე...

ყველა სარდალი ზუსტად ჩემსავით გასცემს ბრძანებებს, მასაც ჩემსავით გააჩნია საკუთარი ბრძოლის სცენარი...

ის იგებს ბრძოლას, როგორც ფრანტი სხვათა ცოლების გულებს, მაგრამ საკუთარი ჯარისკაცის უსულო ცხედარს, რომელსაც გულში დამიზნებით მოარტყეს ტყვია, ტოვებს სანგრებთან, როგორც მორიგ უსაგნო სიზმარს, რადგანაც იცის, ვეღარასდროს ვეღარ აღადგენს მას, ვისი სულიც სხვის ბრძანებებს ასრულებს ეხლა...

სცენა #... (რეჟისორი სვამს ყავას და აბოლებს სიგარეტს სასტუმროს აივანზე, მას შეუმჩნევლად უახლოვდება ხმის ანგელოზი, რომელსაც ასევე ყავის ჭიქა აქვს მომარჯვებული)

ხმის ანგელოზი: შენ გაგიმართლა ასისტენტში უფალო რეჟისორო, მან ხომ დაუფიქრებლად მიატოვა შემოსავლიანი სამსახური საგადასახადო ინსპექციაში და დაბალბიუჯეტიანი ფილმის გადასაღებად გამოგყვა ცხრა მთის და ცხრა ზღვის გადასაყარზე პოტსდამის მახლობლად...

(რეჟისორი მკრთალი ღიმილით თავს გააქნევს და აქრობს სიგარეტს)

რეჟისორი: ყველა სულიერ არსებას, მათ შორის - ანგელოზებსაც აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება...

ოპერატორი ანგელოზი: ეს სცენაც გადაღებულია, მაესტრო!..

5. ახალი თარგმანები

ტონინო გუერა

მზის მტვერი

(იტალიურიდან თარგმნა თამარ ჟღენტმა)

«მზის მტვერი» (2012) ტონინო გუერას სიცოცხლეში გამოცემული უკანასკნელი წიგნია. ავტორმა ის თავის მეგობარს, ბერძენ კინორეჟისორ თეო ანგელოპულოსს მიუძღვნა. აქ 101 პატარა ამბავია მოთხრობილი, რომელიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ადამიანების ასანთებად» დაიწერა. მოვლენების პოეტური ხედვა და შეფასება, ურთიერთშერწყმული რეალობა და მდიდარი წარმოსახვა; ნანახი და გაგონილი, მეხსიერების მიერ ხან ცხადად, ხანაც კი ბუნდოვნად შემონახული – ასეთია ტონინო გუერას პოეტური სამყარო. მისი ხმა იტალიურ კინემატოგრაფში და ლიტერატურაში სრულიად განსაკუთრებული იყო. ალბათ ამიტომ უწოდა მას ელზა მორანტემ «გლეხური ცივილიზაციის ჰომეროსი». ამ წიგნში მოთხრობილი ზოგიერთი ამბავი საქართველოს უკავშირდება.

«მზის მტვერი»

ეს წიგნი დიდი ტკივილის დღეს იშვა – არაჩვეულებრივი მეგობრის, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეჟისორის თეო ანგელოპულოსის დაკარგვის დღეს.

აბრეშუმის ტყე

დიდი მდინარის – მტკვრის შორიახლოს, რომელშიც თბილისის შემაღლებული ნაწილი აირეკლება (აქ ხშირად მიწევდა ღამის გათევა ერთ ლურჯ სასტუმროში, სანაპიროს ყველაზე მაღალ ადგილას რომ დგას), «აბრეშუმის ტყე» იყო. ეს ტყე 1990 წელს მთლიანად დაიწვა. აქ, მოყვითალო ნაცრით დაფარულ ამ მინდორზე, რომელსაც წვიმა და

თოვლი ვერაფერს აკლებს, ხალხს დღემდე მოჰყავს ახალშობილები. წლების წინ, აქ აბრეშუმის ჭია თუთის ხის ფოთლებს ჭამდა და ტოტებზე აბრეშუმის პარკებს ტოვებდა, რომლებიც თანდათან გაქვავდნენ.

როცა ბიჭი ან გოგონა იბადებოდა, აქ მთელი საქართველოდან მოდიოდნენ, რომ აბრეშუმის პარკი წაეღოთ ახალშობილისთვის, რათა ეს უკანასკნელი, მისი დახმარებით, ფანტაზიით აღვსილიყო.

მსოფლიოს ბავშვობა

ღატაკად ვიქეცი, რომელიც რამე ხეირიანის ძებნაში, ნაგვის გროვაში იქექება. რამდენი წელია გაუნათლებელ ადამიანებს ვუსმენ. მათ ხომ თავის გადასარჩენად ცხოველური ძალა ამოძრავებთ. მხოლოდ ამ ხალხს, ქარის ქროლვას რომ დაჰყვება, შეუძლია მსოფლიოს სიყმაწვილის ნიშანი მამცნოს.

ჩემი უზუსტესი ცნობისწადილი ამბებს დაეძებს იმ სიცარიელეზე, რომელიც ყველა ქმნილებას გარს აკრავს. მას სურს სიჩუმეში გახვიოს ისინი ხმის მოლოდინში, რომელიც თუნდაც სამყაროს სხვა ტიპს შექმნის და მას მოქარგული ტილოებით დაფარული მინებით შემოსაზღვრავს. აქ, რუსეთის ამ სანატორიუმში კლიენტები ჩამოდიან, რათა სამკურნალო ბალახების ნაყენები დალიონ.

თოვს და მე ფიჭვებისა და არყის ხეების პარკში მივაბიჯებ. ვცდილობ, მაღალ ტოტებზე ციყვებს მოვკრა თვალი. ჯანმრთელობისთვის ასეთ სასარგებლო ადგილებში ადამიანი მარტოობით ავადდება. დროდადრო ფიქრი მიპყრობს, რომ ისე უნდა ვიცხოვროთ, თითქოს მცენარიდან ნაყოფი გვქონდეს მოსაწყვეტი.

ბაღჩა

ბაღჩა ჩემთვის ისეთივე სანახაობაა, როგორიც შეიძლება იყოს თოვა ან ფოთლებზე დადენილი წვიმა. ყოველთვის, როცა ამ პაწაწინა მართკუთხედს ვხედავ, რომლის ყოველ ნამცეც მიწას ხანდაზმული ადამიანები თავს დასტრიალებენ, სკამზე ვჯდები და სალათის რიგებს, პამიდვრის საყრდენ სარებს, ჩამუქებულ ბადრიჯანს, როზმარინისა და სალბის ბუჩქებს ვუყურებ. შევიგრძნობ, რომ გლეხი ვარ, როგორც ყველა ის ადამიანი, ჩემი სოფლის მიდამოებში რომ ცხოვრობდა.

მიწის სიყვარული უნდა გავიხსენოთ, ტკბობა განვიცადოთ, რომელსაც ყვავილობა, ნაყოფის გამოსხმა და, ზოგადად, საკვების აღმოცენება გვანიჭებს. უფრო მნიშვნელოვანია, ბავშვს ბაღჩაში ვაჩვენოთ მცენარეები, ვიდრე წიგნის ფურცლებზე, რათა ყმაწვილებს ფანტაზია იმ გაოცებით აღევსოთ, სალათის ფურცლის ამოსვლა და პამიდვრის სიმწვანის ნელი გაფერმკრთალება რომ იწვევს.

ჰეროდოტეს ჩანაწერი

ჰეროდოტე ამბობს, რომ ბაბილონში ექიმებს არ მიმართავენ. ავადმყოფი მოედანზე მიჰყავთ და იქ, ის, ვინც ამავე სენით იყო ავად ან ამ სენით დაავადებული უნახავს, ავადმყოფთან მიდის და ურჩევს საშუალებას, რომლებმაც სენისგან გაათავისუფლა ან სხვები განკურნა.

მთვარეები

მის სახლში ზაფხულის ერთ ნაშუადღევს მივედი. სახლის პატრონი – სამოცდაათიოდე წლის მამაკაცი მშვიდი გაოცებით და შორეული მზერით შემომხვდა. «აქ არასდროს არავინ მოდის», მითხრა მან. «მეც მიკვირს, რომ მოვედი... ერთ იშვიათ პეპელას გამოვყევი». ბუნდოვანი ახსნა-

განმარტებების მოცემა დაიწყო ან იქნებ მოფარფატე პეპლებს ხედავდა.

სახლთან ახლოს ჭურჭლის წყლით ავსებას შეუდგა. «წვიმის წყალია» – მომიგო. მართლაც, მოზრდილ ციცხვებში ლითონის კასრებიდან ასხამდა წყალს. მთხოვა, გავყოლოდი. დავინახეთ, რომ წყლით სავსე ჭურჭელში პაწაწინა მთვარეები ირეკლებოდა. გამიკვირდა, მივხვდი, რომ დაღამებულიყო. მაგრამ, როცა ისევ სახლს მივუახლოვდით, ცა ისეთივე გამოჩნდა, როგორიც ნაშუადღევს იყო. გზააბნეულმა და დაბნეულმა გამომშვიდობებისას ასე ვუთხარი: «იქნებ აქ, თქვენთან, ჯერ არც კი ვყოფილვარ-მეთქი». გამიღიმა, დამამშვიდა და მითხრა, ასეთი რამ ბევრს ემართება, ფიქრობენ, რომ რომელიღაც ადგილას არიან, მაგრამ იქ ვერასოდეს მიდიანო.

მსხდომარე ჩონჩხები

წმინდა არდუინოს დანგრეულ მონასტერში, პიეტრარუბიას მხარეში, სივრცის დაზოგვის მიზნით, ზოგიერთი ბერი მჯდომარე დაუმარხავთ. მან, ვინც პირველად მონასტერში იატაკის აღდგენა სცადა, შვიდი მჯდომარე დამარხული ბერი დათვალა. იატაკმა კიდევ ერთხელ დაფარა მსხდომარე ჩონჩხები. აგვისტოს პირველ კვირადღეს ისმის, რომ ეს საბრალო მიცვალებულები ღვთისმშობლის ლოცვას წარმოთქვამენ. ჰოდა, მონასტერში ბევრი მორწმუნე მიდის, რათა იმ ნელ და გაბმულ მელოდიას მოუსმინოს. ყურს იატაკის ფილაქანს ადებენ, რომელზეც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის თხელ ხალიჩებს აგებენ.

კაცობრიობის სუნთქვა

ომის შემდეგ იყო რეალობა, რომელზეც ჰყვებოდნენ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რეალობა, რომელიც გაიძულებდა, მასზე მოგეთხრო. რეალობა, რომელიც მსოფლიოს რეალობა იყო. ახლანდელ რეალობას ვერ აღმოაჩენ, ის არ იხსნება, სხვადასხვა-ნაირადაა დაწახნაგებული. ესაა რეალობა შორეული სუნთქვით და მე მგონია, რომ ხელოვანის ამოცანა მთელი კაცობრიობის სუნთქვის ძიებაა. და მაინც, გადაუჭრელი მარადიული თემების ხარჯზე ვსუნთქავთ, რადგან ამქვეყნად იმისთვის ვართ, რომ გავიგოთ, ვინ ვართ.

გზამკვლევი კარების აღმოსაჩენად

ამ გზამკვლევს ზუსტი მითითება და კრიტერიუმები არ აქვს. მინდა თქვენს თვალთახედვას შევთავაზო, ყურადღებით დააკვირდეს ძველ კარებს, მიტოვებულ სახლებს, ბოსლებს და პირუტყვის სადგომებს რომ იცავენ. არ არსებობს არავითარი მხატვრული მოტივი, რაც სიმშვიდეს მოგგვრით, არც ხელოსნის რაიმე განსაკუთრებული ნამუშევარი, არამედ – მხოლოდ სიძველესთან და დროსთან შეხვედრა. და უცებ მიხვდებით, ეს ის ნივთებია, გულით რომ გიმზერენ. ესე იგი, იმ სამყაროს ეხები, თვალისჩინი რომ დაკარგვია.

ასეთი კარების ბედისწერაა, რომ პეწი დაკარგონ, რაც, ჩვეულებრივ, დასველების შედეგად ხდება, მაგრამ კვლავაც გამძლე არიან და დაცვის ფუნქციას ასრულებენ. უამრავი, ქსელის მსგავსად დაჭედებული ლურსმნები ერთად კრავენ და ინარჩუნებენ ხის ნაჭრებს, რომლებიც უკვე ფრაგმენტებად ქცეულან. ზოგიერთი ფულს ზოგავს და მათ შეკეთებას არც ფიქრობს, დაჭედებული ლურსმნებით შექმნილ ნახატს სქელი მუყაოთი ფარავს, რომ

ზაფხულობით ცხელი, ხოლო ზამთრობით ცივი ჰაერის მოძრაობას შეუშალონ ხელი.

ჯვარცმული კარები

როცა იმ მიდამოებში ბოლო სახლის სანახავად მივედი, ერთი ძველი კარი დავინახე, რომელიც მაშინვე შემიყვარდა. მივხვდი, რომ უცნობი დურგლის ნახელავი იყო ან სულაც – სახლის მაშინდელი პატრონის. ღერძები ერთმანეთზე სათითაოდ არის მიჭედებული, ხოლო ლურსმნების წვეტები ხის ზედაპირისკენ მიუქცევიათ.

მეორე დღეს ის კარი მოიპარეს და მე მომიტანეს. ახლა ჩემს სახლში კედელზეა მიყრდნობილი. ზოგჯერ ვჯდები და ვუცქერ. სწორედ ასე ვიჯექი და ჩაჭედებული ლურსმნების ხალიჩით ვტკბებოდი, როცა კარი გაიღო და ქალი გამოჩნდა, რომელსაც ჩემი იქ ყოფნის გამო სულაც არ დაუმორცხვია, გვერდით ჩამიარა და გამშორდა.

მარეკია

მარეკია მთის მძლავრი მდინარეა, რომელიც სათავეს აპენინებში იღებს და რიმინიში ჩაედინება. ამ მდინარემ ჯოტო, დანტე და ეზრა პაუნდი მოხიბლა.

ჩემს მეგობარ ჯანისთან ერთად შევეცადე, ამ კამკამა და ისტორიით დამძიმებული წყლის სათავე მეპოვა. ნამდვილ სათავეს ვერ მივაგენით. ერთმა მთიელმა მოხუცმა ზუსტი ადგილი მიგვასწავლა. ეს არის ვრცელი ველი ძუკას მთის წვერის ჩრდილში. აქ მუქი ბალახი ნამითაა დაფარული. წყლის მარგალიტები მიწას ეწვეთება და მდინარეს წარმოშობს, თითქოსდა მარეკია მთის ცრემლებიდან იბადება.

ქართული დღიურის ნაფლეთები (1984)

ლიკანის დასასვენებელი სახლი საქართველოში მდებარეობს, ტყიან ადგილას, რომელსაც მდინარე მტკვარი ჩამოუდის. იქ მცირე ხნით ვიყავი გამოსაჯანმრთელებლად, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო რუსეთის რესპუბლიკა იყო.

მოასფალტებულ ხეივნებში ვიარე პარკის ბოლომდე და დასასვენებლად სკამზე ჩამოვჯექი ცხენის წაბლისა და ვეებერთელა ცაცხვების ქვეშ. ველოდებოდი, როდის ჩამოივლიდა პატარა მატარებელი, სამი მწვანე ვაგონით, კლდის ძირში, მტკვრის გაღმა ნაპირზე, რომელიც აზერბაიჯანისკენ მიედინება, რომ კასპიის ზღვა სწრაფად მცურავი ორაგულებით აავსოს, რომლებიც მზად არიან ქვირითი მდინარის წყალში დაყარონ.

ყოველ დილას შიშველი ვწვები აბაზანაში, რომელშიც ჟანგბადი გამოიყოფა. ჟანგბადი სხეულს მისუსხავს, თითქოს დასაწყნარებლად ელექტროშოკს მიტარებენ. ასე მეუბნება ახალგაზრდა ექთანი. ის ლაპარაკისას ტყეს გაჰყურებს ფანჯრის დიდი მინების იქით. დროს პატარა ქვიშის საათი ზომავს, რომელშიც ათიოდე წუთის სამყოფი ქვიშა ყრია.

დღეს ქვიშის საათი მეოთხე წუთზე შეჩერდა. ექთანი რამდენჯერმე შემოვიდა, რომ შეემოწმებინა. მელაპარაკებოდა და მიღიმოდა, მაგრამ მე არაფერი მესმოდა. ცხადია, ორივე ვცდილობდით გაგვეგო, რატომ გაჩერდა ქვიშა, რომელიც არა და არ ჩადიოდა ქვემოთ. არა მგონია, რაიმე განსაკუთრებული მიზეზი ყოფილიყო. ექთანმა ეს პატარა მოწყობილობა მომცა, რომ მეც შემემოწმებინა. დროდადრო იხრებოდა, რომ ონკანები დაერეგულირებინა, რათა თბილ წყალში ვწოლილიყავი. ჟანგბადი მთელ სხეულს მისუსხავდა, თითქოს ვიღაც

უცნაურად მიღიტინებდა, ქალი კი შეშფოთებული შემომყურებდა. მოულოდნელად წყალში ხელი ჩაყო, რომ ამ შეგრძნებისგან გავეთავისუფლებინე დ სხეულზე მომეალერსა.

შავ ზღვაზე

ფართო პლაჟის გაყოლებაზე, რომელსაც უკანა მხრიდან ბორცვები შემოფარგლავს, ღორის ახალთახალი, ჯერ კიდევ ცხელი განავალი და გზააბნეული ძროხების გამხმარი ნეხვი ყრია. რამდენიმე ადამიანი ტრუსებით, ერთმანეთისგან მოშორებით მზეზე ირუჯება, თითქოს მეცხრამეტე საუკუნის ფოტოების გამოსახულებას ბაძავენ. შიშველი ზურგით ქვებზე გაწოლილან ან მოკუნტულები, ტოტებზე გადაკიდებული პერანგების ჩრდილს აფარებენ თავს. საზამთროს ქერქები, ბოთლის ნამსხვრევები, შუაგულში კი – საზოგადოებრივი ტუალეტი, ბუზებით სავსე, საიდანაც ღრუბელივით მოდის აყროლებული ჰაერი.

გზის მხარეს გადაჭიმული მავთულის ბადე, რომელსაც უტვინო თხები რქებით ეჯახებიან, იქამდე კი – ბარაკები აზერბაიჯანელებით, ოქროგადაკრული კბილებით ნიორს რომ ღეჭავენ. იქით, თევზის საკონსერვო ქარხნისკენ – საზოგადოებრივი ბაღი, მავთულის ბადით გარშემორტყმული, ოთხიოდე დაჟანგული საქანელით, რომლებზეც მოხუცები და ბავშვები ირწევიან. ზღვის ხმები ქართან ერთად მოძრაობს პლაჟზე და ქვების გროვის შუაგულში ქრება, რომელსაც წყალი განუწყვეტლივ ეალერსება.

თბილისი

ღარიბების უბნიდან, სადაც ერთმანეთზე მიწყობილი აივნიანი ხის სახლები ეზოებს გადაცქერის, რომლებშიც

ონკანებიდან წვეთ-წვეთად ჩამოსული წყალი ვედროებში ჩადის – ბინძური ჰაერი მოედინება. მინებიდან წამოსული სინათლის ანარეკლი გახურებულ ასფალტზე იღვრება, რომელსაც ქერქგაცლილი ჭადრების ჩრდილი ფარავს. ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ სახურავებსა და აივნებს, რომლებზეც მზე აცხუნებს, გამომშრალი და დაძარღვის გასწვრივ ღრმად გადახსნილი ხის სუნი ასდის. დასახლების ნაფოტებით დაფარული ბილიკების გაყოლებაზე – მოზარდების მტვრით დაფარული სახეები, მზის მცხუნვარებისგან ხეებზე შემომძვრალი ქერქი, რომლებსაც ურჩი გოჭები აქეთ-იქით დაათრევენ და თან ხეებს ეხახუნებიან, რათა ფერდებში შემძვრალი რწყილები გაჭყლიტონ.

ლანდის გზავნილები

ყვითელი და მოტიტვლებული ზეგნები, თურქების შემოსევების დროს გაჩეხილი ტყეებით. ციხე-სიმაგრეების ნანგრევები და ძველი, მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქალაქები, რამაც საქართველო შეარყია, განსაკუთრებით ამ საზღვრისპირა ზონაში. ვიდრე მიწისძვრები და შემოსევები ყველაფერს წაშლიდნენ, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე დედათა პატარა მონასტერი იყო, მარჯვენა ნაპირზე კი უზარმაზარი მონასტერი და სიმაგრე აღემართათ, რომელშიც მთელი ვარძიის ბერები

ცხოვრობდნენ. ახლა როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს ჩამუქებული გამოქვაბულები მოჩანს, მაღალ კლდეში ამოკვეთილი.

მთაში გამოჭრილ პატარა სენაკში, მთავარ ეკლესიასთან საკმაოდ ახლოს, ახალგაზრდა მონაზონი ცხოვრობდა, რომელიც მარტოობით იტანჯებოდა. ამიტომ გადაწყვიტა ლანდის ნიშანი ვარძიის მონასტრისკენ გაეშვა, რათა ახალგაზრდა ბერთან კონტაქტით სიმშვიდე ეპოვა. ამისთვის კი სარკის ნამსხვრევი გამოიყენა, რომელიც მისი მზითვის ნაწილი იყო. სამწლიანი მოლოდინისა და ლანდის თვალისმომჭრელი გზავნილების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მეორე სარკემ უპასუხა.

ამბობენ, რომ ბერი და მონაზონი ერთმანეთთან დაკავშირებას რუდიმენტული ანბანით ახერხებდნენ, რაც არეკლილი სინათლის კრთომით მიიღწევა, თუ სარკეს ხელს ხან დააფარებ, ხან კი – მოაცილებ.

მაგრამ ერთ დღეს, მხოლოდ ხანგრძლივი და უწყვეტი ანარეკლი გამოჩნდა, რამაც ახალგაზრდა ბერი საგონებელში ჩააგდო. გზას გაუდგა, რომ გაეგო, რა დაემართა ახალგაზრდა მონაზონს. თავის გამოქვაბულში, ქვებსა და ქვიშაში ჩამარხული იპოვა, კლდის ნაშალიდან ხელი მოჩანდა, რომელსაც სარკის ნამსხვრევი ეკავა, მამათა მონასტრისკენ მიმართული.

* * *

ტყე სავსეა დიდი ჩიტებით, რომლებიც არ ჩანან. მათი ძახილი მოგუდულია, გიგანტური ჭრიჭინების ხმის დახშული მოდულაცია, თითქოს ქვები მიგორავენ მეტალის ფილებზე. და მაინც, როცა ფრინველი გამოჩნდება, რომელიც ველის თავზე დაბლა დაფრინავს, ხედავ, რომ

დელიკატური შესახედაობა და მეთვრამეტე საუკუნის ქალბატონის ელეგანტურობა აქვს. ერთი ქართველი, რომელიც სკამზე ჩამომჯდარა, რათა ოზონით მდიდარი ჰაერი ისუნთქოს, ამბობს, რომ ამ ჩიტს «სოიკა» ჰქვია.

* * *

აღწერო ქართველი ქალი, ერთი შეხედვით, ამქვეყნად ყველაზე მარტივი რამაა, რადგან მისი ნაკვთები სახასიათო და გამოკვეთილია, მაგრამ რისკავთ, რომ პორტრეტი ერთობ ზედაპირული გამოგივათ. ქართველ ქალში ყოველთვის არის ახლომხედველობის თამაში, ანუ ქუთუთოების მსუბუქი მოჭუტვა, რათა შენსა და საკუთარ თავს შორის დისტანცია შექმნას, მაგრამ არა რამდენიმე მეტრის დისტანცია, არამედ, მართებული იქნება თუ ვიტყვით, დღეებისა და წლების დისტანცია, თითქოს ქალი თავს ძალას ატანს, რომ გიცნოთ, მაშინაც კი, როდესაც უკვე ცოლ-ქმარი ხართ. ქართველ ქალთან პირველი შეხვედრისას გგონია, რომ ამ შეხვედრას წინ სხვა შეხვედრები უსწრებდა, თუნდაც წამიერი ან სიზმრისეული, რის გამოც ახლომხედველობის ასეთი თამაში ქალს საშუალებას აძლევს, რომ თავის მეხსიერებაში ძველი ნაცნობობის პირველი სურათები მოიძიოს.

* * *

სოფელი წაღვერი მწვანედ შეფოთლილ კაკლის ხეებშია ჩაფლული. წრიული ფორმის ბილიკები ფერდობზე წყდება. ეს ფერდობი ბორჯომულას კალაპოტის გასწვრივ მოულოდნელად სიცარიელეში სრულდება. მდინარე მთებს შორის მიედინება. აქვე წმინდა გიორგის ძველი ელესია დგას, რუხი ქვით ნაშენი.

* * *

რიწის ტბის ნაპირას, დიდ ქვებზე, ხანშიშესული კაცის გვერდით, რომელიც სიმთვრალისათვის დამახასიათებელი უენერგიობით გაშხლართულიყო, იჯდა ოცდახუთი წლის ახალგაზრდა, სახელად მუშეგ ტიგრანიჩ მარქარიანი (სომხეთში, ერევანში მძღოლად მუშაობდა) და ძმას ამშვიდებდა, რომელიც იმაზე წუხდა, რომ «ლაგერში» გატარებული 4 წლის შემდეგ უსარგებლო თავისუფლებას ვეღარ იტანდა. ამიტომაც დამთვრალიყო, რომ ცოლ-შვილი და ნათესავები დაევიწყებინა. ციხეში დაბრუნება და იქაური მეგობრების ნახვა უნდოდა, თუნდაც ვინმეს მოკვლის ფასად.

როდესაც მუშეგმა დაგვინახა, რომ დაღლილები ძლივს მივლასლასებდით, ცოტა ხნით უკან გამოგვყვა, თითქოსდა ანკესის კაუჭისკენ რაღაც უცნაური მიზიდულობა ეწეოდა. მერე გაგვიმხილა, რომ იტალიური მეტყველების მოსმენამ ააღელვა, რადგან ეს დაეხმარა, თავი შორს ეგრძნო იმ სიტუაციისგან, რაშიც ძმის სიყვარულით მოხვდა. როცა გაიგო, რომ ავტობუსს ველოდებოდით, რათა ბიჭვინთაში დავბრუნებულიყავით, ცოტა ხნით გაუჩინარდა, შემდეგ კი თავისი მანქანით გამოჩნდა. შემოგვთავაზა, რომ სასტუმროში მიგვიყვანდა. ასე გავიგეთ, რომ სომეხი იყო და მძღოლად მუშაობდა; იმედი ჰქონდა, რომ ერევნის წყლით სავსე ბოთლს ბებიას ჩაუტანდა, რომელიც უკრაინაში გარდაიცვალა, როცა თავის დასთან სტუმრად იმყოფებოდა. ეს ბებიამ გარდაცვალებამდე სთხოვა. ის კი მალე სომხეთის წყალს დაასხამდა მიწას, რომელიც ბებიას ფარავდა. საჭმელად მდინარე ბზიფზე, «ფაცხაში» წაგვიყვანა, რკინის ძველი ხიდის გვერდით. მდინარის კალაპოტთან, ასწლოვანი ჭადრების ძირში ღომი, შებოლილი ხორცი, ლობიო ვჭამეთ და პიტნის ლიმონათი დავლიეთ. როდესაც წამოდგა და ფულის გადასახდელად

წავიდა, გაიგო, რომ მადლენმა დაასწრო. მაგიდიდან შორს შეჩერდა, იქ, სადაც ჭადრის ტოტებში შეღწეული მზის სხივები ეცემოდა. ტკივილით თქვა:

– დღეს მაინც არ უნდა გეგრძნობინებინათ, რომ მძღოლი ვარ.

მანქანაში ჩაჯდა და მიგვატოვა, სანამ ჩვენ სიმინდს ვღეჭავდით.

თბილისი წლების წინ

უკვე რანდენიმე დღეა ასეა: ცხელი აბაზანები და გასეირნება ქალაქის ძველ კვარტლებში, რათა ვნახოთ, ეკუთვნოდათ თუ არა ბერებს ნგრევის პირას მისული ტაძრები. ეზოებში მიჯრით მიწყობილი ხის სახლები, თუნუქის სახურავებზე დახვავებული, გამომხმარი ნაგავი, რომელიც კიბეებს და სავალდებულო გასასვლელებს ფარავს. შემორჩენილ აივნებს ხის ძველი, დაჩვრეტილი მოაჯირები იცავს. ძველებური სინატიფე შემოდგომის ფოთლების გროვის ქვეშ დამარხულა. სულის ქალაქი – ასეთია თბილისი, სადღესასწაულო სიხარულით აღსავსე და მეგობარი.

პატარა ვარდისფერი კარის წინ ვჩერდები, რომელზეც რკინის ძველი, მომცრო სახურავის ქვეშ ნათურა ჰკიდია. ხელახლა აღმოვაჩენ ვარდისფერს. ეს თოჯინის სხეულის ვარდისფერია. კარი ამ ფერით არაერთხელ გადაუღებიათ, შემდეგ კი მზეზე გამოსაშრობად და ოდნავ შესარუჯად მიუტოვებიათ. ნამდვილად უჩვეულოა კარისთვის. აი, მისი ეს უხერხული ყოფა მიმახვედრებს, რომ ვარდისფერი, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ ქალის საცვლებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. მოკლედ, ეს მამაკაცური ვარდისფერია. ესეც ისევე, როგორც ყველა კარი

გაყოლებაზე, ქუჩის დონეზე უფრო მეტად დაწეულია. ფარაჯანოვი იხსენებს, რომ კარის წინ დაგებული ქვები, რომლებიც ასფალტმა გადაფარა, ისეთივე ვარდისფერი იყო, როგორც თვითონ კარი. იმ დღეებში, როცა ქვები შავი ფისით უნდა დაეფარათ, თითოეულ მათგანთან დასამშვიდობებლად მოდიოდა და ქუჩის განაპირას დგებოდა, საქმეში ჩართული მუშებისა და სატკეპნის გვერდით, რომელიც ასფალტს საბოლოოდ ასწორებდა.

ერთ ნაშუადღევს ფარაჯანოვი კარს აღებს, ხვეულ კიბეზე ადის და მოულოდნელად, თითქოს მეჩეჩზე დამჯდარი ტრანსატლანტიკური გემის წინაშე მაყენებს. ტერასები, პატარ-პატარა კიბეები სხვენამდე გრძელდება, სადაც მოხუცებული ბარონესა ცხოვრობს – ყოფილი მსახიობი და მომღერალი. ქალი კარს აღებს, შეშინებული, ღრმად დანაოჭებული სახით, რაც დაკარგულ ბრწყინვალებაზე მტანჯველმა ნოსტალგიამ წარმოქმნა. კისერს გამჭვირვალე მოსახვევი უფარავს, ქვეშ მაისური აცვია, შესაკრავთან ჩრჩილის შეჭმული; ლურჯი, სპორტული შარვალი. თეთრ ტილოგადაფარებულ მაგიდასთან ვსხდებით. იქვე გვერდით, პიანინოს პიუპიტრზე ნოტების გადაშლილი წიგნია. ფურცლებს უძრავად აკავებს ორი მაღალი სანთელი, რომლებიც წლების მანძილზე უკან გადაიხარნენ, ისე, რომ ამიერიდან უკვე სამუდამოდ შეასრულებენ თავიანთ ფუნქციას. ფარაჯანოვმა ქალბატონს სთხოვა, ლექსი წაეკითხა; მოხუცმა ქალმა ჩვენი სურვილი დააკმაყოფილა და ნაწყვეტი წაგვიკითხა ბუნინის ნაწარმოებიდან. თვალდახუჭულმა კომპლიმენტები მიიღო და იქვე, პატარა სამზარეულოში გაუჩინარდა, რომ ემოციები დაეცხრო.

ძილის ხე

ერთი თბილისელი ისტორიკოსი წერს, რომ შესაძლოა, «ძილის ხე» პირველი მცენარეა დედამიწაზე, რომელიც წარღვნის შემდეგ გაიზარდა. ნოეს კიდობნიდან, რომელიც არარატის მთის მწვერვალზე შეჩერდა, ცხოველები გადმოვიდნენ, დაღლილ-დაქანცულები და წვალებით გაბრუებულები. და მათ ტალახიან და გუბეებით დაფარულ მიწაზე დაიწყეს სიარული. მალე მზემ მთა გააშრო და ცხოველებმა ერთ ხეს მიაღწიეს – ერთადერთ ხეს ჭალაში – და სამი დღე იძინეს ფოთლების ქვეშ, რომლებიც მუსიკის სურნელს გამოსცემდნენ.

ცნობა ამ «ძილის ხის» შესახებ ერთი თურქი ჯარისკაცის დღიურმაც შემოგვინახა, რომელიც დაახლოებით ათას წელს სომხების წინააღმდეგ იბრძოდა. ის წერს ხეზე, რომელმაც ერთი სარდალი მთელი ზაფხული ჩააძინა. სარდალი ლაშქრობას ედგა სათავეში და ჯარის წინსვლა მთელი ამ დროის მანძილზე შეჩერდა.

ეს ორი ცნობა, რომელიც ლეგენდად იქცა, ჩვენთვის ბევრად უფრო ახლობელი და, შესაბამისად, უფრო დამაჯერებელი მონათხრობის საფუძველს ქმნის. «ძილის ხის» მკვლევრები მეთვრამეტე საუკუნეშიც ყოფილან და მეცხრამეტეშიც. შემდეგ ამ საკითხზე დიდი ხნის მანძილზე კრინტი აღარავის დაუძრავს, ვიდრე 1910 წელს, ერთი ინგლისელი ბათუმში არ ჩავიდა და მთაში ფეხით არ წავიდა. შემდეგ მან დაღესტნის მიკარგულ სოფლებში იცხოვრა და როცა ისევ ბათუმში დაბრუნდა, რათა ბერძნულ გემზე ასულიყო, ხალხს ნახატი აჩვენა, რომელზეც ხე იყო გამოსახული, დაგრეხილ ტოტებზე აქა-იქ გამოსხმული და ძირს დაშვებული ფოთლებით, რომლებსაც წვეტი მიწაში ჰქონდათ ჩარჭობილი. ეს რაღაც მოზრდილი და დიდებული გალიისმაგვარი რამ გახლდათ. ინგლისელი მოჰყვა, რომ მცენარე, რომელიც მან

აღმოაჩინა და დახატა, უეჭველად ძილის ხე იყო. მართლაც, იმ ტოტების ქვეშ, მასაც ღრმა და ხანგრძლივი ძილით ეძინა, ხოლო ჰაერი, რომელიც მუსიკალურ ვიბრაციას იწვევდა, თითქოს თვალებზე ელამუნებოდა.

მაკრატლები თბილისში

როდესაც დის ქმარი – თბილისში ცნობილი დალაქი გარდაეცვალა, დიდი დაკრძალვა გაიმართა. ქალაქის ყველა დალაქი, მათი კლიენტები და უამრავი ხალხი მოგროვდა პატარა ეზოში, კიბესთან. კუბო დიდი გაჭირვებით ჩამოიტანეს ძირს და ვიდრე მუსიკოსების პატარა ჯგუფის თანხლებით, სასაფლაოსკენ გზას გაუდგებოდნენ, მცირე ხნით ეზოში შეაჩერეს. ერთი კაცი არ ჩანდა – სერგო ფარაჯანოვი, დიდი რეჟისორი.

ის უკანასკნელ წუთს შემოვიდა, ორი ჩემოდნით. ჩემოდნები გახსნა, რათა მიცვალებულის მეგობრებისთვის, კორტეჟის სათავეში რომ იდგნენ, რაღაც გადაეცა. იმ არეულობაში ვერავინ მოხვდა, რას აპირებდა ხელოვანი. გამცილებლები ნელა გაუყვნენ ქუჩას, თბილისის ცენტრისკენ რომ მიდის. მუსიკოსების პატარა ჯგუფი პროცესიას ნელი ნაბიჯით მიჰყვა. როდესაც მუსიკის ხმა ცოტა ხნით მიწყნარდა, ლითონის ჩხაკუნი გაისმა. აი, თურმე რა მოამზადა ფარაჯანოვმა სიძესთან გამოსათხოვებლად. მთელი ქალაქი შემოირბინა, რომ, რაც შეიძლება მეტი მაკრატელი ეშოვა, რათა ლითონის რაკუნს დამსწრეთათვის და მთელი ქალაქისთვის შეეხსენებინა დალაქის დიდი ხელობა.

პრინცების სოფელი

პრინცების სოფელი კავკასიაშია, ფიჭვნარის შუაგულში, სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე იმ ადგილიდან, სადაც

მელიების საშენია. იქ დიდი ქარტეხილების დროს შეიკრიბნენ, რასაც იმ სამეფო ოჯახის წევრთა გაბნევა მოჰყვა, ყოველ მათგანს რომ ენათესავებოდა. ზოგი უკვე ძალიან მოხუცდა და იმითღა სულდგმულობს, რომ იმ ფოტოებს ფურცლავს, გაქცევის ჟამს ლეიბებში რომ გადამალეს. ეს ფოტოები, მათზე გამოსახული კარეტებით, პრინცების შორეული მოგზაურობების დასტურია: ზოგი ვენაში ყოფილა, ზოგი – იტალიაშიც კი.

ყოველ საღამოს, მზის ჩასვლისას, პრინცები ტყის განაპირას, გრძელ სკამზე ჩამოსხდებიან და გრძელ, სწორ გზას გასცქერიან, რომელიც ზეგანს ორად ჰყოფს და ველისკენ ეშვება, სადაც ბაკურიანის ხის სახლები დგას. მათ შორის ყველაზე მოხუცი ჯერაც მოელის, რომ გზის სიღრმიდან ძველი სამეფო სახლის დროშები გამოჩნდება, ოქროსფერი ფრინველის გამოსახულებით, ლურჯ ფონზე; ზოგჯერ მღელვარება იპყრობს, ფეხზე წამოდგება ხოლმე იმის შესაგებებლად, რასაც, როგორც თვითონ ჰგონია, ხედავს.

ქვიშაზე ანაბეჭდი

მეუბნებიან, რომ თბილისიდან სოფლებისკენ მიმავალ გზაზე ჯერ კიდევ არის ძველი ჯიხურები, სადაც ღვინით და ხილით ვაჭრობენ.

წლების წინ, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი ერთ-ერთ ჯიხურთან მივიდა, რომელშიც გასაყიდი არაფერი ჩანდა. გაგებული ჰქონდა, რომ ამ ჯიხურში ვიღაც მოხუცი ასირიელი იჯდა, რომელსაც კალთაში მართკუთხა, ქვიშით სავსე ჭურჭელი ედგა. მოხუც ქალს შავი წინსაფარი ეკეთა, რომელზეც ყელზე შემოხვეული ვერცხლის ძველი ხელნაკეთი სამკაულები ეშვებოდა. როცა დაინახა, რომ მამაკაცი ფანჯარაში იყურებოდა, ქვიშიანი ჭურჭელი ასწია

და მამაკაცმა მარცხენა ხელისგული ქვიშას დაადო, რომ ანაბეჭდი დაეტოვებინა. მოხუცი ქალი მაშინვე ანაბეჭდს დააკვირდა. ის-ის იყო დააპირა ანაბეჭდის მიხედვით ამოკითხული საიდუმლოებები მოეთხრო, რომ მამაკაცი ჯიხურს მოშორდა, მაგრამ მალევე ისევ გამოჩნდა ერთ ახალგაზრდასთან ერთად, რომელსაც მოხუცი ასირიელი ქალის სიტყვების თარგმნა შეეძლო. «ამბობს, რომ ნიშნები შენს ხელზე სამუშაოსთან დაკავშირებულ სირთულეებზე ლაპარაკობენ, რომელსაც რამდენიმე წელიწადში მოაგვარებ. სხეული ჯანსაღი გაქვს, მაგრამ მზეს უნდა ერიდო. ამბობს, რომ დედაშენი დიდხანს იცოცხლებს და რომ უკანასკნელი ქალი, რომელთანაც ინტიმური ურთიერთობა გექნება, ახლა ოთხი წლისაა».

ბავშვს რა ჰქვიაო, იკითხა მამაკაცმა. მოხუცმა ქალმა მაშინვე უპასუხა: «ნანული». ოთხიოდე წლის გოგონა, რომელსაც ნანული ერქვა და თბილისში ცხოვრობდა, არა, ასეთს არავის იცნობდა. მამაკაცს მაშინვე დაავიწყდა ქირომანტის ნათქვამი.

77 წელი შეუსრულდა. პეტერბურგის ბაზარში ხილს ყიდდა, რომელსაც საქართველოდან მატარებლით უგზავნიდნენ. ერთ საღამოს ნევის პროსპექტზე მიაბიჯებდა. მაისი იყო, მაგრამ ჰაერში ჯერ კიდევ სიცივე იგრძნობოდა, რადგან ნევას ლადოგის ტბის ყინული მოჰქონდა, რომელსაც იმ დღეებში დნობა დაეწყო. პროსპექტიდან გადაუხვია და ერთ-ერთ ჩიხში შევიდა. სასახლის წინ, რომელიც ერთ დროს ბარონ შტიგლიცს ეკუთვნოდა, ახალგაზრდა გოგოს მოკრა თვალი. გოგომ გაუღიმა. მამაკაცმა გზა განაგრძო. იცოდა, რომ აქ ახალგაზრდა ქალები კაცებს ფულის სანაცვლოდ ხვდებოდნენ. მას კი იმდენი ფული არ ჰქონდა, რომ თავისთვის ასეთი ძვირადღირებული გართობის უფლება მიეცა. ახალგაზრდა ქალი წამოეწია და გვერდით

ამოუდგა. «მეც ქართველი ვარ, შენსავით,» – უთხრა ქალმა. – «ნანული მქვია». ამ სახელის გაგონებაზე მამაკაცი მოულოდნელად შეჩერდა. «ფული არ მაქვს.» – ხმადაბლა წარმოთქვა. «არა უშავს.» – მიუგო ნანულიმ. «მე ხომ ბებერი ვარ.» – უთხრა კაცმა და წასვლა დააპირა. გოგონა ისევ გვერდით დაუდგა და მოუყვა, როგორ ენატრებოდა თბილისი, როგორ სჭირდებოდა, რომ მშობლიური მიწის სურნელი ეგრძნო.

ღიმილით გაეცალნენ იქაურობას.

მწვანე მონასტერი

მტკვრის ხეობაში მწვანე მონასტერს ხშირად ახსენებენ. ლაპარაკია პატარა მონასტერზე, რომელიც ფიჭვნარში, ველური კაკლის და წაბლის ტყეშია მიტოვებული, მთებს რომ ფარავს. ამ მონასტერზე ყველა სხვადასხვას ჰყვება. თითქოს საქმე ეხებოდეს რამდენიმე მიტოვებულ და სანახევროდ დანგრეულ მონასტერს. შესაძლებელია, მწვანე მონასტერი არც კი არსებობდეს. ალბათ ის მხოლოდ მირაჟია. თუმცა არსებობს ერთი რამ, რაც ყველა მოთხრობაში მეორდება: ზარის სადღესასწაულო რეკვა შეკრებისკენ მოუწოდებს ყველა ადამიანს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ტყეში იმყოფება. მაგრამ ვინ რეკავს ზარს, თუ ბერები აღარ არიან და მონასტერი აღარ - არსებობს?

ერთმა მწყემსმა გვითხრა, რომ ზარის რეკვის ხმა განსაკუთრებული სახეობის შაშვების ჭიკჭიკია, რომლებმაც უწინდელი მოხმობა ზარების რეკვის ხმით შეცვალეს. როდესაც მონასტერმა არსებობა შეწყვიტა, რადგან ის ბუნებრივმა მოვლენებმა დაანგრია ან იმიტომ, რომ ბერებმა იქაურობა დატოვეს, ფრინველებმა მონატრების ნიშნად სცადეს ამ ხმისთვის მიებაძათ. ასე და

ამგვარად, შაშვების ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა ზარების წკრიალი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. უკვე თითოეული ფრინველი მწვანე მონასტერს წარმოადგენს და ვინც გაბედავს და ამ ხმას მიყვება, თავის მონასტერს ჰპოვებს.

მე და ფარაჯანოვი ტაქსით ვმგზავრობდით. სოფელ ჩითახევს რომ გავცდით, მოულოდნელად მძღოლმა გადაუხვია და ტყეში შევიდა ტალახიანი და გუბურებით სავსე მოუკირწყლავი გზით. უცებ შემობრუნდა და გვკითხა:

– ზარების ხმა გესმით? – ძრავა გამორთო, რომ ზარის ჩამოკვრის წკრიალა ხმა გაგვეგონა. ბილიკზე ვიარეთ, რომელსაც ხის დაგრეხილი ფესვები კვეთს და სიარულს ისე აადვილებს, იფიქრებ, ძველ კიბეზე ავდივარო. მოულოდნელად, მწვანე მონასტერი გამოჩნდა. ქვისა და დუღაბის ორი ნაგებობა და ხავსი.

ჩიტმა, რომელიც ეკლესიის ჯვრის წვერზე გაუნძრევლად იდგა, სიმღერა შეწყვიტა. მზის სხივი დიდი კაკლის ტოტებს შორის აღწევდა, ათბობდა ყვითელი ქვით ამოყვანილ კუთხეებს, უკვე მიწიდან რომ იწყებოდა. სინათლე პატარა ბარელიეფზე ეცემოდა, რომელზეც ცხენი იყო გამოსახული. კართან მივედით და ეკლესიის ნამდვილ სივრცეში შევედით. იატაკში ჩარჭობილ ქვაზე, რომელიც ერთ დროს საკურთხეველი იყო, სანთელი ენთო. ნეტავ, ვინ მოგვასწრო?

ქვის ჩარჩოზე, რომელიც ნახევრადწრიულ კედელს გარს ევლებოდა, ჩამწვარი სანთლები იყო შემორჩენილი, ხოლო იმათთვის, ვისაც სურვილის ჩათქმა მოუნდებოდა, შორიახლოს ასანთის რამდენიმე კოლოფი იდო. სანთელთან მანამდე ვიდექი, ვიდრე ძალიან მნიშვნელოვანი სურვილის ჩამოყალიბება მოვახერხე.

ასანთის გაკვრა დავაპირე, მაგრამ ფოსფორი დანესტიანებულიყო და არ ინთებოდა. სამი კოლოფი ასანთი გავაფუჭე სულ ამაოდ. გადავწყვიტე ჩემი სანთელი უკვე ანთებული სანთლის ალზე ამენთო. «სხვისი სურვილი არ უნდა შეაწუხო». – მითხრა ფარაჯანოვმა. ეკლესიიდან გამოვედით და მიწაში ჩამარხული გამომწვარი თიხის ქვევრები ვნახეთ. ერთ დროს აქ ბერების დაყენებულ ღვინოს ასხამდნენ. ახლა კი ქვევრის პირები ხის ტოტებითა და ქვებით დაეფარათ. როგორც კი პატარა ეკლესიას გავცდით, მოსწორებული მიწა დავინახე, გავიფიქრე, რომ ეს ბერების ბოსტანი იყო. მიწის ზედაპირი დაჟანგული ლურსმნით გადავქექე, ხმელი და სველი ფესვები დავინახე. ბილიკის კიდეზე ჩამომჯდარ მეტყევეს ვაჩვენე, რომელსაც ხელში კიტრი ეჭირა, რბილი პური კი მკლავქვეშ ამოედო; მითხრა, რომ ეს ლობიოს გამხმარი ფესვები იყო.

* * *

წუხელ რამდენიმე საათით კოკისპირულად წვიმდა. ზუგდიდის მთავარ ქუჩაზე, ერთ-ერთ სახლში გავათიეთ ღამე. დილით ქუჩები და ტროტუარები ხეებიდან ჩამოცვენილი ვაშლებით და კაკლებით იყო სავსე. ბაღებიდან ხის ტოტები რუსთაველის გამზირის ნაპირზე გადმოდის, რომელიც მშვიდი და უკაცრიელია, როგორც Far West-ის გზა, შუაში ჩაყოლებული პალმების რიგით. კანალიზაცია არც აქ არ არის, ამიტომ იძულებული ხარ უნიტაზში წყალი ვედროთი ჩაასხა, რომელსაც სავსე აბაზანიდან იღებ.

* * *

სოხუმამდე მანქანით ვიმგზავრეთ. გზას, რომელიც ზღვას მიუყვება, დიდი ევკალიპტების ჩრდილი ეცემა, რომლებიც

თავიანთი დაუცხრომელი წყურვილით შემორჩენილ ჭაობებს აშრობენ. სოხუმის ძველი ნაწილი სანაპიროზე ცემენტის სვეტებიანი კედლით მთავრდება, რომელზეც მომწვანო-მოყვითალო პალმებია. ქვიანი პლაჟი სკამებით არის მოფენილი, რომელთაც ხის გაურანდავი ნაჭრებისგან გამოთლილი საზურგეები აქვს. ეს სკამები ზღვის მიმართ პერპენდიკულარულად დგას. ძველ, მზისა და წვიმისგან გაშავებულ პარალელეპიპედის ფორმის ქვის გროვებზე გლეხების ოჯახის წევრები სხედან და კბილით მზესუმზირის შავ მარცვლებს ჯიუტად აკნატუნებენ. აქა-იქ, მოძველებულ ძელებზე თეთრეულია გამოფენილი, რომელიც უწესრიგო ჩრდილს წარმოქმნის. სკამების ამ რიგსა და კედლებს შორის სივრცეში რამდენიმე ხის ჯიხურია, რომელთა დაბალი სარკმლებიდან ლუდსა და სენდვიჩებს გთავაზობენ. ვარდისფერწინსაფრიანი მოხუცი ქალები მზესუმზირას ყიდიან და რაოდენობას ჭიქით ზომავენ. მსუქანი კაცი წონის შესამოწმებელი ლურჯი სასწორის გვერდით ზის. პატარა, ათიოდე მეტრის სიგრძის ზვირთსაქცევის გასწვრივ, მოზარდები წყალში ტანსაცმელს ყრიან, რომ ზღვიდან ამოზრდილ კლდეებზე აცოცებული მეგობრები გაართონ.

სომხური ბიბლია

სომხებსა და თურქებს შორის ზოგჯერ ომები იმართებოდა და არარატის მთა ხელიდან ხელში გადადიოდა. გამოდის, რომ ნოეს კიდობანი ხან თურქეთში ჯდებოდა მეჩეჩზე და ხან – სომხეთში. მეჩვიდმეტე საუკუნეში თურქებმა გაიმარჯვეს და დაპყრობილ მიწას ხმალმომარჯვებულნი შეესივნენ. სომხებმა კი, უძველესი ბიბლია ყურანის ალში დაწვას რომ გადაერჩინათ, გადაწყვიტეს წიგნი დაეშალათ და ყოველი ფურცელი ჯარისკაცებს ფარაჯის ქვეშ დაემალათ.

როდესაც ბრძოლა დამთავრდა, გადარჩენილმა სომხებმა ფარაჯებიდან ფურცლები ამოიღეს, რომლებსაც საკუთარი სხეულით იცავდნენ და მათი ისევ წმინდა წიგნად აკინძვა სცადეს. დაღუპული მეომრების გასისხლიანებულ სამოსში იქექეს. ყველა ფურცელი დაულაქავებელი იყო, არც კი დაჭმუჭნილა. თუმცა მხოლოდ ერთი ფურცელი აკლდა – ის ფურცელი, რომელზეც მარიამ მაგდალინელის ამბავი იყო მოთხრობილი. ის ფურცელი 20 წლის შემდეგ, ერთი მეძავის სახლში იპოვეს, რომელსაც ის ვიღაც დეზერტირისთვის მოუპარავს.

პუდრმოფრქვეული ქალბატონი

მსუქანი და სუნამოდაპკურებული ქალბატონი, რომელიც ორ, თეთრ და ბეჭდებით აბრჭყვიალებულ თითს შუა მოქცეული დაქარგული ცხვირსახოცით ლოყებზე ოფლს იშრობდა, თავისი ოთხი ქორწინების მანძილზე, კავკასიის ყველაზე მოშორებულ სადგურებშიც კი იყო ნამყოფი, ქმრების სამსახურეობრივი მოვალეობების გამო, რომელთაც მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები ეკავათ. ახლა კი, როდესაც გენერლის გარდაცვალების შემდეგ დაქვრივდა, ისეთ ადგილს დაეძებდა, სადაც ხორცის სიჭარბისგან მოგუდული მისი ფილტვებისთვის სასარგებლო ჰავა იქნებოდა.

მოსკოვში ჟანგბადი რომ ესუნთქა, პარკებში და ბეღურების გორის ხეივანში სეირნობდა. კავკასიაში კი, ბორჯომიდან ცოტა მოშორებით, ყოველ დილით გამოდიოდა სახლიდან, რომელშიც ქირით ცხოვრობდა და სკამზე ჯდებოდა პარკში, ხეივნის გასწვრივ, რომელიც დაფხვნილი აგურის მოვარდისფრო ხრეშით იყო დაფარული. ერთ საღამოსაც, გამხდარი, ელეგანტური და პუდრმოფრქვეული ბებერი ქალი წარუდგა, რომელიც ისეთი ამაღელვებელი

აღტაცებით შეჰყურებდა, თითქოს მისი და ან საფლავიდან ამდგარი ნათესავი ყოფილიყო. ეს ბებერი ქალი მის გვერდით ჯდება, მის ხელებს თავის ხელებში იღებს და თავის გამხმარ ლოყებს ახებს. მსუქანს გარდასულ დროს ახსენებს, მის იშვიათ სილამაზეს, რომელიც მთელი რუსეთისთვის და სამხრეთის ცხელი რესპუბლიკებისთვის ლეგენდად იყო ქცეული.

ბაკურიანში გატარებული საღამოები გაახსენა, როცა სოფლის ბილიკებზე მანდარინის ჭამით დადიოდა და ქუჩის იქით-აქეთ, ქათქათა თოვლის გროვაში ნარინჯისფერ ქერქს ყრიდა. თაყვანისმცემლები კი შორიახლოს მიყვებოდნენ და გადაგდებულ ქერქებს იღებდნენ, რომ მისგან რაიმე მაინც ჰქონოდათ სახსოვრად. გაახსენა, რომ ომის დასასრულს, მოსკოვის ქუჩებში დიდ მარშალთან ერთად მანქანით დადიოდა, რომელიც ერთ დროს ნაცისტ იერარქს – გებელსს ეკუთვნოდა.

სოჭის პლაჟზე ელაპარაკა, დორზნაკის გორაკზე ციხესიმაგრეც არ გამორჩენია, სადაც ორკესტრის დირიჟორთან ერთად გაზიან წყალს მიირთმევდა. ჩანთიდან ძველი ფეხსაცმელები ამოიღო, ცნობილი მეწაღის შეკერილი, რომლის მომსახურებითაც მსუქანი ქალბატონი სარგებლობდა. ერმიტაჟის ბაღის პატარა რესტორანზე ელაპარაკა, სადაც კალმახს მიირთმევდნენ. ზოლიანი კოსტიუმები გაახსენა. ხალხი, რომელიც გამარჯვების დღეს, წითელ მოედანზე მისთვის კოცნას არ იშურებდა, საყოველთაო ჭყლეტვაში პირადად მას რომ გადაეხვივნენ. მისი თალხი კაბაც მოაგონა, სტალინის დაკრძალვაზე რომ ეცვა, როცა, მიუხედავად იმისა, რომ გორკის ქუჩის კედლებთან ხალხის ნაკადი უწყვეტად

მოდიოდა, მის გარშემო სივრცე მაინც დატოვეს, რომ არავინ შეხებოდა.

შემდეგ კი მრავალი წელი, როცა თეატრებში, რესტორნებში, მოდურ პლაჟებზე აღარ ჩანდა. გასულ წელს კი, გაგრის ქუჩებში სულ რაღაც წამით გაიელვა, რაც გამხდარმა ქალმა ოდნავ შერხეულ ჰაერში მისი სუნამოს სურნელით ამოიცნო, რომელსაც ახლაც ხმარობდა და რომელიც მისი ვარდისფერი და ჭარბხორციანი სხეულიდან ორთქლდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ახლა მისი ნახვა და გულში ჩახუტება შეეძლო.

მოულოდნელად, პუდრმოფრქვეულმა ქალმა მთელს თავის გრძნობებს ღია ცისფერ, მაგრამ აღელვებისგან ჩაწითლებულ თვალებში მოუყარა თავი: «ის დრო გახსოვთ, ახალგაზრდა რომ იყავით?» შეშინებული ქალბატონი გამხდარი ქალისკენ მიტრიალდა, რომელსაც სახე ახლოს მოეტანა და დაჟინებით უმზერდა. და ბოლოს და ბოლოს, პუდრის ფენის ქვეშ, რომელიც ოფლს ლამის ყელამდე ჩამოჰქონდა გულმოდგინედ გაკეთებული მაკიაჟის მუქ ფენასთან ერთად, ორკესტრის დირიჟორის ნაკვთები ამოიცნო, მხოლოდ ერთ მთვარიან ღამეს რომ უყვარდა, ის კი სიბერეში თავის ლატენტურ ქალურობას უკვე თავისუფლად ამჟღავნებდა.

თოვლი

ერთმა იაპონელმა ბიზნესმენმა თავისი საქმიანი პარტნიორისთვის გაგზავნილ წერილში, რომელთანაც ვაჭრობა აკავშირებდა, დაუდევრობით ახალმოსულ თოვლზე არაფერი თქვა. პარტნიორისგან ასეთი პასუხი მიიღო: «გგონიათ, რომ შემიძლია ყურადღებით განვიხილო ის, რასაც უსულგულო ინდივიდი მთავაზობს, რომელიც

წერილს მწერს და არც კი მეკითხება, თოვლი ბედნიერებას თუ მანიჭებს? იმედი ძალიან გამიცრუეთ».

ცეკვა

ტელევიზორში აფრიკელი ქალების ცეკვა ვნახე. მაღლები, თავზე შემოდგმული ლურჯი პლასტმასის ჭურჭლით, ჰოროზონტის მიკარგული წერტილისკენ მიდიოდნენ. სხეულის მსუბუქი რხევით მოვიხიბლე. ოდნავ შესამჩნევი ცეკვა, სიარული, რომელსაც სხეულის ჰარმონიული შეთამაშება წარმოქმნის, ლამის განუწყვეტელი მოდიფიკაცია მკაფიოდ მოხაზული ხორციელი ამონაზარდის. საცეკვაო ნაბიჯები, რომლებიც სხვა ჟესტებს გაგონებენ, წარმოსახვით ინტიმურობაში გაგხვევენ და შემდეგ, ქოხის წინ, ქვაში ამოჭრილ ღრუში, მომრგვალებულთავიანი ხის იარაღის რიტმული და ზუსტი დარტყმა, რათა ფქვილისა და დანაყილი სამკურნალო ფესვების ფაფა მოამზადონ.

ხმები

რახანია დარწმუნებული ვარ, რომ ხმაური, სიტყვები, ცხოველების ხმები გარემოში არ იკარგება. ისინი ქართან ერთად მოძრაობით სიცოცხლეს განაგრძობენ და ისეც ხდება, რომ სხვა პეიზაჟში ან სულ სხვა ქვეყანაში ისევ მოგვესმის ეს ხმები. ჩემი მოსაზრება საქართველოში დამტკიცდა, სადაც მუსიკის ტაფობია – ველი, რომელზეც აღწევს ხმები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რომ უკვე გაისმა. მგონი, ერთმა ინგლისელმა სწავლულმა ისიც კი შეძლო, რომ სამყაროს დაბადების სიკაშკაშე და აფეთქების ხმები შეაგროვა. იმასაც ამბობენ, რომ აქ ერთმა გერმანელმა ებრაელების კვნესა გაიგონა, როცა ისინი გაზის კამერაში შეიყვანესო.

ამ ტაფობის პირას მეც ვიჯექი და ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, სიჩუმეში, მოულოდნელად მამაჩემის ხმა მომესმა. გერმანიაში ტყვეობიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი და ჩემი სახლის კარის წინ რომ გზა ჩადიოდა, იქ ვიდექი. ის კი აღელვებული და გაოცებული მიყურებდა. მოულოდნელად, პირიდან სიგარეტი გამოიღო და მითხრა, «რამე ჭამე?». აი სწორედ ეს სიტყვები გავიგონე.

წვიმს

წვიმს და წვიმა ხმელ პურს ალბობს, ტერასაზე ჩიტებისთვის რომ დავდე. ამ წვიმაში ახალგაზრდები სიცილით დადიან პლაჟზე. მათი მაისურები უბრალო სამოსია, თითქოს კვერცხის თხელი გარსისგან გაკეთებული, ამობურცულ კუნთებს ეხება და ზედ ეკვრის. ქალები ხელით იფარავენ მკერდს, რომელზეც შავი ძუძუსთავები ემჩნევათ.

ეკლესიები ფრენენ საქართველოში

მიხვეულ-მოხვეულ გზას მაღლა აყვები, მაღალ, წითელტანიან ნაძვებს შორის რომ გადის, და პლატოზე მოხვდები. ამ გზით, საქართველოში მუსიკოსების სანატორიუმს ვეწვიეთ. არაჩვეულებრივია. ის იმ ადგილას არის აღმართული, რომელსაც ჩაიკოვსკიმ, აქაურობის ნახვისას, «სამოთხე» უწოდა.

სოფელ წაღვერამდე მანქანით მივედით, რომელიც კაკლის ხეებშია ჩაფლული. მამაკაცები მოჩრდილულში სხედან, მოჭრილი ხეების დიდ კუნძებთან ახლოს. ბილიკები წრიულ დაბლობთან მთავრდება, რომელიც შუაგულში პატარა და ცივი მდინარის – ბორჯომულას დინებით არის ჩაღრმავებული. განაპირას რუხი ქვით

ნაგები, წმინდა გიორგის ძველი ეკლესიაა. ნაპრალის მსგავს სარკმლებს გარშემო მუქ ფილებში გამოკვეთილი ქვის თოკები აქვს შემოვლებული, ხოლო კუთხეებში – ყურძნის ორიოდე მტევანია გამოსახული. ძირითად კარზე, ზემოთ გველის მსგავსი დრაკონია, რომელზეც პატარა კაცი შემდგარა და წაბორძიკებულ ნადირს ხახაში შუბს არჭობს.

6 მაისს, მთელი დაბლობიდან მომლოცველები მოდიან წმინდა გიორგის დღესასწაულის აღსანიშნავად და ეკლესიის კედლებზე, გარედან, სანთლებს ამაგრებენ, რომლის ალიც ორი მეტრის სიმაღლეზე ქვებს ჭვარტლით ფარავს. ღამით, გეგონება ცეცხლმოდებული ეკლესია ცაში აფრინდებაო.

შებინდებისას, როცა დასაძინებლად დავწექი, ოთახში ორი ექთანი შემოვიდა. ფინჯნით რაღაც მოტკბო სითხე დამალევინეს. მერე კი მთხოვეს, რომ მარჯვენა გვერდზე დავწოლილიყავი და 40 წუთით ქვეშ ცხელი სათბურა დამედო. ეს თქვეს და გაქრნენ.

ღამის ორ საათზე გაწვიმდა, წამოვდექი, რომ აბანოს ხალათი ჩამომეხსნა, რომელიც ტერასის მოაჯირზე გასაშრობად გადავკიდე. სხვები გვერდითა აივნებზე ტანსაცმელს იღებდნენ, რომელსაც წვიმა ასველებდა. ისევ საწოლში ვწვები. გადავბრუნდი და მოვიკუნტე, დავინახე, რომ დღის შუქი ნელ-ნელა ირეკლებოდა ხის კარადაზე.

ალექსეი ცვეტკოვი

პერმანენტული რევოლუციონერის ჩანაწერები ანუ ოცი წელი ალისფერი დროშის ქვეშ

(რუსულიდან თარგმნა ნორიკ ბადოიანმა)

არცერთი დამთხვევა არ არის შემთხვევითი

ალექსეი ცვეტკოვი-უმცროსი თანამედროვე რუსი მწერალია – კონტრკულტურის წარმომადგენელი, ანდრეი ბელის პრემიის ლაურეატი. ის 1975 წელს დაიბადა, სწორედ მაშინ, როცა ალექსეი ცვეტკოვი-უფროსი ამერიკაში გადასახლდა, თუმცა, ეს ორი ავტორი მკითხველს მაინც ხშირად ერევა ხოლმე ერთმანეთში.

ალექსეი ცვეტკოვი მოსკოველი ანარქისტების აქტივისტია 90-იანი წლებიდან. ის ქმნის ორგანიზაციებს და ე.წ. პარტიზანულ დაჯგუფებებს რუსეთში კულტურული რევოლუციის მოხდენის მიზნით.

1993 წელს თეთრ სახლთან მოწყობილი ცნობილი ანარქისტული ბარიკადების ორგანიზატორიც სწორედ ის არის. მუდმივად იცავს სტუდენტებისა და უფროსკლასელთა უფლებებს, ათობით ფსევდონიმით აქვეყნებს წერილებს სხვადასხვა ალტერნატიულ გამოცემებში, მისი ბრძოლა ხშირად პოლიტიკურ ელფერსაც იღებს. ის არის სკანდალური ორგანიზაციის, «სტუდენტური დაცვის» ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეს კავშირი ე.წ. მემარცხენე მარქსისტ-ანარქისტებმა შექმნეს და მას ხშირად უწევდა შეტაკება ხელისუფლებასთან.

ალექსეი ცვეტკოვი თავისი შემოქმედებით თუ სხვადასხვა ფრონტზე ბრძოლით ცდილობს, დაანგრიოს რუსეთში გაბატონებული კულტურული კლიშეები და პოლიტიკურ-მენტალური პრესის ქვეშ მოქცეული სისტემა. ის არ მალავს

აგრესიას და ირონიას ამ ყველაფრის მიმართ და ყოველთვის მზადაა ბრძოლისთვის.

ალექსეი ცვეტკოვი

18 წლის ვარ, და ისეთი ენერგიული, მოუსყიდველი და მამაცი, რომ მზად ვარ, გავათავისუფლო ყველა ჩაგრული ამ სამყაროში და გადავაქციო ის ახალი ადამიანების ახალ სამყაროდ. მაგრამ ეს როგორ გავაკეთო, არ ვიცი, თუმცა ეს ხომ არავინ იცის. სურვილი კი ძალიან დიდია. მეჩვენება, რომ ყველა მაგარი მწერალი, მუსიკოსი და პოლიტიკოსი, ანუ ისინი, ვინც მომწონს, ლაპარაკობდა ერთსა და იმავეზე და სურდა ერთი და იგივე. სწორედ ეს უნდა გავაკეთო. უბრალოდ, საჭიროა, უფრო მეტი ვიკითხო რადიკალი თეორეტიკოსები და ისტორიკოსები, რათა ზუსტად შევძლო მაგრების გარჩევა იმათგან, ვინც მაგარი გეჩვენება. და ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილების მიღებაც არ გვაწყენდა.

20-ის ვარ, და უკვე საკმარისად წავიკითხე და ვიკამათე, რათა დავწერო ყველაზე რევოლუციური პროგრამა ყველაზე რევოლუციური ორგანიზაციისთვის. გარდა ამისა, ყველა მიტინგზე დავდივარ, ვარიგებ ჩვენს სააგიტაციო ფურცლებს, ვაგროვებ ხელმოწერებს და გავყვირი ლოზუნგებს. უცნაურია, მაგრამ ასეთი უკომპრომისო ცხოვრების სტილი, როგორც გავარკვიე, აინტრიგებს ზოგიერთ გოგოს, განსაკუთებით მას, ვინც სათვალეს ატარებს და ხშირად დადის ბიბლიოთეკაში.

რადიკალმა მხატვრებმა თავიანთ ტუსოვკაზე დამპატიჟეს. იქ ამიხსნეს, რომ როცა მხატვარი ისაქმებს იატაკზე, ამას „პერფორმანსი“ ეწოდება, ხოლო როცა უკვე მოისაქმა და მძღნერი იატაკზე დევს – „ინსტალაცია“. არ მესმის ასეთი ხელოვნება, თუმცა არ შევიმჩნიე. აი, იატაკზე რომ ეწეროს

«კაპიტალიზმი» და მხატვარი წითელ მაისურში ნამგლით და ეროთი, ან კიდევ უკეთესი – ჩვენი ორგანიზაციის ემბლემით, აჯვამდეს მას, მაშინ კიდევ არაუშავს, მაგრამ ასე... მხატვარი შიშველია, იატაკი – სარკისებრი, როგორც გინდა, ისე გაიგე. ჩვენ ეს არ შეგვფერის. იქნებ, ეს კაპიტალისტი ჯვამს მუშათა უფლებებზე? და უბრალო დამლაგებელმა შემდეგ უნდა მორეცხოს! როცა მივდიოდი, მომცეს «რუბიკის კუბი» – ერთნაირად შავი ყველა მხრიდან. ვერ ვხვდები! სანამ ისინი ღორების წინაშე მძივობანას თამაშობენ, ჩვენ გვრჩება კიდევ ერთი უკანასკნელი ძალისხმევა, და ჩვენ შევცვლით ამ უკუღმართ სამყაროს!

22-ის ვარ და ჩვენი ორგანიზაცია დამაჯერებლად იზრდება. ერთი წლის წინ მასში 8 ადამიანი იყო, დღეს კი უკვე 12-ია. გვაქვს გაზეთი, და თუმცა ჯერ ჩვენ გარდა მას არავინ კითხულობს, ეს მხოლოდ დროისა და ძალისხმევის საკითხია. ისტორიის ლოგიკა ჩვენზე მუშაობს. პირველად ჩავედი ევროპაში ამხანაგებთან. აი, ესაა დემონსტრაციები! აი, ესაა წიგნის მაღაზიები ანტი-კაპიტალისტებისთვის! მუხანათურმა აზრმაც კი გამიელვა გონებაში, სამუდამოდ ხომ არ გადავბარგდე იქ, პოლიტიკურ დევნილად გავასაღო თავი. მერე რა? უკანასკნელ მიტინგზე მენტები ისე მომდევდნენ, რომ მოვსრიალდი და დავეცი, ფეხი ვიღრძე და ერთი კვირა ვკოჭლობდი. ან, შეიძლება, იქაურ აქტივისტზე დავქორწინდე, ვნახე იქ ერთი, ის ისე ესხმოდა თავს პოლიციელებს, რომ სუნთქვა მეკვროდა, მისი დაჭერა და დაკავება დამჭირდა, პოლიციელები ზედმეტად რომ არ დაშავებულიყვნენ. უცხო ენები კარგად ვიცი. მაგრამ ეს დეზერტირობა იქნებოდა კლასობრივი ბრძოლის ფრონტის საკუთარი მონაკვეთიდან. და თან გოგოც გამომიტყდა, რომ გოგოებს ანიჭებს უპირატესობას.

ჩვენთან ხომ მხოლოდ ახლა იწყება არ ჩანს, რა იწყება. ორიოდე წელიწადში ჩვენ აქ ისეთ ამბებს დავატრიალებთ, რომ მათ აქეთ მოუნდებათ ჩვენთან ჩამოსვლა.

24-ის ვარ და ერთდროულად განვიცდი რამდენიმე დრამას. იმან, რომელზე დაქორწინებასაც ვაპირებდი, მითხრა, რომ არასდროს გავიზრდები, რომ მას ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა, რომ ჩვენ ყველანი ბრიყვები ვართ ბირულკებით , რომ ჩემი შეუპოვრობითა და ნაკითხობით დიდი ხანია, დავწერდი დისერტაციას ან ბანკს ვუხელმძღვანელებდი, ასე კი ის ჩემთან ვერავითარ მომავალს ვერ ხედავს, ჩემგან ბავშვები არ სურს და სამუდამოდ მიდის. და საერთოდ, სათვალეებს ლინზებით ანაცვლებს. ოპორტუნისტი. ამიერიდან მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის გოგოებს დავუახლოვდები, მაგრამ ისინი ჩვენთან მხოლოდ სამნი არიან, და უკვე სხვა ამხანაგებს ჰყავთ დაკავებული. ჯგუფურ სექსზე ხომ არ აქვთ რამე კლასიკოსებს? ვეძებე, მაგრამ ვერ ვიპოვე...

ჯერ კიდევ აღმავლობის ჟამს განხეთქილება განვიცადეთ. როგორც კი ოცნი გავხდით, ჰო, კარგი, ზუსტად თვრამეტი, თანაბრად გავიყავით, დავადანაშაულეთ რა ერთმანეთი ბიუროკრატიულ გადაგვარებაში, მშრომელთა ინტერესების ღალატში და დოგმატურ სექტანტობაში. სამაგიეროდ, გამოგვიჩნდა მხარდამჭერი ჯგუფი ვლადივოსტოკში. ოთხნი არიან, და გვწერენ, რომ სრულიად იზიარებენ ჩვენს პროგრამას და გვეკითხებიან, ავუნაზღაურებთ თუ არა მგზავრობას მოსკოვამდე, რათა ყრილობაში მონაწილეობა მიიღონ? ჩვენ, ცხადია, ვერ გადავუხდით, საიდან ამხელა ფული? მაგრამ დავპირდით, რომ უფასოდ დავაბინავებთ ჩვენთან. ჯერ ფიქრობენ, გაწევრიანდნენ თუ არა. ვიმედოვნებ, ისტორიის ლოგიკის სწორი გაგება გაიმარჯვებს.

დისერტაციას რაც შეეხება, შეიძლება, ის რაღაცაში მართალიც არის. ოპორტუნისტებიც კი არ ცდებიან ყოველთვის...

26-ის ვარ, და ყველაზე ცნობილმა როკ-ჯგუფმა თავის ალბომს დაარქვა ის, რასაც ჩვენ შემოკლებით ჩვენს ორგანიზაციას ვუწოდებთ, მხოლოდ ერთი ნაკლებადმნიშვნელოვანი ასო-ბგერის განსხვავებით. მთელი დღე აღვნიშნავდით და ვრეკავდით როკ-ჯგუფის ფან-კლუბში, საღამოს კი ახალი ამხანაგებიდან ერთ-ერთი როგორღაც დაუკავშირდა ამ ფან-კლუბს და გაარკვია, რომ როკ-ჯგუფი რაღაც სრულიად განსხვავებულს გულისხმობდა, ჩვენ შესახებ კი საერთოდ არ სმენოდა, უბრალო დამთხვევა იყო. მაგრამ მაინც, ეს ჩვენი გარდაუვალი ისტორიული წარმატების სწორი ნიშანია. მითუმეტეს, რომ ამ სასიამოვნო გაუგებრობის გამო რამდენიმე ადამიანმა მოასწრო ჩვენთან ინტერნეტით ჩაწერა, შემთხვევით მოხვდა რა ჩვენს საიტზე საძიებოთი, და ჩვენ მათ ასე უბრალოდ არ გავუშვებთ. ჩვენ ყველაზე სწორი განაწესი გვაქვს: წევრობის ანულირებისთვის ყველა რეგიონალური უჯრედის ყრილობის გადაწყვეტილებაა საჭირო. გაასწორებდა, როკ-ჯგუფისთვის სასამართლოში გვეჩივლა ბრენდის გამოყენებისთვის, მაშინ როკ-ჯგუფი უცებ გაიგებდა ჩვენ შესახებ. მართალია, მას ალბომის სახელწოდება დარეგისტრირებული აქვს, ჩვენ კი ორგანიზაცია – არა, ასე რომ, პირიქით, მას შეუძლია სასამართლოში გვიჩივლოს, მაგრამ ეს უფრო მაგარი იქნებოდა. მაგრამ თუ არც ეს და არც ის არ მოხდება, ყველას მივანიშნებთ, რომ როკ-

ვარსკვლავები ჩვენი ორგანიზაციის ფარული წევრები არიან, და მხოლოდ სპეცსამსახურებისა და პროდიუსერების მწვავე ზეწოლამ აიძულა ისინი, უკანასკნელ მომენტში სხვა განმარტება მოეფიქრებინათ მათ სახელწოდებაში არსებული უცნაური ასოებისთვის.

28-ის ვარ და შევაჯამე ჩემი ათწლიანი ბრძოლა. დაწერილია ასი სააგიტაციო ფურცელი და ჩატარებულია ასი პიკეტი. საერთო ჯამში, ყველა დაკავება რომ ერთად შევკრიბოთ, სისტემის კედლებში (ანუ მილიციის სამაიმუნეთში), ალბათ, ერთი კვირა ვიტანჯე. ვინ შეგვიშალა ხელი, რომ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებამდე მიგვეღწია? რა თქმა უნდა, იმ ჯგუფმა, რომელიც ორი წლის წინ გამოგვეყო, და შემდეგ კიდევ იმან, რომელიც ერთი წლის წინ გამოგვეყო. ისინი გამუდმებით გვირევდნენ კარტებს, ჩვენი გამარჯვებითა და სახელგანთქმულობით სარგებლობდნენ და თავგზას უბნევდნენ მშრომელებს. იმ დონემდე მოახდინეს მათი დემორალიზება, რომ მუშებმა დროებით რევოლუციის რწმენა შეწყვიტეს. თუმცა არც აქამდე სჯეროდათ დიდად. ჰო, ანუ განხეთქილებმა მშრომელების დემორალიზება იმ დონემდე მოახდინეს, რომ მათ ვერც შეძლეს ერწმუნათ რევოლუცია. არა უშავს, ეს, უბრალოდ, რეაქციის გარემოებაა, აი, გაღრმავდება კრიზისი, მასობრიობაც მოვა, იდეოლოგია კი დიდი ხანია, მზად გვაქვს. ვასრულებ დისერტაციას. რევოლუციონერებს არამარტო თავიანთი პროპაგანდა, არამედ მეცნიერებაც სჭირდებათ!

30-ის ვარ, კრიზისიც გაღრმავდა, მაგრამ მასობრიობა არ მოვიდა. შევადარე ჩვენი შედეგები მემარჯვენეების მიღწევებს. მათ აქციებზე ბევრად მეტი ხალხი დადის. მათ, გამოკითხვების თანახმად, ბევრად მეტი ადამიანი უჭერს მხარს. რა თქმა უნდა, მათი დასაყრდენი – რეაქციული

ობივატელია, მათი პროგრამაც – ნეხვია, მაგრამ მაინც საწყენია. მათ შეუძლიათ იმავეს კეთება, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ოღონდ რამდენადმე უფრო წარმატებულად. აი, აეკრძალა სახელმწიფოს და მას რომ მკაცრად დაეცვა თავისი აკრძალვა, რას გაგვიმართლებდა! სისტემას ჩვენ გარდა მტერი არ დარჩებოდა, და შესაძლოა, მემარჯვენეების მთელი აუდიტორია ჩვენს მხარეს გადმოსულიყო, თვალი აეხილათ უძაღლო ქვეყანაში. გუშინ ვნახე თანაკლასელი, რომელთანაც ოდესღაც ჩემი საცოლე წავიდა. თესლი მანქანა – სახლი ქალაქგარეთ – ყოველდღე ფიტნესი – შვებულება ტაილანდში – ორი შვილი – მხარს უჭერენ მემარჯვენეებს. რა უბადრუკობაა! რა კარგია, რომ არ გავხდი ასეთი ერთგანზომილებიანი ობივატელი, ნახევრადფაშისტი და ყველაფერ ამას ვამჯობინე, შემექმნა ისტორია ამქვეყნად ყველაზე პროგრესული ორგანიზაციის რიგებში.

ჩვენს საიტზე ერთადერთ კომენტარს გადავაწყდი, რომლის ავტორი ჩემთვის უცნობია. გვთავაზობს, ჩვენი ენა უფრო სადა და მოდურ ენაზე შევცვალოთ, რათა ადამიანები მოვიზიდოთ. რაღაც არის ამაში. ყური უნდა დავუგდოთ გარეშე მოსაზრებებს. გადავწყვიტე, ჩემს უკანასკნელ მანიფესტში სიტყვა „რევოლუციური“ ავტომატურად შევცვალო „მაგარზე“, ხოლო „პროლეტარული“ – „საკაიფოზე“. გამოვიდა აბდაუბდა: „არამაგარი პროფკავშირები და თანმიმდევრულად საკაიფო ინტერნაციონალი...“ ტექსტის ეს ვერსია გამოვდე საიტზე, და ამავე კომენტატორმა იქ „ყლიბა“ მიწოდა. ყოველთვის არ უნდა დაუგდო ყური გარეშე მოსაზრებებს. არასწორად გვირჩევდა ამხანაგი. ტყუილად კი არაა, რომ არ ვიცნობ. რას აკეთებდა საერთოდ ჩვენს საიტზე? სავსებით შესაძლებელია, სპეცსამსახურების აგენტი

გვიწყობდეს პროვოკაციას. ყველა სიტყვა უკან დავაბრუნე, რომ მე მაინც მივხვდე, რა მიწერია.

როგორც იქნა, დავიცავი, ახლა ვფიქრობ, სწავლება ხომ არ დავიწყო? შესაძლოა, შეფარული ფორმით მივიყვანო ჩემი სტუდენტები სწორ დასკვნებთან, და მეამბოხეების მთელი თაობა აღვზარდო, რომელსაც ამ სამყაროს გადატრიალება შეეძლება.

32-ის ვარ, და უკვე მერვე განხეთქილებას განვიცდით. გაფიცულთა მხარდასაჭერად ჩავატარეთ 135-ე მიტინგი. სხვათაშორის, გაფიცულებიც იყვნენ, თუ ის ორი ვინმეში არ ამერია. ისინი სულ უფრო იმსჭვალებიან ჩვენი იდეებით და გვეპატიჟებოდნენ კიდეც, განსაკუთრებით, ზაფხულის ბოლოს, აგარაკზე, როცა კარტოფილის ამოღების დრო დგება, მარტო კი ვერ გაუმკლავდებიან. ჩვენ, ცხადია, ავუხსენით, რომ რევოლუციის შემდეგ არავითარი კარტოფილის ამოღება არ მოუწევთ, იმიტომ, რომ პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა. ჩვენ, საერთოდ, მიჩვეულები ვართ ყველასთვის ყველაფრის ახსნას, გამობრძმედილი და პროფესიონალი რევოლუციონერები ვართ ადამიანური სიბრიყვისადმი მტკიცე იმუნიტეტით. უკლებლივ ყველა ჩემი სტუდენტი აღმოჩნდა „ერის მძღნერი“ და არა მისი მომავალი ტვინი. თითქმის ყველა დამპირდა მიტინგზე მოსვლას, თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო, საერთო ჯამში კი არცერთი არ მოვიდა. ერთი, ჩათვლაზე უნდა ვკითხო, მუშების მხარდაჭერის ნაცვლად რას აკეთებდნენ?

უფრო ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ დაბადებიდან მივეკუთვნები გმირების მცირერიცხოვან ტომს, ვისთვისაც შეურაცხმყოფლად ვიწროა ეს უსამართლო და ზედაპირული სამყარო. ასეთი პასიონარები ჩნდებიან

იშვიათად, როგორც კომეტები, რათა შეარხიონ ბრბო, შეაშინონ და შეძრან ბრმა ობივატელ-მორლოკები თავიანთი ენერგიის აფეთქებით და მერე სამუდამოდ ჩაქრნენ, ისე, რომ თითქმის არავინ გაუგოს და არავინ მოუსმინოს. ბრბოს თავისი ისტორია აქვს, გმირებს – თავისი. ცუდი არ იქნებოდა, აგვეფეთქებინა რამდენიმე ცნობილი ღამის კლუბი, ბანკი ან ოფისი, რომ საბოლოოდ ყველას გაეგო, რაზე ვართ წამსვლელები ადამიანთა ბედნიერებისთვის. თუმცა, ამაოდ ვამბობ. კრებაზე მხარს არავინ დამიჭერდა. ტერორი არ არის ჩვენი ტაქტიკა და, რეალურად, ხომ შეუძლიათ, დაგვიჭირონ. სჯობს, დავწერო ფანტასტიკური რომანი კომუნისტურ პლანეტაზე, რომელიც გვიგზავნის თავის ზეგონიერ აგენტებს, რათა მათ დედამიწაზე რევოლუციური ორგანიზაციები შექმნან. „რთულია, იყო ღმერთი“ თავდაყირა. შეიძლება, მაშინ მაინც, როცა მილიონები წაიკითხავენ ამ რომანს, აი, მაშინ დაიწყოს მასობრივი მოძრაობა? თუმცა არა, იმდენად სულელი არ ვარ, ბრიყვებისთვის წიგნები ვწერო. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, პოპულარიზატორები კი გამოჩნდებიან. ჩვენ ვმუშაობთ მომავალზე, როცა ყველა ისეთივე გმირი გახდება, როგორიც ჩვენ, და ვწერთ ნამდვილი ინტელექტუალებისთვის, რომლებიც არასდროს არიან ბევრნი.

34-ის ვარ, და დღეს ტელევიზიას ინტერვიუს ვაძლევდი, სანამ ელექტრობა არ გაუთავდათ. ნახევარი საათი ვესაუბრებოდი ჩვენს პერსპექტივებზე, ვადიან და უვადო პროგრამაზე და გარდაუვალ მომავალ აჯანყებაზე. ყველას გადავურეკე, ვისაც ჩემი არ სჯეროდა, რათა ეყურებინათ, არ გამოეტოვებინათ. ყოფილ საცოლესაც დავურეკე და თვითონაც მთელი დღე საღამოს ახალ ამბებს

ველოდებოდი. ჯამში, თანამედროვე „ქალაქელ შერეკილებზე“ სიუჟეტის შემდეგ აჩვენეს, როგორ ვახველებ სიტყვა „ლიბერტარულტრედიუნიონისტურის“ გამოთქმის დაუსრულებლად. და ალბათ, კიდევ დაამუშავეს ჩემი სახე თავიანთი პროგრამებით, რომ ეკრანზე გამოვჩენილიყავი, როგორც ვიღაც ნახევრადბომჟი და არა როგორც რევოლუციური ლიდერი. აი, ამას ვუწოდებთ ჩვენ „მშრომელების მიმართ ინფორმაციულ ტერორს“, „ტოტალურ მანიპულაციას“ და „სპექტაკლის საზოგადოებას“. „სასაცილო ძუძუების“ ზედიზედ სამი საათი ჩვენება (სპეციალურად დავითვალე) მათთვის საინტერესოა და მომავალი აჯანყება და იმის გაგება, თუ რა მომავალი აქვს კაცობრიობას, არ აინტერესებთ! ვისგან შედგება ჩვენი საზოგადოება? მორგებულებისა და მხდალებისგან, რომლებიც არ იმსახურებენ თავისუფლებას, რომლებსაც ყველაფერი შეიძლება გაუკეთო – გაუუქმო შვებულებები, პენსიები, ორივე უქმე დღე და საერთოდ, ჯაჭვით მიაბა სამუშაო ადგილთან, და ხმასაც არ ამოიღებენ. გაიხსენებენ მაშინ, როგორ არ დადიოდნენ ჩვენს მიტინგებზე, მაგრამ გვიანი იქნება! მათი შეცვლა ვერ მოახერხა მარქსმა, ვერ მოახერხა ტროცკიმ, ვერ მოახერხეს მაომ და ჩე გევარამ, არ გამომდის მეც! შესაძლოა, ფაშისტები რაღაცაში მართლებიც არიან: არსებობს ადამიანთა განსხვავებული სახეობები განსხვავებული მიზნებით. ერთნი დაბადებულნი არიან მოსახდენად, მეორენი კი ბრძანების შესასრულებლად. პირველებზე დუმან ტელევიზიები, მეორენი კი იქ ოცდაოთხი საათის განმავლობაში არიან თავიანთი „ძუძუებით“. ჰო, მე, ცხადია, არა ეროვნებებს, არამედ, ისე, ტიპებს ვგულისხმობ...

ჩვენ ისინი არ ვართ, და მხოლოდ ეს მაკავებს ძველებურად ჩვენს ორგანიზაციაში. ამასთან, მე – მისი ლიდერი ვარ. სად შეიძლებოდა კიდევ ლიდერი ვყოფილიყავი? სადაც გინდა, ალბათ, ეს უკომპრომისო, ეკლიანი გზა რომ არ ამერჩია. ჩემს მისამართზე წელიწადში ორჯერ მოდის ევროპაში მოწვევები ისეთივე გმირებისგან, როგორებიც ჩვენ ვართ, ვინც ფიქრობს და მოქმედებს მთელი ადამიანური მოდგმისთვის. კიდევ სხვანაირად როგორ მოვხვდებოდი იქ მუქთად? ალბათ ნებისმიერი გზით, ყველაფერი მსხვერპლად რომ არ გამეღო ადამიანთა გათავისუფლებისთვის.

36-ის ვარ, და ერთგანზომილებიან არაადამიანებთან ყველაფერი გარკვეულია. ისინი მხოლოდ იმად ღირან, რომ ატყუებდნენ და მათთვის უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ჩვენ ვიყოთ და არა ისინი, ვისაც ახლა ძალაუფლება და ფული აქვს. მაგრამ ისინი თავიანთ მომტყუებლებად ყოველთვის იმათ ირჩევენ, ვინც უფრო ცუდია. მემარცხენესა და ლიბერალს შორის ყოველთვის ლიბერალს ირჩევენ, ლიბერალსა და ნაცისტს შორის – ნაცისტს. ისინი ყოველთვის დეგენერაციული ასპროცენტიანი ყნოსვით ხვდებიან, რა არის მათთვის უფრო ცუდი და ითხოვენ ამას. მაგრამ ვისგან შედგებიან რევოლუციონერები? უნიათო ყბედ-უიღბლოებისგან, რომლებიც სხვაგან არსად მიიღეს, და, ღმერთო ჩემო, მე ერთ-ერთი მათგანი ვარ! რას შევწირე ჩემი ცხოვრება? გუშინ შევნიშნე, რომ თავის ერთი მხარე მიმელოტდება, მეორე კი – მიჭაღარავდება, რევოლუცია კი მაინც არ არის და, საეჭვოა, ოდესმე იქნება თუ არა.

ჩვენი მესამასე პიკეტი საშინელება იყო: თავიდან ფაშისტები გვცემდნენ, მერე – მენტები. და, როგორც ყოველთვის, მათ გარდა არავის შევუმჩნევივართ. აღარ

წავალ იქ! აწი ახალგაზრდა დებილები დაკავდნენ ამით, თუ დანარჩენი ყველაფერი ეზარებათ. მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში ყოველ აქციაზე მეჩვენებოდა, რომ ეს არ ხდება მართლა და სერიოზულად, ეს მხოლოდ რეპეტიციაა და ხუმრობითაა, აი, როდესაც ყველაფერი სხვა, სწორი კუთხით შემოტრიალდება, აი, მაშინ გამოვალთ სრული პროგრამით, და საბოლოოდ გასაგები გახდება, ვინ იყო სხვებზე უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან მთელი ეს წლები, და სამყაროში არავინ დარჩება ჩვენ მიმართ გულგრილი, მხოლოდ მომხრეების არმია და მოძულეების ბანდა. მაგრამ ყველაფერი ყოველ ჯერზე რაღაც სხვა და არასწორი კუთხით გვიბრუნდებოდა. ეს იგივეა, ერთნაირად შავი „რუბიკის კუბი“ რომ ატრიალო-კვადრატების მდგომარეობა იცვლება, შედეგი კი ერთი და იგივეა.

სასწრაფოდ უნდა დავკავდე პოლიტიკური პიარით უახლოეს არჩევნებზე, სულერთია, რომელი პარტიისთვის („რაც უფრო ცუდი იქნება, მით უკეთესი!“), სანამ ჯერ კიდევ ვაზროვნებ. მე ხომ ამდენი ვიცი, და თუ არის ასეთი კარგადანაზღაურებადი სამუშაო – კვებო ადამიანები მათივე მძღნერით – სწორედ მე რატომ არ უნდა შევასრულო ის? როცა რევოლუციურ ლიდერს ბრძოლაში იმედები უცრუვდება, ის ხდება მანიპულაციური სპექტაკლის ცინიკური გენია!

38-ის ვარ, და ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის ოცი წლისთავისთვის ვწერ მემუარებს. დიდხანს ვფიქრობდი სათაურზე, გადავწყვიტე, რაც უფრო პოპულარული იქნება, მით უკეთესი – „ჩვენ ვიბრძოდით ალისფერი დროშის ქვეშ!“ თუმცა, გამომცემელი, მართალია, ჯერ არ ჩანს, ყველას ეშინია და ყველა უარს ამბობს. უკიდურეს შემთხვევაში ინტერნეტში დავდებ თავისუფლად

ჩამოსატვირთად. როგორც ყველა ნამდვილი მემარცხენე, ქოფირაიტის წინააღმდეგი ვარ. ხშირად ვხვდები ხოლმე საავადმყოფოში ხან ერთი, ხან მეორე მიზეზით. ექიმები ამბობენ, რომ დაუდევრად ვიკვებებოდი, არ ვმეგობრობდი სპორტთან და დიდ დროს ვატარებდი კომპიუტერთან. აზრი არა აქვს იმის ახსნას, რომ მთელი ჩემი ჯანმრთელობა ადამიანთა გათავისუფლების საქმეს შევწირე მსხვერპლად, ღმერთმა არ ქნას, როგორც პოლიტიკურად ახლომხედველებმა, მკითხონ, სად არის ეგ გათავისუფლებაო? ნაცნობ ჟურნალისტებს ვანიშნებ, რომ ყველა ორგანო ხელკეტით მაქვს დალეწილი და საპყრობილეებში გაყინული. მგონი, სჯერათ, კაფეშიც ზოგჯერ ჩემ მაგივრად იხდიან, ამბობენ, რომ რევოლუციას სწირავენ. მაგრამ ჩემზე მაინც არ წერენ, და კიდევ ვიღაცები ამბობენ, რომ ცენზურა დღეს არ არსებობს. ცენზურა ახლა იმაზე უფრო ტოტალურია, ვიდრე სტალინის დროს. მთელი სამყარო – ფაშიზმია, და ეს პლანეტაც ფაშისტურია, და მაშინაც კი, როცა ჰყიდი შენს მეამბოხე სულს და ფულისათვის ეწევი აგიტაციას რომელიღაც შემთანხმებლური დეპუტატისთვის, ამისთვის მაინც შეურაცხმყოფლად ცოტას იხდიან, უბრალოდ, ვერ ხვდებიან, ვინ მოისყიდეს, რამხელა მასშტაბის პიროვნება, თორემ უფრო მეტს გადაიხდიდნენ. აგიტაციას, ცხადია, ინტერნეტში ფსევდონიმით ვეწევი. და რა... იცით, ლენინს რამდენი ფსევდონიმი ჰქონდა? ის, სხვათა შორის (დეპუტატი, რა თქმა უნდა, და არა ლენინი), – მილიციის გენერალია, და ლოზუნგი ასეთი მოვუფიქრე: „ჩვენ ვებრძვით რუსულ დანაშაულებრიობას!“. ცხადია, ვისაც სურს, გათვითცნობიერებულია, რომ „ჩვენში“ ვგულისხმობ ყველა მშრომელს, ხოლო „დანაშაულებრიობაში“ – მთელს კაპიტალისტურ სისტემას ერთად და ამგვარად

ვირტუოზულად დავშიფრე რევოლუციური ლოზუნგი ოფიციალური პროპაგანდის სივრცეში.

პიარის სფეროდან ჩემმა ნაცნობმა პამპერსებისთვის სარეკლამო ტექსტების წერა შემომთავაზა, იქ კავშირები აქვს. დავთანხმდი, ეშმაკს თვალი არ უჩანს, პამპერსებისთვის უფრო მეტს იხდიან, ბოლო-ბოლო რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადიკალი მოაზროვნისთვის, პამპერსია თუ შემთანხმებელი პოლიტიკოსი? მაგრამ აქაც ცენზურა ჩაერია და ჩემი ლოზუნგი „ჩვენ ვიბრძვით ქათქათა პამპერსებში!“ დაიწუნეს. როგორც ჩანს, მიხვდნენ, ვინ ვარ, და ალბათ, გადაწყვიტეს, რომ პროვოკაციას ვამზადებ, რათა შემდეგ სიმართლე მოვყვე და მათი გამანადგურებელი დისკრედიტაცია მოვახდინო, მოკლედ, მთელი სარეკლამო პამპერს-სისტემა შიგნიდან ავაფეთქო. სხვათაშორის, უპრიანი იქნებოდა, ასეც მოვქცეულიყავი, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ჰონორარს გადამიხდიდნენ. სამწუხაროდ, ვერაფერი გამოვარკვიე მათზე. მასწავლებლობისგან დათხოვნასაც ცდილობდნენ იმ საბაბით, რომ მე 8 წელია, სიტყვა-სიტყვით ერთსა და იმავეს ვიმეორებ, თითქოს ამით სიტყვებს შინაარსი აკლდება. თუმცა – პირიქით, მათი სისწორე დასტურდება! მაგრამ გათავისუფლების შეეშინდათ, სტრასბურგის სასამართლოთი დავემუქრე, სადაც შეხედულებების გამო დევნილები უყვართ. თუ გსურს, დააშინო წვრილი ბურჟუაზიის მსახურები, ტრანსნაციონალური ბურჟუაზიის მსახურებით უნდა დაემუქრო. იმდენად დაფრთხნენ, რომ ფსიქიატრის გამოძახებასაც დამპირდნენ, მაგრამ არ გაითვალისწინეს, რომ სადამსჯელო ფსიქიატრიის დრო დიდი ხანია, წასულია.

ორგანიზაციაში იშვიათად თუ შევივლი – 1 მაისსა და 7 ნოემბერს. თუ იქ შემოეხეტება ვინმე თვალებანთებული ახალგაზრდა (გოგონებს ვერ ვიხსენებ), დიდი ხნით გამოვიჭერ და ვუყვები, როგორი მაგარია ბრძოლა, როგორ ვიბრძოდით ალისფერი დროშის ქვეშ და რა პერსპექტივები გვაქვს. და მხოლოდ ჩვენ და არა ვიღაც განხეთქილებს, რომლებსაც თავხედობა ჰყოფნით, ამტკიცონ, რომ ეს ჩვენ გამოვეყავით მათ და არა პირიქით. სიმართლე გითხრათ, ეს შურისძიებაა ამ ახალგაზრდა ადამიანებზე, უფრო სწორად, არა მათზე, არამედ ჩემს უპონტო ბედისწერაზე, უფრო ზუსტად კი, არა ბედისწერაზე, არამედ მთლიანად ბრიყვ კაცობრიობაზე. არ ვიცი, საკუთრივ ვინ, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ვინმემ, ასე, ოცი წლის შემდეგ, თავი ისევე საზიზღრად და მკრთალად იგრძნოს, როგორც ახლა მე.

6. წიგნის ხელოვნება

მამუკა ხანთაძე

ტექსტის პორტრეტი

გასაგებია, რომ გრაფიკა და წიგნი მონათესავე მოვლენებს წარმოადგენს და მათი დაცალკევება შეუძლებელია. გრაფიკული, მხაზველობითი საწყისი ძალუმად სუფევს წიგნში და ხორცშესხმულს გვიჩვენებს თითქმის მთელ მის სულიერ შიგთავსს – გამოსახულებებით, სიმბოლოებით, ორნამენტებით, და, ბოლოს, თვით წიგნის შრიფტის ნიშნებითურთ. ილუსტრაციის ხელოვნება, ისევე, როგორც შრიფტის ხელოვნება, გრაფიკის დარგია, და მისი ისტორია უაღრესად მჭიდროდაა დაკავშირებული წიგნის ისტორიასთან. მაგრამ გრაფიკა სულდგმულობს და ვითარდება წიგნის ფარგლებს გარეთაც, როგორც ნახატისა და გრავიურის თავისთავადი, დამოუკიდებელი ხელოვნება. ფერწერასა და ქანდაკებასთან ერთად სახვითი ხელოვნების ცალკე დარგად მისი დამოუკიდებელი განვითარება იწყება შედარებით გვიან – აღორძინების ეპოქაში. ამ დროისათვის წიგნი, მაშინ ჯერ მხოლოდ ხელნაწერი, უკვე მრავალი საუკუნის ისტორიას ითვლიდა, რთული ტექნიკური და მხატვრული განვითარების გზა ჰქონდა გამოვლილი და წიგნის ხელოვნების მრავალფეროვანი და მაღალი ნიმუშებით ხასიათდებოდა.

აქვე უნდა განვმარტოთ, თუ რას ვგულისხმობთ ტერმინში «წიგნის ხელოვნება». ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ასეთი ტერმინი არც იყო, ლაპარაკობდნენ მხოლოდ «წიგნში ჩაქსოვილ ხელოვნებაზე». თითქოს ეს ერთი და იგივეა, მაგრამ ელფერით განსხვავებულია. იგულისხმებოდა, რომ წიგნი, არსებითად, არის ტექნიკური საგანი, გამზადებული ყალიბი: რომელიც მხატვარს გარედან, პოლიგრაფიული წარმოების სამყაროდან მისცეს. მისცეს, რადგან მხატვარს

შესწევს უნარი, გაამდიდროს და გაალამაზოს იგი, შეიტანოს და განათავსოს წიგნში თავისი ნახატები, ნახჭები, ნიშნები, როგორც განათავსებენ მზა შენობაზე კედლების მოხატულობას და სურათებს. წიგნი მოიაზრებოდა არა როგორც ხელოვნების ერთიანი ნაწარმოები, არამედ მხოლოდ როგორც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოებების საცავი: გრაფიკული, ფერწერული, დეკორატიული ქმნილებების ალაგი.

ისინი, ყველანი ერთად, გვიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას, თუ რა სულისკვეთება სუფევდა იმ დროს, როდესაც წიგნი იქმნებოდა, როგორი იყო სტილი, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებადაც გვევლინება წიგნი. გეგონება, საკმარისია, მიუსადაგო გოტიკური ხელნაწერის არშიებს გაყოლებული ნახჭი არქიტექტურისა და გამოყენებითი ხელოვნების ორნამენტს, შეადარო ერთმანეთს სახვითი სივრცის აგებულება წიგნის მინიატურასა და კედლის მხატვრობაში, გამოავლინო შრიფტისა და დაკუთხული მოხაზულობის აშკარა მსგავსება არქიტექტურული და პლასტიკური ფორმის ზოგად თავისებურებებთან, რათა გოტიკური წიგნი შეერწყას თავისი ხანის მხატვრულ მოვლენათა წრეს, გოტიკური სტილის სისტემას.

ჩვენ ჯერჯერობით შევეხეთ მხოლოდ გრაფიკის გოტიკურ სტილს, რომელიც იმხანად ჯერ არ იყო დამოუკიდებელი, წიგნის ერთიანი ხელოვნებისაგან ნაბარტყი და ცალკე გამოყოფილი. მაგრამ წიგნზე, როგორც ერთიან მხატვრულ ქმნილებაზე, მისი სტრუქტურის კანონზომიერებებზე, რომლებიც მნიშვნელობით ტოლს არ უდებენ გოტიკური ტაძრის სივრცეულ აგებულებას, ასეთი ანალიზი თითქმის არაფერს გვეუბნება. იმსჯელო წიგნზე მხოლოდ მისი ცალ-ცალკე აღებული ორნამენტების, ილუსტრაციების, თუნდაც შრიფტების მიხედვით – იგივეა, რომ იმსჯელო მთლიანად

ტაძრის არქიტექტურაზე ისე, რომ არ შეეხო არც მის გეგმას, არც მის კონსტრუქციებს, და თვალი მოგწყვიტოს მხოლოდ ჩუქურთმამ, კედლის მოხატულობამ, სვეტისთავების ხვიებმა და თახჩაში ჩადგმულმა ქანდაკებებმა.

წიგნის მხატვრული აგებულების ერთიანი, მთლიანი აღქმა საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ მისი ყველა ნიშნური, ორნამენტული და სახვითი ელემენტი არა იზოლირებულად, არამედ გარკვეულ კავშირში ამ მთლიანობასთან – თვით წიგნთან, რომელსაც საკუთარი, საუკუნიდან საუკუნემდე ცვალებადი «არქიტექტურა» აქვს, მასთან კომპოზიციურ-სივრცეული, აზრობრივი და ფუნქციური თანაფარდობის სისტემაში. ისევე როგორც არქიტექტურა გარდაგვიქმნის გარემომცველ სივრცეს არა მარტო ჩვენი პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ჰმატებს მას წესს, რიგს და ზომას, მისი მეშვეობით გასაცხოვრებისებელ სამყაროს ანიჭებს გარკვეულ აგებულებას და ხასიათს, შთაბერავს მას ემოციურ შინაარსს, ასევე წიგნის ხელოვნება აწესრიგებს და ასულიერებს წიგნის სამყაროს, ხორციელჰყოფს მას, როგორც განსაკუთრებულ სულიერ სამყაროს, როგორც მკითხველისა და ტექსტის, მკითხველისა და წიგნის შინაარსის ურთიერთობის სფეროს, ხელშესახებსა და საგნობრივს ხდის მას.

ამიტომ, როდესაც წიგნის ისტორიას ვსწავლობთ, უწინარეს ყოვლისა, გვმართებს ყურადღება მივაპყროთ არა მარტო მისი ამა თუ იმ გრაფიკული ელემენტების სილამაზეს და თავისებურებებს, არამედ აგრეთვე, მის ზოგად აგებულებას, მთლიანობის სამხატვრო ორგანიზაციას. ეს, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, გვაძლევს შესაძლებლობას, დავინახოთ გარკვეული სამხატვრო

ღირსებები არა მარტო წიგნის საგამომცემლო საქმის გამორჩეულ ფერწერულ და განსაკუთრებით მდიდრულ შედევრებში, არამედ აგრეთვე საქმიანსა და სადა, მოურთველ-მოუოჭველ მწიგნობრულ ძეგლებში.

როდესაც წიგნს განვიხილავთ მისი ამ «არქიტექტურული», უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,-არქიტექტონიკული თვალსაზრისით, და მისი აგებულების თავისებურებებს ვუკვირდებით, ჩვენ უნდა აღვიქვათ იგი, უწინარესად, როგორც რაღაც საგანი, რომელიც წარმოადგენს ტექსტისა და მისი თანმხლები გამოსახულებების საცავს და გარკვეულწილად გვეხმარება მათ გამოყენებაში. წიგნი კონსტრუქციაა და მისი ყველა ტექნიკური მხარე – მასალების შერჩევა და დამუშავება, მათი ფიზიკური თვისებები – სიკარგე, წონა, ზედაპირთა ფაქტურა, ფერთა კონტრასტი, – არ გვტოვებს გულგრილს, განუყოფელ ნაწილად შედის ჩვენეულ აღქმაში წიგნის, როგორც ხელოვნების საგნისა. და აქ ტოლს არ უდებენ ერთმანეთს თავიანთი მნიშვნელობით წიგნის ფორმატი – დიდია თუ პატარა (სულ სხვა სახეებია – მონუმენტური და ინტიმური), პროპორციები, დამზადების ხერხები – მანქანით თუ ხელით, წიგნის ბლოკის რაობა, მისი თვისება, გაგვეშალოს ქაღალდის ფურცლების მარაოდ, და, რაღა თქმა უნდა, ამ კონსტრუქციის შესაძლო გართულებანი – სხვა ქაღალდის, მით უმეტეს, სხვა ფორმატის ჩართული ფურცლები, გასაშლელი ფურცლები, და მისთანანი. ყველა ამ თვალსაზრისით წიგნის ხელოვნება ყველაზე ახლოს დგას გამოყენებით და სამრეწველო ხელოვნებათა ნაირგვარ სახეობებთან, რომლებიც ქმნიან ჩვენს საგნობრივ გარემოცვას მისი პრაქტიკული და იმავდროულად მხატვრული მხრიდან.

მაგრამ წიგნს ჩვენ აღვიქვამთ არა მარტო როგორც ნივთს, არამედ ასევე როგორც თავისებურ სივრცეს. გადავშლით რა წიგნს, ჩვენ «შევდივართ», «ვიძირებით» მასში, «ვეძლევით მთელი არსებით»… რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ მეტაფორებია, მაგრამ ისინი ესატყვისება წიგნის ზოგიერთ რეალურ და დიდმნიშვნელოვან თვისებას, რომლებიც კითხვისას ვლინდება. ამ თვისებებს გარკვეულწილად აყალიბებენ მისი შემქმნელები და, უპირველეს ყოვლისა, მხატვარი. ისინი შეიძლება განვასხვავოთ და შევისწავლოთ.

ფიზიკური თვალსაზრისით, წიგნის «სივრცე» შეიძლება ორგანზომილებიანად ჩაითვალოს – ეს არის, პრინციპულად, ბრტყელი გვერდების შლილები, ე.წ. განშლების სისტემა, რომელიც კითხვისას ჩვენს თვალწინ ენაცვლება ერთმანეთს. ამ განშლებზე განსაზღვრული წესით არის განლაგებული ნიშნები და გამოსახულებანი. სწორედ ეს წესი წარმოადგენს წიგნის სივრცეულ ორგანიზაციას, მის კომპოზიციას. შესაძლო ვარიანტების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, რომლებიც წიგნში ამა თუ იმ კომპოზიციურ სისტემებს წარმოადგენენ, ეს წესი ყოველთვის მკაფიო და ჩამოყალიბებულია. მისი საფუძველია კოორდინატთა გეომეტრიულად მწყობრი სისტემა, რომელსაც ქმნის ერთნაირი სწორკუთხა ფურცლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური შემონაჭრები და ყუის ნაღუნის ვერტიკალი – გადასაშლელი ფურცლების ბრუნვის ერთიანი ღერძი.

უფრო რთულად არის საქმე მესამე, ფურცლის სიბრტყისადმი პერპენდიკულარულ განზომილებასთან დაკავშირებით. იგი წიგნში მხოლოდ გონებაჭვრეტითად, ილუზორულად არის მოცემული, მაგრამ, შეიძლება, ასევე ძალზე ძლიერად იყოს გამოხატული და აქტიურად

ახდენდეს გავლენას წიგნის კომპოზიციურ მთლიანობაზე. იგი წიგნში შეაქვთ უმთავრესად სხვადასხვა გამოსახულებებს, რომლებსაც ახასიათებთ თავიანთი განსაკუთრებული სივრცეული აგებულება, რომელიც მეტ-ნაკლებად ეთანადება წიგნის ზოგად სივრცეს. სამგანზომილებიანობის ელფერი დაჰკრავს აგრეთვე პლასტიკურ გამომხატველობას, რომელიც არასახვით ნიშნებს ახასიათებს.

წიგნის სივრცე ორგანიზებულია როგორც გზა, ქმნის გარკვეულ პირობებსა და ნიშანსვეტებს ამ გზით მოძრაობისათვის. მკითხველის ყურადღების ზონა მიუყვება ტექსტის სტრიქონებს, გადადის ტექსტიდან ილუსტრაციებზე და ბრუნდება უკან. ამ გზაზე, ფურცლებზე არსებული სიბრტყისა და გრაფიკის სივრცეული რეალობის მეშვეობით მკითხველი სწვდება მათი შინაარსის სამყაროს. ამის მეოხებით წიგნის სივრცე გვევლინება გონებაჭვრეტითი და ხატოვანი სივრცის შემცველად და, გარკვეულწილად, მოდელად, იმიტომ, რომ პირველში გადანაცვლება ნიშნავს მეორის გავლასაც. კითხვის დინამიკა განსაზღვრავს წიგნის სივრცის ასიმეტრიას, მის მიზანმიმართულობას თავიდან ბოლომდე. მასში მოძრაობა ეწყობა გარკვეული რიტმით, ტექსტის დანაწევრებით, პაუზებით, სათაურებით, ტექსტისა და ილუსტრაციების მონაცვლეობით.

ზემოთ დასახელებული წიგნის არქიტექტონიკური ღირსებები, მთელი სამხატვრო სიმდიდრის მიუხედავად, შეიძლება თითქმის სულაც არ იყოს დამოკიდებული ტექსტის შინაგან ღირსებებზე, მის სტილზე, ხასიათზე, შინაარსზე – წიგნის ხელოვნების ბევრმა ეპოქამ დაგვიტოვა ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც გამსჭვალულია თავისი დროის სულისკვეთებით, მკაფიოდ

განასახიერებენ მის სტილს, მაგრამ ოდნავადაც ვერ გამოხატავენ მათში მოქცეული თხზულებების კონკრეტულ შინაარსს. მხოლოდ უკანასკნელი ერთნახევარი-ორი საუკუნის მანძილზე, გამოცემების რაოდენობისა და ლიტერატურის ჟანრების, თემების, დანიშნულებისა და სახეობების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად, წიგნის იერს მეტ-ნაკლებად დაეტყო ჯერ ერთი, მისი კუთვნილება ამა თუ იმ გამოცემათა წრისადმი (მაგალითად, ლექსების კრებული უკვე სხვაგვარად გამოიყურება, ვიდრე სახელმძღვანელო), და მეორეც, კონკრეტული ნაწარმოების დამახასიათებელი ნიშნები. ასეთი წიგნი გახდა ტექსტის ერთგვარი «პორტრეტი» რაღაც თვალსაზრისით – მისი რეკლამა, და გამოხატავდა მის შეფასებას, წიგნის გამომცემლისა და მხატვრის დამოკიდებულებას ამ ტექსტისადმი. არა მარტო ილუსტრაციები (წიგნის შიგნით მოთავსებული თუ ყდაზე, გარეთ გამოტანილი), არამედ მისი ყველა სხვა, ზოგჯერ წმიდა წყლის ტექნიკური ელემენტი (მასალა, ფერი, შრიფტები, ფორმატი, გაკეცვა, კერვა) თანდათან მეტ-ნაკლებად მიგვანიშნებს, თუ რა ხასიათის არის მოცემული წიგნი. მის ნებისმიერ დეტალს ახლებურ ელფერს და აზრს სძენს ის გარემოება, რომ იგი შეიძლებოდა არსებითად ნაირგვარი ყოფილიყო სხვა შინაარსის, სხვა ხასიათის წიგნში.

ასე წარმოიშობა ტექსტის-წიგნის წაკითხვაში, აღქმასა და შეფასებაში მხატვრის ჩარევის შესაძლებლობების, გზებისა და ფარგლების ინტერპრეტაციის პრობლემა. ეს ჩარევა შეიძლება იყოს დელიკატური და ფაქიზი, რომელიც არ ხელყოფს მკითხველის დამოუკიდებლობას, ანდა, პირიქით, იყოს გადამჭრელი, თვითონ დასვას მკვეთრი აქცენტები იქ, სადაც მიიჩნევს საჭიროდ. იგი შეიძლება

მიმართული იყოს ტექსტის სხვადასხვა მხარისადმი – სიუჟეტის, ემოციური წყობის, სტილისტიკის, განყენებული იდეების მიმართ. მან შეიძლება შეისხას ხორცი მთლიანად ან უმთავრესად წიგნის ფორმის სხვადასხვა ელემენტსა და თავისებურებაში.

ყოველივე ზემონათქვამი ჩვენ გამოგვადგება საფუძვლად, როდესაც შევისწავლით წიგნის, როგორც სივრცეული ხელოვნების განსაკუთრებული სინთეზური სახეობის ნაწარმოების ისტორიას. საქმე სულ მუდამ გვექნება წიგნის სტრუქტურის სტილურ, ანუ წმინდა მხატვრულ ასპექტებთან. მაგრამ ეს როდია ერთადერთი ან თუნდაც მთავარი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს ნებისმიერი ეპოქის წიგნის სპეციფიკურ სახეს. მასზე გამუდმებით აქტიურად ზემოქმედებენ ტექნოლოგიური და ეკონომიკური მიზეზები, გამოსაქვეყნებელი ლიტერატურის შინაარსი და დანიშნულება, რომლებიც ძნელად ეთანადებიან ერთმანეთს და ახასიათებენ მოცემული დროისათვის წიგნის გამოყენების დამახასიათებელ ვითარებას, მის გავრცელებასა და ა.შ. მაგრამ ყველა ეს ფაქტორი თავისთავად არ არის მხატვრული, არ უპირისპირდება წიგნის ხელოვნების სტილს ჩვენეული გაგებით, შედის მასში, როგორც რაღაც წინასწარ განსაზღვრული პირობა, რომელიც ექვემდებარება მხატვრულ გააზრებასა და გამოხატვას.

აი, რატომ ვერ შეიზღუდება წიგნის ხელოვნების სტილის შინაარსობრივი ანალიზი თავისი უშუალო საგნის – წიგნის განცალკევებული შესწავლით. იგი გარდაუვლად მოიცავს თავისი გაგების წრეში აგრეთვე წიგნის წარმოების სფეროს მისი ისტორიული განვითარების თითოეული ეტაპის ყველა თავისებურებითა და შესაძლებლობითურთ – შუასაუკუნეების დინჯი გადამწერის მაღალი ხელობიდან

თანამედროვე პოლიგრაფიის უკანასკნელ სასწაულებამდე. ასეთი ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე საზოგადოებრივი ყოფიერებისა და წიგნის დანიშნულების გარკვეულ პირობებს. აკი იმის კვალობაზე, შედიოდა იგი საღვთისმსახურებო თუ საქმედე საგნების წყებაში, განკუთვნილი იყო ზნეობრივ-დიდაქტიკური მიზნებისა თუ მეცნიერული მეცადინეობისათვის, მიზნად ისახავდა მაღალი ესთეტიკური განცდების აღძვრას, თუ ემსახურებოდა მხოლოდ გართობას და თავის შექცევას, – ძირეულად იცვლებოდა მისი სახე და სტრუქტურა, რიტმი და სივრცეული აგებულება. ფუნქციის შეცვლა ცვლიდა წიგნის მორთულ-მოკაზმულობას, უკვე სხვაგვარად განსაზღვრავდა დასურათხატების ხერხებს, ტექსტისადმი გრაფიკის დამოკიდებულებას.

ამასთან, სხვადასხვა ეპოქებისათვის, სხვადასხვა სტილისათვის ლიტერატურის ესა თუ ის სახეობა ხდებოდა განმსაზღვრელი, გარდაუვლად პოულობდა სრულ სამხატვრო ხორცშესხმას წიგნის სტრუქტურაში და ავრცელებდა თავის გავლენას მწიგნობრული ხელოვნების ზოგად ხასიათზე. ამრიგად, ჩვენ მოგვიწევს განვსაზღვროთ წიგნის – მაგიურის, საღვთისმსახურებოს და რელიგიურ-დიდაქტიკურის, სამეცნიეროსა და ტრიუმფულ-პანეგირიკული წიგნის ბატონობის პერიოდები, აგრეთვე თვალი გავადევნოთ წიგნის მხატვრული დიფერენციაციის განვითარებას, წიგნის ხელოვნების ჟანრთა რთული სისტემის გაჩენას წიგნის მაყალიბებელი ლიტერატურის ჟანრებისა და სახეობების შესაბამისად.

7. პოლემიკა

თემო ჯავახიშვილი

თემო ჯავახის და ჯავახი თემოს გზავნილი „ქილერს“

„ახალი საუნჯის“ N8 (38) ნომერში დაიბეჭდა დავით ანდრიაძის კრიტიკული წერილი, სახელწოდებით „თემო ჯავახი და ჯავახი თემო“, თემო ჯავახიშვილის პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც გაიმართა წელს, 5-27 აგვისტოს, ეროვნულ გალერეაში. ამჯერად გთავაზობთ მხატვრის საპასუხო წერილს.

რედაქცია

ჩემო მორალურ-ზნეობრივად შეურყვნელო და (ნარ)ცის(ე)ულად ნათელო მეგობარო! ბატონო დავით – ბევრმა იცის, და მეც გამიგია თქვენი დიდი შესაძლებლობებისა და დამსახურების შესახებ, მაგრამ თქვენმა რეცენზიამ ჩემი საქმიანობის შესახებ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი თქვენი ნიჭიერების ასეთ უსაზღვროობას: დახვეწილი, არაზედაპირული, სიღრმისეული და უნაკლო მორიელის(ეული) კუდ-ენა. სიცრუის სიბრძნე და ინტერნეტში მოპოვებულ ტერმინოლოგიათა აბლაბუდებად ქსოვის უზადო ოსტატობა. მოულოდნელი და ელვისებური თავდასხმისა და სხვათა სტილისტიკის მეყსეულად ათვისება-გათავისების უნარი. ნიჭი, რომლითაც თქვენ ერთადერთს შეგეძლოთ და შეგიძლიათ მოახდინოთ სასწაული-სასწავლი და შექმნათ ყველაფრისაგან არაფერი და არაფრისაგან ყველაფერი. – ჩემო ღვთის სადარო სრულყოფილებავ, მე ვერ ვხვდები, რით დავიმსახურე თქვენი ყურადღება და რა მიზეზით დაუთმეთ თქვენი უძვირფასესი დრო ჩემს არაფრისმკეთებლურ საქმიანობას. მე, რა თქმა უნდა, მადლიერი ვარ – რომ დამანახეთ ჩემი ნამდვილი «სახე».

შესანიშნავი იმიტატორი და არტისტი ბრძანდებით, რადგანაც სრულყოფილი სიზუსტით გაიმეორეთ (ჩემსავით) არაფრობის ქცევისა და თვითრეკლამის მაგიური პერფორმანსი. მე, რა თქმა უნდა, გამიმართლა (სხვა ხელოვანებთან შედარებით), რადგანაც თქვენს ნისლით დაფარულ სივრცე-რეცენზიაში თქვენთან ერთად მეც წარმომაჩინეთ. მთლიანად შეპყრობილი ვარ თქვენით უდიადესო და შოკირებულს თვალწინ მიდგას თქვენი უბადლო პროფილი. მე თქვენი ვარ მთლიანად, როგორც ნადირობისას მოპოვებული მსხვერპლი და მხოლოდ თქვენ ერთადერთს გეკუთვნით ჩემი უბადრუკი სული და ექსკლუზივი ჩემი გულის განგმირვისა. არა! არა და არა!!! უსამართლობაა და ძალიან მცირეა არეალი, თქვენი სტატუსის მქონე კრიტიკოსისთვის და (არა)რეალიზებული ფილოსოფიის დოქტორისათვის ‘‘თქვენს’’ ვარდისფერ საქართველოში. იქ, სადაც (საბჭოთა პერიოდიდან დღევანდლამდე, ყველა თქვენგანის დახმარებით, ზოგიერთებს სჯერათ და წინასწარ იციან – რომ პირველად: „კოლმეურნეობის ბრიგადირის შხვართ გოგოს, მხოლოდ კოლმეურნეობის თავჯდომარის ბიჭი მო იხმარს.“ ყოველი არამორჩილი და გაშიფრული კონკურენტი ნაძირალის „კარგ ცხოვრებაზე“ ჩანაფიქრიც კი – წინასწარვე უნდა ამოიშანთოს, ყველას საჩვენებლად – ყველაზე უაზრო და მახვილი ტერმინებით. რა თქმა უნდა – მე მონა და მორჩილი ვარ თქვენი, საყვარელო... კასრში გამოყვანილო თაგუნია-დიოგენო და მართალი კაცის დასასჯელად მაძიებელო. მომიკითხეთ თქვენი რეცენზიის შემკვეთი – ბატონი „ზარანდია,» თავისი ხელოვან-პოეტ-ფილოსოფოსიანი მხლებლებით. მე კი – თქვენი რჩევითა და ხიბლით გაბრუებული, ისევ ვრჩები არაფრის კეთების პოზიციაში (სანამ სულსა და სხეულს ჯერჯერობით მინარჩუნებთ), ვწევარ გაშლილი ნაცრის წინ, უვიცი,

უმადური და ვოცნებობ „ყვარყვარეს“ ორდენზე. შევნატრი და ხშირად ვახსენებ თქვენნაირ დიადთა დედებს და თანაც ჯოხის პატარა ნატეხით (რომელიც თავზე გადამამტვრიეთ) ფაქიზად გამომყავს ჩემი საოცნებო სახელი: (ძვირ ფასიანო)... ანდრე»ასო“ვ!

* * *

ისე, თუ უფრო სერიოზულად მიუდგებით – ამ პიროვნულად შეურაცხმყოფელ ტექსტსა და იურიდიულად – დანაშაულის დამამტკიცებელ დოკუმენტს, აუცილებლად შეამჩნევთ: 1. რეცენზიის ავტორის „დაუსჯელობის სინდრომით“ შეპყრობილ მდგომ-არეობას. 2. ელემენტარული ანალიზის გაკეთების უუნარობას.

რადგანაც – როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე: „ამ მამაცხონებულმა თუ არ იცოდა ეს საქმე... სხვისთვის მაინც ეკითხაო.“ საქმე კი ისაა, ბავშვიც კი მიხვდება, რომ – არცერთი ჭკუათმყოფელი (მითუმეტეს მაღალი კატეგორიის) ევროპელი კურატორი თავის პროექტებში არასოდეს არ ჩართავს არაფასეულ ხელოვანს. „სულ“ ესაა... სულ-ალ დებულთა მეცეცხლურო. თვალსაჩინოებისათვის კი წარმოგიდგენთ ერთ-ერთი ასეთი კურატორის – სებასტიან პლოუს ოთხიდან ერთ რეცენზიას, რომელიც სპეციალურად დაიწერა ჩემი საგამოფენო კატალოგისათვის. ეს რეცენზია არის ინსტალაცია „TRANS“-ის შესახებ, რომელსაც ხელოვნების ისტორიის მცოდნემ და ფილოსოფიის დოქტორმა, დავით ანდრიაძემ „სააღაპე სუფრა“ უწოდა. შეადარეთ ერთმანეთს და ალბათ ნათელი გახდება მათ შორის არსებული პროფესიული აზროვნების ხარისხობრივი სხვაობა.

* * *

„ ანტიკრიზისი მდგომარეობს სწორედ იმ ფაქტში, რომ ძველი კვდება, ახალი კი ვერ იბადება. ამ განუკითხაობაში ავადმყოფური სიმპტომების დიდი სახესხვაობა იჩენს თავს. “

ანტონიო გრამსკი

TRANS – პერფორმანსია, რომელიც პირველად განხორციელდა თბილისში 1997 წელს. ის გაჩნდა, როგორც რეაქცია გამოფენისა სათაურით „ტრანსკავკასია“, რომელიც 1998 წლის, თებერვალში უნდა განხორციელებულიყო პარიზში და რომლის მიზანიც იყო საფრანგეთში ქართველი არტისტების წარდგენა.

თემო ჯავახიშვილი თავიდან მიწვეული იყო ამ პროექტში, მსგავსი კონტექსტის მქონე საკუთარი ნამუშევრების საჩვენებლად, მაგრამ (მაშინდელი ცალკეული კულტურის მოღვაწეთა „ზრუნვის“ შედეგად) შემდგომში ეს შეთავაზება გაუქმდა. ამ არაკეთილგანწყობილი ჟესტის ირონიულ პასუხად არტისტმა გადაწყვიტა, განეხორციელებინა პერფორმანსი „TRANS“ თბილისში, სწორედ იმ საღამოს, როცა „ტრანსკავკასიის“ გამოფენა გაიხსნებოდა საფრანგეთში, თუმცა შემდეგ შეცვალა თავისი აზრი და ექვსი თვით ადრე – 1997 წელს მოხდა ამ პერფორმანსის წარმოდგენა „ძველ გალერეაში“, თბილისში. თ. ჯავახიშვილმა გამოფენის დასახელების პირველი ნაწილის, TRANS-ის მატერიალიზება მოახდინა და სიტყვა TRANS მაგიდაზე დაწერა ღვინის ჭიქებით. ამგვარად, ნამუშევარი ყველას თვალწინ იქმნებოდა სიტუაციის მიხედვით. სანამ ხალხი

ჭიქებს იღებდა, სვამდა და იშვიათად აბრუნებდა თავის ადგილზე, სიტყვა ახლებურად ეწყობოდა და იცვლებოდა, როგორც (ხშირად) იცვლება ხალხის აზრი. პერფორმანსის მიმდინარეობის დროს ნამუშევარი ტრანსფორმირდა ისევე, როგორც მისი მიმღებები ანუ დამთვალიერებლები, რომლებიც ადგილს უცვლიდნენ სკულპტურულ ობიექტს პროცესის უტილიტარული ღირებულების მიხედვით. ნამუშევარმა ბუკვალურად და კონცეპტუალურად იმ სიტყვის დეკონსტრუქცია მოახდინა, რომლის აღმნიშვნელიც თავიდანვე ჩამოაცილეს მას. „ტრანს-კავკასიის“ ნაცვლად, შეიძლება „ტრანს“ გამოხატავდეს: „ტრანს-მისიას“ (გადანაცვლებას) ერთი ადამიანისა მეორისაკენ, „ტრანს-ლაციას“ – ერთი მნიშვნელობიდან მეორეში გადასვლას და „ტრანს-პოზიციას“ – გადაადგილებას. მისი მრავალგზის გამეორება იწვევს ერთი კონტექსტიდან და ერთი პერიოდიდან მეორეში ტრანს-ფორმაციის დაუსრულებელ (უწყვეტ) შესაძლებლობებს. თემო ჯავახის ნაწარმოებები, დანახული (განხილული) ტრანსლაციის თეორიების ჭრილში, ამჟღავნებს მის იდენტიფიცირების უნარს, თუ ენა – გამოყენების პროცესში (სხეულთან და სხვა ობიექტებთან მიმართების დროს) როგორ ავლენს (ამჟღავნებს) ხოლმე გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მოვლენებს.

ხელოვნების ისტორიის მაგისტრი. სპეციალისტი ხელოვ ნების ისტორიასა და თეორიაში EHESS-გან და დამოუკიდებელი კურატორი. მისი კურატორობით განხორციელდა მრავალი შესანიშნავი პროექტი: პარიზში, ნიცაში, მონპელიეში, სან ფრანცისკოში, ჩიკაგოში, ნიუ იორკში, მონრეალში და სხვა. კითხულობდა ლექციებს Universite Paris IP antheon Sorbonne, HEAD of Geneva. ასწავლის

ხელოვნების ისტორიასა და თეორიას უმაღლეს სკოლაში (I'Ecole Superieure des Beaux - Art da Angers).

სებასტიან პლუო. 2015



ნამუშევარი „TRANS" – მოგვიანებით წარმოდგენილი იქნა: საფრანგეთში, პარიზში, 2011 წელს გამოფენაზე სახელწოდებით „თარგმანი ერთი ენიდან მეორეზე" (CNEAI), პარიზის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში. პარიზი, კურატორი სებასტიან პლუო: „წერილი ყოველთვის აღწევს დანიშნულების ადგილს", ESBA TALM Angers and პარტნიორების საგამოფენო სივრცეებში ინტერნეტში, მურეი გაუ გალერეა, ნიუ იორკი; Galerie Leonard & Bina Ellen-ში, კონკორდიას უნივერსიტეტი, მონრეალი, კვებეკი; პარიზის სააგენტო GB-ის გალერეაში.

P.S. ძვირფასიანო! რა არის დღეს შენი ფასი?.. ...და რამდენი გადაგიხადეს ამ საქმეში?..

რაც შეეხება სიტყვა-ობიექტ „BLA და ბლა"-ს, ის ზუსტად ასახავს თქვენ მიერ დაწერილი აბდაუბდა რეცენზიისა და თქვენს „მდგომ"-არეობას. რადგანაც – ყოველი «BLA» (მითუმეტეს შეკვეთილი და შეგნებული ნაძირლობით

შეთითხნილი) განწირულია, ჩაეშვას „და + ბლა“ თავისსავე საწყისში: უაზრობის, სიბინძურის და არარაობის მორევში.

* * *

„ცალხაზიანი ფურცლის ჩიტები შუაღამისას იღუპებიან და დაცემისას გამოსცემენ უცნაურ ხმებს, რომლებითაც დაფარულა მათ სხეულზე (უჩინო მელნით) გავლებული სწორი ხაზები.“

თემო ჯავახი და ჯავახი თემო.
2016.

[1] წიგნიდან: არნფრიდ ასტელი: «საით მირბის კურდღელი». ეპიგრამები. ლაიფციგი. 1988. თარგმნილია შემოკლებით.

[2] ქვირინუს კულმანი - Quirinus Kuhlmann, აგრეთვე: Culmannus, Kühlmann, Kuhlman (1651-1689) – გერმანელი მწერალი და მისტიკოსი.

[3] გიუნტერ ბრუნო ფუქსი (1928-1977) – გერმანელი მწერალი და გრაფიკოსი, რომლის შემოქმედებაშიც ზოგიერთი კრიტიკოსი ქვირინუს კულმანის გავლენას ხედავს.

[4] გფრ-ს ისტორიაში ამ სახელით შევიდა 1977 წლის შემოდგომის პერიოდი, როდესაც სახელმწიფო უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ამ პერიოდში ტერორისტულმა გაერთიანებამ «წითელი არმიის ფრაქცია» (RAF) რამდენიმე მასშტაბური ტერორისტული აქტი განახორციელა.

[5] პოლიტიკური პარტია გერმანიაში.

[6] გერმანელი პოლიტიკოსი (1906-1990), გერმანიის ფედერალური მინისტრი, გერმანიის სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის თავმჯდომარე.

[7] ვოლფ ბირმანი (დაიბ. 1936) – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დასავლეთ გერმანიაში გაქცეული პოეტი, ბარდი.

[8] ჯონ რეჩი (დაიბ. 1931) – ამერიკელი მწერალი, რომელმაც თავის პირველ რომანში ავტობიოგრაფიული სკანდალური ფაქტები აღწერა.

[9] დაიბეჭდა ლიტერატურულ გაერთიანება «ზაარბრიუკენის სკოლის» დაარსების მე-13 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში «ცალრქიან

ცხენებსა და კალიებზე ნადირობა» («Einhornjagd und Grillenfang», გამომცემლები: კლაუს ბერინგერი, ანგელა ფიტცი და რალფ პეტერი, ზაარბრიუკენი, 1992) ამ გაერთიანების ლიტერატურული სემინარის მასალებთან ერთად.

[10] კარლ ლინე (1707-1778) – გამოჩენილი შვედი ბუნებისმეტყველი და მედიკოსი.

[11] ითარგმნა შემოკლებით.

[12] (ლათ.) «მამაკაცური ასო ბასრი ქვით თვითონვე მოიკვეთა» კატულუსი 63,5.

[13] რობერტ გერნჰარდტი (1937-2006) – გერმანელი მწერალი, მხატვარი.

[14] გერმანულ ჟარგონში ეს სიტყვა სქესობრივ აქტს ნიშნავს.

[15] გეორგ კრისტოფ ლიჰტენბერგი (1742-1799) – გერმანელი მეცნიერი და პუბლიცისტი.

[16] ვალტრაუდ შიფელსი (დაიბადა 1944 ზაარბრიუკენში ვალტერ შიფელსის სახელით) – გერმანელი ტრანსსექსუალი მწერალი, რომლის ერთ-ერთი რომანის სახელწოდებაა: «გახდე ქალი, ვალტერიდან ვალტრაუდამდე. ტრანსსექსუალის აუთენტური აღიარება».

[17] Waschzettel – ეს გერმანული სიტყვა (სიტყვასიტყვით «სარეცხის ბარათი») ორ ცნებას გულისხმობს: 1. ფურცელი, რომელზედაც გასარეცხი ტანისამოსის სიაა ჩამოწერილი, შესაბამისი მითითებებით, თუ რა როგორ უნდა გაირეცხოს; 2. ავტორის კომენტარი, რომელსაც ის გამომცემლობაში მიტანილ ხელნაწერს ურთავს.

[18] ითარგმნა მცირე შემოკლებით.

[19] გეორგ გროდეკი (1866-1934) – გერმანელი ექიმი, მწერალი, ფსიქოსომატიკის ფუძემდებელი.

[20] butter ინგლისურად «კარაქს» ნიშნავს, butterfly – «პეპელას»; Schman გერმანულად «არაჟანია», Schmanterling (მოძველებული ფორმა), Schmetterling – «პეპელა».